

# უმთა ძიძიბური



## სიყვინის სსოვრევა



თბილისი „მერანი“ 1988

წიგნში ფართო მკითხველისათვის მისაწვდომი ენით გადმოცემულია ძირითადი მნიშვნელობის ენათმეცნიერული საკითხები — ენის წარმოშობა, სიტყვათსესხება, მსოფლიოს ენათა ოჯახები, ინტერნაციონალური სიტყვები, ქართული ენის კონტაქტები მსოფლიოს ენებთან, დამწერლობის წარმოშობა და სხვა.

### რელაქტორი სარგის ტაიშვილი

რა ახლოა ჩვენთან და რა ორგანული ადამიანური მეტყველების სტიქია და რარიგ მოსაწყენად გვეჩვენება ხშირად სიტყვათშემოქმედების სიღრმეში ჩახედვა, ენობრივი მოვლენის აღმოცენებისა და განვითარების კანონზომიერებაში გარკვევა. შესაძლებელია, ეს ენის სწავლების სქოლასტიკური ხერხების შედეგი იყოს, ანტიკური ხანიდან რომ მომდინარეობს და დიდად არც შეცვლილა საუკუნეთა მანძილზე... თუ ჩვენ ახლოს მივალთ ენასთან, მეტად თავისებური სამყარო გადაგვეშლება, — სამყარო, რომელიც აღსავსეა მომხიბლავი ფერებით, ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც გვაგრძნობინებს კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან სუნთქვას, მის პულსაციას და ისტორიული განვითარების გზას.

დიდმა მწერლებმა და ორატორებმა იციან, რა ძნელია სიტყვასთან ბრძოლა, ენობრივი სტიქიის დამორჩილება, და არცთუ პარადოქსიაა გოეთეს ეს დებულება: „შეიძლებოდა ჩემგან გამოსულიყო უდიდესი პოეტი, ენა რომ არ იყოს ასე დაუმორჩილებელიო“. სიტყვის დიდი ოსტატი აქ, რა თქმა უნდა, გულისხმობს აბსოლუტურ ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ს, რისი მიღწევა, შესაძლოა, მართლაც იდეალი იყო... თვით გოეთესთვისაც!

ჩვენი შრომის მიზანია, მიაწოდოს ფართო საზოგადოებრიობას ძირითადი მნიშვნელობის ენათმეცნიერული ცნობები. რაკი ჩვენი წიგნი განკუთვნილია არა სპეციალური მომზადების პირთათვის, ბუნებრივია, ავტორის თხრობა პოპულარულია და თავისუფალი კვლევითი ხასიათის დეტალიზაციისაგან; აქ მეცნიერული ძიებების შედეგებია გადმოცემული, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, და ამიტომ ჩვენ თავი შევიკავეთ, განგვევრცო ცალკეული საკითხები სათანადო სიღრმითა და მოცულობით. თუ ყველგან არ მოხერხდა თავი დაგვეღწია სპეციალური ტერმინოლოგიისათვის, ამასაც თავისი გამართლება შეიძლება მოეძებნოს: არაფერი დაშავდება, — და ეს სასურველიცაა — თუ ფართო მკითხველი შეეჩვევა ძირითად ლინგვისტიკურ ცნებებს, მთავარია, თხრობა არ იყოს დამამძიმებელი და მოსაწყენი.

საილუსტრაციო მასალა აღებულია უმთავრესად ქართველ ენათმეცნიერთა შრომებიდან. შიგადაშიგ საკუთარი დაკვირვებებიცაა წარმოდგენილი. ავტორებზე მითითება, ცხადია, ამგვარი მიზანდასახულების ნარკვევში შეუფერებელი იქნებოდა, — „სიტყვის ცხოვრებას“ მაინცდამაინც დამოუკიდებელი კვლევის პრეტენზია არა აქვს, წიგნის ხასიათი ამართლებს წყაროებისადმი თავისუფალ დამოკიდებულებას.

## სიტყვის ცხოვრება

სიტყვას თავისი ცხოვრება აქვს. სიტყვა იბადება, ვითარდება და კვდებაო, ამბობენ. ეს მეტაფორული თქმაა, თორემ არსებითად სიტყვის ცხოვრებას ვერ გავუტოლებთ ცოცხალი ორგანიზმის ცხოვრებას, ორგანიზმისა, რომლისთვისაც მართლაც დამახასიათებელია დაბადება, ზრდა და სიკვდილი. თუ ბიოლოგიური არსება, ვთქვათ ადამიანი, იბადება, იზრდება და კვდება, ენაც იქმნება, ვითარდება და, შესაძლოა, მოკვდეს, გადაშენდეს, მაგრამ მისი სიკვდილი, გადაშენება არ არის აუცილებელი, იგი მხოლოდ შესაძლებლობაა: ენა გადაშენდება მხოლოდ მაშინ, თუ გადაშენდა მისი მატარებელი კოლექტივი, მისი მატარებელი ხალხი. მაგალითად, ბაბილონური ან ლათინური ენები ამჟამად აღარ არსებობენ იმიტომ კი არა, რომ მათ აუცილებლად ეწერათ სიკვდილი, არამედ იმიტომ, რომ ისტორიული ჟამთუკუდმართობის გამო ბაბილონური ან ლათინური ენების მატარებელი ხალხები — ბაბილონელები და რომაელები გადაშენდნენ და საუკუნეთა წყვილადში ჩაინთქნენ. ადამიანი კი, როგორც ერთ-ერთი სახეობა ცოცხალი ორგანიზმისა, უთუოდ უნდა მოკვდეს, რადგან ცოცხალი ორგანიზმისათვის, ბიოლოგიური არსებისათვის სიკვდილი გარდაუვალია.

ბაბილონური, ლათინური წერილობით ძეგლებში გაქვავდნენ. ისინი შეიძლება რომელიმე ჩვენგანმა შეისწავლოს, ამ ენებზე ალაპარაკდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს მკვდარი ენები გავაცოცხლოთ. არა, ბაბილონური ანდა ლათინური მკვდარი ენებია, რადგან დღეს არ არსებობს ადამიანთა კოლექტივი, ხალხი, რომელიც მეტყველებდეს ამ ენებზე.

მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვამბობთ — სიტყვას თავისი ცხოვრება აქვსო. მართლაც, ესა თუ ის სიტყვა თანდათანობით იქმნება და მკვიდრდება ენაში, დროთა ვითარებაში სახეს იცვლის, შესაძლოა, ენის განვითარების რომელიმე საფეხურზე ხმარებიდან გამოვიდეს, დაიკარგოს....

საქმე ისაა, რომ არ შეგვიძლია ზუსტად დავადგინოთ, რომელიმე სიტყვა ამა და ამ წელს შეიქმნა, ამა და ამ წელს დაიბადაო.

არის ერთი კატეგორიის სიტყვები, რომელთა აღმოცენება ზუსტად შეიძლება განისაზღვროს. ესაა ხელოვნურად შექმნილი სიტყვები, რო-

მელთა გამომუშაება, ჩვეულებრივ, მიეწერება რომელიმე მეცნიერს ან მწერალს. ასეთები მსოფლიოს ენებში თითზე დაითვლება, იმდენად შეზღუდულია სიტყვის გამოგონების, სიტყვის ხელოვნურად შექმნის შესაძლებლობა.

აი, მაგალითები, ცალკეულ პირთა მიერ შექმნილი ხელოვნური სიტყვებისა მსოფლიო ენებში:

გაზი (აირი) გამოიგონა ჰოლანდიელმა ქიმიკოსმა ჰელმონტმა მე-17 საუკუნეში;

ლილიპუტი (ქონდრისკაცი) — ჯონათან სვიფტმა თავის „გულივერის მოგზაურობაში“ (1726 წ.) უწოდა ფანტასტიკური ქვეყნის — ლალიპუტიის მცხოვრებ პაწია ადამიანებს: სიტყვა შემდეგ განზოგადდა და გავრცელდა, როგორც საზოგადო სახელი.

რობოტი — ჩვენმა მწერალმა კარელ ჩაპეკმა შემოიღო. ნიშნავს: „რთული ოპერაციების შემსრულებელ ავტომატს, რომელიც ადამიანის შეგნებული მოქმედების შთაბეჭდილებას ტოვებს“.

ასევე ნებისმიერადაა შექმნილი კოდაკი (პატარა ფოტოგრაფიული აპარატი), ფელიბრი და ზოგიერთი სხვა.

ზემოთხამოთვლილი ნიმუშებით თითქმის ამოიწურება სია ხელოვნურად შექმნილი სიტყვებისა. ეს ისეთი სიტყვებია, რომლებიც მთლიანად მოგონილია, თავიდან ბოლომდე ხელოვნურია, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ, მაგალითად, გაზი შორეულად მიემგვანება ფლამანდიურ სიტყვას — geest — სული (შეადარე გერმანული Geist — სული).

სულ სხვაა სიტყვების შექმნა ენაში უკვე არსებული მასალის ახალი კომბინაციით, ახალი შეხამებით. ასეთ სიტყვებს ნეოლოგიზმებს უწოდებენ.

მაგალითად, სიტყვა სოციალიზმი (ჯერ კიდევ განუსაზღვრელი მნიშვნელობით) პირველად იხმარა ფრანგმა სოციალისტ-უტოპისტმა პიერ ლერუმ XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში.

ასეთი ნეოლოგიზმები მიეწერება ცნობილ მწერლებს.

კარამზინის შექმნილია, მაგალითად, промышленность, გოგოლის მიერაა შემოღებული трепетolistные деревья, коптителъ неба და სხვ. ვლადიმერ მაიაკოვსკიმ იხმარა ისეთი ახალი სიტყვები, როგორცაა безъязыкая улица, выкипячивать рифмы, беспрогульный ход. стрябный капитализм, пролетариатоводец და სხვ.

გავეცნოთ ერთ საინტერესო ამბავს, საიდანაც ნათლად ჩანს, როგორ წარმოშობს ხშირად ცხოვრება ახალი სიტყვის, ახალი სახელწოდების შექმნის საჭიროებას.

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი აკადემიკოსი ფერსმანი სამეცნიერო მიზნებით ეწვია ერთხელ კოლის ნახევარკუნძულს, კერძოდ, იმან-

დრის ტბას. აი, მეცნიერი ზის ერთ პატარა ნავში იქაურებთან ერთად და მიადგება ტბებს შორის არსებულ პატარა წყალგამყოფ მიწას, კონცხს, რომელსაც ადგილობრივ უწოდებენ „ნავოლოკს“ (नावолок). ეს სიტყვა წარმოდგება ზმნისაგან ВОЛОЧИТЬ (თრევა): ერთი ტბა რომ თავდება, მეორე ტბაში გადასასვლელად მიწის ამ მომცრო ნაკვეთზე ნავი უნდა გადაათრიო და განაგრძო ნავით ცურვა.

— რა ჰქვია ამ კლდოვან კონცხს? — ეკითხება აკადემიკოსი ფერსმანი მენავეს.

— რა უნდა ერქვას, უბრალოდ ნ ა ვ ო ლ ო კ ი ა და მეტი არაფერი! — მიუფო მენავემ.

— აი, მეორე ასეთივე კონცხი რომ ჩანს, იმას რას უწოდებთ?

— ისიც კ ვ ლ ა ვ ნ ა ვ ო ლ ო კ ი ა (это еще наволоок) — იყო პასუხი.

— აი, იმას იქით რომ ნავოლოკია, რა ჰქვია?

— კ ვ ლ ა ვ, კ ვ ლ ა ვ ნ ა ვ ო ლ ო კ ი ა... რას მეკითხებით, არა აქვს სახელი ამ ნავოლოკებს! — უპასუხა მენავემ.

სამეცნიერო ექსპედიციის ერთი წევრი გეოგრაფი გულდასმით ინიშნავდა ყოველივეს თავის უბის წიგნაკში.

გავიდა ორი წელი. გამოქვეყნდა პოლარული ტბის იმანდრისა და მისი უბეებისა და შენაკადების მშვენიერი რუკა. რუკის იმ ნაწილში, სადაც აღნიშნულია ამ ტბის დასავლეთი მხარის დასერილი ნაპირები, მოცემულია გეოგრაფიული სახელწოდებანი:

«Просто наволоок», მის გასწვრივ — «Еще наволоок», ცოტა იქით — «Еще — еще наволоок».

ფერსმანი განაგრძობს:

გეოქიმიკოსები რკინიგზის № 68 ასაქცევთან წააწყდნენ უმდიდრეს საბადოს. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ესაა ტიტანის მსოფლიო მნიშვნელობის საბადოები. უმაგალითო პერსპექტივები გადაიშლება: აქ აშენდება ქარხნები, ფაბრიკები, სამოსახლო პუნქტი. უხერხულიცაა მსოფლიო საბადო და... „რკინიგზის ასაქცევი № 68“. ეს რა სახელწოდებაა ამ მომავალში განთქმული ადგილისა! საჭიროა სახელის გადაარქმევა... მაგრამ რა დროს ნათლობაა, ისეთი სიტყვა დღეს, სუნთქვა ჭირს. და, საერთოდ, აქ ძალიან ცხელი ტემპერატურაა. მინერალოგებს სული ეხუთებათ... ეს რა პაპანაქებაა, აფრიკაა პირდაპირ! ეს ნამდვილი აფრიკანდაა!

რკინიგზის № 68 ასაქცევს დაერქვა აფრიკანდა...

ამის შემდეგ მთელი მსოფლიოს ენებზე, ყველა მინერალოგიურ წიგნში, ყველა მუზეუმში ცნობილია ახალი სახელწოდება: აფრიკანდა, კოლის ნახევარკუნძული, სსრკ.

რას გვეუბნება ეს მაგალითი?

პირველ ყოვლისა, აქედან ჩანს, რომ არ არის ადვილი სახელის დარქმევა, სახელწოდების შერჩევა, გამოგონება. ენაში, როგორც ზემოთ ითქვა, ნებისმიერად შექმნა სიტყვისა შეუძლებელია (გარდა რამდენიმე სიტყვისა, რომლებიც თითზე ჩამოსათვლელია და ყველასაც დაზეპირებული გვაქვს, ამან და ამან ესა და ეს სიტყვა ხელოვნურად შეთხზაო) და ფერსმანის ნაამბობი ერთხელ კიდევ გვიდასტურებს სახელდების სირთულესა და სიმწვავეს. რა ექნათ, რაღაც სახელი ხომ უნდა დაერქმიათ ისეთი ადგილებისათვის, რომელნიც მანამდის უსახელონი იყვნენ; ცხოვრებამ, პრაქტიკამ დაბადა ამის აუცილებლობა; ერთი კონცხი უნდა გაერჩიათ მეორისაგან, მესამისაგან, საბადოს ადგილმდებარეობაც უნდა მოენათლათ და მისთვის სახელწოდება მიენიჭებინათ, უამისობა არ იქნებოდა. რა ვუყოთ, რომ მთლად მოხდენილი სახელები ვერ შეარჩიეს: „ეშჩო ნავოლოკი“, „ეშჩო — ეშჩო ნავოლოკი“; „აფრიკანდა“ (ქართულადაც და სხვა ენებზედაც ამიერიდან ასე ითქმის), — ყოველ შემთხვევაში, ამეამად მიზანი მიღწეულია, სახელები მოექმნა მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ადგილებს. მართალია, ზემოხსენებული სახელწოდებანი შემთხვევითი სახელწოდებანი ჩანს, მაგრამ ამ „შემთხვევითობაში“ გარკვეული კანონზომიერებაა: ადამიანის მოღვაწეობის სფეროში შემოვიდა ახალი საგნები, ახალი მხარეები, ახალი ტერიტორიები, მაშასადამე, საჭიროა ისინი თავ-თავისი სახელებით გავარჩიოთ: სხვა საგნებისაგან, სხვა მხარეებისაგან, სხვა ტერიტორიებისაგან. პირობითია ეს ახალი სახელწოდებანი? მერე რა, დღესდღეობით ხომ აკმაყოფილებენ ისინი ჩვენს პრაქტიკულ მოთხოვნილებებს!...

ახლა ყურადღება მივაქციოთ სხვა გარემოებას.

ეშჩო ნავოლოკი ახალი სიტყვაა, ახალი სახელწოდებააო, ვამბობთ. პოლანდიელი ქიმიკოსის მიერ შემოღებული გაზიც ახალი სიტყვააო, ვთქვით. მაგრამ ეს უკანასკნელი („გაზი“) ხელოვნურ სიტყვად მოვნათლეთ, პირველი („ეშჩო ნავოლოკი“) კი არა. რატომ? იმიტომ რომ გაზი თავიდან ბოლომდის მოგონილი სიტყვაა, ხოლო ეშჩო ნავოლოკი შედგენილია ჩვენთვის კარგად ცნობილი სიტყვებისაგან, ენაში ამ ტერმინის შექმნამდის არსებული სიტყვებისაგან: ეშჩო, ნავოლოკი. მაშასადამე, ეს ახალი ტერმინი ენაში კარგად ცნობილი სიტყვების ახალი კომბინაციაა; თუ „ეშჩო“, ისე „ნავოლოკ“ რუსულ ენაში რეალურად არსებული სიტყვობრივი ერთეულებია და მათი შეერთება წარმოადგენს მხოლოდ ახალ სიტყვას („ეშჩო ნავოლოკი“ უკვე ცალკე არსებული ლექსიკური ერთეულებია), გაზი არ არის დაყრდნობილი ენაში არსებულ რომელიმე რეალურ მასალა-



ზე. ამიტომაც ეს სიტყვა ხელოვნური, ნებისმიერად შე-  
მუშავებული.

ენაში ცნობილი ლექსიკური ერთეულების საფუძველზე შექმნილი  
ახალი სიტყვები ბევრია.

ჩვენმა სოციალისტურმა სინამდვილემ წარმოშვა მრავალი ახალი  
სიტყვა ახალი ცნებების შესაბამისად. ასეთებია, მაგალითად, დამკვრე-  
ლი, კოლმეურნეობა, მერგოლური, დასაქონლება, აღმავლობა, სტახა-  
ნოველი, რადიოლოკაცია და სხვა. ნეოლოგიზმებია, აგრეთვე, წნევა,  
მედაუსწრებლე, კავშირგაბმულობა, შვებულება, საშვები და მისთა-  
ნანი.

დავუკვირდეთ ამ სიტყვების აღნაგობას.

დამკვრელი ნაწარმოებია სიტყვისაგან, „დაკვრა“, მერგოლური —  
სიტყვისაგან „რგოლი“, დასაქონლება — სიტყვისაგან „საქონელი“, შვე-  
ბულება — სიტყვისაგან „შვება“, „გაშვება“ და ა. შ. ჩვენ ვამბობთ,  
დამკვრელი — მერგოლური — დასაქონლება — შვებულება ახალი სი-  
ტყვებიან (დაახლოებით რამდენიმე ათეული წლის წინათ გამოშუშავე-  
ბულნი) და, ამავე დროს, დაკვრა — რგოლი — შვება (რაზედაც აგე-  
ბულია ისინი) ქართულ ენაში ძველი სიტყვებია. ახალია ამ ძველი სი-  
ტყვების წარმოება („რგოლი“, აქედან „მერგოლური“, შდრ. „თავი“ —  
მე-თა(ვ)-ური) და შინაარსი, რომელიც ჩადებულია მათში ცხოვრე-  
ბის მიერ შექმნილი ახალი ცნების გამოსახატავად. დამკვრელი  
რევოლუციამდე ესმოდათ სხვანაირად: ვთქვათ, ვინც უკრავს რომელი-  
მე მუსიკალურ ინსტრუმენტზე. ანდა, ვთქვათ, ვინც ფიზიკურ ძალა-  
დობას იჩენს სხვის მიმართ (ე. ი. „დამრტყმელი“. ეს ორი გაგება ამ  
სიტყვისა არც ახლაა წაშლილი), მაგრამ დამკვრელი, ამ სიტყვის სო-  
ციალისტურ შრომაში მოწინავე ადამიანის მნიშვნელობით, ჩვენი დრო-  
ის მონაპოვარია და ამიტომ ვამბობთ — „დამკვრელი“ ახალი სიტყვაა.

ამ პრინციპზეა აგებული დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ შემოღებუ-  
ლი ნეოლოგიზმები, რომლებიც დამკვიდრდნენ ენაში და ყველამ არც  
კი ვიცით, რომ ისინი ერთ ადამიანს მიეწერება, იმდენად საყოველ-  
თაოდ გავრცელდა ეს სიტყვები. ესენია: აგებულება, მიმართულება,  
შინაარსი და სხვა. ეს სიტყვები შექმნილია ქართული ენის კანონების  
გათვალისწინებით და ამით აიხსნება მათი დამკვიდრება ენაში. მარ-  
თლაც: შინაარსი შედგენილია ენაში უკვე არსებული ორი სიტყვის  
კომბინაციით: შინა-არსი; მიმართულება აგებულია ფუძეზე „მართ“ და  
ნაწარმოებია ისე, როგორც, მაგალითად, „მიღრეკილ-ება-ა“ და ა. შ.  
ილიამდის არსებობდა „შინა“ და „არსი“ სიტყვები, ისევე „მართ“,  
„გებ“ ფუძეები სიტყვისა, მაგრამ არ იყო შეერთება: შინაარსი, ანდა

ანალოგიური წარმოება — აგებულება და ა. შ. ამიტომაც ეს სიტყვები ახალი სიტყვები.

ამგვარადვე შემუშავებული ცნობილი სიტყვა უტოპია. იგი მიეწერება თომას მორს (მე-16 საუკ.), შექმნილია ამნაირად: აღებულია ბერძნული სიტყვის ძირი „ტოპოს“, რაც ნიშნავს ადგილს (ე. ი. არსებულ ადგილს) და მიმატებულია უარყოფითი ნაწილაკი „უ“ (უ-ტოპია). ეს იყო სახელწოდება კუნძულისა, რომელზედაც ვითომც განხორციელდა იდეალური საზოგადოებრივი წყობა. ამრიგად, „უტოპია“ ეტიმოლოგიურად ნიშნავს „არსად არსებულს“, ხოლო შემდეგ სიტყვა განზოგადდა და, საერთოდ, განუხორციელებელი ოცნების აღმნიშვნელად იქცა.

ასე „იზადებიან“ სიტყვები, ასე იქმნება ენაში ახალი სიტყვები, ასე ივსება ენის სიტყვობრივი მარაგი — ახალი ცნებების შესაბამისად — ლექსიკური ერთეულებით, ცხოვრების მოთხოვნილებებთან დაკავშირებით.

სიტყვის გარეგნული სახე, მისი ფორმა არ არის უცვლელი, დროთა ვითარებაში სიტყვას შეიძლება ჩამოსცილდეს მისი რომელიმე შემადგენელი ნაწილი, ანდა შეიძინოს რომელიმე ელემენტი.

დღევანდელ ქართულში გვაქვს სიტყვა ძმა, ამ ფორმით იყო ეს სიტყვა ძველ წერილობითს ძეგლებშიც. 1500 წლის წინათ დაწერილ ქართულ ძეგლებში რომ ჩაიხედოთ, იქაც დადასტურებულია ძმა.

მეცნიერულმა დაკვირვებამ გამოავლინა, რომ ამ სიტყვას გარეგნული სახე უცვლია, ძმა სიტყვა თავიდანვე ამ ფორმით არ უნდა ყოფილიყო; სიტყვა რომ ამ ფორმამდის (ძმა) დასულიყო, გარკვეული გზა უნდა გაეკლო განვითარებისა. ირკვევა: ძმა სიტყვის თავდაპირველი სახე იყო ძამან. ამრიგად, ისტორიულად ძამან-იდან მივიღეთ თანამედროვე ძმა.

იმისათვის, რომ მკითხველმა იცოდეს, როგორ მოხდა ეს, ე. ი. რა პროცესი გაიარა ამ სიტყვის ფუძემ, გავეცნოთ სათანადო დასაბუთებას, რაც მიღებულია ჩვენს ენათმეცნიერებაში.

თუ დავაკვირდებით ამ ფუძის სახეს ქართულის მოძმე ენებში — ჭანურში, მეგრულსა და სვანურში (ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანური „ქართველური ენებია“ და მათი ურთიერთშედარება აუცილებელია ჩვენი ენის ძველი ფორმების აღსადგენად), ვნახავთ, რომ ყველგან ერთი ფუძეა გაბატონებული, ოდნავ სახეშეცვლილია ჭანურში ჭუმა, მეგრულში — ჭიმა, სვანურში — ჭჷმლ. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ აქ ძ-ს მაგივრად გვაქვს ჭ (რაც კანონიერი შეფარდებაა. შეადარე: ძალი-ჯოლორი), ყველგან სიტყვის ძირის შიგნით ხმოვანია: უ ჭანურში, ი მეგრულში, ჯ — სვანურში. ქართულში ძ-სა და მ-ს შუა არაა ხმოვა-

ნი (ძმა). ამათგან უწინარესია უ (აქედანაა მიღებული **ო** და **ე**); ე. ი. თავდაპირველი ფორმაა **ჭუმ**. აი, ეს უნდა შევადაროთ ქართულს. მოძმე ენების ჩვენება გვავალებს ვიფიქროთ, რომ ქართულშიც უნდა ყოფილიყო შიგნით ხმოვანი .რომელი? ალბათ **ა**, რადგან მეცნიერებამ გამოარკვია, რომ მეგრულ-ჭანურის უ-ს ქართულში **ა** შეესატყვისება მას, **ძამა** უნდა ყოფილიყო ქართულში. განა ვერ მოვძებნით ქართულშივე ამგვარ ფუძეს? დავასახელოთ ცოცხალ მეტყველებაში გავრცელებული სიტყვები: **ძამ-ი-ა**, **ძამ-ი-კო**, **ძამ-ო**. გაეისხნოთ ილია ჭავჭავაძის: „რატომ ვერ, ძამო!“ „მეც მისებრ, ძამო, მიღრინავს გული!“ „ხოშ გელდი, ძამო, არ გამიწყურები“... „ძამო, გამჩენის შენი ჭირიმე...“ დასახელებული მაგალითებიდან გამოიყოფა სიტყვის ძირი **ძამ** („**ძამ-ო**“-ში **ო** წოდებითი ბრუნვის ნიშანია, „**ძამ-ი-ა**“-ში „**ი-ა**“ კნინობითის სუფიქსია, დარჩა ძირი **ძამ**).

რალა ვუყოთ ბოლოკიდურ **ა-ს** (ძმ-ა)?

ეს **ა** ბოლოში ამჟამად ძირისეული ხმოვანია: **ძმა**-ში ხომ **ა-ს** არ გამოვყოფთ, იგი ძირის კუთვნილებად მიგვაჩნია; **ძმა** ძირი (ან: ფუძე) **ა-ზე** ბოლოვდებაო, ვამბობთ, ჩვეულებრივ.

ირკვევა, ეს ბოლო **ა** არ იყო სიტყვის განვითარების ძველ საფეხურზე ძირისეული, იგი მერე გახდა ძირის ელემენტი. იგი ნაწილია ფორმანტისა, სიტყვის ფორმალური ელემენტისა, სუფიქსისა. ამ ფორმანტის თავდაპირველი სახეა **ან**. ე. ი. მთლიანად ასე წარმოგვიდგება სიტყვა: **ძამ-ან**.

საიდან ვიცით, რომ **ან** უნდა ყოფილიყო სიტყვის ბოლოში?

ისევ მეგრულ-ჭანურ-სვანურს უნდა მივმართოთ.

მეგრულ-ჭანურში **ჭუმა-ჩიმა** მრავლობითში იქნება ამ სახით: **ჭუმ-ალ-ეფ**, **ჩიმ-ალ-ეფ-ეფ** იგივე მაჩვენებელია მრავლობითისა, როგორც ქართული **ებ** (კაცი კაც-ებ-ი). რატომ **ჩიმ-ალ-ეფ-ი** არა **ჩიმ-ა-ეფ**? **ლ** საიდან გაჩნდა? იგი მრავლობითში **ა ლ დ გ ე ნ ი ლ ი** თანხმოვანია, რომელიც მხოლობითში უნდა ჰქონოდა ოდესღაც მეგრულს, ე. ი. **აღ-ღა** მეგრულის ძველი ფორმა: **ჩიმალ** (დღეს კი ამბობენ: **ჩიმა**).

ქართულშიაც უნდა გვქონოდა ასეთი ამბავი (მაშ, რა მოძმე ენებია ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანური, რომ ერთმანეთზე დაყრდნობით არ აეხსნათ ანალოგიური მოვლენები?!).

იმერეთსა და გურიაში ამბობენ: **ძმა-ნ-ებ-ი**. აი, ეს **ნ** ფონეტიკურად მეგრულ-ჭანური **ლ-ს** ბადალია (**ჩიმაღეფი** — **ძმანები**), ე. ი. **ნ-ც** აღდგენილია მრავლობით რიცხვში — მხოლობითში უნდა ყოფილიყო, **ძმან**.

ზემოთ რომ **ძ-სა** და **მ-ს** შორის **ა** ხმოვანი აღვადგინეთ? მაშ, სა-

ბოლო სახით ასე წარმოგვიდგება საანალიზო სიტყვის უძველესი ფუძე: ძამან. ან აქ სიტყვის ძველი საწარმოებელი აფიქსია.

იბადება კითხვა: ძამან-იდან ძმა როგორ მივიღეთ? ნ, როგორც ბოლოკიდური, დაიკარგა. ბოლო ა-მ ამოაგდო წინა ა (ეს რედუქციის კანონია). მოვიშველიოთ ასეთი ანალოგია: საგან სიტყვა ვითარებით ბრუნვაში უნდა ყოფილიყო: საგანად, მაგრამ ბოლო (სუფიქსის ა-მ ამოაგდო წინა ა და მივიღეთ: საგნ-ად. ასეთი შემთხვევები ხომ ქართულ ენაში ბევრია (მამალი — მამლად, ქათამი — ქათმად...).

ჩვენ გავეცანით სიტყვის — ძმა ფუძის განვითარებას, დავადგინეთ ამ სიტყვის ისტორია.

ჩვენ იმის ამოცნობაც შეგვიძლია, თუ რატომ დაერქვა საგანს ან მოვლენას ესა თუ ის სახელი. ესაა სიტყვის ეტიმოლოგია.

თანამედროვე ქართულში გვაქვს სიტყვა ჭიშკარი. ეტიმოლოგიურად იგი ასეა შედგენილი: ბჰის კარი. ძველ ქართულში გავრცელებული იყო ასეთი თქმა: „ბჰენი ჯოჯოხეთისანი“, ე. ი. ჯოჯოხეთის კარები. ბჰე ნიშნავს დიდ კარს, რომელსაც შემდეგ ალაყაფის კარი ეწოდებოდა. ერთ ძველ (XI საუკ.) ძეგლში ნათქვამია: „შევექმენ ჭიშკარი ბოსელ-ქორედიანიო“. ბოსელი ქვედა სართულში უნდა ყოფილიყო, ქორედი კი მეორე სართულში. აქედან ჩანს, რომ ჭიშკარი რთული ნაგებობა ყოფილა. XVII და XVIII საუკუნეებში, ეტყობა, ჭიშკარზე მთელი სასახლეც ყოფილა წამოჭიმული. ბჰისკარი გალავნიან თუ ეზოშემოღობილ სახლს ჰქონდა, რისი ანარეკლიცაა იმერეთში დაცული ჭიშკარი. XVIII საუკუნის ერთი წყაროდან ჩანს, რომ ეზოში შესვალ კარებს აღმოსავლეთ საქართველოში ალაყაფის კარები ერქვა.

სიტყვა ქარიშხალი წარმოშობით ორი სიტყვაა: ქარ-იშხარი. პირველი ნაწილი სიტყვისა — ქარ ვასაგებია, მაგრამ რაღაა იშხარი? ეს იგივე სიტყვაა, რაც ისხარი, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „ჩქარი წვიმა, ადრე მომდარებელი“.

წისქვილი, აგრეთვე, ორი სიტყვის ნაერთია: წყლის ფქვილი. ფქვილი ძველად ერქვა ხელით საფქველ ქვას (жернов).

ნახშირი აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ასე გამოითქმის: ნაშხირი. ირკვევა, რომ სწორედ ეს ფორმაა ამოსავალი: ნაშხირი პირველადია, ნახშირი — მეორეული, ე. ი. სიტყვაში ბგერის გადასმა მომხდარა. ამას ზურგს უმაგრებს მეგრული, სადაც გვაქვს ნოშქერი. სვანურში კი შიხ ნიშნავს წვას. მაშ, ძირი ამ სიტყვისა მონახულია: შიხ ძირზეა აგებული ქართული ნახშირი ასე: „ნა-შიხ-ირ-ი“, ე. ი. ნამწვავი, დამწვარი. ნაშხირ-ში ი ამოვარდნილია ცნობილი რედუქციის კანონით და მივიღეთ დღევანდელი დიალექტური ნაშხირი, ლიტერატურული — ნახშირი.

ჩვენთვის ცნობილია სიტყვა **სასახლე**. ეს სიტყვა, ძეგლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უმთავრესად XV საუკუნიდანაა გავრცელებული ქართულში. მანამდე ჩვენი ხმარობდნენ სხვა, უცხოური წარმოშობის, სიტყვებს: ტაძარი (სპარსულია). პალატი (ბერძნულ-ლათინურია), დარბაზი (სპარსულიდანაა). როგორც ირკვევა, სასახლე მარტო მეფეებს კი არ ჰქონიათ, არამედ აზნაურებსაც და გლეხებსაც.

ეტყობა, ამ შემთხვევაში სასახლეს რაღაც განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ამ ნაგებობის ხასიათი მთლად ნათელი არ არის ჩვენთვის. ის კი ცხადია, რომ გლეხის სასახლე სამეფო დარბაზის მსგავსი არ იქნებოდა.

საიდან წარმოდგება სიტყვა **სასახლე**? უნდა დაიშალოს ასე: **სა-სა-ხლ-ე**. **სა** იგივეა, რაც სპარსული **სრა** (რ ამოგდებულია). აქი ცალკე გვხვდება **სრა**. მაგალითად: „სრა ედგა მოფარდაგებული“ („ვეფხისტყაოსანი“), „როსტევანს ჰკადრე, მიედ სრასა“ (იქვე), „ბატონის სახლი სრად მისცეს“ (ვაჟა). უფრო გვხვდება შეხამებით **სახლ-სიტყვასთან: სრა-სახლი**. მაგალითად: „ამ ხმაზე დიდი სრა-სახლი ლიბო-ჰქერითურთ იძვროდა“ (ვაჟა); „მიჰმართეს მეფის სრა-სახლსა ვაით და ერთის ყოფითა“ (ვაჟა).

რაკი **სრა-სახლ-ში** რ დაიკარგა და მივიღეთ **სა-სახლი**, წაიშალა იმის გაგება, რომ აქ **სრა** სიტყვა იყო და **სა** გააზრებული იქნა, როგორც სა თავსართი (როგორც, მაგალითად, სა-მელნე, სა-თავე...), **სა** თავსართი კი სიტყვის ბოლოში ე ბოლოსართს მოითხოვს ჩვენი ენის კანონის მიხედვით: **სა-მელნ-ე, სა-თავე-ე**, ამიტომ აქაც გადაკეთდა: **სა-სახლ-ე**.

სხვათა შორის, **სრა** გვაქვს სიტყვაში **ქარვასლა**: უნდა ყოფილიყო **ქარვასრა**. შეადარე: **ქარავან-სარა**. რ გადაკეთდა **ლ-დ**.

სიტყვა **ფანჯარა** დღეს საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ იგი XVIII საუკუნემდის არ გვხვდება. წინათ იხმარებოდა ჯერ **საკუმელი**, მერე **სარკმელი**. ეს სიტყვა წარმომდგარია **საკუმვეი-საგან**. **კუმვეა** თავდაპირველად ერქვა ხვრელს, რომელიც შენობის ნაგებობაში კერის ზემოთ არსებობდა და აქედან აღიოდა კვამლი, ბოლი. **კუმვეა** ნიშნავს ბოლის ამოსვლას. **საკუმვეი** დაახლოებით იგივე იყო, რასაც **საკომურს** ვუწოდებთ. ამრიგად, **საკუმელ-სარკმელი** სინათლის შემოსასვლელი კი არ იყო, არამედ კვამლის, ბოლის ასასვლელ ხვრელს წარმოადგენდა. რაკი სინათლეს აქედანვე ჩამოდიოდა შენობაში, ამიტომ მას ეს ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული (კედლებში მაშინ ასეთი ხვრელი არ იყო). როგორც ცნობილია, საუკუნეთა მანძილზე კაცობრიობა უფანჯროდ ცხოვრობდა. დროთა ვითარებაში სარკმელი კედლებში გააკეთეს, ე. ი. გაჩნდა გვერდითი სარკმელი. საკომლე კი დარჩა თავის ადგილას, იქე-

დან კვამლი ადიოდა კვლავინდებურად. გვერდითა სარკმელს კი ის მნიშვნელობა მიენიჭა, რაც ამჟამად ჩვენთვის ცნობილია.

საინტერესოა შემდეგი გარემოება: გიორგი მერჩულეს თხზულებიდან ვიცით, რომ IX საუკუნეში ბერ-მონაზვნების სენაკებში სარკუმელი იყო, მაგრამ შენობაში ცეცხლს არ ანთებდნენ (ბერმა სიცივე უნდა აიტანოს!). მაშ, სარკმელს მხოლოდ სინათლის შემოსვლის დაწინაურება ჰქონდა. ისიც ცხადია, რომ მაშინ სარკმელს გამოსაღები ფანჯარა არ ჰქონდა, ჰქონდა მხოლოდ ბადის მსგავსი ან დასაცველი კარისებური დარაბა; დარაბას რომ გამოაღებდნენ, მას სხვა რამ არაფერი იცავდა.

რაც შეეხება ფანჯარას, რომელიც ამჟამად სარკმელ-ის მაგივრად იხმარება, წინათ მას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ფანჯარა ერქვა საგანგებო დასაცავ მოაჯირს, რომელიც გაკეთებული ჰქონდა ნაგებობაში სარკმელს, ან სხვა ადგილს, საიდანაც გადავარდნა შეიძლებოდა. ეს დარაბა ზის ან ლითონისა იყო. მერე მიენიჭა ფანჯარა-სიტყვას ის მნიშვნელობა, რომელიც ამჟამად ჩვენთვის ცნობილია.

დღეს სიტყვა სარკმელი უპირატესად შემონახულია ხევსურულში, მოხეურში, ფშაურში, თუშურში, გარე-კახურში, ქიზიყურსა და რაჭულში, როგორც არქაიზმი.

ძველად ბადის მნიშვნელობით იხმარებოდა **სამოთხე**. იგი, საერთოდ, სასიამოვნო ადგილს ნიშნავდა. მცხეთაში ქართლის მეფეს ბაღი, ანუ სამოთხე ჰქონია. წმინდა ნინოს თავის თავგადასავალში ნათქვამი აქვს: „მივმართე სამოთხესა მას მეფისასაო“.

ეს სიტყვა აგებულია სიტყვაზე — **მოთხვა**, რაც ძველ ქართულში ნიშნავს სეირნობას, დროს გატარებას; **სამოთხე** სასეირნო და დროს გასატარებელი ადგილია.

დღეს ჩვენთვის ცნობილია სიტყვა **მხცოვანი**. იგი წარმომდგარია ხცე სიტყვისაგან (ძველად ამბობდნენ: **ხცე**), რომელიც ნიშნავდა ჭალარა თმას. აქედან: **მხცოვანი** — ჭალარით მოსილი. შემდეგ წინ მ დაემატა (მხცოვანი).

სიტყვა **თაყვანისცემა** სამი სიტყვის ნაზავია: თავი, ყანა, ცემა. ძველად მიწას ყანა ეწოდებოდა (შეადარე: **ქუე-ყანა**). აქედან: **თავ-ყანის-ცემა**. ბგერის გადასმით მივიღეთ **თაყვანისცემა**.

სიტყვა **კრიალოხანი** მომდინარეობს ბერძნული „კირიე ელეისონ“-ისაგან (ე. ი. „უფალო შეგვიწყალო“).

რა კავშირი აქვს **კრიალოხანს** „უფალო შეგვიწყალო“-სთან?

ძველად ეკლესიაში „უფალო შეგვიწყალო“ (ანდა: „უფალო შემეწყალებ“) ზოგჯერ რამდენჯერმე უნდა ვთქვათ გუნებაში ზედიზედ: 12-

ჯერ, 40-ჯერ; იდგა ადამიანი ეკლესიაში და გულში უნდა გაემეორებინა ეს სიტყვები, ვთქვათ, 40-ჯერ. ასე თელა კი ძნელი იყო. რომ არ შეშლოდათ, ხელში საჭირო რაოდენობით ასხმული მძივები ეჭირათ და რამდენსაც იტყოდნენ „უფალო შეგვიწყალე“-ს, იმდენ მძივს ჩააგდებდნენ, — როცა გათავდებოდა, მექანიკურად გაიგებდნენ, რომ ლოცვის თქმა სათანადო რაოდენობით დასრულებულია. ამ სიტყვებს კი („უფალო შეგვიწყალე“-ს) ჩვენში უფრო ხშირად ბერძნულად ამბობდნენ („კირიე ელეისონ“, „კირიე ელეისონ“ და ა. შ.). გავიხსენოთ, რა სწორია გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კვრიელესონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: უფალო, შეგვიწყალება“.

კირიე ელეისონი შემდეგ ქართულ ენაში გადაკეთდა კრიალოსან-ად და იგი დაერქვა ასხმულ მძივებს, რომელსაც ჩვენს დროში აქა-იქ ზოგიერთი მოხუცებული ადამიანი თუ ატარებს. კრიალოსანიო, დღეს რომ ვიტყვით, ცხადია, კირიე ელეისონის (უფალო, შეგვიწყალე) მოგონებაც კი არ არის...



ზემოთ ჩვენი საუბარი უმთავრესად შეეხებოდა სიტყვის გარეგნულ ცვლილებებს, სიტყვის ბგერითი გარსის სახეცვლილებას, სიტყვის ბგერითი მხარის ისტორიას.

ახლა ყურადღება მივაქციოთ სიტყვის შინაარსობრივ განვითარებას, იმ კანონებს, რომელთა მიხედვითაც ლექსიკური ერთეული მასში ჩაქსოვილი მნიშვნელობის თვალსაზრისით იცვლის სახეს.

ზოგჯერ სიტყვას შინაარსობრივი ცვლის შედეგად სრულიად საპირისპირო მნიშვნელობა უვითარდება. მაგალითად, მედგარი ძველად ნიშნავდა ზარმაცს, „მცონარეს და მოუძღურებულს“ (საბა), დღეს კი ნიშნავს გამძღეს, მტკიცეს, შეუპოვარს.

არაიშვიათია, როდესაც სიტყვა, ნაწარმოები მეორისაგან, წყვეტს მასთან აზრობრივ კავშირს. მოლაპარაკის წარმოდგენაში ძნელი ხდება, მოცემული სიტყვა შინაარსობრივად დაუკავშიროს იმ სიტყვას, საიდანაც ის წარმომდგარა. მაგალითად, ძველ ქართულში დაღონებული ნიშნავდა მოღუშულს, დახრილს, დღევანდელი მნიშვნელობა კი ცნობილია; ეს დაკავშირება თანამედროვე ადამიანის ცნობიერებაში წაშლილია. ასევე, მოღვაწე დაფუძნებულია ღუწა-ზე, რომელიც ძველად ნიშნავდა ცდას, ზრუნვას, წუხილს, მოვლას.

თუ დაუვეკირდებით სიტყვის შინაარსობრივ ცვლას ისტორიულად, დავრწმუნდებით, რომ ეს შინაარსობრივი ცვლა ძირითადად ორი მიზეზით აიხსნება: ან დაუვიწროვდა სიტყვას მნიშვნელობა, — ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და უფრო ვიწრო მნიშვნელობა მიიღო, ანდა პირიქით, გაუფართოვდა მნიშვნელობა, — ვიწრო მნიშვნელობა ჰქონდა და უფრო ფართო მნიშვნელობა მიიღო.

ავიღოთ ჩვენთვის ცნობილი სიტყვა **კუბო**, რომელიც დღეს მიცვალებულის ჩასასვენებელი ყუთის აღმნიშვნელია. ძველად **კუბო**, საბა ორბელიანის სიტყვით, იყო „ქალთა და კაცთა ჩასაჯდომელი, აქლემთა ასაკიდებელი, გინა ჭვლით სატარებელი“.

გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანი“.

აქ **კუბოს** მნიშვნელობა ასეთია: გადმოხურული (თალიანი). კარავი. ოთხ სვეტზე დაყრდნობილი (უძრავი ან მოძრავი); თუ მოძრავია, იგია ტახტრევანი, რომლითაც საპატიო პირები დაჰყავდათ მოგზაურობის დროს. აი ერთი ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან“:

„ამიგდო ქალმან ფარდავი მძიმე თავისი ძალითა,  
სადა დგა კუბო შემკული ზაღანითა და ლალითა;  
შიგან ჯდა იგი პირითა მზისაებრ ეღვა-მკრთალითა,  
მე შემომხედის ლამაზად მის მელნის ტბისა თვალითა“.

ჩანს, **კუბო** სიტყვას თანამედროვე ქართულში მნიშვნელობა დავიწროვებია: თუ იგი საერთოდ ჩასაჯდომელი რამ იყო, ამჟამად მხოლოდ მიცვალებულთა ჩასასვენებელია.

სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების მშვენიერ ნიმუშებს გვაწვდიან საკუთარი სახელები, რომლებიც საზოგადო სახელებად ქცეულან. მაგალითად, **დონჟუანი** დღეს ეწოდება ქალების მაცთუნებელ, აღვირახსნილსა და უარყოფითი ქცევის მატარებელ ადამიანს. ამჟამად ეს საზოგადო სახელია. **დონჟუანი** კი წარმოშობით საკუთარი სახელია: დონჟუანი გმირია ცნობილი ესპანური ლეგენდისა, რომელიც არაერთხელაა წარმოდგენილი ევროპელი ხალხების მხატვრულ ლიტერატურაში. თუ დონჟუანი ერთ ადამიანს ერქვა, ახლა ეს სიტყვა განზოგადდა.

**მეცენატი** ჩვენს სიტყვახმარებაში, საერთოდ, ხელოვნების მდიდარ მფარველს ეწოდებოდა. ესეც ყოფილი საკუთარი სახელია. მეცენატი იყო რომაელი პოეტების — ვირგილიუსისა და ჰორაციუსის მფარველი.

**კვისლინგი** იყო ნორვეგიელი მინისტრი — კოლაბორაციონისტი გერმანელი ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ნორვეგიაში. დღეს კვისლინგი, საერთოდ; პოლიტიკური მოღალატის სახელად ქცეულა.

გვარებიდანვეა წარმომდგარი **ბოიკოტი**, **ჭულიგანი**.

**ბოი** კოტი იყო ინგლისელი კაპიტანი, რომელსაც პირველად „ბოი-



კოტი გამოუცხადეს“. ჰულიგანიც გვარია, რომლის წარმომადგენლები ინგლისში (XIII საუკუნეში) ბოროტმოქმედებათა ჩადენით იყვნენ ცნობილნი... დღეს კი, როგორც ვიცით, არც ბოიკოტი და არც ჰულიგანი რომელიმე გვართან არ არის დაკავშირებული, ისინი საზოგადო სახელებად ქცეულან: პირველი მათგანი აღნიშნავს საზოგადოებრივი ზემოქმედების გარკვეულ საშუალებას, მეორეს კი საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დამრღვევ ადამიანს უწოდებენ.

ხელმძღვანელს, მასწავლებელს, ჩვეულებრივ, ხუმრობით ვუწოდებთ მენტორს. მენტორი კი ჰომეროსის უკვდავი ნაწარმოების „ოდისეას“ გმირია, — იგი იყო მეფე ოდისევსის შვილის — ტელემახის აღმზრდელი და მასწავლებელი.

კვაჭი ჩვენი გამოჩენილი ბელეტრისტის მიხეილ ჯავახიშვილის რომანის მთავარი გმირის სახელია („კვაჭი კვაჭანტირაძე“). ამჟამად სიტყვა კვაჭი განზოგადებული მნიშვნელობით იხმარება და ეწოდება ისეთ მოხერხებულ ადამიანს, რომელიც საქმეებს აგვარებს მიხვეულ-შოხვეული გზით, ეშმაკობითა და გაძრომ-გამოძრომით.

ასე ფართოვდება და ზოგადდება ზოგიერთი საკუთარი სახელი ენაში.

გაღვიწივით სიტყვის მნიშვნელობის დავიწროება-გაფართოების სხვა მაგალითებს.

სიტყვა ქვეყანა, რომელიც დღევანდელ სიტყვახმარებაში მთელი საქყაროს, მსოფლიოს აღმნიშვნელია, ძველ ქართულში თავისი დავიწროებული მნიშვნელობით იხმარებოდა: მიწას, დედამიწას ნიშნავდა. იწლება ასე: ქვე-ყანა, ე. ი. „ქვე მიწა“ („ყანა“ მიწას ერქვა).

ასე, მაგალითად, სახარების ძველ ქართულ თარგმანში სწერია, რომ თესლი „დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსაო“, ე. ი. თესლი კარგ მიწაზე, კარგ ნიადაგზე დავარდაო. იქვე ნათქვამია: „ჰნერწყუა ქუეყანასა და შექმნა თიჯა ნერწყუსაგანაო“, ე. ი. დედამიწას დააფურთხაო. X საუკუნის მწერალი გ. მერჩულე თავის თხზულებაში (გრ. ხანძთელის ცხოვრება) ამბობს, რომ ხანძთელი პირველ ძეუღბანოეთაგან სწავლობდა „ქუეყანასა ზედა წოლასაო“, ე. ი. მიწაზე წოლას შეეჩვიაო. ამის გვერდით ძველსავე ქართულში შეიმჩნევა ჩანასახი სიტყვის განზოგადებული მნიშვნელობით ხმარებისა. შუშანიკის მარტვილობაში ნათქვამია: ვარსქენ ქართლისა პიტიანში „მოიწია... საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას პერეთისასაო“. ევსტათე მცხეთელის ჩვენებაშიც ნათქვამია: „მე ვიყავ ქუეყანისა სპარსეთისაგანაო“.

დაახლოებით XI საუკუნიდან მოყოლებული ქვეყანა მხოლოდ იმ მნიშვნელობით იხმარება. როგორც ამჟამად.

სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა სიტყვას სოფელი, რომელიც დღეს დაბის მნიშვნელობით იხმარება.

სოფელი ძველ ქართულ მწერლობაში იმას ნიშნავდა, რასაც ახლა ქვეყანას ვუწოდებთ. იმავე შუშანიკის მარტვილობაში ვკითხულობთ: შუშანიკის სანახავად „აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდესო“ (ე .ი. ქართლის ქვეყნის აზნაურნიო...). VI საუკუნის ერთ ძეგლში სწერია: „მე სოფლისა სპარსეთისა ვიყავიო“.

უკვე IX—X საუკუნიდან მოყოლებული სიტყვა სოფელი კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას და დავიწროებულად იხმარება: დაბის აღმნიშვნელია.

რა გამოირკვა? სოფელი ძველად ქვეყანას ნიშნავდა (ქვეყანას — დღევანდელი გაგებით), ხოლო ქვეყანა — მიწას, დედამიწას. პირველს მნიშვნელობა დავიწროებია, მეორეს — გაფართოებია.

ხომ არა გვაქვს დღევანდელ ენაში შემონახული სოფელი ძველი მნიშვნელობით?

გავიხსენოთ: წუთისოფელი, სოფლის ამოება, „ვაჰ, სოფელო, რა-შიგან ხარ“... და სხვა. ენაში სიტყვის ძველი გაგება ასე ადვილად არ აღმოიფხვრება, აქა-იქ ჩვენს მეტყველებაში მაინც წამოყოფს თავს საუკუნეთა სიღრმეში ჩაქარგული და ჩანთქმული სიტყვობრივი განძი...

თუ სოფელი ძველ ქართულში ქვეყნის მნიშვნელობით იხმარებოდა, რა ერქვა მაშინ დასახლებულ პუნქტს, რომელსაც ამჟამად სოფელს ვუწოდებთ? საამისოდ გამოყენებული იყო ტერმინი დაბა, ე. ი. დაბა ერქვა იმას, რასაც დღეს სოფელს ვეძახით.

საიდან უნდა იყოს წარმომდგარი სიტყვა დაბა? განა იგი ყოველთვის სოფელს ერქვა? არა, უფრო ადრე დაბა დამუშავებული მიწისა და ნახნავის სახელი იყო. ეს უძველესი გაგება დაცულია დღევანდელ სვანურ სიტყვაში — დაბ, რომელიც ხნულს ნიშნავს. ამრიგად, სვანურ მეტყველებას შემოუნახავს ის უძველესი ვითარება, როდესაც ნახნავს დაბა ერქვა, შემდეგ რომ სოფლის სახელად ქცეულა.

შუშანიკის მარტვილობაში, მაგალითად, ნათქვამია, რომ „მოვიდა მონა იგი დაბასა, რომელსაც სახელი ჰქვან ცურტავ“. ევსტატე მცხეთელის მარტვილობაში გვხვდება ამ სიტყვისაგან ნაწარმოები ფორმა: მდაბიური: „ჩ უ ე ნ ი მ და ბ ი უ რ ი არსო“, ე. ი. ჩვენი სოფელი არისო. მაშ, მდაბიური სოფელს ნიშნავდა. აქედანაა დღევანდელი მდაბიური, რომელსაც გადატანითი მნიშვნელობა მიუღია მნიშვნელობის გაფართოების გზით.

მეხუთე საუკუნის ძეგლებიდან ჩანს, რომ ნაგებობის გარკვეული სახეობის აღსანიშნავად ტაძარი (ან ტაჯარი) იხმარებოდა. იმ დროს ტაჯარი ეწოდებოდა წარჩინებული მოხელის სახლს. ტერმინი, საერ-

თოდ, შენობის, სასახლის გამომხატველი იყო. ტაძარი მაშინ სხვა იყო და სხვა — ეკლესია. ეს დაპირისპირება კარგად ჩანს შუშანიკის ძეგლიდან: „შუშანიკ თრევით მოითრია... ეკლესიით ვიდრე ტაძარადღო“, ე. ი. სასახლეძედო.

მომდევნო საუკუნეებშიც ტაძარი ამავე მნიშვნელობით იხმარება, როგორც ეს დასტურდება VIII—IX—X საუკუნეების ძეგლებით. ასე; მაგალითად, გრ. ხანძთელის ცხოვრებაში გვხვდება „კურაპალატის ტაძარი“, „აზნაურის ტაძარი“.

თანდათანობით ეს ტერმინი (ტაძარი) საეკლესიო ნაგებობის აღმნიშვნელად იქცა და იგი გვერდში ამოუდგა ტერმინს — ეკლესია, რომელიც ბერძნული სიტყვაა და სამლოცველოს შენობას ეწოდებოდა.

რაკი ტაძარი ჯერ სასახლის აღმნიშვნელი ტერმინი იყო და შემდეგ სამლოცველოს ნაგებობას დაერქვა. საკითხავია: ამ პერიოდში სასახლეს რასლა უწოდებდნენ? პირველი ტერმინთაგანი არის პალატი, რომელმაც ტაძარ-ტერმინის ადგილი დაიკავა. „მეფე... წარვიდა პალატადო“, ნათქვამია, მაგალითად, წმინდა ნინოს ცხოვრებაში. ძეგლში გვხვდება ასეთი ადგილიც: ჯიქურმა „ალაშენა ისანს პალატიო“; ე. ი. ისანში (დღევანდელ ავლაბარში) სასახლე ააგო. ამრიგად, უკვე XI—XII საუკუნეებში სასახლეს პალატი ჰქვია.

შემდეგ ჩნდება ამავე ცნების გამოსახატავად მეორე ტერმინი დარბაზი. ეტყობა, იგი თავს იჩენს ქართულ ენაში X საუკუნიდან მოყოლებული. ეს სიტყვა სპარსულია წარმოშობით. სპარსულში კი დარბაზს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა: დერვაზ (საიდანაც მოდის ქართული დარბაზი) სპარსულში კარის აღმნიშვნელია, მისი ქართული შესატყვისია „სამეფო კარი“.

რატომ მიიღო ქართულში დარბაზმა (დერვაზმა) სასახლის მნიშვნელობა? რაკი სპარსულად დარბაზი კარი იყო, სამეფო კარს დაერქვა სამეფო „დარბაზი“, რომელმაც სასახლის მნიშვნელობა მიიღო. იგი გაქართულდა, რაკილა აღარავის ახსოვდა ამ სიტყვის სპარსულობა.

ღვთისმსახურების ტაძრებს ძველ საქართველოში ეკლესიის გარდა საყდარიც ეწოდებოდა.

დღევანდელ სიტყვახმარებაში ეკლესია და საყდარი სინონიმებია, მაგრამ წინათ მათ შორის განსხვავება იყო: ეკლესია საღვთისმსახურო ტაძრის ზოგადი სახელი იყო, საყდარი კი ეწოდებოდა ისეთ ეკლესიას, რომელიც ეპისკოპოსის ან ქორეპისკოპოსის საჯდომად ითვლებოდა: სულ პირველად საყდარი საჯდომს, ანუ ტახტს ეწოდებოდა. ამიტომ ასეთ ეკლესიას საეპისკოპოსო საყდარი ერქვა. შემატინან ამბობს: ლეონ მეფემ „ალაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“. უკვე

XIV საუკუნიდან ამ ორ ტერმინს შორის ისპობა განსხვავება და ისინი სინონიმებად გვევლინებიან, რაც დღევანდლამდის შემორჩა ენას. რატომ მოხდა ეს? ამ დროიდან საყდრის გაგება, როგორც ტახტისა, სპარსულიდან შემოსულმა სიტყვამ შეცვალა. ეს სიტყვაა ტახტი, — საყდარი კი ზოგად ტერმინად იქცა და მას ეკლესიის სინონიმობა დაეკისრა. ასე გაიფართოვა საყდარმა თავისი მნიშვნელობა...

სიტყვის მნიშვნელობის ცვლის კარგი ნიმუშია, აგრეთვე, გალია.

ეს სიტყვა დღეს ნიშნავს ცხოველისა თუ ფრინველის დასამწყვდევად აღდილს, მავთულის ან რკინის ბადით შემოზღუდულს. ძველად მას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა.

ძველ საქართველოში სხვადასხვა დანიშნულების სახლს სხვადასხვა სახელი ერქვა. იყო, მაგალითად, „სახლი სადედოფლო“, რომელსაც გალიაკი ეწოდებოდა. პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლში, შუშანიკის მარტილობაში, სწერია: შუშანიკი, „რაჟამს შევიდა იგი ტაძარსა მას, არა დაჯდა იგი თვისსა მას გალიაკსა, არამედ სენაკსა შინა მცირესაო“, ე. ი. კი არ დაჯდა თავის გალიაკს, ოთახში, რომელშიც ის იმყოფებოდა ჩვეულებრივ, არამედ პატარა ოთახში (სენაკი ოთახს ერქვა). სულხან-საბა ორბელიანი თავის ცნობილ „ქართულ ლექსიკონში“ ასე განმარტავს სიტყვას: „გალია კაცთა საჯდომი“. V საუკუნეში გალიაკი ქალებისათვის განკუთვნილი საჯდომი აღდილის სახელი ყოფილა.

აქ საინტერესოა ერთი გარემოება: გალიაკი (გაღეაკრი) თავის საშობლო ენაში (ბერძნულია წარმოშობით) იმას ნიშნავს, რასაც თანამედროვე გალია (პირუტყვის თუ ფრინველთა დასამწყვდევვი). საიდან მიიღო მან ძველ ქართულში ოთახის მნიშვნელობა? შეიძლება ვიფიქროთ, რომ დასასჯელი ადამიანის ოთახი იყო ის... მაგრამ შუშანიკი თავის თავს ხომ არ დასჯიდა, საკუთარ ოთახში რომ იჯდა! იე. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით ამბობს: მაზდეანები და შუშანიკის მეუღლე ვარსკენი რომ მოვიდნენ სტუმრად (ნაწარმოების მიხედვით), ვარსკენს უნდოდა, რომ შუშანიკი გამოსულიყო და ნადიმი გაემართა მათთვის. ამ დროს შუშანიკი ისედაც გულმოსული იყო თავის ქმარზე, არ სურდა მასთან ერთად ყოფნა და წამოიძახა: სად გაგონილა, რომ ქალი და კაცი ერთად იყვნენ! გალიაკის სახელი ცხადყოფს, რომ ქალს ჰქონდა თავისი სადგომი, სადაც სხვას, გარეშე პირს, შესვლა არ შეეძლო, ე. ი. ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მაჰმადიანობის გავრცელების შემდეგ ე. წ. არამხანას მიენიჭა; ქალებისათვის ცალკე შენობა იყო, მამაკაცებისათვის — ცალკე, — უცხო კაცს იქ არავგზით შესვლა არ შეეძლო. ქართულ ძეგლებში ასეთი ტერმინი როსტომის ხანამდე არ მოგვეპოვება. როსტომმა, როგორც ცნობილია, შემოიღო

უკვე სპარსული და მაჰმადიანური წესები, თავისი სასახლე სხვანაირად მოაწყო და სწორედ იმ დროს ჩნდება ეს, მაშინდელი მდგომარეობისათვის ფრიად დამახასიათებელი, ტერმინი. იესე ოსესშვილს თავის „თავგადასავალში“ თეიმურაზ მეორის შესახებ აქვს აღნიშნული, რომ „შიგნით არ მის სასახლე“, იყო. 16 წლის იესე ოსესშვილს თვითონ უნახავს, როდესაც თეიმურაზ მეფე იქ დასახლებულა. არმის. სასახლე არამხანას უდრის და ძველი გალიაკი ძეველად ასეთივე მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო. რაკი გალიაკი ძეველად სადედოფლო ბინის სახელი იყო, უნდა ვიფიქროთ, სასახლის ეს ნაწილი გარეშე პირთათვის შეუვალი და განცალკევებული ყოფილა.

ძველ საქართველოში საცხოვრებელი ადგილისა და ნაგებობის სახელად ვანი იხმარებოდა. ეს სიტყვა ძალიან ძველია და შემდეგ სრულად ქრება ჩვენს ენაში. აქედან იყო ნაწარმოები ზმნა „დავანება“ (დასახლება) არსებითი სახელი „სავანე“. იმერეთში დღესაც შემორჩენილია ეს სიტყვა, როგორც სოფლის სახელწოდება.

მეხუთე საუკუნეში უკვე სახლი გვხვდება (შუშანიკის ძეგლში), ოღონდ, თუ ვანი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ბინის სახელად გამოიყენებოდა, სახლს უფრო ზოგადი შემკრებლობითი მნიშვნელობა ჰქონდა: ყოველგვარ საცხოვრებელს ერქვა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ვანი ნივთიერი ნაგებობის აღმნიშვნელი იყო, სახლი კი ნიშნავდა როგორც ნაგებობას, ისე ნაგებობაში მცხოვრებ მოსახლეობას, ოჯახს და საგვარეულოსაც კი, აქედანაა სიტყვა სახლისკაცი. სიტყვა ასე ნაწევრდება: სა-ხლ-ი. აქ სა ჩვეულებრივი თავსართია, ძირია ხლ, სადაც ხმოვანი ამოვარდნილია. შეადარე მეგრული ოხორე, სადაც ო ქართული სა თავსართის ბადალია, ძირია ხორ. რაკი ხლ-ში ხმოვანი უნდა ყოფილიყო, ადვილი მისახვედრია, რომ ეს ძველი ძირი დავინახოთ. სიტყვაში ხურო. ეს სიტყვაც ხომ ამგებს ნიშნავს, ხოლო აგებას ხურობა ეწოდება. იგივე ძირია ქართულ სიტყვაში სახურავი, თუ სახლი ძირეულად ქართული სიტყვაა, ვანი სპარსულსა და სომხურშიაც მოიპოვება.

სახლში და სხვა ნაგებობებში სენაკები იყო. სენაკი ზოგჯერ — სენა, ოთახს ერქვა. სენაკები ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლებშიაც იყო და ტაძრებშიაც. როგორც იაკობ ცურტაველის თხზულებიდან ვგებულობთ V საუკუნეში სენაკები ცალკეც, სასახლის გარეთაც იყო აგებული. აი ერთი ადგილი შუშანიკის მარტილობიდან: „მივიდა... შუშანიკ მახლობელად... ეკლესიასა და იძია მცირეა სენაკი და მუნ დაეყუდა“. დროთა ვითარებაში ამ სიტყვის მნიშვნელობა დავიწროვდა: უკვე XI—XIII საუკუნიდან მხოლოდ ბერების საცხოვრებელ ოთახს ერქვა..

რაკი სენაკი ბერების ოთახს დაერქვა, საერთოდ ოთახის გამოსა-

ხატავად სხვა სიტყვები ჩნდება: ესაა ოთახი და ოდა. XVII საუკუნიდან სწორედ ოთახი მკვიდრდება ენაში, XVIII საუკუნიდან დადასტურებულია ოდა. ორივე სიტყვა თურქული წარმოშობისაა.

დღეს რკინიგზის არსებულ პუნქტს სადგური ჰქვია. ეს სიტყვაც ძველია, ოღონდ სადგური ძველად ეწოდებოდა, საერთოდ, საცხოვრებელ ადგილსა და მის ნაგებობას. მაგალითად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამბობს, რომ მეფემ იმიერკავკასიიდან გადმოსახლებულ ყივჩაღებს „...უჩინა საზამთრო სადგურიო“. ჩანს, სიტყვას წინათ ზოგადი მნიშვნელობა ჰქონია შემდეგ კი მას უფრო ვიწრო მნიშვნელობა მიუღია.

ასეთია სიტყვის ცხოვრების რამდენიმე ნიმუში.

ასე იქმნებიან და მკვიდრდებიან ენაში ახალი სიტყვები, ასე იცვლიან გარეგნულ სახეს, ან იცვლებიან შინაარსობრივად, ასე გამოდიან დროთა ვითარებაში ხმარებიდან, — ასე ცხოვრობენ სიტყვები საზოგადოების წინსვლასთან დაკავშირებით, ხალხის განვითარებასთან დაკავშირებით...

## ენის წარმოშობა

ენის წარმოშობის საკითხით კაცობრიობა უხსოვარი დროიდან არის დაინტერესებული. როდის და რა პირობებში გაჩნდა ენა, რით აიხსნება მსოფლიოს ენების სიმრავლე, თავდაპირველად რომელი ენა ჩაისახა, — აი კითხვები, რომლებიც ჯერ კიდევ უძველესი დროიდან აღეძრა ადამიანს.

მრავალი ხალხის ზეპირსიტყვიერებაში ვპოულობთ ათასნაირ ლეგენდასა და მითს ენის წარმოშობის შესახებ; ეს იმას მოწმობს, რომ ხალხი საუკუნეთა სიღრმეში დაინტერესებულა ადამიანური მეტყველების დასაბამით, და ამ უძველესი ხალხური აზროვნების შედეგი ალბეჭდილია მრავალფეროვან ფოლკლორულ გამოცემებში. გავიცნოთ ზოგიერთი მათგანი.

ერთი ესტონური ზღაპარი მოგვითხრობს, რომ იყო ბრძენი ბერი-კაცი, რომელმაც წყლით სავსე ქვაბი ცეცხლზე დადგა. წყალი წამოდუღდა და დაიწყო ჩუხჩუხი, სისინი და შიშინი. ამ დროს ბრძენმა მოხმოდ დედამიწის ხალხები და, ვინც წყლის ჩუხჩუხის დროს მოვიდა, იმ ხალხმა რაკრაკა ბგერებით დაიწყო ლაპარაკი, ვინც სისინის დროს — სისინა ბგერებით, ვინც შიშინის დროს — შიშინა ბგერებით. ესტონე-

ლები სიახლოვის გამო ყველაზე ადრე გამოცხადებულან ქვაბთან და ამიტომ ამეტყველებულან თვით ბრძენი ბერიკაცის ენაზე.

ძველმა ბერძნებმა ასეთი გადმოცემა დაგვიტოვეს: უძველეს ხანაში ადამიანები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ერთად, არც ქალაქები ჰქონდათ, არც ქანონები ან რაიმე წეს-წყობილება; ლაპარაკობდნენ საერთო ენით და ემორჩილებოდნენ ერთ ღმერთს — ზევსს. დროთა განმავლობაში ჰერმესმა სხვადასხვა კილოკავი გააჩინა და კაცობრიობა დაიყო ხალხებად. ენათა სიმრავლე ამით აიხსნებაო, გვეუბნება ეს ბერძნული ლეგენდა.

გავრცელებულია აგრეთვე ერთი ალათაური ლეგენდა, რომელიც გვაუწყებს, რომ უხსოვარ დროს ალათაელებს ჰქონდათ დედამიწის ზურგზე ერთადერთი სიბრძნის წიგნი. ალათაელები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ერთხელ კოკისპირული წვიმა მოსულა და ცხენზე აკიდებული ეს დიდი წიგნი სულ დასველებულა. მეორე დღეს კაშკაშა მზეზე გაუფენიათ ეს წიგნი გასაშრობად. ერთი თეთრი ძროხა მიპარულა და წიგნი დაუღეკავს. ამის შემდეგ სხვადასხვა ენაზე ალაპარაკებულან; თეთრი ძროხა კი ალათაელებს დღემდის სძულებიათ. მასასაღამე, დღევანდელი ნაირ-ნაირი ენების სათავე თურმე ალათაური ენა ყოფილა (ალათაური თურქული მოდგმის ენაა).

ენის წარმოშობის თაობაზე ლაპარაკია ბიბლიაშიც (დაწერილია პირველ ათასწლეულში ჩვენს ერამდე), იქ, სადაც მოთხრობილია სამყაროს გაჩენის ამბები. საგნების სახელები ადამს ღმერთმა ამცნოო, ვკითხულობთ ბიბლიაში. ამ წიგნის მეორე ნაწილში კი ვგებულობთ, რომ, როცა პირველი ადამიანი გაჩნდა, ღმერთმა აჩვენა მას ყველა არსება და საგანი, ხოლო ადამიანმა მათ სახელები გამოუგონა. ბიბლიის გვიანდელი „მკვლევრები“ ეძიებდნენ იმ ენას, რაზედაც ადამი ალაპარაკებულა. ეს თავდაპირველი ენა ებრაულიაო, დაასკვნეს. ზოგი ავტორი იმასაც ამტკიცებდა, რომ ადამის პირველი ენა ბასკური იყო; ზოგიც ფიქრობდა, ადამი და ევა სამოთხეში საუბრობდნენ სპარსულად, გველი, რომელმაც შეაცდინა ადამი და ევა — არაბულად, ხოლო გაბრიელ მთავარანგელოზი მათ თურქულად ელაპარაკებოდა. აღმოჩნდა ისეთი ჰკუის კოლოფიც, რომელიც ირწმუნებოდა, ღმერთი ადამს მიმართავდა შვედურად, ადამი უპასუხებდა დანიურად, ხოლო გველი ევას ელაპარაკებოდა ფრანგულადო.

რით აიხსნება ენათა სიმრავლე? ენის ღვთაებრივი წარმოშობის თეორია ამაზე ასეთ პასუხს იძლევა: ადამიანებს თურმე გადაუწყვეტიათ აეგოთ ბაბილონის გოდოლი, ესე იგი ისეთი მაღალი შენობა, რომელიც ცას ასწვდებოდა. ღმერთს ამ განზრახვისათვის ხელი შეუღულია: კომკის მშენებელი ადამიანებისათვის ენა აურევია, ერთმანე-

თისა რომ არაფერი გაეგოთ, ისინი სხვადასხვა ენაზე აულაპარაკებია. კოშკის მშენებლობა, ამგვარად, ჩაფუშულა. შემდეგ ეს ადამიანები ღმერთისავე სურვილით დედამიწის ზურგზე გაიფანტნენ და, ასე ამრიგად, სათავე დაედო მრავალენიანობას.

გავიდა დრო. ენის წარმოქმნის ზემოხსენებული გულუბრყვილო ახსნა აღარ აკმაყოფილებდა ადამიანს. ამიტომ რელიგიამ ასეთი თვალსაზრისი შემოგვთავაზა: ღმერთს ენა კი არ შეუქმნია, არამედ ადამიანი მეტყველების უნარით დააჯილდოვაო. აქაც ენის გაჩენის საფუძვლად ღვთაებრივი საწყისია აღიარებული.

საყურადღებოა, აგრეთვე, შემდეგი გადმოცემა. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე ამბობს, რომ ეგვიპტის ფარაონი ფსამეტიქი (მეექვსე საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ძალიან დაინტერესებულა ენის წარმოშობის საკითხით. მას ასეთი ცდა ჩაუტარებია: გაუცია განკარგულება, რათა კარჩაკეტილად აღეზარდათ ორი ბავშვი, ისე, რომ მათ ადამიანის ლაპარაკი არ გაეგონათ. ეს ბავშვები მაინც ალაპარაკებულან და პირველი სიტყვა, რომელიც მათ დასცდენიათ, ყოფილა „ბეკოს“. ფარაონის ბრძანებით, დაუწყიათ იმის გამორკვევა, თუ სადაურია ეს სიტყვა და რას ნიშნავს. დადასტურებულა, რომ „ბეკოს“ პურს ნიშნავს ფრიგიულ ენაზე. მაშ, ფრიგიული ყოფილა უძველესი ენა, რომელზედაც ადამიანი ალაპარაკებულაო, დაუსკვნია ეგვიპტის ფარაონს. ესეც ძველი ლეგენდაა, შექმნილი 2600 წლის წინათ.

ჩვენ გავეცანით ენის წარმოშობის თაობაზე შექმნილ ფოლკლორულ და ბიბლიურ ზღაპრებსა და ლეგენდებს, რომელთაც ჭეშმარიტებასთან არაფერი აქვთ საერთო. ეს ცნობები საინტერესოა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ასახავენ უძველეს ხალხურ წარმოდგენებს. ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო.

როდის დაისვა ენის წარმოშობის საკითხი მეცნიერებაში?

პირველი ბერძენი ფილოსოფოსები იყვნენ, რომლებიც დაინტერესდნენ ამ კითხვით და ცდილობდნენ დამაკმაყოფილებელი პასუხი გაეცათ ამ კითხვაზე. ეს იყო მეზუთე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ესე იგი 2500 წლის წინათ.

ენის საკითხებს ბერძენი ფილოსოფოსები აყენებდნენ აზროვნების საკითხთან დაკავშირებით. სახელდობრ, მათი მიზანი იყო გაერკვიათ: რა დამოკიდებულება არსებობს საგანსა და მის სახელს შორის, ესე იგი როგორ დაერქვა საგანს ესა თუ ის სახელი: საგნის ბუნებიდან გამომდინარეობს მისი სახელი თუ ადამიანები შეთანხმდნენ — ამა და ამ საგანს ესა და ეს სახელი დავარქვათო. განსაკუთრებით აღელვებდათ ეს საკითხი ძველ საბერძნეთში მჭევრმეტყველების (რიტო-



რიკის) მასწავლებლებს, რომლებსაც სოფისტებს ეძახდნენ. სოფისტების მამამთავარი იყო პროტაგორა, რომელმაც მკვეთრად დააყენა ზემოხსენებული კითხვა. ატყდა სოფისტებს შორის ცხარე დავა, რის შედეგადაც ორი მიმართულება ჩამოყალიბდა: ერთი ამტკიცებდნენ — საგნის სახელი მისმა ბუნებამ განსაზღვრაო, მეორე ირწმუნებოდნენ — საგნის სახელი ადამიანთა შეთანხმება-გადაწყვეტილების, ადამიანთა ნება-სურვილის შედეგაო.

თუ საგანს სახელი მისი ბუნების შესაბამისად დაერქვა, მაშინ როგორ მოხდა, რომ სხვადასხვა ენაში ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა სახელი ჰქვია? — ასე აკრიტიკებდნენ პირველ თეორიას. პასუხი ასეთი იყო: ბერძნული ენის გარდა სხვა ენები სრულფასოვანი ენები ხომ არ არიან, ისინი ბარბაროსთა ენებია და რა ანგარიშგასაწევია მათი მონაცემებიო?

ჩვენ ვხედავთ, რა უსუსურია ეს მოსაზრება.

სამაგიეროდ, ამ თეორიის მომხრენი მეორე თეორიას ასე აკრიტიკებდნენ, თუ საგნის სახელი შედეგია შეთანხმებისა, ადამიანთა ნება-სურვილისა, მაშინ, კეთილინებეთ და წარამარა უცვალებო საგანს სახელი, ხომ შეუძლებელია ესა თუ ის სიტყვა თქვენს ნებაზე შეცვალოო!

ძველი დროის უდიდესმა მატერიალისტმა დემოკრიტემ საგულისხმო მოსაზრებები გამოთქვა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. ის ამბობდა: ენაში ხომ უხვადაა ომონიმები და სინონიმები. საგანს რომ თავისი ბუნების მიხედვით ერქვას სახელი, მაშინ როგორ აეხსნათ, რომ ერთი სიტყვა სულ სხვადასხვა საგანს აღნიშნავს (ომონიმი), ანდა ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა სახელი აქვსო (სინონიმები). ამავე დროს, არცთუ ყველა საგანს აქვს სახელიო.

არსებობს მეტყველების წარმოშობის სხვა თეორიებიც, ესენია: წამოძახილების თეორია (შორისდებულთა თეორია), ხმისმიბაძვითი თეორია, „შრომითი წამოძახილების“ თეორია და სხვ.

შორისდებულთა თეორიის წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ თავდაპირველი სიტყვები უნებლიე წამოძახილებია, რომლებიც გამოწვიული იყო ველური ადამიანების ძლიერი ტკვილით, შიშით, აღტაცებით ან სხვა ძლიერი განცლით. ესე იგი, ენას სათავე დაედო ინსტინქტური წამოძახილებისაგან. ეს წამოძახილები (შორისდებულები) საფუძველია შემდგომი სიტყვების შესაქმნელად. მაგრამ ეს თეორია თავს ვერ აღწევს ერთ დიდ გაუგებრობას: წამოძახილები მათი გამომწვევი გრძნობების, აფექტების სახელები კი არ არის, არამედ მათ უშუალო გამოხატულებას წარმოადგენენ; ასეთი წამოძახილებიდან საგნების სახელებამდე დიდი მანძილია.

ხმისმიბაძეითი თეორია გვეუბნება, რომ თავდაპირველი სიტყვები ხმისმიბაძეითი სიტყვებია. საგანს დაერქვა სახელი იმის მიხედვით, თუ რა ხმას გამოსცემს იგი, ესე იგი სახელი საგნის ხმის მიბაძეა. მაგალითად, ერთი ფრინველი „გუგუს“ იძახის და ამიტომ დაერქვა მას „გუგული“, მაშასადამე, სიტყვა „გუგული“ მიბაძეა ამ სიტყვით გამოხატული ფრინველის ხმისა. ამ თეორიის დამცველი გერმანელი ფილოსოფოსი ლაიბნიცი ამბობდა, რომ „რ“ ბგერა გადმოგვცემს ძლიერ მოძრაობას და იმით გამოწვეულ ხმაურს, „ლ“ გადმოგვცემს უფრო წყნარ, ნარნარ ხმაურს და სხვა.

არც ეს თეორიაა მისაღები. საქმე ისაა, რომ, მართალია, ენებში არსებობს ხმისმიბაძეითი სიტყვები (მაგალითად, ქართულში: „ბაყაყი“, „ყიყინი“, „ჭიჭინი“, „გუგული“, „ხვიხვინი“ და სხვა.) მაგრამ ასეთი სიტყვების რიცხვი უალრესად მცირეა. მეორე მხრივ, განა ყოველი საგანი გამოსცემს რაიმე ხმას? ვთქვათ, კონკრეტული საგნები გამოსცემენ რაიმე ხმას, მაგრამ რა ხმას გამოსცემენ აბსტრაქტული (განყენებული) ცნებები: სიყვარული, შიში, სიცოცხლე და სხვა. ესეც არ იყოს, ხმის მიბაძეით თეორია ვერ გვიპასუხებს კითხვაზე: რატომაა, რომ ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელწოდება აქვს; თუ საგნის მიერ ხმის გამოცემაზეა ლაპარაკი, მაშინ ეს ხმა ყველა ენაში ერთნაირად უნდა იყოს ასახული! ისიც უნდა ითქვას, რომ ხმის მიბაძეისათვის აუცილებელია სამეტყველო აპარატი დიდად განვითარებული იყოს, — პირველყოფილი ადამიანის ჭერ კიდევ განუვითარებელ სამეტყველო ორგანოებს ამის მიღწევა არ შეეძლო.

არსებობდა აგრეთვე „შრომითი წამოძახილების“ თეორია, რომელიც წარმოიშვა მე-19 საუკუნეში. ენა აღმოცენდა წამოძახილებისაგან, რომლებიც თან ახლდა კოლექტიურ შრომას, შრომით პირობებში, გვეუბნებიან ამ თეორიის მესვეურნი. მაგრამ მათ ავიწყლებათ, რომ ეს „შრომითი წამოძახილები“ მხოლოდ და მხოლოდ შრომის ორგანიზაციის საშუალებაა, ისინი კი არ აღნიშნავენ რაიმეს, არამედ წარმოადგენენ გარეგნულ ტექნიკურ საშუალებას კოლექტიური შრომის დროს.

თავისი შეხედულება ჰქონდა ენის წარმოშობის თაობაზე ნიკო შარს. ის ფიქრობდა, რომ თავდაპირველად არსებობდა ხელის ენა, რომელსაც ეხმარებოდა ყესტ-მიმიკა, ესე იგი პირველყოფილი ადამიანი ხელისა და სახის კუნთების მოძრაობის საშუალებით „ლაპარაკობდა“. ბგერითი ენა, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვიყენებთ, შემდეგ გამოიშვა. ამასთანავე, მარის აზრით, ბგერითი ენის დანიშნულება ჩანასახში ურთიერთგაგებინების საშუალება არ იყო; ბგერითი წა-

შოძახილები იმთავითვე მისნების წრეში წარმოიქმნა და მათი დანიშნულება იყო ზელი შეეწყო კოლექტიური შრომითი პროცესებისათვის, საურთიერთო საშუალებად ისევ ხელის ენა იყო გამოყენებული.

ეს თვალზარბაზნით დაუსაბუთებელია. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ათეული ათასი წლების განმავლობაში კაცობრიობას გამოეყენებინა მხოლოდ ექსტების ენა. სხვას რომ თავი დავანებოთ, განა სიბნელეში ან შორ მანძილზე ასეთი „ენა“ თავის დანიშნულებას შეასრულებდა? გარდა ამისა მცდარია შეხედულება, თითქოს ბგერითი ენა თავდაპირველად არ იყო ურთიერთობის საშუალება. ჩვენ ვიცით, რომ ენა ადამიანთა ურთიერთგაგებინების იარაღია და ესაა ენის არსებითი ფუნქცია.

როგორც ვხედავთ, ენის წარმოშობის არც ერთი ზემოხსენებულ თეორია არ არის მეცნიერულად სწორი.

ენის წარმოშობის საკითხს მეცნიერულ ნიადაგზე აყენებს მხოლოდ მარქსისტული ენათმეცნიერება.

ვიდრე გავეცნობოდეთ მარქსისტულ მოძღვრებას ჩვენთვის საინტერესო პრობლემის შესახებ, საჭიროა გავარკვეოთ: როგორ უნდა გვესმოდეს ენის წარმოშობის საკითხი, ესე იგი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რას უნდა მოველოდეთ ჩვენ ამ საკითხის კვლევა-ძიებიდან.

ჯერ ერთი, ერთმანეთისაგან მკაცრად უნდა განვასხვავოთ ორი საკითხი: ცალკეული ენების წარმოშობა და საერთოდ ენის წარმოშობა. სულ სხვაა ვიკვლიოთ დღესდღეობით დედამიწის ზურგზე გავრცელებული რომელიმე ენის ისტორია და სულ სხვა — ადამიანური მეტყველების გენეზისი დავადგინოთ. ეს საკვებით გასაგებია: პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს რეალურად არსებულ ენებთან, რომელთაც სრულიად გარკვეული ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სხვა მაჩვენებლები აქვთ. ამ ენებს დიდი-დიდი რამდენიმე ათასი წლის ისტორია შეიძლება ჰქონდეთ, — მეტყველების წარმოქმნის დღიდან კი სულ მცირე, რამდენიმე ასეული ათასი წელია გასული. კაცობრიობა დედამიწის ზურგზე დაახლოებით ერთი მილიონი წელია არსებობს. ენა წარმოიშვა რამდენიმე ასეული ათასი წლის წინათ. პირველ ჯოგურ ადამიანურ კოლექტივთან ერთად. თანამედროვე ადამიანი ჩამოყალიბდა დაახლოებით 50 ათასი წლის წინათ.

„პირველყოფილი ენის“ არავითარი მასალა ჩვენ არა გვაქვს. მეცნიერების დარგები — არქეოლოგია და ანთროპოლოგია მიწაში ეძებენ პირველყოფილი ადამიანის ძვლებს, თავის ქალებს, იმდროინდელი მატერიალური კულტურის ძეგლებს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ გათხრე-

ბის შედეგად აღმოაჩინონ პირველყოფილი ენა, რომელიც არ არის აღბეჭდილი წერილობით ძეგლებში. მიწაში აღმოჩენილი წერილობითი ძეგლები უკვე განვითარებული ადამიანების ნაყოფია (რაკი მათ წერა შესძლებიათ) და, ამდენად, ეს არ შეიძლება მივიჩნიოთ „პირველყოფილ ენად“.

იქნებ დღევანდელ მსოფლიოში არსებული ყველაზე ძველი გრამატიკული წყობისა და ლექსიკის მქონე ენები, ისევე როგორც ძველ წერილობით ძეგლებში აღბეჭდილი ენების სტრუქტურა, გამოდგეს ენის თავდაპირველი ბუნების გამოსარკვევად?

საქმე ისაა, რომ ეს ყველაზე ძველი ენებიც ისე დაცილებული არიან მეტყველების წარმოშობის ეპოქას, რომ მათი საშუალებით შეუძლებელია „პირველყოფილი ენის“ აღდგენა. პირველყოფილი ენები საბოლოოდ გაქრნენ. ჩვენთვის მისაწვდომი ყველა ენა საგრძნობო სახეცვლილებებისა და განვითარების შედეგია, ადამიანური მეტყველების პირველადი რეალური ნიშნები რომ დაუკარგავს.

მაშ, რას უნდა ველოდეთ ენის წარმოშობის კვლევა-ძიებიდან?

უნდა გაირკვეს ის პ ი რ ო ბ ე ბ ი, რომლებშიაც პირველყოფილმა ადამიანმა ენა აიღგა.

რ ა პ ი რ ო ბ ე ბ ი შ ი შეიძლებოდა წარმოშობილიყო ენა, — საკითხი, რომელიც შეუძლია გადაწყვიტოს მეცნიერებამ.

ფრიდრიხ ენგელსი თავის გამოკვლევაში — „შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში“ — გვეუბნება: ადამიანი იმით განსხვავდება ცხოველისაგან, რომ იგი შრომის იარაღს ამზადებს, შრომის იარაღის მკეთებელი ცხოველია: შრომის განვითარება ხელს უწყობდა საზოგადოების წევრების ურთიერთშეკავშირებას, „ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ადამიანები იქამდე მივიდნენ, რომ მათ ერთმანეთისათვის რაღაც უნდა ეთქვათ“. მაშასადამე, ენა წარმოიშვა შრომის პროცესში, შრომასთან ერთად. „ჯერ შრომა, ხოლო მის შემდეგ და მერე კი მასთან ერთად — ენა. აი ის ორი ყველაზე უფრო არსებითი სტიმული, რომელთა ზეგავლენითაც მაიმუნის ტვინი თანდათან იქცა ადამიანის ტვინად“, — ამბობს ფრიდრიხ ენგელსი. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ ენა თავიდანვე ურთიერთობის საშუალება იყო.

მარქსიზმი გვასწავლის, რომ ენა ისევე ძველია, როგორც აზროვნება ენასა და აზროვნებას შორის მჭიდრო კავშირია. „ენა აზრის უშუალო სინამდვილეა“ (მარქსი). ამრიგად, ადამიანის ჩამოყალიბების პროცესს განსაზღვრავს სამი მომენტი: შრომა (იარაღის კეთება), აზროვნება, მეტყველება. ამათგან პირველადი განმსაზღვრელია შრომა.

რ ა სახისა იყო პირვანდელი ენა?

ენგელსი გარკვევით გვეუბნება, რომ „პირველყოფილი ენა“ ბგერითი იყო და არა უესტ-მიმიკისა, ოღონდ პირველყოფილი ადამიანის ხორხი და სხვა სამეტყველო ორგანოები განუვითარებელი იყო, ამიტომ დანაწევრებული ბგერების წარმოთქმა შეუძლებელი იქნებოდა. ათეული ათასი წლები გავიდა მას შემდეგ, რაც ადამიანს ხორხი და პირის ღრუ იმდენად გარდაექმნა, განუვითარდა, რომ მას შეეძლო დანაწევრებული ბგერების წარმოთქმა.

რას ნიშნავს დანაწევრებული და დაუნაწევრებელი ბგერები?

დანაწევრებულია ჩვენი მეტყველება, რადგანაც სიტყვები შეიცავს ცალკეულ, გამოკვეთილ, მკაფიოდ წარმოთქმულ ბგერებს. მაგალითად, სიტყვებში „ბარი“ ოთხი ბგერაა (ბ, ა, რ, ი). მაშასადამე, ეს სიტყვა ნაწევრდება ცალკეულ ბგერებად. ამ მდგომარეობამდის რომ მიეღწია ენას, ესე იგი დანაწევრებული ბგერები გამოემუშავებინა, ძალიან დიდი დრო იყო საჭირო. ამას სჭირდებოდა ჩვენი სამეტყველო ორგანოების (ხორხის, პირის ღრუს, ენის, კბილების, სასის...) ფიზიოლოგიური განვითარება. „პირველყოფილი სიტყვები“, ცხადია, დანაწევრებული ბგერებისაგან არ შედგებოდა. ეს იყო დაუნაწევრებელი სიტყვები, აუარება ცალკეული ბგერის შერწყმა. ისიც უნდა დავძინოთ, რომ „პირველყოფილი სიტყვები“ არც შეიძლება ჩაითვალოს სიტყვებად დღევანდელი გაგებით; ეს იყო ბგერათა კომპლექსები, რომლებიც, მართალია, მოგვაგონებდნენ სიტყვებს, მაგრამ მნიშვნელობა ჰქონდათ არა ერთი სიტყვისა, არამედ მთელი წინადადებისა. მაშ, პირვანდელი „სიტყვა“ მთელი წინადადება იყო. ასეთი „სიტყვა“ შეიძლება შევეუდაროთ ერთი წლის ბავშვის წამოძახილს. რომელიც რაღაც გაურკვეველი ბგერებისაგან შედგება. მაგრამ დედამ იცის, რომ იგი ნიშნავს „ხელში ამიყვანე“-ს. სხვანაირი წამოძახილი სხვას ნიშნავს, ვთქვათ, „წყალი დამალევიანე“-ს, და ასე შემდეგ.

იმ ძველ ეპოქაში, ცხადია, არ იყო გარჩევა ზმნისა სახელისაგან, როგორც ეს თანამედროვე ენაში გვაქვს. მაშინ არც ზმნა იყო, არც სახელი, იყო მხოლოდ ბგერათა კომპლექსები, რომელთაც თავ-თავისი დანიშნულება ჰქონდათ.

ასეთია მეტყველების წარმოშობის ძირითადი საკითხები.

«Из неравной часто борьбы с другими культурными языками грузинский язык всегда выходил с честью, давая опору самостоятельному существованию грузинского народа».

ბ ი კ მ ა რ ი

ერთი მეცნიერის თქმით, ნასესხები სიტყვების შემოტანა ენის ორგანიზმში ერთგვარი აცრაა, მაგრამ აცრა არა მათავადებული შხამით, არამედ მაცოცხლებელი ნივთიერებით, და ეს პროცედურა ენის გამახლებელი საშუალებაა. ხოლო თუ ეს ნივთიერება ქარბი დოზით შევიდა ენის ორგანიზმში, თვით ენა მოერევა მას, — ოღონდ ავტორიტეტული მწერლებისა და ენის თეორეტიკოსების დახმარებით.

### ლექსიკის მოცულობა

ლექსიკა ფართო ცნებაა: იგი მოიცავს სხვადასხვა სოციალური დაფენების, ყოველდღიური მეტყველების, დიალექტური ნაირსახეობის, ე. წ. „პროფესიული ენებისა“ და სალიტერატურო ენის (ლიტერატურისა და ხელოვნების, პოლიტიკის, სამეცნიერო მწერლობის, ტექნიკური ტერმინოლოგიის) სიტყვობრივ მარაგს. თუ ენის ევოლუციის ერთი რომელიმე ეტაპით არ შემოვიფარგლებით, მაშინ აქვე შემოვა „ისტორიული ლექსიკის“ ფაქტებიც, ე. ი. ძველი სალიტერატურო ენის ლექსიკონი (რა თქმა უნდა, ეს არ ეხება ისეთ ენებს, რომელთაც ძველი წერილობითი ძეგლები არ მოეპოვებათ).

ენის განვითარება მთლიანად და სავსებით შეპირობებულია ამ ენის მატარებელი კოლექტივის ისტორიულ განვითარებასთან. რამდენადაც უფრო შინაარსიანი და რთული გზა განვლო ამა თუ იმ ხალხმა ისტორიულად, იმდენად მდიდარია და მრავალფეროვანი მისი ენა. იქნება ეს საკუთარი ენობრივი რესურსების გამოყენება, არსებული ფორმების ევოლუცია, თუ უცხო ენობრივი ელემენტების ათვისება, ენა დროთა ვითარებაში აყალიბებს თავის ორგანიზმს, იმუშავებს საკუთარ ენობრივ პოტენციას. ლექსიკის სიმდიდრის ერთი ძირითადი პირობაა ენის გაშლა გეოგრაფიულ სივრცეში, ე. ი. ლოკალური დიალექტების სიმრავლე, დიალექტური ნაირსახეობა. ამის მშვენიერი ნიმუშია ისეთი დიდი ტერიტორიული განფენილობის ენა,

როგორცაა არაბული. ეს ენა ლექსიკური სიმდიდრის კარგ ნიმუშს წარმოადგენს. ასე, მაგალითად, არაბულს აქლემისათვის, ჰომელის გამოანგარიშებით, 5758 სიტყვა მოეპოვება, ლომისათვის — 700, ხმლისათვის — 1000, ისეთი განყოფილებული ცნებისათვის, როგორცაა „უბედურება“ — 400 (ამის დამო ანდაზაა არაბეთში: „უბედურებათა სახელები უბედურება არისო“!).

კითხვა ისმის: შეგვიძლია თუ არა გამოვიანგარიშოთ მათემატიკურად ლექსიკის შედგენილობა, ე. ი. რიცხვებში გამოვსახოთ ამა თუ იმ ენის ლექსიკური ფონდი? ამ მიმართულებით ზოგიერთი ენათმეცნიერი ვარკვეულ ექსპერიმენტებს ატარებდა. ხშირად იმოწმებენ სამეცნიერო ლიტერატურაში პროფ. მაქს შიულერის ცდას: მან გამოითვალა ერთი სოფლის პასტორის ჩვეულებრივი მეტყველების ლექსიკური მარაგი და დაასკვნა, რომ ინგლისელი გლეხის განკარგულებაში მხოლოდ სამასამდის სიტყვააო. მეორე მხრივ, ჩვეულებრივ ითვლიან ამა თუ იმ სახელგანთქმული მწერლის ლექსიკონს და ასკვნიან, რომ, მაგალითად, შექსპირს გამოყენებული აქვს 15. 000 სიტყვა, ზოგის გამოანგარიშებით — 24. 000, ჰომეროსს — 9. 000-მდის, რუსთაველს — 45. 000 (აქედან 15. 200 სხვადასხვა გრამატიკული ფორმით ხმარებული სიტყვაა) და სხვ. თავისთავად ცხადია, რომ მწერლის მიერ გამოყენებული სიტყვების დათვლა სხვა რიგისაა და სულ სხვა რიგის — მთელი ენის ლექსიკური რესურსების რაოდენობრივი გამოთვლა; ეს ორი მონაცემი ერთმანეთს არ უდრის და არ ფარავს.

მოეპოვება თუ არა მეცნიერებას სათანადო მეთოდები ლექსიკური მარაგის ციფრებში გამოსასახავად? არა. ჩვენ არ შეგვიძლია მიმოვაველოთ თვალი ლექსიკურ ფორმებს და ჩავატაროთ ჩვენ თვალწინ ისე, როგორც ჭარისკაცები აღლუმის დროს (ვანდრიესი.) ეს იმიტომ, რომ ჭერ კიდეც არ მოეპოვება მეცნიერებას ერთი ვარკვეულა, დამაკმაყოფილებელი პასუხი იმაზე, თუ რა უნდა მივიჩნიოთ სიტყვად. გარდა ამისა, ენის გრამატიკული საშუალებები იმდენად მოქნილი და მრავალფეროვანია, რომ მორფემების ათასგვარი კომბინაციებით შეგვიძლია მივიღოთ უსასრულო რიცხვი ლექსიკური ტიპებისა. ასე, მაგალითად, რამდენად განუსაზღვრელია ენის შესაძლებლობა თუნდაც იმის გამო, რომ აწარმოებს ნასახელარ ზმნებს და ნაზმნარ სახელებს. მაგალითად, სათვალავ ფორმებში შეიძლება არ შეგხვდეს სიტყვა — „აპაერებული“, ან „აქედლება“ („შეკედლება“ ჩვეულებრივია), მაგრამ ენის პოტენციიაში ასეთი ფორმები გამოირიცხული არაა. მაშასადამე, პრინციპულად შეუძლებელია ენის ლექსიკის პოტენციური შესაძლებლობის სრული რეგისტრირება... სე მ ა ნ ტ • კ უ რ ა დ ა ც ლექსიკოლოგიური სტატისტიკა გადაულახველ დაბრკოლებას

უღობება: სიტყვას მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს კონტექსტური სხვადასხვაობის მიხედვით. მაშასადამე, ამ მხრივაც გარკვეულობა არ არის.

უნდა დავასკვნათ: სიტყვების რაოდენობრივი აღრიცხვა შეუძლებელია. მაგრამ თუ ფარგალს შევავიწროებთ და სათვალავ ობიექტებად დავსახავთ ჩვეულებრივი თვალსაზრისით არსებულ სიტყვებს, ჯერ მკვიდრი კრიტერიუმით უნდა მოინახოს, თუ რა მივიჩნით სიტყვად ჩვეულებრივად არსებულ სიტყვებში (ასეთი გამოთვლისას, ცხადია, ლექსიკის პოტენციური ფორმები გამოირიცხება).

სიტყვის სემანტიკის პირობები და ნასახება  
სიტყვათა შესწავლის მნიშვნელობა

დიდი ფაქტორია ამა თუ იმ ენის ლექსიკონის გასამდიდრებლად საკუთარი რესურსების კომბინირებული გამოყენება, ენის ორგანული ფორმების ევოლუცია-სახეცვალება. ყოველი ენა თავის განკარგულებაში არსებულ ლექსიკურ ტიპებს თავისებურად აწესრიგებს, მაქსიმალურად ამზეურებს ისტორიული განვითარების პროცესში იმ სიტყვიერ მასალას, რომელსაც იტევს თავისი ლექსიკური შესაძლებლობა. კერძოდ, უაღრესად მტკიცე საყრდენს წარმოადგენს ამ მიმართულებით ლოკალური დიალექტების მონაცემები. ყოველი ენის ლექსიკა მოხერხებულად იწურავს თავისი კილოებიდან საუკეთესო მასალას. სალიტერატურო ენის ლექსიკონი ის დედა მდინარეა, რომელსაც მრავლად ერთვიან დიალექტური ლექსიკონის უხვი და დაუღვეველი შენაკადები.

მაგრამ ენა მარტოდონ თავისი საკუთარი მასალით არ კმაყოფილდება. მის ორგანიზმში ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, მეტ-ნაკლები პროპორციით, შედის უცხოური ენის ლექსიკური ელემენტები. ეს არის გარდაუვალი ბედი ყოველი ენისა. არ არსებობს ისეთი ენა, რომელიც გადარჩენოდეს უცხო გავლენას თავისი განვითარების თუნდაც რომელიმე ეტაპზე. ენათა ურთიერთშეხვედრა ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენს. ეს არის შედეგი ენების შატარებელ ხალხთა საურთიერთო კონტაქტისა ისტორიულ ვითარებაში. და მართლაც: არც ერთი ენობრივი კოლექტივი არ ასცდენია შეხებას სხვა ენობრივ კოლექტივთან. მაშასადამე, ეთნიკური თანამიმართება ლინგვისტური თანამიმართების საფუძველი და წინაპირობაა.

მაგრამ ხალხთაშორისი თანამიმართების ფორმები სხვადასხვაგვარ-



რია: ეთნიკურ ერთეულთა შორის შესაძლოა იყოს მტრული მეზობ-  
ლური ურთიერთობა. ლექსიკური კონტაქტისათვის შესაძლებელია,  
აგრეთვე, ერთი მხარე დაპყრობილი იყოს, ან პირიქით. როგორც დამ-  
პყრობელი ენობრივი კოლექტივი ახდენს გავლენას დაპყრობილ ენობ-  
რივ კოლექტივზე, ისევე დაპყრობილი ხალხის ლექსიკური მასალა გა-  
დადის დამპყრობელი ხალხის ენობრივ სინამდვილეში. არ არის აუ-  
ცილებელი სიტყვათსესხებისათვის ერთი ხალხი კულტურულად მალ-  
ლა იდგეს მეორე ხალხზე. კულტურულად დაბლამდგომ ენობრივ  
კოლექტივსაც დაესესხება ხოლმე უფრო ცივილიზებული ენობრივი  
კოლექტივი. ნაკლები კულტურის მქონე დამპყრობელთაგან სიტყვი-  
ვის სესხება ხდება „თავზე მოხვევის“ წესით, ძალაუნებურად, განსა-  
კუთრებით დაპყრობის პირველ ხანებში (შემოდის სახელმწიფოებრივი-  
ადმინისტრაციული, სამოხელეო ტერმინები და სხვ.). თუ აგრესიული  
დაწოლა მეტად ინტენსიურია, ასეთ შემთხვევაში, იტალიელების  
თქმით, *lingua del cuore* (გულის ენა) მშობლიური ენისა რჩება, ხო-  
ლო *lingua del pane* (საარსებო პურის ენა) უცხო ენობრივი სინამ-  
დვილიდან მოდის. მეორე მხრივ, თავისთავად ცხადია, რომ უფრო  
კულტურული ხალხი მეტს ასესხებს, ვიდრე პირიქით. ამის მაგა-  
ლითები ბევრი იცის ენების ისტორიამ. ამავე დროს, ხ ა ს ი ა თ ი ნ ა-  
სესხები სიტყვიერი მასალისა ამ შემთხვევაში სხვაა: ხდება სესხება  
უფრო მეტად კულტურული ცნებებისა, სალონური და გართობის  
სიტყვებისა და სხვ.

ამ მხრივ დამახასიათებელია შემდეგი ვარემოება.

ჯონ ვალისს თავის „ინგლისური ენის გრამატიკაში“ (1653  
წ.) შენიშნული აქვს, რომ ინგლისურში ცხოველების სახელწოდე-  
ბები ანგლო-საქსური წარმოშობისაა, ხოლო სახელწოდებანი ამ ცხო-  
ველთა ხორცისა, რომელიც მაგიდაზე გამოაქვთ, ნორმალურ-ფრანგუ-  
ლი წარმოშობისა. უოლტერ სკოტი თავის „აივენჰოში“ ამ  
ფაქტს ხსნის ასე, რომ ამ ცხოველების მომვლელი მწყემსები  
ანგლო-საქსები იყვნენ, ხოლო ბატონები, რომელნიც მიერთმევ-  
დნენ ამ ცხოველების ხორცს. ნორმანები გახლდათ. და მართლაც,  
ინგლისურში გემრიელი საქმელების სახელები ნორმანულ-ფრანგუ-  
ლი წარმოშობისაა.

დამახასიათებელი მაგალითია.

სიტყვათსესხების საფუძველია მეზობელ ხალხთაშორის ეკონომიკუ-  
რი, პოლიტიკურ-კულტურული ან რელიგიური ურთიერთობა. შესაძ-  
ლოა ყველა ეს საფუძველი არსებობდეს ერთსა და იმავე დროს, მაგ-  
რამ არ არის გამოსარიცხავი შემთხვევები, როდესაც ერთი რომე-  
ლიმე ზემორე ფაქტორთაგანია მიზეზი ლინგვისტური ურთიერთობისა.

ზემოთ აღინიშნა, რომ არც ერთი ენა არაა დაზღვეული უცხო გავლენისაგან. ასე, მაგალითად, ლათინური ენის ლექსიკა დაუშრეტელი წყაროა დასავლეთ ევროპის ენათა ლექსიკის გადახალისებისა საუკუნეთა განმავლობაში. ასევე დიდია როლი ბერძნული ენისა.

იმდენად ძლიერია სესხების ტენდენცია, რომ ზოგიერთი ენა ერთობ აჭარბებს ამ მხრივ. მაგალითად, ხშირად „უსაყვედურებენ“ ინგლისურს, რომ მან ზედმეტად გადმოიღო სხვა ენათაგან ლექსიკური ერთეულები. ამ უსაზღვრო დინების შედეგად დამძიმდა ინგლისური ენა სინონიმებით, ფერხდება შინაგანი ლექსიკური ფორმების ბუნებრივი ევოლუცია, ნასესხებ სიტყვათა უძირო ზღვაში ინთქმება საკუთარი ენობრივი შესაძლებლობანი...

საზოგადოდ. შეიძლება დავასახელოთ ხუთი დიდი კულტურული ენა, რომელთაც უპირატესობა ენიჭებათ ისტორიულად, როგორც ძირითად ლექსიკურ წყაროებს მსოფლიოს ენებისათვის და, ამავე დროს, მათში ყველაზე ნაკლებადაა შესული ნასესხები სიტყვები. ესენია: კლასიკური ჩინური, სანსკრიტი (ინდური), ბერძნული, ლათინური და არაბული.

თუ „დასავლეთ ენებზე“ უდიდესი გავლენა მოახდინა ლათინურმა, აღმოსავლეთში ანალოგიური როლი არაბულმა შეასრულა.

ენათა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ყოველ ახალ კულტურულ ტალღას, მომდინარეს გარეშე ენობრივი სინამდვილიდან, მოჰყვება ახალი ტალღა ნასესხები სიტყვებისა.

ზემოთქმულიდან ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა: უცხოური ენების ანალოზით ირკვევა ხალხთაშორისი ურთიერთობა. ზოგჯერ უყდება ეთნიკური მიმართების სიბნელით მოცული პრობლემები, — უფრო მეტად წინარეისტორიული ეთნოლოგიური ტიპებისა და კონტაქტის საკითხები, — იმ ხანისა, რომლის გამორკვევისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენათმეცნიერულ ძიებებს.

მასადაამე, ნასესხებ სიტყვათა შესწავლა რამდენადმე გასაღებია ისტორიისა, შეუქისმომფენი კაცობრიობის წარსული სოციალური და კულტურული ურთიერთობებისა.

გავლენა შეიძლება იყოს უშუალო და უშალობითი, ე. ი. ესა თუ ის სიტყვა შესაძლოა მომდინარეობდეს ამა თუ იმ ენიდან უშუალო კონტაქტის შედეგად, ანდა, თუ ეს უშუალო კონტაქტი არ არის, რომელიმე მოსაზღვრე ენის გზით. უშუალო ურთიერთობა (ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ რელიგიურ საფუძველზე) ჩვეულებრივ მყარდება გეოგრაფიულად მომიჯნავე ერთეულებთან, ეთნიკურ მეზობლებთან. შორეული ენის ელემენტები ამა თუ იმ ენის ლექსიკაში მკვიდრდება ახლობელი ენის გზით, ანდა, ყოველ შემთხვევაში, იმ ენის შემწეობით, რომელთანაც ამ ენობრივ კოლექტივს აქვს უშუალო კავშირი. ასე, მაგალითად, ქართულში გავრცელებული სიტყვა „ქონდარი“ შეედური წარმოშობისა უნდა იყოს (ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსების მიხედვით). უშუალოდ შეედეთიდან ეს სიტყვა ვერ შემოვიდოდა, რადგანაც შეედებთან ქართველებს ურთიერთობა არა ჰქონიათ. ამიტომ კვლევა-ძიება უნდა წარიმართოს სხვა მიმართულებით (მაგალითად, ხომ არა ჰქონდათ სხვა ტომებს ეს შეედურის მავგარი სახელი და იქედან ხომ არ მომდინარეობს და სხვ.).

შესაძლოა ერთი რომელიმე მოსაზღვრე ენის ლექსიკური ფორმა შემოვიდეს ენაში მეორე მოსაზღვრე ენის გზით. ასე, მაგალითად, ზოგი ბერძნული სიტყვა დანერგულია ქართულში სომხურის გზით, არაბული ენისა — სპარსულის გზით და ა. შ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ შესაძლოა ენას დაუბრუნდეს „გასესხებული“ სიტყვა. მაგალითად, XVIII საუკუნეში გერმანიაში რუსეთიდან გადავიდა გრიპოზული დაავადების (ინფლუენციის) ახალი ფორმა, რომელსაც „გრიპი“ ეწოდება. ეს სიტყვა სხვა არაფერია, თუ არა რუსული სიტყვის грипп-ის გერმანულად გადაკეთებული ფორმა. გერმანულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში Grippe (გრიპი) განმარტებულია, როგორც „რუსული ავადმყოფობა“. იქაურ კლინიკებში, ამ ავადმყოფობის ანალიზების პროცესში, დამკვიდრდა ეს სახელწოდება. შემდეგ ისევ რუსულს დაუბრუნდა ეს სიტყვა, როგორც სპეციალური სამეცნიერო-სამედიცინო ტერმინი.

ქართველურ ენებში მკვიდრია სიტყვა „სიმინდი“, მაგრამ ჭანურსა და მეგრულში თურქულიდან ნასესხებად ჩანს ამავე ცნების აღსანიშნავად „ლაზუტი“ (თავისი ვარიანტებით). გამორკვეულია, რომ ეს სიტყვა თურქულს ჩვენი ენობრივი წიალიდან აქვს ნასესხები (ნიშნავს: „ლაზების მცენარე“), შემდეგ ისევ ჩვენს ენას დაუბრუნდა ეს ტერმინი, გაფორმებული თურქული აფიქსაციით.

არსებობს ორი გზა უცხოური ლექსიკური ფორმების დამკვიდრებისა: ა) წიგნიერი (მწიგნობრული) გზა და ბ) ზეპირი, ანუ უშუალო გზა.

წიგნიერი გზა, ანუ სალიტერატურო ენის გზით შემოსული უცხო სიტყვები. ცხადია, მხოლოდ ისეთ ენებს მოეპოვებათ, რომელთაც მწიგნობრობა აქვთ. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მთარგმნელობას. უცხო ენათაგან თარგმნა კი მიუცილებელი ხვედრია ყოველი კულტურული ენისა. თარგმნის პროცესში მრავალი სიტყვა გადმოდის დედნიდან და აქედან ინერგება ენის მთელ სივრცეზე, მაგრამ არ არის გამორიცხული ასეთი შესაძლებლობა: მწერალმა იცის უცხოური ენა და გადმოაქვს კიდევაც გარკვეული ტერმინოლოგია.

არანაკლები ინტენსიურობით ვრცელდება ენაში უცხოური სიტყვები ზეპირი, ანუ უშუალო გავაგონების, პირადი ურთიერთობის გზით. ეს მეთოდი უცხოური ფორმების გადმონერგვისა ერთადერთი გზაა უმწერლობო ენებისათვის, მაგრამ მწერლობის მქონეთათვისაც არაა იგი უცხო.

ამრიგად, ზოგი უცხოური სიტყვა ვრცელდება მწიგნობრული გზით და ზოგიც ზეპირი გზით, ზოგი კიდევ ორივე გზით.

კითხვა ისმის: მოეპოვება თუ არა მეცნიერებას მეთოდები იმის გამოსარკვევად, თუ მოცემული სიტყვა რა გზითაა ნასესხები? სხვანაირად რომ ვთქვათ: ატარებს თუ არა თავად უცხოური სიტყვა მისი შემოქრის გზების ნიშნებს?

უნდა დავსახოთ ორი ხერხი ამოცნობისა: ა) აბსტრაქტული ცნებები და ე. წ. „კულტურული სიტყვები“ უმთავრესად მწიგნობრული გზით შემოდის, ბ) უნდა იქნეს გათვალისწინებული ნასესხები სიტყვის ფონეტიკურ-მორფოლოგიური სტრუქტურა.

ეს მეორე ხერხი უფრო ზუსტია. აი, ამის მაგალითი: გამორკვეულია, რომ რუსული К-Т-П არსებითად განსხვავდება ქართული კ-ტ-პ-საგან. რუსის გამოთქმაში К-Т-П უახლოვდება ქართულ კ-ტ-პ-ს კი არა, არამედ ქ-თ-ფ-ს (რუს. К-Т-П-ს ასპირაცია ახლავს).

ამ ბგერობრივი მიმართების მიხედვით: რუს. лопатка ქართულად გადმოვიდა ლაფათქა (და არა ლაპატკა). აქედან ჩანს, რომ ეს სიტყვა ქართულში გადმოსულა ზეპირი გზით (ასე რომ არ ყოფილიყო, ქართულში უნდა გვქონოდა ლაპატკა). მაგრამ ქართულშივე (დიალექტურად) დადასტურებულია ტეტრადი (тетрадь). თუ რუს. Т უდრის ქართ. თ-ს (ზემორე მაგალითისა და სხვა ნიმუშების მიხედვით), მაშინ რატომ არა გვაქვს თეთრადი; ეს იმიტომ, რომ ეს სიტყვა უშუ-

ა ლ ო დ განაგონი არ არის, მწიგნობრული გზითაა შემოსული ჩვენ-  
ში — იგი აქუსტიკური აღქმის შედეგი კი არ არის, არამედ ოპტიკუ-  
რი (ე. ი. გრაფიკული) ათვისების ნაყოფია. მაშასადამე, ნასესხები სი-  
ტყვის ფონეტიკური სახეცვლილების შესწავლა გვეხმარება მისი გად-  
მონერგვის გზების გასარკვევად.

საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ სხვა მაგალითებიც.

ქართულში გავრცელებულია ბერძნული მამაკაცთა სახელების  
ორი რიგის ფორმები:

## I

რომანოზ  
ანთიმოზ  
აპოლინარიოს

## II

ალექსანდრე  
თედორე  
პავლე  
აკაკი  
გიორგი

პირველი მწკრივი ლიტერატურული გზითაა შემოსული ქართულ-  
ში, როდესაც მთარგმნელი დედნის მძაფრი გავლენის ქვეშ იმყოფე-  
ბოდა, რადგანაც სახელის ფუძედ აღებულია ბერძნული ნომინატივის  
(სახელობითი ბრუნვის) ფორმა. მეორე მწკრივი კი ზეპირი გზითაა  
დამკვიდრებული და შემდეგ აქედან განმტკიცებული სალიტერატუ-  
რო ენაში, რადგანაც სახელის ფუძედ მიღებულია ბერძნული ვოკა-  
ტივის (წოდებითი ბრუნვის) ფორმა. და მართლაც: ბერძენი ბერძენს  
მოუწოდებდა ასე: „ალექსანდრე, ზოსიმე, აკაკი...“ (წოდებით ბრუნ-  
ვაში) და არა „ალექსანდროს, ზოსიმოს, აკაკიოს...“, რადგანაც უკა-  
ნასკნელი სახელობითი ბრუნვის ფორმებია და მოწოდების, დაძახე-  
ბის დროს ხომ წოდებით ბრუნვაში დაისმის სახელი! მაშასადამე,  
„ალექსანდრე, აკაკი...“ უშუალო გაგონების გზითაა შემოსული ბერ-  
ძენ-ქართველთა პირადი ურთიერთობის ნიადაგზე.

მაგრამ ზოგი ბერძნული მამაკაცთა სახელი ზოგიერთ ძველ ძეგლში  
ორნაირად გვხვდება: სახელობითშიც და წოდებითშიც. მაგალითად,  
აკაკიოს და აკაკი, პავლიოს და პავლე, სტეფანოზ და სტეფანე და სხვ.  
აქედან — პირველი რიგის ფორმები, ზემოთქმულის მიხედვით, ლი-

ტრატურულადა დამკვიდრებული, მეორე რიგისა — ზეპირის გზით, ოღონდ ამ მეორე რიგს გაუმარჯვია, რადგანაც იგი განმტკიცებულია ჩვენს ენაში, ხოლო ნომინატიური ფორმები აქა-იქ, კანტიკუნტად იხმარება ძველ წერილობითს ძეგლებში.

დებულების საილუსტრაციოდ გავალისწინებული ნიმუშები სრულადად საკმარისია, — თუმცა მათი რიცხვი საგრძობლად შეგვეძლო გაგვეზარდა.

### ნასახებოზის დაღვინის ხარხები

მოეპოვება თუ არა მეცნიერებას კრიტერიუმი იმის დასადგენად — სიტყვა ნასახებია თუ დედაენის ორგანული კუთვნილება?

ზოგადად შეიძლება გამოვიყენოთ ფონეტიკური და მორფოლოგიური კრიტერიუმები.

ფონეტიკური კრიტერიუმი მდგომარეობს შემდეგში.

თუ სიტყვა დედაენისთვის უჩვეულო კომპლექსებს ან ბგერებს შეიცავს, მაშასადამე, იგი უცხოურია. მაგალითად, ძველ ქართულში გვაქვს რიგი სახელები, რომლებშიც არის ჰ: ჰომი, ჰამბავი, ჰასაკი, ტომში... ეს სიტყვები არაქართულია, ჰ არ არის ორგანული ბგერა ქართული ენისა, იგი წმინდა ქართულ ძირებში არ მოიპოვება (არსებობს მხოლოდ როგორც ფორმანტი — პირის ნიშანი). ამიტომ, როცა ჰ გვხვდება ძირებში, ყველა ისინი უცხო წარმომავლობისა იქნება. და მართლაც: დროთა ვითარებაში ეს არაორგანული ბგერა იკარგება კიდევაც ამ ნასახებ სიტყვებში, ვერ ძლებს და ამჟამად ვღებულობთ: ასაკი, ამბავი...

გარდა ამისა, შესაძლოა ესა თუ ის სიტყვა ამ ენისათვის უჩვეულო ბგერათა კომპლექსებსაც შეიცავდეს.

მორფოლოგიური კრიტერიუმი შემდეგში მდგომარეობს.

სიტყვის შემადგენლობაში შესაძლებელია ვიცნოთ უცხო აფიქსები. მაგალითად, მამაკაცთა სახელებში — ანთიმოზ, აკაკიოს, აპოლინარიოს... ადვილი დასანახავია ბერძნული სუფიქსები სახელობითი ბრუნვისა. სიტყვებში: მუზე-უმ-ი, სანატორი-უმ-ი, თეზ-ის-ი, სოცი-ალ-ური, პოლიტ-იკ-ური... გამოიყოფა ისეთი სუფიქსები, რომლებიც უცხოურ ენათა კუთვნილებაა. უცხოურ მასალას ვხედავთ აგრეთვე სიტყვებში: კამ-ათ-ი, მასლა-ათ-ი, ბარ-ათ-ი, ამან-ათ-ი, სა-ათ-ი. ესენი არაბული წარმოშობის სიტყვებია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ენაში ხდება აფიქსების სესხებაც, უცხო მორფემების გამოყენება საკუთარი ძირეული მასალის გაფორმებისას. ამიტომ შესაძლოა შეცდომაში შეგვიყვანოს ამ მეთოდმა: სი-

ტყვის მატერიალური ნაწილიც მიგვაჩნევენოს უცხოდ — აფიქსის უცხოობის კვალობაზე! მაგალითად, კუჭიში: -იჰმ, რა თქმა უნდა, უცხოური სუფიქსია, მაგრამ ამის გამო ვერ ვიტყვით, ძირი კუჭ აგრეთვე უცხოური წარმოშობისააო!

ნასესხების გამოსარკვევად უაღრესად ანგარიშგასაწევია: ა) მოეპოვება მოცემულ სიტყვას „თვისტომნი“, ე. ი. ნაწარმოები ფორმები, თუ მარტოდმარტოა იგი, ერთადერთი, ბ) მოეპოვება თუ არა მას ეკვივალენტები მოძმე ენებში.

მართლაც, ჩვეულებრივ ესა თუ ის „საკუთარი ძირი“ ღრმადაა გამჯდარი ენაში — მისგან ნაწარმოები ფორმები მოეპოვება, ხოლო ახლონათესაურ ურთიერთობაში მყოფ ენებში (ან ენაში) ძირეული შესატყვისობაც არსებობს. მაგრამ ეს ორი გარემოება სავარაუდოა მხოლოდ, როგორც სიმპტომატური მომენტები, საორიენტაციო ფაქტები, თორემ ამ საბუთების სრული ნდობა ზოგჯერ შეცდომაში შეგვიყვანს: ზოგიერთ ნასესხებ სიტყვასაც ენობრივ ნიდაღვში ისე ღრმად აქვს გადგმული ფესვები (ე. ი. ნაწარმოებ ფორმებს იჩენს), რომ კაცს ეგონება, ისინი საკუთარ ენობრივ საფუძველზე ამონაყარი განშტოებანიო! არც მოძმე ენების კანონზომიერი ეკვივალენტებია ზოგჯერ მოცემული. მონათესავე ენების შედარებითი ლექსიკონის ერთ-ერთი პრინციპი გვასწავლის, რომ ენათა განვითარების სინქრონიულ ვითარებაში ძირთა კანონზომიერი შესატყვისი ფორმების მოუძებნელობა არ ნიშნავს პრინციპულად მათ არარსებობას! ან ისტორიულად მოიპოვებოდა იგი და შემდეგ დაიკარგა, ან არსებობს ამჟამადაც ენობრივ პოტენციაში, მაგრამ ისე სახეშეცვლილად, რომ ძნელდება მის ხლართებში გარკვევა, ჭირს მისი „აღმოჩენა“. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ზოგჯერ ნასესხები სიტყვაც იჩენს მოძმე ენებში კანონზომიერ შესატყვისობის ფორმებს (განსაკუთრებით მაშინ, თუ სესხება მოხდა მოცემული ჯგუფის ენათა დიფერენციაციამდის).

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ნასესხებობის კრიტერიუმების დადგენისას საჭიროა დიდი სიფრთხილე და ფაქიზი ანალიზი.

დასასრულ, აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც.

სხვადასხვა ენაში დადასტურებული ორი, თუნდაც სავსებით ერთნაირი, ფორმით და შინაარსით, ლექსიკური ფორმის არსებობა ყოველთვის არ ნიშნავს მათ იდენტობას, საერთო წარმომავლობას. ერთი გამოჩენილი მეცნიერისა არ იყოს, ენათმეცნიერებაში, ისე როგორც ცხოვრებაში, გარეგნული მსგავსება ხშირად მაცდურია, მომატყუებელი. ამის მაგალითები ეტიმოლოგიურმა ძიებებმა ბევრი იცის. ინგლისურში არსებობს სიტყვა bad, რაც ნიშნავს ცუდს. სპარსულშიც bad ცუდს ნიშნავს. ბუნებრივია, რომ ფორმით და

შინაარსით ეს აბსოლუტურად იდენტური სიტყვები მიგვეჩნია ნასესხებად, — ე. ი. ან სპარსულმა ისეხსა ინგლისურიდან, ან — პირიქით, ან კიდევ შესაძლოა რომელიმე ენიდან შევიდა იგი ორსავე ენაში. მით უმეტეს, რომ ინგლისური და სპარსული ერთი ლინგვისტური მოდგმის ენებია! მაგრამ ვიდრე ამ დასკვნამდის მივიდოდეთ, ენათმეცნიერის მოვალეობაა, გამოარკვიოს — საითაოდ — როგორც ინგლისური, ისე სპარსული bad-ის ისტორია. ჩვენ ვიცი, რომ, საზოგადოდ, ჩვენამდის მოღწეული სიტყვები იმთავითვე ამ სახით არ არსებობდნენ, არამედ გარკვეული ფონეტიკური და სემანტიკური ევოლუცია გაიარეს. და მართლაც: სულ სხვა წარმოშობის აღმოჩნდა ინგლისური bad და სულ სხვა — სპარსული bad! სხვანაირად რომ ვთქვათ, ცნება ცუდის აღსანიშნავად ინგლისურს და სპარსულს გენეტურად ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ძირები გააჩნდა. ფორმათა ევოლუციის შედეგად როგორც ინგლისურში, ისევე სპარსულში მივიღეთ bad, ე. ი. ფორმა შემთხვევით და მსგავსებული ერთმანეთთან ამყამად, მაგრამ ფაქტობრივად სულ სხვადასხვა წარმოშობისა! რა თქმა უნდა, ამის ძალით bad-ს ნასესხებად ვერ მივიჩნევთ.

ასევე სხვადასხვაა გენეტურად, მაგალ., გერმანული Feuer (ცეცხლი) და ფრანგული feu (ცეცხლი). ქართულში კალნაბი ეწოდება კომბოსტოლს. იგი შესაძლოა მიგვეჩნია სომხური კალამბ-ის მონათესავედ, ესეც, საერთოდ, კომბოსტოს ნიშნავს, მაგრამ, ივ. ჯავახიშვილის ეტიმოლოგიური ძიებით, ამ ტერმინს არაფერი აქვს საერთო მსგავს სომხურ სიტყვასთან.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა: როდესაც სხვადასხვა ენაში ერთი და იმავე ცნების (ან მონათესავე ცნებების) აღსანიშნავად მოიპოვება გარეგნულად ერთი და იგივე, ან მსგავსი ლექსიკური მასალა, იმის გამოსარკვევად, სესხებასთან გვაქვს თუ არა საქმე, საჭიროა ჯერ დადგინოთ იქნეს ამ შესაძარებელი ერთეულების გენეზისი, ისტორია, და თუ გამოირკვეა მათი სხვადასხვა წარმომავლობა, მაშინ ეა გარეგნული მსგავსება ჩვენთვის არაფრის მთქმელი იქნება.

#### რა მატყველების ნაწილს სისხულოცს ენა

პრინციპულად დასაშვებია, რომ ენამ ისეხსოს ესა თუ ის მეტყველების ნაწილი. ჩვეულებრივია სახელის სესხება, — არცთუ იშვიათია ზმნის სესხებაც.

ნასესხები სიტყვები იზღუდებენ ენაში, ებმებიან დედაენის ორგანულ სიტყვათა საერთო ანსამბლში. მაგრამ სიტყვები თანაბარ უფლე-



ბას როდი პოულობენ ახალ სამყაროში. ერთი რიგი უცხოური სიტყვები ღრმად იჭრებიან ენის ორგანიზმში, ორგანული ხდებიან. ამ ტიპის ლექსიკური ერთეული იჩენს ნაწარმოებ სახელებს, ნასახელარ ზმნებს, თვისტომთ, მკვიდრდება ტოპონიმოკურ ტერმინადაც და, ასე ამგვარად, ხდება ათვისებული და მონელებული დედაენის ლექსიკონის განვითარების ლოგიკის ძალით.

მეორე რიგის სიტყვები კი ასე ფართოდ ვერ იკალათებენ „ადგილობრივ“ ლექსიკონში, ე. ი. თავის ძირისაგან პარალელურ ფორმებს ვერ ავითარებენ, განმარტოებულად ტივტივებენ ლექსიკონის ზედაპირზე და მის სიღრმეში ვერ ეშვებიან.

ჩვეულებრივ ხდება სესხება სახელისა მხოლოდით რიცხვში, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც უცხოური სიტყვა გადმოსულია მრავლობითი რიცხვის ფორმითაც; მრავლობითობის გამომხატველი აფიქსი არაა გააზრებული, როგორც ფორმალური ელემენტი, იგი გაგებულია ძირის კუთვნილებად. მაგალითად, რუსულში рельс წარმოდგება ინგლისური სიტყვისაგან rails, რომელიც მრავლობითი რიცხვის ფორმაა. მხოლოდითია rail. მაშასადამე, რუსულს საფუძვლად აუღია მრავლობითი რიცხვი, ნაცვლად მხოლოდითისა. რუს. грамота მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან γραμματα, რომელიც მრავლობითი რიცხვის ფორმაა. ქართულში სპარსულიდან ნასესხებია ბანოვანი (საპატიო ქალი, მანდილოსანი). სპარსულში ეგ სიტყვა იხმარება ასე: ბანუ, — მისი მრავლობითია ბანოვან. ქართულს საფუძვლად აუღია სწორედ ეს მრავლობითი ფორმა. ამიტომ ქართულში რომ ვიტყვი: „ბანოვანი“ ან „ბანოვანები“, მრავლობითის ორგვარი სუფიქსი ეხამება ერთმანეთს: ერთი სპარსული (რომელიც ქართულად არ აღიქმის) და მეორე ქართული. მაშასადამე, ქართველის გრამატიკულ ცნობიერებაში ბანოვანი მხოლოდითად გაიგება.

ზმნის სესხების ნიმუშად დავასახელებთ ერთ მაგალითს. რაჭის მთიან ნაწილში (დები—ჭიორა—გლოლა) ფეხმოდგმულია ნახშობა (ვნახშობ, ნახშობ, ნახშობს), ნიშნავს ლაპარაკს. ეს სიტყვა ოსური წარმოშობისაა.

### ნასესხები სიტყვიანის ფონეტიკური სახეცვლილება

იმ რიგის ნასესხები სიტყვა, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო „საბოლოოდ“ შეეხიზნება ენას და ხდება ლექსიკონის განუყოფელი. ორგანული ერთეული, დამორჩილებულია ამ ახალი ენობრივი სამყაროს ფონეტიკურ კანონზომიერებას. ახალ სიტყვას ისევე ეპყრობა ენა, როგორც საკუთარს და ამის შედეგია მისი ფონეტიკური გარ-

სის მოდიფიკაცია: ფონეტიკური პროცესები, რომლებიც მოქმედია ამ ენის მთელ სივრცეზე, ვრცელდება ახლადდაშკვიდრებულ სიტყვაზეც; უცხოური სიტყვა ან ვერ მოიკიდებს ფეხს ახალ ლინგვისტურ გარემოში, ანდა ჩაებმება საერთო ფერხულში, როგორც სრულუფლებიანი წევრი საკუთარ სიტყვათა ფონდისა. ამის საწინდარია მისი ფესვების ფართოდ გადგმა ენობრივ ნიადაგში და მტკიცედ დამკვიდრება. თითოეულ ენაში თავისებურია წესი უცხოური სიტყვის ფონეტიკური სახეცვლილებისა, შეფარდებული მთლიანად და სავსებით ამ ენის ფონეტიკური სისტემის სპეციფიკასთან. მაგალითად, ქართული ენისათვის აუტანელია ერთნაირი თანხმოვნების კომპლექსები და ამიტომ ადვილი აქვს გამარტივებას („ნოველა“ და არა „ნოველა“, „მესია“ და არა „მესისა“, „გრამატიკა“ და არა „გრამმატიკა“ და ა. შ.), ხოლო, მაგალითად, რუსულისათვის ეს კანონი არაა მოქმედი. ადვილია მრავალი ასეთი საპირისპირო მოვლენის დასახელება.

უნდა ვიცოდეთ, რომ უცხოური სიტყვის „ფონეტიკური ნათლისღება“ არ ხდება ერთბაშად, მისი შემოსვლის პირველ დღეებშივე. მაგალითად, ქართულმა ითმინა ერთხანს ორი ერთნაირი თანხმოვანი ერთად, მაგალითად, სიტყვები: ეკლესია, ღრამმატიკა და სხვა (ბერძნულიდან). მაგრამ საბოლოოდ მაინც „მოახვია“ სიტყვას თავისი კანონზომიერება (შემდეგ მივიღეთ: ეკლესია, გრამმატიკა და ა. შ.).

კიდევ ერთი მაგალითი: უცხოურ სიტყვას თავიდანვე არ შემოჰყვება ახალი ენობრივი სამყაროსათვის უჩვეულო ბგერები ან ბგერითი კომპლექსები, ანდა, თუ შემოჰყვება — დროებით. მართლაც: სიტყვებში „ჰასაკი“, „ჰამბავი“, „აბრაჰამი“ ქართულისათვის არაორგანული ბგერა ჰ ერთხანს დარჩა, მაგრამ შემდეგ უკვალოდ დაიკარგა.

ფონეტიკური სახეცვალება დროთა ვითარებაში ისე შორს მიდის, რომ ხშირად ვერ იცნობ უცხოურ სიტყვას, ძნელი დასაჯერებელი ხდება პირველადი და სახეცვლილი ფორმის ერთმანეთთან დაკავშირება. მაგალითად, ქართულში დიალექტურად (გურულში, აჭარულში) არის სიტყვა პწკალა, ნიშნავს კიბეს. ლინგვისტური ძიებით მივდივართ ლათინურ სიტყვასთან სკალა (კიბე). მაშასადამე, ქართული პწკალა ლათინური სკალა სიტყვის სახენაცვალი ფორმაა. განსხვავება ადვილად შეიმჩნევა.

ამ ფონეტიკური ცვლილებების წყალობით რთულდება ენათმეცნიერული ძიება. უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგმა ნასესხებმა სიტყვამ ისე იცვალა სახე, რომ სამუდამოდ იჭრება გზა მისი წარმომავლობის დადგენისა. ამიტომ, უნებურად ასეთი პარადოქსი უნდა გამოითქვას: პირობითია ამა თუ იმ სიტყვის ჩათვლა ორიგინალურად. უმეტესად ეს ეხება ისეთი რიგის სიტყვებს, რომელნიც ყრულ გვაგრძნობინებს

უცხოურობას და საამისოდ საბუთები კი არა გვაქვს. ვინ იცის, რამდენი ძირი ლექსიკონის ორიგინალური ფონდიდან ნამდვილად უცხოური წრის ფენისაა, აგრერიგად რომ შეცვლილა ჟამთა ვითარებაში!

#### ნასესხები სიტყვის სემანტიკური სახეცვალება

წინა მუხლში დავრწმუნდით, რომ ნასესხებ სიტყვას ენა ეპყრობა, როგორც საკუთარ ფორმას და დროთა ვითარებაში უმორჩილებს თავის ფონეტიკურ წესებს, ცვლის მას ფონეტიკურად. მაგრამ ეს სიტყვის მარტოდენ გარეგნულ მხარეს როდი შეეხება. შემოსულ ლექსიკურ ფორმას „თავის ნებაზე“ ეპყრობა ენა სემანტიკის. შინაარსის მხრივაც. დროთა ვითარებაში ან დაეწროვდება სიტყვის მნიშვნელობა. ან გაფართოვდება, ან „სემასიური გადახრა“ შეემთხვევა და სხვ. ამ დებულების ძალით, ნასესხები სიტყვის შინაარსობრივი სახეცვალება ემორჩილება ენაში მოქმედ სემანტიკის საზოგადო პრინციპებს.

აქ დავსახელებთ ორიოდ ნიმუშს. არაბულად ლამამა ნიშნავს მაცდუნებელს, ბორბოტ მოენეს, ქართულში მან მიიღო შემდეგი მნიშვნელობა: თვალთმაქცი, მომხიბლავი გარეგნობის, ჯადოსნური ადამიანი; სიტურფით თვალთმაქცი (იხ. „ვეფხისტყაოსანი“). შემდეგ კი მიიღო ის მნიშვნელობა, რომელიც ყველასათვის ცნობილია დღეს. თურქულში იატაგ ნიშნავს საწოლს. ტახტს. საცხოვრებელს. თავშესაფარს, ღამისგასათევ სადგურს. ქართულში იატაკის მნიშვნელობა საგრძნობლად შეცვლილია.

#### სისხების საერთო მიჯნავი და შეღებავი

რომ შევადაროთ ერთმანეთს ენები, თუნდაც კულტურულად თანაბარდებულნიან. ცნებათა და სიტყვათა მარაგის მიხედვით. მათ შორის განსხვავება აღმოჩნდება: ამ შესადარებელ ირთეულოთაგან შესაძლოა ერთს არ მოეპოვება რომელიმე x ცნების აღმნიშვნელი სიტყვა, ხოლო მეორეს ეს აქვს, — მაგრამ, მეორე მხრით, ამ მეორე ენას შესაძლოა რომელიმე y ცნების სიტყვიერი ფორმა მოეპოვება და პირველის ენობრივი სინამდვილისათვის იგი უცხოა. ეს ნაკლებობა შესამჩნევი ზდება განსაკუთრებით თარგმნის დროს. მაშასადამე, აბსოლუტურად სრულყოფილი ენა, რომელსაც ყოველი ცნებისათვის ყოველი ცალკეული საკუთარი სიტყვა გააჩნდეს, არ არსებობს. აქ, რა თქმა

უნდა, ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ამ მხრივ მეტ-ნაკლებობა პირდაპირპროპორციულია ამა თუ იმ ენის კულტურულ პრესტიჟთან. ამიტომ ბუნებრივია, რომ არსებობს შინაგანი აუცილებლობა ურთიერთსესხებისა. სიტყვის სესხება პირობადებულია ენის საზოგადო ლინგვისტური ბუნებით.

ძირითადად ორგვარია მიზეზი სიტყვის სესხებისა: 1) საჭიროება და 2) იძულება, თავზე მოხვევა.

გავარჩიოთ ისინი ცალ-ცალკე.

ყოველი ენა საჭიროებს უცხო ლექსიკური მასალის გამოყენებას. ეს საჭიროება გამოწვეულია ა) შინაგანი ლექსიკური ხარვეზის შესავსებად. ყოველი ენის ზედრია ეს „უკმარისობა“, მაგრამ ამ მხრივ ენათა შორის უდიდესი განსხვავებაა: კულტურულ ენობრივ სამყაროს იგი ნაკლებად შეეხება, „უკულტურო ენას“ — მაქსიმალურად. საამისო ფაქტების დიდი პროცენტი აბსტრაქტულ ცნებებზე მოდის, რითაც მდიდარია ცივილიზებული ენობრივი კოლექტივი და ღარიბი — კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომი ენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განყენებულ (და არა მართოდენ განყენებულ) ცნებათა შექმნისათვის დიდი ფაქტორია ტერმინის გამომუშავება უცხოური ენის „სემანტიკური გავლენის“ წყალობით. ამის შედეგად ვლენობობთ ტერმინს, რომელიც მასალობრივად კი არაა ნასესხები, არამედ ცნების აგების პრინციპითაა უცხო: ბ) უცხოური ენობრივი კოლექტივიდან ცნების (შესაბამისად — საგნის) შემოსვლას მოჰყვება სახელწოდებაც. სიტყვიერი გაფორმებაც: *rem verba sequuntur* (სიტყვები მოჰყვებიან საგნებს). ეს პროცესი მიმდინარეობს ერთი ხალხის მეორე ხალხზე კულტურულ-ისტორიული ზემოქმედების ნიშნის ქვეშ; ე. წ. „კულტურული სიტყვების“ სესხება ამის ნაყოფია. ასე, მაგალითად, როდესაც ჩრდილოეთ ევროპის ძველმა გერმანელმა ტომებმა დაამყარეს კონტაქტი რომაელებთან და ნახეს ქუჩები, ბუნებრივია, ისესხებდნენ საამისო ლათინურ ტერმინოლოგიას.

ქვის კედლის ცნების აღსანიშნავად მონათესავე ძირის სიტყვები აქვთ ირლანდიურს, ძვ. ზემოგერმანულს, ხორუტანულს, პოლონურს, ლიტვიურს და სხვ. ეს ერთი ძირის სიტყვები მომდინარეობენ ლათინური ენიდან. აქედან ასკვნიან, რომ რომაელთაგან ისწავლეს ჩრდ. ევროპელებმა ჭკის ნაგებობათა ხელოვნება. ლათინურ სიტყვას *mina* ბერძნული „მინა“-ს გზით მიეყავართ ებრაულ-ასირიულ ენამდის. აქედანვე წარმოიშობიან ეგვიპტური და სანსკრიტული ფორმები. თავის მხრივ ამ ებრაულ-ასირიულ ფორმას მიეყავართ იმ ხალხის ენამდის, რომელიც ბინადრობდა ბაბილონში სემიტების დამკვიდრებამდის. ეს გრძელი ლინგვისტური ჯაჭვი კი გვიჩვენებს, საიდან და რა გზებით

მოდლოდნენ უხსოვარი დროიდან ამ სიტყვებით გადმოცემული საგნები — სასწორი და საზომი.

სიტყვის სესხება არ განისაზღვრება მარტოდენ საჭიროებით, ცნების სესხების შედეგად. შესაძლოა საგანი ანუ ცნება ნაცნობი იყოს, სათანადო სიტყვიერი ფორმაც არსებობდეს, მაგრამ ენა მაინც სესხულობდეს უცხოურ სახელწოდებას.

მაშასადამე, ჩვენ მეორე ძირითადი მიზეზის გარკვევის წინაშე ვდგავართ.

სიტყვათა სესხება, მიუხედავად არააუცილებლობისა. ხოვბა უჩუური ენის ინტენსიური დაწოლის პირობებში. სახელდობრ, ეს ის პირობებია, როდესაც ერთი ენობრივი კოლექტივი ძლიერ გავლენას ახდენს მეორეზე პოლიტიკური ან კულტურული უპირატესობა-ზემოქმედების წყალობით. თუ ეს ჰეგემონია მხოლოდ პოლიტიკურ სფეროშია, ხოლო კულტურული დონე დამპყრობელი ერთეულისა დაბალია დაპყრობილისაზე, მაშინ სესხება უმთავრესად ზეპირი, პირადი ურთიერთობის გზით მიმდინარეობს. ეს გასაგებია: მთარგმნელობითი მუშაობა ამ პირობებში არაა გაჩაღებული, კულტურული გავლენა ან სრულიად არ არის, ან თუ არის, სუსტად. კულტურული ტერმინების დარგში აღსანიშნავია მხოლოდ სამოხელეო-ადმინისტრაციული ტერმინოლოგიის სესხება. გარკვეულ ნაწილს ზეპირი გზით შემოსული სიტყვების ფონდიდან გართავითარებაში ეძლევა ლიტერატურული გამოხატულება; საჭიროებისამებრ ეს სიტყვები იკალათებენ ლიტერატურული ენის ლექსიკონში.

თუ ჰეგემონია კულტურის სფეროშია (ან, როგორც კულტურის, ისე პოლიტიკისა), მაშინ ტალღა ნასესხები სიტყვებისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ლიტერატურის გზით მოდის. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არაა გამორიცხული ზეპირი გზაც, თუკი მოცემული ერთეულის წარმომადგენლებს პირადი ურთიერთობა აქვთ დამყარებული: ასეთი იყო, მაგალითად, ქართულ-ბერძნულის, ქართულ-სპარსულის, ქართულ-არაბულის მიმართება.

მთარგმნელობითი პროცედურა შინაგანი აუცილებლობით გულისხმობს უცხოური ფორმის შემოჭრას ენაში. ან ა) მთარგმნელისდა უნებლიეთ გადმოვა სიტყვა თარგმანში, ანდა ბ) საკუთარ ენაში ეკვივალენტი არ მოიძებნება და, მაშასადამე, საჭიროებითაა გამართლებული უცხოური სიტყვა. ან კიდევ გ) შევნებულად გადმონერგავს მთარგმნელი ამა თუ იმ სიტყვას თავის თარგმანში იმისდა მიუხედავად, რომ სათანადო ფორმის შესატყვისი დედაენაში მოიპოვება.

მჭიდრო ლიტერატურული, სამეცნიერო, საზოგადო — კულტურული დამოკიდებულება ერთი ეთნიკური კოლექტივისა მეორესთან — საწინდარია სიტყვათა განუწყვეტელი დინებისა, საჭიროებისადა

მიუხედავად ამ სიტუაციაში ეს უცხო ენა გამოდის კულტურული კანონმდებლის როლში, ერთგვარ მოდადაა ქვეყნული მისი ლექსიკონი; გამკლენელი ხალხის კაზმული სიტყვიერების ნორმები ლიტერატურული ენარების გადმონერგვის ტენდენციით მიბადვის საგნადაა ქვეყნული. ლიტერატურული სტილის შინაგანი საჭიროებაცაა უცხოური სიტყვიერი მასალის გამოყენება საკუთარი ენის ეკვივალენტთან ერთად.

უცხოური სიტყვისა და მისი „დამხედური“ ეკვივალენტის ერთობლიობა ქმნის სინონიმებს.

ენები უხვად იძლევიან ჩვენი დებულების დამამტკიცებელ საბუთებს. მაგალითი უხეოდ ქალთა სახელწოდებათა სფეროდან: სათანადო ფინიკიურ-ებრაული სიტყვა გადავიდა ბერძნულში, აქედან ლათინურში, ბერძნულიდან სომხურში და ა. შ. ფინელებმა ისესხეს ამგვარი საექვო რეპუტაციის ქალთა აღმნიშვნელი, ასე გასინჯეთ, სამი სახელწოდება, შრადერის მოსწრებული შენიშვნისა არ იყოს, ამ სესხების მიხედვით რომ დაგვესკვნა, თითქოს იმ ხალხთა ცხოვრებაში, რომელთაც ასეთი სიტყვები ისესხეს, სესხებამდე არ იყო გავრცელებული უხეოდ სქესობრივი ურთიერთობანი, ისეთივე აბსურდი იქნებოდა; ვინმეს რომ დაეწყო მტკიცება — გერმანელებს არ ჰყავდათ ცუდი ყოფაქცევის ქალები, სანამ არ გაიგეს და არ ისესხეს შესაბამისი ფრანგული სიტყვა...

შეადარე უცხოური და ქართული თანაბარმნიშვნელობის სიტყვები:

**ქართული:**

სატევარი

ფიცი

ყმა

მომღერალი

**უცხოური:**

ხანჯალი

ზენაარი

ჭაბუკი

მუტრიბი

მეორე წყების სიტყვები შემოვიდა უცხოური ენობრივი სინამდვილიდან, იმისდა მიუხედავად, რომ ცნების შესატყვისი სახელწოდებანი ქართულს გააჩნდა (I წყება).

ამასთან დაკავშირებით უნდა ვიცოდეთ, რომ შესაძლოა უცხოური სიტყვის ბადლად, სინონიმად საკუთარი სიტყვა კი არ მოეპოვებოდეს ენას, არამედ უცხოური სიტყვაც, ოღონდ სხვა ენიდან მომავალი. ინგლისურში, მაგალითად, იმდენად მოზღვავებულია სხვადასხვა ენიდან მომდინარე ერთი და იმავე ცნების აღმნიშვნელი სიტყვები (სინონიმები), რომ, როგორც ერთი მეცნიერი ამბობს, შეიძლება დაიწეროს ინგლისურად წიგნი, რომელშიც არ იქნება ლათინურ-ფრანგულ-

ლი სიტყვები და იქნება გამოყენებული მხოლოდ გერმანული ფენის მასალა, და პირიქით: შეიძლება დაიწეროს წიგნი მხოლოდ ლათინურ-ფრანგულიდან ნასესხები ფორმების საფუძველზე, გერმანული სინონიმური მასალის უგულვებლყოფით.

ქართულშიც ვადასტურებთ სხვადასხვა ენათაგან მომდინარე სინონიმებს. შეადარე, მაგალითად, ბერძნული ლექსი და სპარსული შ ა ი რ ი.

ერთი ენიდანაც მოდის ზოგჯერ ერთი და იმავე ცნების აღმნიშვნელი ორი (ან მეტი) სხვადასხვა ფონეტიკური მასალის სიტყვა.

რა მიმართება მყარდება უცხოურ სიტყვასა და შინაარსობრივად მის შესაბამის საკუთარ სიტყვას შორის?

სამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე:

ა) უცხოური ტერმინი შეავიწროებს და განდევნის სიტყვახმარებიდან „დამხვედურ“ სიტყვას. ამის შედეგია, რომ მეცნიერებას არა აქვს შესაძლებლობა იცოდეს, ჰქონდა თუ არა ენას ოდესმე მოცემული (უცხოური) სიტყვის საკუთარი ლექსიკური ეკვივალენტი. თუ ენას ისტორიული მწიგნობრობა გააჩნია, შესაძლოა აღმოვაჩინოთ კვალი შემდეგ დაკარგული სიტყვისა. ასე, მაგალითად, არაბულ-სპარსულიდან ნასესხებმა სიტყვამ — ხ ა ნ ჯ ა ლ ი თითქმის მოსპო ქართული სახელწოდება სა ტ ე ვ ა რ ი, ხოლო მთლად შთანთქა ამავე ცნების მეორე სახელწოდება ყ ე ლ ე. სპარსულიდან შემოსულმა სიტყვამ — პ ა ს უ ხ ი განდევნა ქართული ს ი ტ ყ ვ ი ს გ ე ბ ა, ბერძნულმა სიტყვამ — მ ა რ ტ ვ ი ლ ი ქართული მოწამე და ა. შ. ცნობილია, თუ როგორ განდევნა ლათინურმა ტერმინოლოგიამ ქართული საკალენდარო სისტემის ძველი ტერმინოლოგია:

ბ) შესაძლოა „დამხვედური“ სიტყვა დარჩეს სიტყვახმარებაში ნასესხებთან ერთად სინონიმურად. მაგალ. (არაბ.) ხ ო ტ ბ ა — (ქართ.) ქ ე ბ ა. შ ე ს ხ მ ა ;

გ) არაიშვიათია, როდესაც ორივე ენის სიტყვა იქნება შენარჩუნებული, მაგრამ როლები განაწილდება; შინაარსობრივი დიფერენციაცია გამოუმუშავდება; — მაშასადამე, სემანტიკური ნიუანსებით გამოიჩნებიან ერთმანეთს თავიდანვე ერთმნიშვნელოვანი სიტყვები. მაგალითად, უცხოური ო მ ი ს შემოსვლით ქართულ ეკვივალენტს — ჩ ხ უ ბ ი საგანგებო მნიშვნელობა მიეჩინა: იგი აღნიშნავს გარკვეულ ანტაგონისტურ ურთიერთობას, რომელიც არაორგანიზებული, არასახელმწიფოებრივი ხასიათისაა, მაშინ როდესაც ო მ ი ქვეყნებს შორის ხდება. ჩ ხ უ ბ ი ს ძველი მნიშვნელობა შემონახულია დასავლეთ საქართველოში. იგი ო მ ი ს მნიშვნელობითაც იხმარება. აი დამახასიათებელი ფრაზები: „ჩხუბი დეიწყო“, „ჩხუბში წივედი“, „იაპონიამ რომ ჩხუბი დეიწყო“ და სხვ.

დასასრულ ისიც უნდა დავსძინოთ, რომ არაა სავალდებულო დარჩეს ენაში უცხოური სიტყვა სამუდამოდ. ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვა ლექსიკური წრიდან შემოსული სიტყვა ვერ იკიდებს ფეხს ეროვნულ ლექსიკონში. თუ ასეთი რამ არალიტერატურული გზითაა შემოსული, იგი ქრება უკვალოდ, ხოლო თუ ლიტერატურული გზით, აგრეთვე ქრება, ოღონდ რჩება კი ლიტერატურულ ძეგლში, როგორც მკვდარი ფორმა, რომელსაც ყველა ნიშნით ეტყობა, რომ უღდეური და გაუძღისი ყოფილა ახალ ენობრივ სამყაროში. ძველ ქართულში აქა-იქ იხმარება ბერძნული ევანგელე. მაგალითად, შუშანიკის მარტილობაში ვკითხულობთ: „აღდგა წმიდაჲ და ნეტარი შუშანიკ და თანა წარიტანა ევანგელეჲ თვისი...“ გვხვდება სხვაგანაც. მაგრამ ამ სიტყვამ ვერ მოიპოვა მოქალაქეობრიობა და ვერ შთანთქა ძველი ქართული სიტყვა სახარება.

მრავლის მრავალია ძეგლებში ისეთი უცხოური სიტყვები, რომელთა ხმარება განისაზღვრება მარტოოდენ მოცემული ძეგლის ენით, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მეტად ვიწროა რკალი მათი გავრცელები-სა. ეს ეხება უწინარესად თარგმნითი ხასიათის თხზულებებს. ეს გასაგებიცაა: ზოგიერთი მთარგმნელი დედნის გავლენის ქვეშაა, უნებლიეთ შემოეპარება უცხოური ტერმინი, ან კიდევ შეგნებულად გადმოიტანს მას, საკუთარი გემოვნების მიხედვით. ამ წესით გადმონერგილი სიტყვა ვერ გაიხარებს ახალ ლექსიკურ ნიადაგში და იგი ძველი წერილობითი ძეგლების ფურცლებიდან გამოიყურება, როგორც გამხმარი ფესვები გაუხარელი ნაყოფისა.

#### სმსხმზის სხვადასხვა ხარისხი

ზემოთ ვთქვით, რომ კულტურულად მალლა მდგომი ენაც სესხულობს დაბლა მდგომისაგან სიტყვებს ცნების სესხების შესაბამისად. მაშასადამე, ცნების სესხების მიუცილებლობა უსაფუძვლდება და ამართლებს სათანადო სიტყვის სესხების ფაქტს. საჭიროებით დეტერმინებული სესხები გარდუვალი ბედია ყოველი ენის ლექსიკონისა. სესხების მეორე გზა — უცხოური ენის ძლიერი „ლექსიკური დაწოლა“ არ არის გარდაუვალი: პრინციპულად არაა აუცილებელი ენათა ლექსიკონების უინტიმესად ახლო ურთიერთშეხება.

უცხოური ლექსიკური მასალის ჭარბი სესხება არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მოვლენად „მიმღები“ ენის განვითარებისათვის. სესხების ეს სიუხვე გარეგნულად ენის გამამდიდრებელ საშუალებად გვეჩვენება, არსებითად კი მისი შინაგანი ევოლუციის შემაფერხებელი მოვლენაა. და მართლაც: გარეშე ლექსიკური დაწოლის შემთხვევაში



ენა „სხვა ენის ხარჯზე“ მიდის, მზამზარეულად დებულობს უცხო სინამდვილეში წარმოქმნილ ლინგვისტურ ღირებულებებს, და თუ ეს პროცესი ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, ამით აღუწებს იგი საკუთარ წესაძლებლობებს, ასუსტებს თავის ლექსიკურ ენერგიას, ვერ იყენებს თავისი ენობრივი სინამდვილის მასალას. ყოველი ენის პოტენციურ ენერგიაში ჩამარბულია დიდი შესაძლებლობანი გრამატიკისა და სემანტიკის ევოლუციის ხაზით, ხოლო უცხოური სიტყვების მომძლავრებული დინება ხელს უშლის ამ შესაძლებლობათა რეალიზაციას.

ენები, ბუნებრივია, არ წარმოადგენენ ტოლფას ღირებულებებს თავიანთი ლინგვისტური შესაძლებლობით. მაგალითად, ავილოთ, ერთი მხრივ. რუსული ენა, ენა დიდი კულტურისა, და დალისტინის რომელიმე ენა, მეორე მხრივ, ენა კულტურულად უტრადიციო, რომელსაც მწიგნობრობა შეექმნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ამ ორ ენას განვითარების მხრივ. რა თქმა უნდა, ერთ სიბრტყეზე ვერ დავყენებთ. ამგვარად, მსოფლიოს ენათა შორის „სიმდიდრის“ მხრივ განსხვავებაა. ამ სრულიად უბრალო დებულების ხაზგასმა შემდეგი დებულების წარმოსაყენებლად გვეჭირდება: ენათა პოტენციური ღირებულების სხვადასხვაობა საფუძველია სესხების ხარისხის სხვადასხვაობისა, სესხებისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებისა. მაგალითად, არაბული ლექსიკონის სიმდიდრე; კერძოდ, მისი სინონიმების აურაცხელობა, მწირ ნიადაგს ქმნის უცხოური ფორმების შეჭრისათვის: უცხოურ ცნებას ადვილად „მიესაკუთრება“ რომელიმე ერთეული სინონიმთა არსებული პასაჟიდან აზრობრივი შეფარდების გზით. ბერძნები ისტორიულად დავალებული არიან კულტურის სფეროში აღმოსავლეთისაგან, მაგალ., სემიტებისაგან, მაგრამ მათგან, პროფესორ მიულერის გამოანგარიშებით, მხოლოდ 100 სიტყვა იესხეს. ძირითადად კი ხდებოდა საკუთარი მარაგის გამოყენება.

წამოყენებული დებულების მეორე მხარე ეს იქნება: სესხების ხარისხი თავის მხრივ მაჩვენებელია მოცემული ენის შინაგანი ღირებულებისა. აქედან დასკვნა: სესხება და ენის ბუნება კორელაციური ცნებებია.

ცივილიზებული (ე. ი. მწერლობის მქონე) ენა თავის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვაგვარ აღქმადობას იჩენს უცხოური სიტყვებისას. სხვანაირად რომ ვთქვათ, სალიტერატურო ენა თავის ევოლუციის მანძილზე არ ავლენს გარეშე ლექსიკური სინამდვილიდან მომდინარე მასალის თანაბარამთვისებლობის უნარს. რამდენადაც უფრო ძლიერია და ტრადიციული სალიტერატურო ენა, იმდენად იგი მანიშნებელია საკუთარი ლექსიკონის მაღალი დონისა და ამდენადვე მტკიცე ბარიერს ქმნის უცხოური სიტყვების დინების საწი-

ნააღმდეგოდ. სალიტერატურო ენის გაძლიერება და გამდიდრება ხელსაყრელ პირობებს ქმნის უცხოური ფორმების დანერგვისათვის. გარკვეული ფსიქოლოგიური წინააღმდეგობის გამოსამუშაველად.

მომასაღამე, მომწიფებული სალიტერატურო ენა ენერგიულად იცავს თავის პრესტიჟს და უცხოურ სიტყვებს ადვილად არ უღებს კარებს მშობლიურ ლექსიკონში. უცხოურ ცნებათა გადმონერგვისათვის ძირითადი საკომპენსაციო საშუალება, როგორც ზემოთ ვთქვით, საკუთარი მასალის გამოყენებაა.

ხოლო როდესაც სალიტერატურო ენას საუკუნეობრივი ისტორია არა აქვს, ჯერ კიდევ იგი ქმნადობა-ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება, არ არის გამოუმუშავებული იმუნიტეტი უცხოური ლექსიკური მასალის საწინააღმდეგოდ, ესე იგი ენას არ ძალუძს თავისი ლექსიკონის წიაღში წარმოქმნილი ტიპების რეალიზაცია, ნაცვლად ნასესხები ფორმებისა. ახლად ფეხადგმული, ან ჯერ კიდევ წელგაუმართავი სალიტერატურო ენა ხარბად შთანთქავს სხვა ენობრივ სამყაროს ლექსიკურ საკუთრებებს, მაშინ როდესაც ჩამოყალიბებული და შედარებით სრულყოფილი სალიტერატურო ენა იმანენტურად იმუშავებს საამისო საწინააღმდეგო თვისებებს, მაქსიმალურად ავიწროებს რკალს ნასესხები სიტყვებისას.

ჭარბი სესხებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ერთ-ერთ ყურადსაღებ მიზეზად უნდა მთვინიოთ მოცემული ენის თვალსაზრისით სტრუქტურული თავისებურება და მეტყველების ფსიქოლოგიის ნიშანდობლივობა, საერთოდ სპეციფიკა ამ „ენის სულისა“ — იმ ენობრივ ორგანიზმთან შეპირისპირებით, საიდანაც შემოდიან სიტყვები. ამ კუთხითაც უნდა იქნეს შეფასებულ-აზნისილი, მაგალითად, არაბულის ან ბერძნულის შედარებით ნაკლებდქმადობის უნარი უცხოური ლექსიკური მასალის მიმართ. ვიმეორებთ, ანგარიშგასაწევია სესხების თვალსაზრისით თავისებურება, და ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ ამოსავალია ტიპოლოგიური სხვადასხვაობა ენებისა საერთოდ. მაგალითად, თურქული სხვა სისტემის ენაა, მაგრამ მას ჭარბად უსესხებია არაბულ-სპარსული ელემენტები: წამოყენებული თეზისი ვარაუდობს უცხოური ენობრივი ელემენტების ათვისების მხრივ სხვადასხვაობას ენებისას, რისი მიზეზებიც ჩამარხულია ენათა შინაგან ლინგვისტურ ზუნებაში, მიუხედავად მათი სისტემობრივი დიფერენციაციისა.

ამის მიხედვით, არ გავვიკვირდება, რომ, მაგალითად, სპარსულში მოზღვავებულია არაბული ელემენტები, იმისდა მიუხედავად, რომ ეს

ორი ენა სხვადასხვა ოჯახის ენებია, — მაგრამ, მეორე მხრივ, არაპუ-  
ლი რომ ნაკლებად ეკიდება უცხოურ სიტყვებს, ამის ახსნა არა მარ-  
ტოოდენ იმაში უნდა ვეძებოთ, რომ იგი დიდი შინაგანი პოტენციის  
ენაა, არამედ შესაძლოა ამ ფაქტის გასაგებად თვით არაბულის სათა-  
ნადო მოუქნელობაც ჩაითვალოს. შეიძლება ითქვას, რომ არსებობს  
ნაკლებ მოქნილი და მეტად მოქნილი ენები უცხო-  
ური სიტყვების მიღების თვალსაზრისით.

აქ უნდა გავიმეოროთ ზემოთ გამოთქმული აზრი, რომ რაგინდ გან-  
ვითარებული არ იყოს სალიტერატურო ენა, სულ ერთია, უცხო გავ-  
ლენას იგი მაინც ვერ ასცდება. ამ მხრივ კი განსხვავება ენათა შორის  
პროცენტებშია.

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნეში მრავალი რუსიციზში შუ-  
მოიჭრა ქართულ ხალხურ მეტყველებაში, სალიტერატურო ქართული  
ამ ტენდენციას ასცდა, და ეს იმიტომ, რომ, საერთოდ, რუსიციზმების  
ძლიერ ტალღას, მომდინარეს ჩვენი ენის მიმართულებით, დაუხვდა  
მტკიცე კედელი ქართული სალიტერატურო ენის სახით, სალიტერა-  
ტურო ენისა, რომელიც მრავალსაუკუნოვანი დუდილის შედეგი იყო,  
როგორც ჩამოყალიბებული ორგანიზმი. სამაგიეროდ, ახალი ფორმა-  
ციის სალიტერატურო ენები (რევოლუციის შემდეგ რომ შეიქმნენ  
ჩვენს ქვეყანაში) ჰარბად აძლევენ ლიტერატურულ გამოხატულებას  
რუსიციზმებს. ეს კი სავსებით ნორმალურია.

ასეთია უცხოურ ლექსიკურ სინამდვილესთან ენის მიმართების  
კანონზომიერება.

### ნასმსხივი სიტყვის გავრცელების გზები

უშუალო მეზობლობის შედეგია დიალექტების სხვადასხვაგვარი  
დაძოკიდებულება-მიმართება უცხოურ ლექსიკურ მასალასთან: ენას,  
სხვადასხვა კონტურებით გააჩნია შეხვედრის წერტილები უცხოურ-  
ენობრივ სინამდვილესთან თავისი გეოგრაფიული გაშლა-განფენილო-  
ბის გამო. ზეპირი, პირადი ურთიერთობის წესით დანერგილი სიტყვებ-  
ი შემოდიან იმ დიალექტების გზის გავლით, რომლე-  
ბიც გეოგრაფიულად ემეზობლებიან უცხოურ ენას. რამდენადაც უფ-  
რო მჭიდრო ენობრივი რკალი აკრავს მოცემულ ენას, რამდენადაც  
უფრო კომპაქტურ გარემოცვაშია. იგი მოქცეული, იმდენადვე სხვა-  
დასხვა გზებით მოიმართებიან მასში უცხოურ ენობრივ სინამდვილე-  
ში წარმოშობილი სიტყვები. ფიგურალურად რომ ვთქვათ, დიალექ-  
ტები ჰგვანან თითებს, რომელთა შეხებობაც ელექტრობასთან გადა-  
დის მთელ სხეულში ელექტრონული დენი.

რომელიმე x დიალექტის მიერ შენასრუტი ნასესხები ფორმები ტალღობრივად ვრცელდებიან ენის მთელ სივრცეზე.

ძეუხედავად ამ გავრცელებისა, ეს დიალექტი მაინც ყველაზე მკაფიოდ ატარებს თავისი მეზობელი ხალხის მიერ დასმულ „ლექსიკურ დაღს“. ეს სრულიად გასაგებია. მართლაც: დასავლეთ-სამხრეთ საქართველო ისტორიულად ემეზობლებოდა ბიზანტიას და ბერძნულ-ლათინური სიტყვები ქართულში ვრცელდებოდა ამ გზით (აქ არ იგულისხმება, რა თქმა უნდა, მწიგნობრული გზით შემოსული სიტყვები). ამით აიხსნება, რომ დასავლურ კილოებში უფრო გავრცელებულია ბერძნული სიტყვები. ვიდრე აღმოსავლურ კილოებში, რომლებშიც, სამაგიეროდ, აღმოსავლეთიდან შემოსული სიტყვები (არაბულ-სპარსულ-სომხური) ქარბობს. ამის მაგალითები ბევრია. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ჩვეულებრივი იყო ბერძნული ეკლესია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ხმარობდნენ სპარსულ ტაძარ-სიტყვას. გარდა ამისა, დასავლურ კილოებში ერთობ გავრცელებულია ბერძნული მამაკაცთსახელები (ანთიმოზ, აპოლინარიოს, საადეოზ, ნიკიფორე, ეფროსინე...), მაშინ როდესაც აღმოსავლურში ისინი იშვიათია და ჩვეულებრივია არაბულ-სპარსული საკუთარი სახელები (ხაალ, გურგენ, გივი...).

პირადი ურთიერთობა არ გულისხმობს მარტოოდენ დიალექტებისა და მოსაზღვრე ენის მატარებელთა შეხვედრას. შესაძლოა უცხო ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლები, ექსპანსიის პირობებში, უშუალოდ იჭრებოდნენ ერის სიღრმეში და პირად ურთიერთობას ამყარებდნენ არა მარტოოდენ მოსაზღვრე დიალექტების წარმომადგენლებთან.

ზეპირი გზით შემოსული სიტყვები დროთა ვითარებაში ღებულობენ ლიტერატურულ გამოხატულებას, იკალათებენ და მკვიდრდებიან სალიტერატურო ენაში. ზემოთქმულიდან ვიცით, რომ ბერძნული საკუთარი სახელები — პავლე, თევდორე, აკაკი... ზეპირი გზითაა შემოსული ჩვენში და შემდეგ დამკვიდრებული მწერლობაში. ასევე ვიცით, ქართული ქართოფილი, ლაფათქა ამავე წესითაა ფეხგადგმული ენაში. ეს უკანასკნელი დიალექტებიდან იღებს უცხოურ სიტყვებს იმავე წესით, რა წესითაც იგი ისრუტავს ხალხური მეტყველების საკუთარ ლექსიკურ ტიპებს სალიტერატურო ლექსიკონის გასამდიდრებლად და გასაპოხიერებლად.

მწიგნობრული გზით შემოსული ნასესხები სიტყვაც, მეორე მხრავ, თანდათან პოულობს მოქალაქეობრიობას. ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვაკაზმულ მწერლობას, — მწერლობაში დაკანონებული ლექსიკური ერთეული კი თანდათანობით გადადის ხალხურ მეტყველებაში.

ლიტერატურის თეორიაში გარკვეული ადგილი ეთმობა სინონიმის პლეონასტურ მოვლენებს. სინონიმების პარალელურად ხმარება გაგებულია, როგორც აზრის გამაძლიერებელი საშუალება, მაქსიმალური ლიტერატურული ეფექტის ერთ-ერთი მეთოდი პოეტურ ენაში. ვგულისხმობთ ისეთი ტიპის გამოთქმებს, როგორიცაა: „მაგალითად, „მშვენიერი და ლამაზი“, „სადა, მარტივი და უბრალო“, „კონტად და მშვენივრად“, „ძლიერად და ღონივრად“ და მისთანანი. ეს არის თავისებური რიტორიკული ფიგურა, ანუ შეუცნობელი ტავტოლოგია, რომელიც ფეხმოდგმულია ჩვეულებრივს სიტყვანხარებაშიც... მაგრამ ასეთ პარალელურ სინონიმურ რიგებში არის განსაკუთრებული სექტორი სინონიმებისა, როგორიცაა, მაგალითად, „ხეწნა და მუდარა“, „ფიცი და ზენაარი“, „ბედ-ილბალი“, „სჯა-ბაასი“ და მისთანანი. ესენიც სინონიმური წყვილებია. ამ ტიპის ფორმებიც ერთ სიბრტყეზეა მქცეული პირველი რიგის ფაქტებთან და ახსნილია, როგორც აზრის გაძლიერების მიზნით გამოწვეული სინონიმური განმეორებანი, სინონიმური ტავტოლოგია.

მე ვფიქრობ, არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე მოვაქციოთ, ერთო მხრივ, „კონტა და მშვენიერი“ და, მეორე მხრივ, „ფიცი და ზენაარი“. თუ პირველი შემთხვევისათვის სწორია ტრადიციული კვალიფიკაცია, მეორე რიგის სინონიმური წყვილები ამ ნიადაგზე არ აიხსნებიან. ვცადოთ ამ მოვლენის ახსნა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სიტყვის სესხება არ განისაზღვრება მარტოდენ საჭიროებით, ცნების სესხების შედეგად. შესაძლოა საგანი ან ცნება ნაცნობი იყოს, სათანადო სიტყვიერი გამოსახულებაც არსებობდეს, მაგრამ ენა მაინც სესხულობდეს უცხოურ სიტყვას.

ჩვენთვის აქ საინტერესოა ის შემთხვევები, როდესაც ენა სესხულობს სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ სათანადო ექვივალენტი მას გააჩნია. ამ გზით ვღებულობთ სინონიმებს: ერთია საკუთარი ლექსიკური ფონდისა და მეორე — ნასესხები. მაგალითად, შემოვიდა არაბ. „ხანჯალი“, მიუხედავად იმისა, რომ გვქონდა ქართ. „სატეარი“.

როგორია ამ პირობებში უცხოური სიტყვის გავრცელების გზები ახალ ენობრივ ნიადაგში?

ქართულ ლექსიკაზე დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ როდესაც უცხოური ენიდან შემოდის სიტყვა და მას ადგილობრივ ზღდება იმავე მნიშვნელობის სიტყვა, ექვივალენტი, ერთხანს ისიქერთად იხმარებიან, პარალელურად (და გამოხატავენ ერთ ცნებას). ენაში ამ ბუნებრივად გამომწვევებული ფორმულის მიზანია გაავრცე-

ლოს ეს უცხოური ტერმინი, ერთგვარად განმმართველის ფუნქცია იკისროს ადგილობრივმა ეკვივალენტმა უცხოური სიტყვის მიმართ, „შემოიყვანოს“ იგი ახალ ენობრივ სინამდვილეში. და როდესაც უცხოური სიტყვა მოქალაქეობრიობას მოიპოვებს „მიმღებ“ ენაში, შემდეგ ჩამოსცილდება მას ეს „გზირი-სიტყვა“ და უცხოური სიტყვა უკვე შეთვისებულია.

სინონიმების წყვილად ხმარების სხვადასხვა გრამატიკული საშუალება არსებობს: ან მათ შორის ჩაისმის და კავშირი, ან კომპოზიტურად ინმარებიან, ანდა ერთმანეთის გვერდით არსებობენ ტავტოლოვიურად.

ამგვარად, სინონიმური წყვილი უნდა გავიგოთ, როგორც უცხოური სიტყვის დანერგვისათვის შემეშავებელი ფორმულა.

ამ მოვლენისათვის შესაფერისად მიმაჩნია დავადგინოთ სახელი: „სინონიმური პარალელიზმი“.

გავეცნოთ ფაქტობრივ მასალას.

## 1. კავშირიანი სინონიმური პარალელიზმი

„გრ. ხ ა ნ ძ თ ე ლ ი ს ცხოვრებიდან“:

„... რაათა ღირს ვიქმნე გლახაკი შენი სრულიად აღშენებად ამისა ნახელსა ზედა და უძლეველსა სარწმუნოებასა დიდისა მოწამისა შენისა გიორგი ჯუარითა მოქადულისა ახოვნისა და სახელოვნად განთქმულისა ბრწყინვალედ შორის წმიდათა მარტვირთა და მოწამეთა“.

სინონიმურ წყვილში („მარტვირი და მოწამე“) I წევრი — მარტვირი ბერძნულია, რომელსაც მარტავს ქართული მოწამე

„ა ბ დ უ ლ მ ე ს ი ა დ ა ნ“:

„მწირი და მსხემი, ეგრეთ დამსხმები, ქებისა ვიქმენ თქვენთვის შემკადრედ“ (5, ლზ, 54, მარის გამოც.).

სინონიმურ წყვილში („მწირი და მსხემი“) II წევრი — მსხემი ბერძნულია, რომელსაც მარტავს ქართული მწირი.

იქიდანვე:

„არ ვეპყვ, ეგზომი ბრძოლა და ომი სხვასმცა ძალედვის მისგან გამართვის“.

სინონიმურ წყვილში („ბრძოლა და ომი“) II წევრი — ომი უცხოური ჩანს (მდრ. ძვ. ქართ. პომი), რომელსაც მარტავს ქართული ბრძოლა.

ასევეა ვისრამიანშიც: „ომნი და ბრძოლანი ღია გარდამიწ-  
დიან“ (გვ. 239, 1932 წ. გამოც.).

„ვეფხისტყაოსნიდან“:

„ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ ემაწვილი, მაგრა მზმელი,  
ნაკეთად კარგი, შავ-გრემანი, პირ-მსუქანი, არ-პირხმელი,  
მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის-მსმელი,  
ღია ეღვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი“ (1077);

ანდა:

„შინა დავსხედით ნაღიმაღ მას ღღესა მინდორს რებულნი;  
მომღერალნი და მუტრიბნი არ იყვნეს სულ-დაღებულნი“ (368).

სინონიმურ წყვილში ერთი წევრი — მუტრიბი არაბულია,  
რომელსაც მარტავს ქართული მომღერალი.

იქიდანვე:

„ესე მეტად მომეწონა თათბირი და გამორჩევა“ (546).

სინონიმურ წყვილში I წევრი — თათბირი არაბულია, რომელ  
საც მარტავს ქართული გამორჩევა.

„ვისრამიანიდან“:

„... თუ ჩემი ქენება და მუდარა არ მოისმინო“.

სინონიმურ წყვილში II წევრი — მუდარა არაბულია, რო-  
მელსაც მარტავს ქართ. ქენება.

იქიდანვე: „მეცნიერებათა ისწავლიან და ზოგნი ნიშატსა და  
სიხარულსა უკან უღგებიან“ (გვ. 252).

სინონიმურ წყვილში I წევრი — ნიშატი სპარსულია, რომელ-  
საც მარტავს ქართ. სიხარული.

სხვა ადგილას: „სიხარულითა და ნიშატითა სავსე იყო  
ჩემი გული“ (გვ. 191).

იქიდანვე: „ფიცო და ზენაარი გასტეხე“ (გვ. 240).

სინონიმურ წყვილში II წევრი — ზენაარი სპარსულია, რო-  
მელსაც მარტავს ქართ. ფიცო.

იქიდანვე: „ვბაი ჩემი სიყმე და ჭაბუკობა“ (გვ. 240).

გრ. ხანძთელი:

„და მანცა წამოუთხრა ამისვე პასუხისა მსგავსად ღირსისა ყრმი-  
სა და ჭაბუკისა ეფრემის თუის ყოველნი“ (ნ. მარის თარგმანით:

И он, как бы в ответ, также, рассказывал все о достойном юноше Ефреме, т. 23).

სინონიმურ წყვილში II წევრი — კ ა ბ უ კ ი სპარსულია, რომელსაც მარტავს ქართ. ყ მ ა.

იპოვოთ ეს ქებათაქების კომენტარებიდან:

„მაშინ უბრძანა ძმათა თვისთა შესაქმე კერეთა და სანთელთა შესაწირავად გარემო ყოველთა მათ მახლობელთა უდაბნოთა...“

სინონიმურ წყვილში I წევრი — კ ე რ ე თ ნ ი ბერძნულია, რომელსაც მარტავს ქართ. ს ა ნ თ ე ლ ი.

ბევრია საამისო ნიმუშები ი. პეტრიწის ნაწერებში: (ბერძნ.) დ რ ა ს ტ ი რ ი ო და მ ო ქ მ ე დ ი: (ბერძნ.) ა ს ქ ე ტ ო დ და მ ი უ ნ ა ქ უ ს ა დ და ს ხ ე.

ამავე რიგისაა დღემდის შემორჩენილი გამოთქმები, როგორც არქაიზმი: ხ ე ე წ ნ ა და მ უ დ ა რ ა, ბ ე დ ი და ი ღ ბ ა ლ ი. ამ სინონიმურ წყვილებში II წევრები (მუდარა, იღბალი) უცხოა (არაბ.), ხოლო I წევრები (ხეეწნა, ბედი) — ქართული. დიალექტურად ამბობენ: დ რ ო და ბ ო რ ჯ ი. აქ II წევრი — ბ ო რ ჯ ი სპარსულია, რომლის თარგმანია დ რ ო.

ჩვენ განვიხილეთ ისეთი მაგალითები, სადაც სინონიმებს აკავშირებს და კავშირი. მაგრამ სინონიმური პარალელიზმის ფაქტები უკავშიროდაც გვხვდება.

## 2. უკავშირო სინონიმური პარალელიზმი.

ა) ტ ა ვ ტ ო ლ ო გ ი უ რ ი ს ი ნ ო ნ ი მ უ რ ი პ ა რ ა ლ ე ლ ი ზ მ ი „ვეფხისტყაოსნიდან“:

„წერილად ჰკადრა, რა იცოდა, რა ნახული, რა ნასმენად:

ვითა ვეფხსა წავარნა და ქვაბი აქვსო სახლად, შენად“ (700).

სინონიმურ წყვილებში II წევრი — მ ე ნ ი არაბულია, რომელსაც მარტავს ქართ. ს ა ხ ლ ი.

იქიდანვე:

„უბრძანა: „წადით, გახსენით, რაცა სად საჭურჭლენია

ამილახორო, მოასხი, რემა, ჯოგი და ცხენია“ (54).

სინონიმურ წყვილში რ ე მ ა სპარსულია, რომელსაც მარტავს ქართ. ჯ ო გ ი.

იქიდანვე:



„შენ არ გატება კარგი გვირს ზენაარისა, ფიცისა,  
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა“.

ბ) კო მ პ ო ზ ი ტ უ რ ი ს ი ნ ო ნ ი მ უ რ ი პ ა რ ა ლ ე ლ ი ზ მ ი.  
ხ ვ ე წ ნ ა-მ უ დ ა რ ა (არაბ.); (სპარს.) ა ლ ა ლ-მ ა რ თ ა ლ ი;  
(სპარს.) ტ ა ნ ჭ ვ ა-წ ა მ ე ბ ა, ც ე კ ვ ა-თ ა მ ა შ ი (სპარს.); ი გ ა ე-  
ა რ ა კ ი (სომხ.); (სპარს.) ს რ ა-ს ა ს ა ხ ლ ე; ბ ე დ-ი ლ ბ ა ლ ი (არაბ.);  
ა მ ბ ა ვ ი-ხ ა ბ ა რ ი (არაბ.).

როგორც ჩანს, ყველა ამ ფორმაშიც ერთი წევრი უცხოურია, მეორე — ქართული. ეს გამოთქმები თანამედროვე სიტყვახმარებაში შემორჩენილია ძველი საფეხურებიდან და იმ ძველი ვითარების მაჩვენებელია, როდესაც საჭირო იყო უცხოური სიტყვის განმარტება სინონიმური პარალელიზმის პრინციპის ძალით. ამჟამად ცალკე აღებული მ უ დ ა რ ა, ა ლ ა ლ ი, თ ა მ ა შ ი, ა რ ა კ ი, ი ლ ბ ა ლ ი... რა თქმა უნდა, გასაგებია და, ამდენად, ზედმეტია მათი „მხლებლები“ (ხ ვ ე წ ნ ა, ი გ ა ვ ი). მაგრამ ეს რამდენიმე სინონიმური წყვილი შემოინახა ენამ, როგორც რელიქტური ფორმები.

სინონიმური პარალელიზმის ცნება გულისხმობს ისეთ რიგებსაც, რომელთა შემადგენლობის წევრები ა) მხოლოდ უცხოურია, ან ბ) მხოლოდ საკუთარი სალექსიკონო ფონდის კუთვნილებათ.

კითხვა ისმის: რა გამართლება აქვს ერთი სიტყვის ახსნას მეორით, როცა ორივე საკუთარია, ანდა ორივე უცხოურია? როცა ორივე სიტყვა უცხოურია, ერთ-ერთი ადრე იქნება შეთვისებული და მას უკვე აქვს უნარი შემდეგ შემოსული უცხო სიტყვა-სინონიმი განმარტოს. მაგალ. „ვი ს რ ა მ ი ა ნ შ ი“ ვკითხულობთ: „შ ე ნ ი ა ლ ა მ ი და დ რ ო შ ა ც ა დ ა ი წ ი ა“ (გვ. 240). ანდა: დ ე რ დ ი და მ ე რ ა ყ ი (დიალექტურად) და სხვ. თუ ორივე წევრი სინონიმურ წყვილში საკუთარია, ისინი სხვადასხვა დიალექტური წრის წარმონაქმნია და, მაშასადამე, საჭირო ხდება ერთ-ერთის განმარტება, როდესაც ეს სინონიმები ერთ ენობრივ მოედანზე მოიყრიან თავს. მაგალითისათვის აქ დაეასახელებ შემდეგ წყვილებს: ნ ა ც ა რ-ტ უ ტ ა, შ ი შ ვ ე ლ-ტ ი ტ ვ ე ლ ი, ს ი ძ ვ-მ რ თ უ შ ე ბ ა, ს ვ ე-ბ ე დ ი და მისთ.

სინონიმური პარალელიზმი მარტოდენ ქართული ენისთვის დამახასიათებელი მოვლენა არ იქნება. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ სათანადო წესი განსაკუთრებით მოქმედი იქნება ისეთ ენებში, რომლებიც მდიდარი არიან სინონიმებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ინგლისურის მონაცემები. საშუალ-ინგლისურში, მაგალითად, სინონიმურ წყვილებს ქმნიან ნორმანულ-ფრანგული და გერმანული ეკვივალენტები.

ამგვარად, შეუძლებელია თანაბარი შეფასება მივცეთ, ერთი მხრივ, გამოთქმას „მშვენიერი და ლამაზი“ და, მეორე მხრივ, გამოთქმას „კე-

რონი და სანთელი“. თუ პირველი რიგის ფაქტები მართლაც „აზრის გამაძლიერებელი“ ფორმებია, სამაგიეროდ, მეორე რიგის ფაქტებს „რაციონალური საწყისი“ აქვთ და უცნობი სიტყვის ნაცნობად ქცევის საშუალებაა.

შეიძლება გამოინახოს ამ ორი რიგის მოვლენათა გამიჯვნის საშუალება: პირველ შემთხვევაში ადიექტიური (ზედსართაული) ფორმები ქმნიან წყვილებს, ხოლო მეორე შემთხვევაში — სუბსტანციური (არსებითი სახელი) ფორმები.

საერთო დასკვნა ასეთია: პოეტიკურ და ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაში სიტყვათა პარალელური რიგები გაგებულია, როგორც სტილისტიკური ნერხი, ერთგვარი პოეტური ფიგურა. ამ გაგებას გამართლება აქვს გარკვეული შემთხვევებისათვის, ხოლო რაც უფრო ენის ძველ საფეხურებს ვითვალისწინებთ, იმდენად სინონიმურ წყვილებს „რაციონალური საწყისი“ აქვთ, — უცხოური სიტყვის დანერგვის მეთოდად გამოიყენება.

ერთია სტილის საჭიროებით გამოწვეული ტავტოლოგია და მეორე — წმინდა ენობრივი აუცილებლობით გამართლებული სინონიმური წყვილები.

#### „სემანტიკური ბავლეა“ ანუ კალკა

სემანტიკის ძირითადი პრინციპები საერთოა სხვადასხვა სისტემის ენისათვის. შეიძლება გამომუშავებულ იქნეს ზოგადი სემანტიკა, რომელიც გააერთიანებს დაკვირვებებს მნიშვნელობათა ცვლაზე ყველა ენაში, დაიყვანს მათ რამდენიმე პრინციპზე (არა მარტოდენ ლოგიკურ პრინციპებზე, არამედ ფსიქოლოგიურზედაც). ამისათვის ზაჭირთა გამოვიდეთ არა სიტყვათა ანალოზიდან, არამედ მათ მიერ გაჭოთქმული იდეებიდან. მაგალითად, ქართულში ცნება ჯერ-ის (რამდენჯერ, ათასჯერ და ა. შ.) გამოსათქვამად გამოყენებულია სიტყვა გზა: ერთ-გზის, უდრის ერთ-ჯერ, ერთ-ხელ; სამ-გზის — სამ-ჯერ; ათას-გზის — ათას-ჯერ და ა. შ. ანალოგიურივე მდგომარეობაა ლათინურში, ფრანგულში, გერმანულ დიალექტებში.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის აგების პრინციპის მხრივ ენები ჰგვანან ერთმანეთს, განსხვავება მაინც თვალსაჩინოა. სესხება ამ სფეროშიც შეიძლება.

ამის მაგალითები ენებმა ბლომად იცის. მაგალითად, რუსულ ვლიანი ფრანგული influence-ის მიხედვითაა შექმნილი. ასევე რუს. развитие ფრანგ. developpement-ის გავლენითაა შედგენილი, რუ-

სული потерять голову ჰგავს გერმანულ გამოთქმას: den Kopf verlieren; разбить на голову — aufs Haupt schlagen.

ამ ნიადაგზე მოხდა ერთი ასეთი კურიოზი: ჯერ კიდევ პუშკინმა აღნიშნა, რომ რუსული გამოთქმა быть в своей тарелке წარმოიშვა ფრანგული გამოთქმის être dans son assiette-ს არასწორი თარგმანის წყალობით; ამ შემთხვევაში assiette ნიშნავს არა თეფოს (პარალელურად თეფოსაც ნიშნავს), არამედ დასაჯდომს, ადგილს (სიტყვისაგან asseoir).

ერთი გერმანული კომედიის რუსულ თარგმანში (XVIII საუკ.) გვხვდება ასეთი ადგილი: — Коль стара твоя дочь? — Ей теперь только 14 лет. დედანშია: Wie alt ist...

ძველ ქართულში განმზადებული ერთგან გვხვდება მომავლის მნიშვნელობით („ართუ ამათ ჟამთასა: ამას სიკუდილსა იტყვის უფალი, არამედ განმზადებულთა მათთვის)“, სომხურში სათანადო სიტყვა უდრის: 1) მზას, 2) მომავალს.

მკვიდრი. ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა ქართულში „მოზინადრე“, მაგრამ ამ ტერმინმა შეიძინა სხვა მნიშვნელობაც: „ბუნებრივი“, „მონათესავე“. ამ მნიშვნელობას ვიჭერთ თანამედროვე სიტყვაზმარებაშიც: მკვიდრი ძმ. ეს სემანტიკური განვითარება დაცულია აგრეთვე სომხურში.

კუალნი ერთ-ერთ არაბულიდან ნათარგმნ ძველში უდრის ნიშს: „და თქუენცა ერთბაშად კუალნი იგი და სასწაულნი თუალითა გიხილვან“. ამ სიტყვის ასეთი მნიშვნელობა მომდინარეობს არაბული შესაბამისი ტერმინისაგან.

სადგური იმავე თარგმანში უდრის გავლენას, მნიშვნელობას, ღირსებას: „რამეთუ სადგური მათი დიდი იყო წინაშე სპარსთა მათ ამისთვის, რამეთუ შინა-გამცემელ ქრისტეანთა იქმნენს“. არაბულში შესატყვის ტერმინს, გარდა „სადგომის“ მნიშვნელობისა, პარალელურად აქვს მნიშვნელობა „ღირსებისა“, „ხარისხისა“.

სახის-მეტყუელი სომხური გზით გადმოცემა ბერძნული ტერმინის — „ფიზიოლოგისა“.

### სიტყვის სასაზღვრადი ცნობიერი დამოკიდებულება

სიტყვის სესხების ზემოთ გათვალისწინებული ვითარება არაცნობიერი პროცესის შედეგია; სესხება მიმდინარეობს ბუნებრივად ენობრივი აზროვნების ლოგიკის ძალით.

მაგრამ სიტყვათსესხებისადმი შეიძლება ცნობიერი დამოკიდებულებაც. ეს თავს იჩენს ორნაირად: ან შეგნებულად ეაწარმოებთ სეს-

ხებას, ანდა, პირიქით, ბრძოლაა უცხოური სიტყვების დანერგვის წინააღმდეგ.

სიტყვათა შეგნებული, ცნობიერი სესხების მშვენიერ ნიმუშს გვაწვდის პეტრე პირველის დროინდელი რუსეთი. მეცნიერებათა აკადემიაში ინახება „Лексикон вокабулам новым по алфавиту“, რომელიც, როგორც ეტყობა, შედგენილია პეტრე პირველის განკარგულებით. ეს არის სია იმ უცხოური სიტყვებისა, რომლებიც უნდა გადმონერგულიყო რუსულ ენაში სახელმწიფოებრივი და კულტურული აღორძინების ფორმათა შესაბამისად (სულ 503 სიტყვა). ყოველ სიტყვას ახლავს რუსული განმარტებები. სია შეიცავს სათანადო ტერმინოლოგიას სხვადასხვა დარგიდან. აქაა სამხედრო ხელოვნება (армия, авангардна), საზღვაო დარგი (флот, адмирал), ადმინისტრაციული (губернатор, декрет), სამეცნიერო (глобус, диспут, история), სასაუბრო (интерес, люстра, пардон). უმრავლესობა ამ სიიდან საბოლოოდ დამკვიდრდა რუსულში. სხვათა შორის, ხელნაწერს ატყვია თვით იმპერატორის შესწორებები.

ცხადია, ამ მეთოდით სიტყვის დანერგვა რადიკალურად განსხვავდება უცხოური სიტყვების სესხების ჩვეულებრივი, არაცნობიერი წესისაგან. გაეხსენოთ ისიც, რომ პუშკინი ვიახემსკისადმი მიწერილ წერილში აქებს თავის ადრესატს იმისათვის, რომ იგი „заступился явню за галлицизмы“.

რაში იხატება ბრძოლა უცხოურ სიტყვათა წინააღმდეგ?

უეჭველია, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნასესხები სიტყვების მოზღვავება, გადაჭარბებული სესხება უარყოფითს გავლენას ახდენს ენის განვითარებაზე. არ არის მაინცდამაინც საჭირო ისეთი უცხოური სიტყვის გადმონერგვა, რომლის ეკვივალენტი შეიძლება მოიძებნოს სათანადო ენის ლექსიკურ ფონდებში. რაც შეეხება საერთაშორისო ტერმინოლოგიას, არ არის სასურველი მათი თარგმნა, რამდენადაც ეს ინტერნაციონალური ხასიათის სიტყვები კულტურული კაცობრიობის საზოგადო კუთვნილებად უნდა იქცნენ. უნიადაგოა „პურისტების“ ძიებები ამ მიმართულებით. მაგალითად, იყო ცდა რუსულში „გეროიზმი“ შეეცვალათ სიტყვით *добледишие*, „ფორტპეიანოს“ ნაცვლად დაემკვიდრებინათ *тихогромы*, „აქტორის“ ნაცვლად *лицедей* და მისთანანი. გაეხსენოთ ქართული შავალითები: რონოდა — ვაგონი, გამზირი — პროსპექტი, ელსმენი — ტელეფონი. ამას გამართლება არა აქვს.

ასეთია ზოგადი ნიშნები ნასესხებ სიტყვათა განვითარებისა. ჩვენ ვხედავთ, რომ ნასესხებ სიტყვას თავისი ცხოვრება აქვს, და ეს ცხოვრება მოკლებული არაა მთლიანობასა და დამთავრებულობას. უცხო-

ური სიტყვის დანერგვისა და გავრცელების მრავალმხრივსა და რთულ პროცესებში განსაკუთრებით აღსანიშნავია სიტყვაკაზმული მწერლობის ღვაწლი, მწერლობისა, რომელიც თავისი მინაგანი თვისებებით მოწოდებულია შერჩეული და კანონიერი ფორმები დაამკვიდროს ენის მთელს სივრცეზე და ხელი შეუწყოს ლექსიკონის გამდიდრებას.

ერთ-ერთი ყველაზე დიადი და მნიშვნელოვანი იმ კულტურულ ღირებულებათა შორის, რაც კი შეუქმნია კაცობრიობას თავისი განვითარების გრძელ გზაზე, ენა გახლავთ, — ენობრივი ფენომენი, რომლის საიდუმლოების ამოცნობა მრავალი ინტერესის აღმძვრელია და, აშასთანავე, რთული ამოცანაც მეცნიერებაში. ხოლო სიტყვათშემოქმედების ამ ღრმა საფუძველში შემავალ მოვლენათა შორის ერთ-ერთი ადგილი უკავია სიტყვათა სესხებას, — ენობრივი შემოქმედების ამ ბუნებრივ სტიქიას, და მის შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა აქვს კულტურის ისტორიისათვის.

## ხატოვანი სიტყვები

ენაში განა ყოველი სიტყვა-თქმა პირდაპირი მნიშვნელობით გვესმის. „თავზე ლაფი დასხნოს“, რომ ვიტყვი, მართლა ლაფის დასხმა კი არ იგულისხმება, არამედ ამ თქმით გამოხატავთ ადამიანისათვის დიდი შეურაცხყოფის მიყენებას, ადამიანის სააუგო საქციელის საშუკარაოზე გამოტანას, შერცხვენას, დამცირებას. რა ლაფი, რის ლაფი! გამოდის რომ ამ სიტყვა-თქმას გადატანითი მნიშვნელობით ვხმარობთ და არა პირდაპირი მნიშვნელობით.

მაინც საკითხავია: ლაფი აქ რა შუაშია?

ყოველ სიტყვა-თქმას თავისი ისტორია აქვს და ამ შემთხვევაშიც შეიძლება მივაგნოთ იმ პირველსაწყისს, რის საფუძველზედაც ენაში ლაფს ასეთი განზოგადებული მნიშვნელობა მიუღია.

თუ ძველად ადამიანი სოფლის ადათ-ჩვევებს დაარღვევდა, რაიმე უზნეობას ჩაიდენდა და თავს შეირცხვენდა, მთელი სოფელი დასჯიდა მას, როგორც უღირსსა და შეუფერებელს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ერთ-ერთი ფორმა სასჯელისა იყო ლაფის ანუ ტალახის დასხმა დამნაშავეის თავზე. სოფლის შესაკრებელ ადგილას დასხდებოდნენ სოფლის თავკაცები, მოხუცები, რომლებსაც საყოველთაო პატივისცემა ჰქონდათ დამსახურებული. ისინი იმსჯელებდნენ დამნაშავეის მოქმედების გამო და განაჩენს გამოიტანდნენ. „თავს ლაფი დავასხათო“, იგრიალებდა ხალხი, დამნაშავეს ქულს მოხდიდნენ (ქალს — მანდილს) და ყველა ვალდებული იყო მისულიყო მასთან და ლაფი დაესხა თავზე. თუ მშრალი ამინდი იყო, ხმელ მიწას წყლით აზელდნენ

და ტალახს აჩენდნენ. სასკელის ეს სახეობა, როგორც ჩანს, საქართველოში დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ გადავიარდნილა. დ. ბაქრაძისა და ნ. ბერძენიშვილის წიგნში („ტფილისის ისტორიულად და ეთნოგრაფიულად“) ვკითხულობთ: „1805 წლის მაისში ბოდბის-ხეველები (ქიზიყში), 500 კომლზე მეტი, გამოსულან და მარიამ კორდანაშვილის სახლიდან გამოსუთრევიათ მისი ქალი ბარბარე, რომელსაც ქმრისათვის თავი დაუწებებია და მეძაობდა თურმე, შეუსვამთ ვირზე, სოფელში კარი-კარ ჩამოუტარებიათ და ყველანი ლაფს ასხამდნენ თავზე. ბოლოს მისი სახლიც დაუწვავთ“. მაშ, ეს ჩვეულება ისტორიული ფაქტი ყოფილა.

აი, აქედან ენაში დამკვიდრებულა თქმა — „თავზე ლაფსი დასხმა“, „თავლაფდასხმული“ — განზოგადებული მნიშვნელობით. დღეს, ცხადია, ამ სიტყვის ხმარების დროს არავის აგონდება ლაფი და მასთან დაკავშირებული პროცედურა, რაც ისტორიულ წარსულს ჩაჰხარებია.

გაიძვერა, ვერაგ, ქლესა, გველაძუა ადამიანზე ვიტყვი, „ადიდაში გამოსულიაო“. საიდან წარმოდგა ეს ფიგურალური თქმა? „ადიდა“ ეწოდება ნახვრეტებიან ფოლადის ფიცარს, ნახვრეტებში გამოჰყავდათ ლითონის მავთული, უფრო — სპილენძისა; ასე კეთდებოდა მავთული. აი, ხატოვნად ადიდაში გამოსული მავთულისათვის მიუძმგავსებით გაქნილი და გაიძვერა ადამიანი და ენაშიც დარჩენილა თქმა: „ადიდაში გამოსული“.

„ალაიაში გატარება“ ნიშნავს ადამიანის საჯარო შერცხვენას, გამასხარავენას, გაბიაბრუვენას. საიდან წარმოდგა ეს ხატოვანი თქმა? ე. ნინოშვილი ამბობს: „მამაჩემისაგან გამიგონია, რომ გურულებს ჩვეულებად აქვთ, მტერს რომ დაიმორჩილებენ, თოფებს ქვეშ გააძვრენ და შემდეგ მისცემენ თავის ქვეყანაში დაბრუნების ნებასო. ამგვარად, თოფებს ქვეშ გაძვრენას ალაია ჰქვია თურმე იმათებურად, — ვითომ-და ალაიაში გააძვრინესო“ („ჯანყი გურიაში“).

ლექსიკოგრაფი ილია ჭყონია ამბობს: ალაია არის „ორ წყებად დაწყაპულ (მწკრივით დამდგარ) ადამიანთა შუა ადგილი. ალაიაში გატარება უწინ ნიშნავდა ადამიანის წყებლით, ჯოხით ანუ მათარახის ცემით გატარებას ორ წყებად დარაზმულ ჯარის მიერ. ახლა ნიშნავს საჯარო შერცხვენას“.

სიტყვა ბობოლა ენაში დამკვიდრდა გავლენიანის, მდიდარის, შეძლებულის სინონიმად. გავიხსენოთ აკაკი. „ჩვენ კოლო ვართ, თქვენ — ბობოლა... მაშ ჩვენ ვინ გავგატოლა“. წარმოშობით ბობოლა დიდი ჰიის სახეელია. ამავე დროს ბობოლა ქართლურ-კახურში ეწოდება ხანჯის თავს, რომელსაც ქათმის შვიდი ბუმბულის დერი ურკვია და კერიც თავზე ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე დიდმარხვის დადგომისას (7 დერა ნიშნავდა დიდმარხვის გაგრძელებას 7 კვირის განმავლობა-

„ში. ყოველკვირეულად თითო ღერს აცლიდნენ და ასე ითვლიდნენ დანარჩენ კვირა დღეებს).

„ღედის ხსენს ვარწყევინებო“, იციან თქმა. ეს ნიშნავს: საშინელ დღეს დავაყრი, მოვსპობ, გავანადგურებ. გავინსენოთ ყაზბეგი: „ო-ო! ჩამივარდება როდისმე ის უღმერთო ხელში და, ღვთის მადლმა, ღედის ხსენს ვარწყევინებ პირიდან“. ამ ხატოვანი თქმის წარმოშობაც ადვილი დასადგენია. ხსენი სახელია სითხისა, რომელსაც ქალის სარძევე ჭირკვლები იმუშავებენ შვილის დაბადებამდე და მშობიარობის პირველ დღეებში და რომელიც თავისი შედგენილობით რძეს უახლოვდება. ამრიგად, ხსენი ადამიანის კვებას საფუძვლად ედება.

„თარხნიანთ წყალობა“ ხალხს უწოდებია გულქვაობისათვის, გაჭირვებულთა გაუკითხველობისათვის. ამ ზოგად თქმასაც რეალური საწყისი აქვს: ძველად ახალქალაქში (გორის მაზრა) ყოფილა გულქვაობით ცნობილი თარხნიშვილი, რომელიც სამუდამოდ დაამახსოვრდა ხალხს თავისი სიკერპიტა და აჯამობით. აკი ხალხური ლექსიც არის ასეთი:

„ციციათ სუფრა შერცხვა,  
თუხარლიანთ ვალობაო...  
კარებამდე არ გაგვება  
თარხნიანთ წყალობაო“.

„კედელს ნახშირიო“, ვამბობთ. „პლატონს, პლატონს ვახლავართი პლატონს ვახლავართ! — ნათქვამია დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალში“, — დარიკო, კედელს ნახშირი, ნახშირი კედელს!.. ასე უნდა, შე პატროსანო კაცო, მოყვრის მიეწიყება?!“ ეს თქმაც ძველი წარმოშობისაა, იმ დროისა, როცა წერა-კითხვა გავრცელებული არ იყო და რაიმეს დასახსომებლად ანდა დიდი ხნის უნახავი ადამიანის ნახვაზე (ან საკვირველი მოქმედების გამოსახატავად) კედელზე ნახშირს წაუსვამდნენ ხოლმე. იციან აგრეთვე „კერას ნახშირიო“ (კერაის ფიქალს წაუსვამდნენ ნახშირს).

საქმის მიფუჩეჩების, ნაჩქარეობის გამოსახატავად არსებობს სიტყვა „მიხუთშაბათეა“, „მიახუთშაბათე ეს საქმეო“, რომ იტყვიან, ნიშნავს — ნაჩქარევად, უხარისხოდ გაგიკეთებია, „წაგიხალტურებია“ (ახლანდელი სიტყვით). თედო სახოკია ამ სიტყვასთან დაკავშირებით იძლევა ასეთ ვრცელ ახსნას:

ძველად, როცა პარასკევი ითვლებოდა უქმედ, ღვთისმსახურების დღედ, როცა ხელით არაფერი უნდა გაკეთებულიყო, ყველა სახის ფიზიკური გარჯა-მუშაობა, განსაკუთრებით — მიწის „შენძრევა“ აკრძალული იყო, ყოველივე წინადღეს, ხუთშაბათს, უნდა დამთავრებულიყო, მზის ჩასვლამდე, ე. ი. სამუშაო დღის დასრულებამდე. თუ საქ-

მე ძნელი მოსასწრები იქნებოდა, ადამიანს თავის თავისთვის ძალა უნდა დაეტანებინა და, ავად იქნებოდა თუ კარგად, ადრე იქნებოდა თუ შოგვიანებით, უნდა მიეხუთშაბათებინა. ხუთშაბათს უნდა დაესრულებინა, საპარასკეოდ არ უნდა დარჩენოდა. ცხადია, ზოგჯერ კარგად გამოვიდოდა ნასაქმარი, მაგრამ უფრო ერთ შემთხვევაში, ხუთშაბათს დამთავრებულ საქმეს დალი ნაჩქარეობისა, მიფუჩჩეებისა, ჰინ-ჰარობით გაეთებისა მაინც ეტყობოდა. ქრისტიანობის შემოღებისა და კვირიაკის მეშვიდე დღედ კვირის დადგენის შემდეგ ხუთშაბათს ემაგიერა შაბათი, კვირაძალი, როცა საშაბათო საქმე უეჭველად უნდა გათავებულყო კვირაძალამდე, ე. ი. სანამ ეკლესიებში ზარის რეკვა სამწუხროდ, ლოცვად არ მოუხმობდა მორწმუნეთ. რა თქმა უნდა, პარასკევის ჩვეულება ახლა კვირაზე გადმოვიდა და სასტიკად აკრძალული იყო ხელით საქმიანობა. ხუთშაბათის როლი შაბათს მიეკუთვნა და ამბობდნენ: მი ა შ ა ბ ა თ ა ო, მი შ ა ბ ა თ ე ბ ა ო, ე. ი. იჩქარა, ნაჩქარევად გააკეთა ესა თუ ის საქმეო.

ასეთია მიხუთშაბათებამიშაბათება სიტყვების წარმოშობა.

„მტლად დაგედო“, ვიტყვით, როცა გვინდა გამოვხატოთ დახმარების გაწევა, თავის განწირვა ვისთვისმე, გაჭირვების ჟამს გამოდგომა. „გაიზარდე, ჩემო თვალის სინათლევ, და გაახარე აქ დედა-შენი და იქ მამა-შენი — ვკითხულობთ ილია ჭავჭავაძესთან, — აი, შენ დაგედოს მტლად შენი უბედური დედა!“

ტლე ან მტლე ქვევარში ღვინის დანალექს ეწოდება. ეგვე მტლე სახელია ბალახეულისა, რომელსაც წყლით ასველებენ და სიცხიან ავადმყოფს ადებენ კომპრესის ნაცვლად. სამხრეთ საქართველოში მტლეს (ბალახეულს) იყენებენ საქონლის ტყავისათვის ბალნის მოსაძრობად. ქართლში მტლეს უწოდებენ შლამს, რომელიც შეაქვს სარწყავ წყალს.

ცხადია, ჩვენს ყოველდღიურ სიტყვახმარებაში („მტლად დაგედო...“) არავის აგონდება, თუ რა არის მტლე — ტლე, რადგან თქმა საალერსო მნიშვნელობის ფორმულად ქცეულა: „თავს შემოგვევლე, შენი ჭირიმე, შენი კვნესამე...“

დიდი არეულობის, ხალხის ჩოჩქოლის, აურზაურის, შეხლა-შემოხლის აღსანიშნავად ვხმარობთ სიტყვას **ორომტრიალი**. „სიმშვილანთიდან მულამ დღე **ორომტრიალის**, ტაშ-ფანდურის და ჭიანჭურის ხმა ისმისო“, ნათქვამია, მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ერთ ნაწარმოებში.

„**ორომი**“ ვარცლის დასაფარებელი ფიცარია ტაბაკის ფორმისა, პატარაფეხებიანი. სახოკიას აღწერით, ვარცლიდან ცომის გუნდები რომ ამოაქვთ თონეში ჩასაყარავად, ჯერ **ორომზე** დააწყობენ იმდენს,



რამდენიც ერთ გახურებულ თონეში ჩაეტევა და მერე, ზედვე გაბრტყელების შემდეგ, იქიდან იღებენ თონეში ჩასაკრავად. სოფლად, როცა ქორწილი თუ ქელები იყო, ბევრი პური უნდა გამომცხვარიყო. ამ პურს რამდენიმე თონეში აცხობდნენ და ერთს კი არა, რამდენსამე ორომს ატრიალებდნენ, იქით-აქით მიმოჰქონდათ ხშირ-ხშირად. ოჯახში ორომტრიალი იყო! აი, აქედან წარმოდგა ეს სიტყვა, რომლის გამოყენების დროს სრულიად დავიწყებულია მისი თავდაპირველი საწყისი. ორომის ტრიალს მთქმელი, ცხადია, არ წარმოიღგენს და მხოლოდ ზოგად ცნებას გამოხატავს.

უპირულ, უსირცხვილო და სახელგატეხილ კაცზე ვიტყვით, პირ-შავიაო. რა შუაშია აქ შავი პირი? რატომ ამ სიტყვებით გამოხატა ქართველმა კაცმა ის შინაარსი, რომელიც ამჟამად ჩადებულია „პირ-შავ“-ში?

ძველად ჩვენში საზოგადოებრივი გაციცხვისა და დასჯის ერთ-ერთი ფორმა იყო მურის წასმა დამნაშავეის სახეზე, პირის გაშავება. თუ ქურდი იყო, ამას არ აკმარებდნენ და ყელზე ნაქურდალს ჩამოჰკიდებდნენ, — ასე ატარებდნენ კარდაკარ მთელ სოფელში, ყველას რომ შეერცხვინა და აებუებინა სასირცხვო საქმის ჩამდენი. 1905 წლის რევოლუციის დროს ქართლის სოფელში (მერეთში) ერთი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ყოფილიყო (გვარიც ცნობილია!), პირზე მური წაუსვამთ, სახედარზე შეუსვამთ და ასე შემოუტარებინებიათ მთელი სოფელი...

ახლა რომ ვიტყვით, შენთან პირშავად ვარო, ცხადია, შავ პირისახეს არ ვიგულისხმებთ და ამას გამოვხატავთ: დამნაშავე ვარ, მაპატიეო!

## საერთაშორისო სიტყვები

ყოველ კულტურულ ენაში შესულია წყება სიტყვებისა, რომლებიც განეკუთვნებიან ინტერნაციონალურ ლექსიკას. ესაა მეცნიერებისა და ტექნიკის, პოლიტიკისა და ხელოვნების სპეციალური სიტყვა-ტერმინები, რომელთა უმრავლესობა საერთაშორისო წარმოშობისაა. თუ ავიღებთ ასე თუ ისე სრულ „უცხოურ სიტყვათა ლექსიკონს“, რომელიც ცალკეული მეცნიერებების სპეციალურ ტერმინოლოგიასაც შეიცავს, ვნახავთ, რომ 80 000—100 000 ინტერნაციონალურ სიტყვადისაა შესული ამგვარი ხასიათის ლექსიკონში. უფრო მოკლე „უცხოურ სიტყვათა ლექსიკონში“ დაახლოებით 25 000 სიტყვაა წარმოდგენილი.

ასეთი ინტერნაციონალური, ეგრეთ წოდებული „მოხეტიალე სი-  
5. შ. ძიძიგური

ტყვეები“ მსოფლიოში გავრცელდა განსაკუთრებით ახალ საუკუნეებში.

XV—XVI საუკუნეებში საერთაშორისო „მოხეტიალე სიტყვების“ კერა იტალიაა, რომელიც წარმოადგენდა ადრეული კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყანას. იტალიური ომების ეპოქაში, მაგალითად, საფრანგეთის მეფეების კარზე გაბატონებულია იტალიური მოდეები, იტალიური აღორძინების ლიტერატურა და ხელოვნება მისაბამია, არისტოკრატის ენა აღსავსეა იტალიზმებით... ამ ხანაში იტალიზმები ფრანგული ენის მეშვეობით შეიქრა ევროპის მრავალ ენაში. ესაა უმთავრესად სამხედრო, საზღვაო, საფინანსო, ხელოვნების (არქიტექტურა, მხატვრობა, უფრო გვიან — მუსიკა) და სხვა დარგების ტერმინოლოგია. ეს სიტყვებია, მაგალითად, სა ლ დ ა თ ი, ბ ა ტ ა ლ ი ო ნ ი, ბ რ ი გ ა დ ა, ა ტ ა კ ა (სამხედრო ტერმინოლოგია), ბ ა ნ კ ი, კ რ ე დ ი ტ ი, მ ი ლ ი ო ნ ი (საფინანსო ტერმინოლოგია), ბ ა ლ კ ო ნ ი, გ ა ლ ე რ ე ა, ფ ა ს ა დ ი, ს ა ლ ო ნ ი (არქიტექტურა) და მისთანანი. ეს და მისთანა სიტყვები იტალიურიდან შევიდა ფრანგულში, გერმანულში, ინგლისურში...

აბსოლუტიზმის ეპოქაში — XVII—XVIII სს., — მოწინავე ქვეყანა საფრანგეთია. ეკონომიკურად ჩამორჩენილი და პოლიტიკურად დაქუცმაცებული გერმანია ამ დროს კულტურული განვითარების მხრივ საფრანგეთის პროვინციას წარმოადგენს. გერმანიის სამეფო კარზე მეტყველებენ და წერენ ფრანგულად, თვით გერმანულ ენაში მოზღვა-ვებულება ფრანგული სიტყვები, ფრანგული ენა გარკვეული დროის მანძილზე „საერთაშორისო ენადაა“ მიჩნეული. ევროპის სხვა ქვეყნების არისტოკრატია ბაძავს ფრანგულ არისტოკრატიას...

ფრანგული ელემენტები საერთაშორისო ლექსიკაში თავისი შედგენილობით სხვადასხვაგვარია; უმთავრესად ესაა სიტყვები, აღმნიშვნელი მოდეების, გართობისა და ეთიკეტისა, კოსტუმებისა, ფუფუნების საგნებისა, კულინარიისა და სხვა. ასეთი სიტყვებია, მაგალითად, შ ო დ ა, ტ უ ა ლ მ ე ტ ი, მ ე ბ ე ლ ი, ბ უ დ უ ა რ ი, კ ო რ ს ე ტ ი, პ ა ლ ტ ო, ა ს ა მ ბ ლ ე ა, ი ლ უ მ ი ნ ა ც ი ა, ო ტ ე ლ ი, ე ლ ე გ ა ნ ტ უ რ ი, ე თ ი კ ე ტ ი, კ ო მ პ ლ ი მ ე ნ ტ ი, დ ა მ ა, ბ უ ლ ი ო ნ ი, ო მ ლ ე ტ ი და სხვ. აქვე შემოდის პრივილეგიური კლასის ყოფითი ფსიქოლოგიის ამსახველი ტერმინები: დ ე ლ ი კ ა ტ უ რ ი, ე ქ ს ტ რ ა ვ ა გ ა ნ ტ უ რ ი, ფ რ ი ვ ო ლ უ რ ი და სხვ.

ფრანგულისავე მეშვეობით დაინერგა საერთაშორისო ლექსიკაში პოლიტიკური ტერმინები, რომლებიც შედგენილია ბერძნულ-ლათინურის ენობრივი მასალის მიხედვით. ესენია: ა რ ის ტ ო კ რ ა ტ ი ა, დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა, მ ო ნ ა რ ქ ი ა, ა ნ ა რ ქ ი ა, რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი, რ ე ვ ო ლ უ ც ი ა, კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა, ს ო ც ი ა ლ უ რ ი,

პატრიოტიზმი, კლასი და სხვ. რევოლუციამ მათ გავრცელებას დიდი დიაპაზონი გადაუშალა, პოლიტიკური ხასიათის სიტყვებს ახალი აქტუალური შინაარსი მისცა, პოლიტიკური ლოზუნგების ხარისხში აიყვანა. ერთი გერმანელი მწერალი 1801 წელს ამბობდა: მე მინდოდა დამეთვალა, რამდენჯერ წარმოითქვა და დაიბეჭდა სიტყვა რევოლუცია ევროპაში 1781 წლიდან 1789 წლამდის და 1789 წლიდან 1797 წლამდის; ასეთი შეფარდებააო: 1:1 000 000.

ზოგიერთ სიტყვას, რომლებიც სპეციალურ მეცნიერებებში იხმარებოდა. ახალი პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭა. კალ., მანამდე ბუნებისმეტყველებაში გავრცელებული სიტყვები — კოალიცია, რეაქცია, ორგანიზაცია და სხვ. პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ტერმინებად იქცნენ. რაკი საფრანგეთის რევოლუციამ საერთაშორისო ყურადღება გამოიწვია, ფრანგული პოლიტიკური ლექსიკონიც, ამის შესაბამისად, სულ მალე საერთაშორისო კუთვნილებად იქცა. 1848 წლამდის საფრანგეთმა შეინარჩუნა მეწინავეობა პოლიტიკური იდეოლოგიის სფეროში. მუშათა მოძრაობის სხვადასხვა საფეხურზე, უტოპიური სოციალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით, საფრანგეთიდან გავრცელდა მსოფლიოში ისეთი სიტყვები, როგორცაა სოციალიზმი, კომუნიზმი, კაპიტალიზმი, პროლეტარიატი და სხვ.

XVIII საუკუნიდან იწყება ინგლისის ენობრივი გავლენა მსოფლიოში, ინგლისისა, რომელიც ამ დროს კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყანაა.

ინგლისურიდან ვრცელდება საერთაშორისო ლექსიკაში უმთავრესად ისეთი სიტყვები, რომლებიც განეკუთვნებიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ვაჭრობის, მრეწველობის და ფინანსების, რკინიგზის, ზღვაოსნობის სფეროებს; აქვე შემოდის აგრეთვე სალონური ცხოვრების, გართობისა და სპორტის ლექსიკა. ასეთი ინგლისური სიტყვებია დანერგილი საერთაშორისო ლექსიკაში: პარლამენტი, ბიუჯეტი, მიტინგი, ლიდერი, ინტერვიუ (პოლიტიკური და საზოგადოებრივი ტერმინოლოგია), კაბინა, იახტა, დოკი, ბალასტი (ზღვაოსნობის ტერმინოლოგია), ვაგონი, რელსი, ლოკომოტივი, ტრამვაი (სარკინიგზო ტერმინოლოგია), იმპორტი, ექსპორტი, ჩეკი, ობლიგაცია, ტრესტი (ეკონომიკური ცხოვრება), შვეიცოტი, პლედო, შალი (მრეწველობა), სპორტი, ბოქსი, მატჩი, რეკორდი, ტენისი, ტურისტისტი (სპორტი), დენდი, კომფორტი, ტოსტი და მრ. სხვ. ბევრი ასეთი სიტყვა ნაწარმოებია ფრანგული თუ ლათინური სიტყვების ბაზაზე. მაგრამ სწორედ ინგლისურში მიენიჭა მათ ის ახალი მნიშვნელობა, რომელიც დამკვიდრდა სხვა ენებში.

გერმანული სიტყვები საერთაშორისო ლექსიკაში შედარებით მცირეა. ეს იმით აიხსნება, რომ გერმანია XVII—XVIII სს. ჩამორჩენილი იყო ეკონომიკურად და კულტურულად ევროპის სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით. მართალია, XIX საუკუნეში მდგომარეობა შეიცვალა, მაგრამ არც იმდენად. გერმანული ენის გავრცელებას ისიც აფერხებდა, რომ ეს ენა არ ეყრდნობოდა ლათინურს, — ლათინურს, რომელიც დასავლეთში ინტერნაციონალური ლექსიკის უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა. იმ მცირერიცხოვან სიტყვათაგან, რომლებიც შეიჭრა გერმანულიდან ინტერნაციონალურ ლექსიკაში, ერთი წყება ბერძნულ-ლათინური წარმოშობისაა; ამ კატეგორიის სიტყვებს ნაციონალური ელფერი არა აქვთ (მაგალ., თ ე ო ლ ო გ ი ა, ნ ა ც ი ო ნ ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი...). არის მეორე წყება სიტყვებისა, რომლებიც ი თ ა რ გ მ ნ ე ბ ა გერმანულიდან რომელიმე ენაზე. ასეთია, მაგალითად, ფილოსოფიური ტერმინი Weltanschauung, საიდანაც მივიღეთ ისეთი შედგენილობის სიტყვა. როგორცაა, მაგალითად, რუსული мировоззрение, ქართული მ ს ო ფ ლ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა. ამავე რიგისაა მარქსისა და ენგელსის ნაშრომებში ნახმარი პოლიტიკური სიტყვები: Klassenkampf — „კლასობრივი ბრძოლა“, Diktatur des Proletariats — „პროლეტარიატის დიქტატურა“, Mehrwert — „ზედმეტი ღირებულება“, Weltmarkt — „მსოფლიო ბაზარი“ და სხვ.

პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში საერთაშორისო ენობრივი გავლენის მძლავრ კერად საბჭოთა კავშირი იქცა. რუსული ენიდან შევიდა საერთაშორისო ლექსიკაში, მაგალითად, ისეთი სიტყვები, როგორცაა совет, большевик, меньшевик, колхоз, кулак და სხვ.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1919 წელს ამბობდა:

„ჩვენ მივალწიეთ იმას, რომ სიტყვა „საბჭო“ გასაგები გახდა ყველა ენაზე“ (თხზულებანი, ტ. 29, გვ. 44); „... ყველგან მსოფლიოში სიტყვა „საბჭო“ არათუ გასაგები გახდა, არამედ პოპულარული, საყვარელი გახდა მუშებისათვის, ყველა მშრომელისათვის“ (იქვე, გვ. 283); „სულ მივარდნილ კუთხეებში, იტალიის რომელიმე პოშენონიეში, იკრიბებიან მოჩამაგირეები და მუშები და აცხადებენ: „ჩვენ მივესალმებით გერმანულ სპარტაკელებსა და რუს საბჭოელებს და მოვითხოვთ, რომ მათი პროგრამა მთელი მსოფლიოს მუშების პროგრამა გახდეს“.

გარდა ზემოჩამოთვლილი სიტყვებისა, სოციალისტური რევოლუციის ეპოქამ წარმოშვა სხვა ახალი საგნები და ცნებები, რომელთა გამოძხატველი სიტყვები პ ი რ დ ა პ ი რ ი თ ა რ გ მ ა ნ ი ს გზით გავრცელდა მსოფლიოს ენებში, ე. ი. იქცნენ საერთაშორისო სიტყვებად.

ასეთი „სოვეტიზმებია“: пятилетка — „ხუთწლელი“, გერმ. Fünfjahrplan, ინგლ. five year plan, ფრანგ. plan quinquennel; удар-

ნიკ — „დამკვერელი“, გერმ. Stossarbeiter, ინგლ. shoc-worker, ფრანგ. ouvrier de choc; Социалистическое соревнование — „სოციალისტური შეჯიბრება“, გერმ. Sozialistischer Wettbewerb, ინგლ. socialist competition, ფრანგ. émulation socialiste; самокритика — „თვითკრიტიკა“, გერმ. Selbskritik, ინგლ. selfcriticism, ფრანგ. auto-critique და სხვ.

როგორც დავრწმუნდით, საერთაშორისო სიტყვებად მსოფლიოს კულტურულ ენებში გავრცელებულია უმთავრესად ახალი ევროპული ენებიდან მომდინარე სიტყვები — იტალიური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, რუსული ლექსიკის მასალა. ეს ენებია კერები ისეთი სიტყვებისა, რომელთა დამკვიდრება ყოველ კულტურულ ენაში სავალდებულოა მეცნიერებისა და ტექნიკის, პოლიტიკისა და ხელოვნების საყოველთაო ტერმინებად. ამიტომ ეწოდება ამგვარ საყოველთაო სიტყვებს ინტერნაციონალური სიტყვები.

მაგრამ ინტერნაციონალური ლექსიკის უმთავრესი წყარო მაინც ძველი ენებია — ლათინური და ბერძნული.

შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით კათოლიკურ დასავლეთში, ძალიან გავრცელებული იყო ლათინური ენა, როგორც ინტერნაციონალური ენა. ლათინურად იწერებოდა თხზულებები, ლათინური ენა იყო მიჩნეული კულტურის უმთავრეს ენად. ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის განთიადზე თანდათან იფურჩქნება დასავლეთის ქვეყნების ეროვნული კულტურა, იქმნება მწერლობა, მეცნიერება, ტექნიკა ნაციონალურ ენებზე, მაგრამ ანტიკური კულტურა მაინც სამაგალითოა მიჩნეული და მისი ელემენტები უხვად იჭრება ახალი კულტურული სამყაროს შემადგენლობაში.

ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში კულტურის ნაციონალიზაცია სხვადასხვა დროს მოხდა. მაგალითად, საფრანგეთში უნივერსიტეტში ლექციებს ფრანგულ ენაზე (ნაცვლად ლათინურისა) უკვე XVI საუკუნიდან კითხულობენ. ამ საუკუნის ბოლოსათვის კარგა ძალი ფრანგული წიგნებია დაწერილი მათემატიკის, ასტრონომიის, ფიზიკის, მედიცინის, იურისპრუდენციის, ისტორიის, ენათმეცნიერების, ლეთისმეტყველებისა და ფილოსოფიის დარგებში. „თუ მე ვწერ ფრანგულად, ჩემი ქვეყნის ენაზე, ნაცვლად ლათინურისა, რომელიც ჩემი მასწავლებლების ენაა, — ამბობდა გამოჩენილი ფილოსოფოსი დეკარტე (1637 წ.), — ეს იმითმ, რომ ვიმედოვნებ, ჩემს შეხედულებებს უფრო შეითვისებენ ისინი, ვინც იყენებს თავის წმინდა ბუნებრივ გონებას, ვიდრე ისინი, ვისაც სწამს მხოლოდ ძველი წიგნები“.

გერმანიაში ეს გარდატეხა იწყება XVIII საუკუნეში. პირველ საუნივერსიტეტო ლექციებს უკვე გერმანულ ენაზე (ნაცვლად ლათინურისა) კითხულობს თომაზიუსი (1687 წ.), გამოჩენილი ფილოსოფოსი

სი და მეცნიერი ლაიბნიცი (1646—1716) თავის ფილოსოფიურ და მეცნიერულ ტრაქტატებს წერს ლათინურადაც და ფრანგულადაც; მხოლოდ მისი მოწაფე ვოლფი უშვებს სახელმძღვანელოთა მთელ სერიას გერმანულად. ამ წიგნებმა დიდი როლი შეასრულეს გერმანული მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნაში. მიუხედავად ზემოთქმულისა, ლათინური მაინც რჩება ინტერნაციონალურ ენად, და საფრანგეთში, მაგალითად, განათლების სრული ნაციონალიზაცია მხოლოდ რევოლუციის ეპოქის მონაპოვარია.

გასაგებია, რომ ამ პირობებში ლათინური და ბერძნული სიტყვები მძლავრად შეიჭრებოდა ახალი ევროპის კულტურულ ენებში, როგორც ტერმინები ცივილიზაციისა. ერთი ფრანგი ჰუმანისტი (1380 წ.), არისტოტელეს პირველი მთარგმნელი ფრანგულად, იძულებულია აღიაროს, რომ მან ორიგინალის ენიდან (ე. ი. ბერძნულიდან) ისესხა და შემოიტანა ფრანგულ ენაში ისეთი „უცხოური სიტყვები“, როგორიცაა ანარქია, არისტოკრატია, დემოკრატია, მონარქია, პოლიტიკა, ექონომია, პერიოდი, პოემა, მელიოდა და მრ. სხვ. ცნობილი მწერლის რაბლეს თხზულებებში. მაგალითად, დათვლილია 592 ლათინური და 517 ბერძნული სიტყვა.

ამრიგად, ლათინურ-ბერძნული „კულტურული ტერმინები“ მოზღვავედა ევროპის ახალ ენებში და ეს სტიქიური პროცესი გრძელდება აღორძინების ეპოქიდან ჩვენ დრომდის.

„მეცნიერული“ ლათინიზმებით იმთავითვე სარგებლობდა არა მხოლოდ ისეთი დისციპლინები, როგორიცაა მედიცინა და ფარმაცოლოგია, ქიმია, ბოტანიკა და ზოოლოგია, გეოლოგია და პალეონტოლოგია, რომლებსაც სჭირდებოდათ ვიწროსპეციალური ტერმინოლოგია სხვადასხვა სახის დაავადებათა და წამლების, ქიმიური შენაერთების, მეცნიერული და ცხოველთა სამყაროს სახეობების, წიაღისეული ელემენტების აღსანიშნავად. ამასთანავე, მათემატიკა, ფიზიკა, ბიოლოგია, ჰუმანიტარული დარგები, ფილოსოფია, პოლიტიკა, ხელოვნება, XIX საუკუნიდან — ტექნიკა უხვად დაესესხნენ ბერძნულ-ლათინურ ენობრივ სამყაროს და ფართოდ დანერგეს ამ ძველი ენებიდან მომდინარე ტერმინები, ამქამად რომ საერთაშორისო მეცნიერულ ტერმინებადაა მიჩნეული.

არის ისეთი საერთაშორისო სიტყვებიც, რომლებიც არ გვხვდება კლასიკურ ენებში (ბერძნულ-ლათინურში), მაგრამ შემუშავებულია ბერძნულ-ლათინური სიტყვობრივი მასალის საფუძველზე ახალ ევროპულ ენებში, — ზოგ ბერძნულ-ლათინურ სიტყვასაც ახალი გააზრება აქვს მიღებული.

დაჯასახლოთ ზოგიერთი მათგანი.

სიტყვა მანუფაქტურა ასეა შედგენილი: მანუს ლათინ-

ნურია და ნიშნავს ხელს, ფ ა ქ ტ უ რ ნიშნავს გაკეთებას, ე. ი. ხელ-  
შრომა, ხელსაქმე. სიტყვა წარმოიქმნა XVI საუკუნეში კაპიტალისტუ-  
რი მრეწველობის გარიჟრაჟზე. ფრანგული რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ლათი-  
ნური ძირეული მასალის საფუძველზე შექმნილი (ლათინურად ნიშნავდა  
„უკან დაბრუნებას“ და XVII ს. სამეცნიერო ენაში ეწოდებოდა გა-  
დახრას პლანეტების მოძრაობაში, — XVIII ს. ბურჟუაზიულ პუბლი-  
ცისტიკაში ღებულობს გადატრიალების, სახალხო აჯანყების მნიშვნე-  
ლობას, და ეს მნიშვნელობა განამტკიცა საფრანგეთის რევოლუციის  
მაგალითმა. ინგლისური სიტყვა ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი დაფუძნებუ-  
ლია ლათინურ სიტყვაზე („იმპერიუმ“), შემოდის ხმარებაში XIX სა-  
უკუნეში და აღნიშნავდა ბრიტანეთის იმპერიის კოლონიური ექსპან-  
სიის პრინციპებს; XX საუკუნეში ეს სიტყვა გამოხატავს სხვა დიდი  
სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ასეთსავე პრინციპებს, ხოლო  
ვ. ი. ლენინმა ამ სიტყვას ახალი შინაარსი მისცა „იმპერიალიზმის, რო-  
გორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის“ ანალიზით. ტ ე ლ ე გ რ ა ფ ი  
და ტ ე ლ ე ფ ო ნ ი აღნიშნავენ XIX ს. ტექნიკურ გამოგონებებს  
ბერძნული ძირების გამოყენებით („შორსსაწერი“ და „შორსსასმენი“  
აპარატები). ეს უკანასკნელი ეკუთვნის ედისონს. ა ვ ტ ო მ ო ბ ი ლ ი  
შედგენილია ბერძნული და ლათინური სიტყვების კომბინაციით (ბერძნ.  
„ავტოს — თვით. ლათ. „მობილის“ მოძრავი, ე. ი. თვითძრავი).

ქართულ ენაში ინტერნაციონალური ლექსიკა ჯერ კიდევ ძველ  
საუკუნეებში იწერებოდა (ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან უშუალო  
კონტაქტის პირობებში). მრავალი სიტყვა გადმოვიდა ახალ საუკუნე-  
ებში, განსაკუთრებით XIX საუკუნეში.

რაკი მთელი რიგი საერთაშორისო სიტყვები რუსული ენის გზით  
გავრცელდა ჩვენს ენაში, ამიტომ მათ ეტყობა ეს „შუალობითი გზა“.  
რაში გამოიხატება ეს?

ყოველი ენა თავისებურად გადააკეთებს უცხოურ სიტყვას, და-  
უმორჩილებს თავის ფონეტიკურ კანონზომიერებას. მაგალითად,  
რუსულს არა აქვს ბგერა „თ“. ამიტომ იმ უცხოურ სიტყვაში, რომელ-  
შიაც „თ“ ურევია, „ტ“-დ გადააკეთებს ხოლმე. არც „ჰ“ აქვს რუსულ  
ენას, — მის ადგილს „გ“-ს ხმარობს და ა. შ. რაკი ბევრი საერთაშო-  
რისო სიტყვა რუსულის მეშვეობით შემოვიდა ჩვენს ენაში, „თ“-სა  
და „ჰ“-ს შემცველი სიტყვები რუსულისებურად „ტ“-თი და „გ“-თია  
გადმოცემული, მიუხედავად იმისა, რომ ქართულს აქვს „თ“—„ჰ“ ბგე-  
რები. ამით აიხსნება, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში არაიშვი-  
ათად გვხვდება, მაგალითად, ეს ტ ე ტ ი კ ა, ტ ე მ ა, ა პ ა ტ ი ა, ე ნ-  
ტ უ ზ ი ა ს ტ ი, ს ი ნ ტ ე ზ ი, ფ ი ლ ა ნ ტ რ ო პ ი ა, ტ ე რ მ ო მ ე ტ-  
რ ი, ე პ ი ტ ე ტ ი, ა ტ ე ი ს ტ ი და მისთანანი. ბერძნულს ახასიათებს  
„თ“, გერმანულ-ფრანგულსაც „თ“ აქვს (თუმცა დღეს აღარ გამო-

ითქმის, დაწერით კი „თ“-ს წერენ). ამიტომ ბერძნულ-გერმანულ-ფრანგული საერთაშორისო სიტყვები, რომლებიც „თ“-თია წარმოდგენილი, ქართულში „თ“-თივე უნდა გადმოიცეს, და ასეცაა დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენაში დაკანონებული (ე ს თ ე ტ ი კ ა, ს ი ნ თ ე ზ ი, ე პ ი თ ე ტ ი... ). თუ „ტ“ არის ამ ენათა სათანადო სიტყვები, რასაკვირველია „ტ“-თივე გადმოიცემა ქართულში (ბ ე ტ ო - ნ ი, ე ტ ა პ ი, კ ა ბ ი ნ ე ტ ი, ვ ი ტ რ ი ნ ა... ).

ასეთივე მდგომარეობაა „ჰ“-ს შემცველ სიტყვებში. რუსულს „ჰ“ არა აქვს და ამიტომ „გ“-თი გადმოგვეცემს, მაგალითად, სიტყვებს — гигиена, гимн, галюцинация, гипноз. ქართულისათვის კი ბუნებრივია ასეთი დამწერლობა: ჰ ი გ ი ე ნ ა, ჰ ი მ ნ ი, ჰ ა ლ უ ც ი ნ ა ც ი ა...

არევ-დარევა იყო წინათ „გ“-ს შემცველ საერთაშორისო სიტყვებშიც. წერდნენ: ღ რ ა მ ა ტ ი კ ა, კ ა ტ ი ღ ო რ ი ა, ლ ო ღ ი კ ა, ტ რ ა - ღ ე დ ი ა და სხვა. (ივ. მაჩაბლის თარგმანებში მაგალითად, ტ რ ა ღ ე - დ ი ა გვხვდება!). ბერძნული ყ მართლაც ნაირ-ნაირი ბგერა იყო „ი“ და „ე“-ს წინ, სულ სხვანაირი — დანარჩენ შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში ის ისეთი ბგერა იყო, რომ ქართულმა საჭიროდ დაინახა მისი გადმოცემა „გ“-თი (ძველიდანვე ცნობილია გ ი ო რ გ ი, გ ე - რ ო ნ ტ ი, მ ა გ ი ს ტ რ ო ს ი), ხოლო მეორე შემთხვევაში ბევრგან „ღ“ მოგვცა: ჰ ი თ ა ღ ო რ ა, ლ ი კ უ რ ღ ო ს ი, მ ა ღ ნ ი ს ი ა. ასე რომ, თუ ძველი წესი დარჩა ძალაში, სწორედ ლ ო გ ი კ ა უნდა იწერებოდეს და არა ლ ო ღ ი კ ა, ტ რ ა გ ი კ უ ლ ი და არა ტ რ ა ღ ი - კ უ ლ ი. მაგრამ იმ მეორე შემთხვევაში „ღ“ არ გამოხატავდა ზედმიწევნით ყ-საგან განსხვავებულ მეორე ყ-ს და ამიტომ შემდეგ ხანებში ორივე ყ-ს გადმოიცემა ერთმანეთში აირია (მაგალ. დ ი ო ღ ე ნ ი. რაკი სალაპარაკო ენაში მეტწილად განიანი ფორმებია გაბატონებული და ეს „გ“ გამართლებულია ისტორიითაც, „გ“ დარჩა ისეთი შემთხვევებისათვისაც, როგორიცაა ლ ო გ ი კ ა და ტ რ ა გ ი კ უ ლ ი, სადაც „ღ“-ს არავითარი საფუძველი არ მოეპოვება, და, მამსასადამე, ბერძნულ-ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში „ღ“, საზოგადოდ, არ გვექნება. ამგვარად, დღეს გაბატონებულია: ა გ ი ტ ა ც ი ა, ა ლ ე გ ო - რ ი ა, გ ე ნ ე რ ა ლ ი, გ ე ნ ი ო ს ი, გ რ ა მ ა ტ ი კ ა, ტ რ ა გ ე დ ი ა, ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი, ლ ო გ ი კ ა... (იხ. სალიტერატურო ქართულის ნორმები, I).

რუსულისავე გავლენით იხმარებოდა წინათ „ხ“ ისეთ სიტყვებში, სადაც ბერძნულის კვალობაზე „ქ“ უნდა ყოფილიყო ქართულშიც. ამბობდნენ და წერდნენ: ა რ ხ ა ი ზ მ ი, ბ რ ო ნ ხ ე ბ ი, ტ ე ხ ნ ი კ ა, ტ ე ხ ნ ი კ უ მ ი, ტ ე ხ ნ ო ლ ო გ ი ა, ფ ს ი ხ ი კ ა, ხ რ ო ნ ი კ ა, ხ რ ო - ნ ო ლ ო გ ი ა და მისთანანი. რაკი ქართულში „ქ“ მკვიდრი ბგერაა, დაკანონდა ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვების ასეთი დაწერილობა: ა რ ქ ა ი ზ მ ი, ტ ე ქ ნ ი კ ა, ფ ს ი ქ ი კ ა...



ქართულ სამეცნიერო ენაში გვხვდებოდა ასეთი პარალელური თორმეტი: ზოოლოგია — ძოოლოგია, ზოოტექნიკა — ძოოტექნიკა, პროტოზია — პროტოძია და სხვ. აქ „ზ“ — „ძ“-თი გადმოცემულია ბერძნული Ζ (ლათ. Ζ:Zoologia...). ძველ ბერძნულში Ζ მართლაც გამოხატავდა დაახლოებით „ძ“-ს, ხოლო შემდეგ ხანებში მან როგორც ბერძნულში, ისე ლათინურში მოგვცა „ზ“. ეს დამკვიდრდა ჯერ კიდევ ძველ სალიტერატურო ქართულში (ზაქარია, ზევესი, ზენონი, ზოდიაქო, მონაზონი, ტრაპეზი). იგივე გამოთქმა „ზ“ გაბატონდა ევროპულ ენებში (რუსულში, ფრანგულში, ინგლისურში), ამიტომ „ძ“ ქართულშიც გაუმართლებელია და მიღებულია „ზ“-ს შემცველი სიტყვები „ზეფირი, ზონა, ზოოლოგია, პროტოზია... (იხ. სალიტერ. ნორმები, 1).

უმართებულოდ იყო, აგრეთვე, ქართულში გავრცელებული ევროპის ენებიდან მომდინარე ისეთი სიტყვები, რომლებშიაც გვაქვს „ლა“ და „ლუ“ ჯგუფები. წინათ ქართულში იხმარებოდა: რევოლუცია, ევოლუცია, ილიუსტრაცია, იზოლიაცია, კომპილიაცია, პოპულიარული, მალიარია და მისთ. ამჟამად დაკანონებულია: რევოლუცია, ილუსტრაცია, იზოლაცია, მალარია... რატომ? ამ სიტყვების სამშობლო ენაში ლა—ლუ გვაქვს (მალარია, რევოლუცია...). რუსულში ამ ჯგუფების შემცველი სიტყვები ასე გადმოიღო малаярия, революция, ე. ი. ля და лю ჯგუფები გაბატონა. ეს იმიტომ, რომ რუსულს ორგვარი „ლ“ აქვს: მაგარი და რბილი. ქართულისათვის შესაფერია ლა—ლუ ჯგუფები და ამიტომაც დღეს გაბატონებული მალარია-რევოლუცია-ს ტიპის ფორმები, ისევე როგორც არის ამგვარი სიტყვების სამშობლო ენაში.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ეგრეთ წოდებული ინტერნაციონალური სიტყვები ყოველ კულტურულ ენაში შედის. ამგვარი ლექსიკა აუცილებელია ყველა ენისათვის, რომელსაც სალიტერატურო ენა მოეპოვება. მაგრამ ეროვნულ ენებს ზოგჯერ აქვთ ამა თუ იმ ინტერნაციონალური სიტყვის შესაბამისი საკუთარი სიტყვა, რომელიც ზუსტად გამოხატავს რომელიმე საერთაშორისო კულტურული სიტყვის შინაარსს. ასეთ შემთხვევაში სასურველია ენამ იხმაროს სწორედ ეს საკუთარი ძირეული სიტყვა, ტერმინად დამკვიდრებული, რათა არ მოადუნოს ენის შესაძლებლობანი და საკუთარი ენობრივი წილიდან მომდინარე საჭირო სიტყვას გასაქანი მისცეს.

სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როდესაც იბრძოდა რუსული სალიტერატურო ენის გაწმენდისათვის. ლენინი ამბობდა: „რუსულ ენას ჩვენ ვაფუჭებთ, უცხოურ სიტყვებს ვხმარობთ საჭიროების გარეშე, ვხმარობთ მათ უმართებულოდ.

რატომ უნდა ვამბობდეთ „დეფექტი“, როცა შეიძლება ვთქვათ „ნაკლი“ ან „ხარვეზი“ (недочеты или пробелы)?

„რა თქმა უნდა, — განაგრძობს ლენინი, — როცა ადამიანი, რომელსაც ახლახან უსწავლია, საერთოდ, კითხვა და, განსაკუთრებით, გაზეთის კითხვა, იწყებს მის გულმოდგინედ კითხვას, ის უნებლიეთ ითვისებს გაზეთის ენას. მაგრამ სწორედ გაზეთის ენაც იწყებს გაფუჭებას ჩვენში. თუ იმას, ვისაც კითხვა ახლახან უსწავლია, ეპატიება იხმაროს, როგორც ახალი რამ, უცხოური სიტყვები, ლიტერატორებს ეს არ ეპატიებათ. განა დრო არ არის, ომი გამოვუცხადოთ უცხოური სიტყვის ხმარებას საჭიროების გარეშე?“ (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 30, გვ. 354).

ზემოთმოყვანილი ამონაწერიდან ნათლად ჩანს დიდი ლენინის სიტყვების სამართლიანი აზრი: საჭიროების გარეშე უცხოურ სიტყვათა ხმარება მიზანშეწონილია, უცხოური სიტყვების ბოროტად გამოყენება ხელს უშლის პარტიას მის სააგიტაციო მუშაობაში, მიაწვდინოს მასებს თავისი იდეები ყველაზე უფრო გასაგები და დამარწმუნებელი ენით.

ახლა ჩვენ გავეცნოთ ერთ მიმდინარეობას, რომელიც მოწოდებულია, ხელაღებით უარყოს ყოველგვარი საერთაშორისო სიტყვა ამა თუ იმ ენაში და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს, საერთოდ, უცხოური სიტყვების გამოყენებას. სულ წაიშალოს ენებში კვალი ინტერნაციონალური სიტყვებისა — აი, ამ რწმენის ადამიანთა ლოზუნგი. ამ მიმდინარეობას პურიზმი ეწოდება (წარმომდგარია ლათინური სიტყვისაგან „პურუს“ — სუფთა, წმინდა).

საფრანგეთში ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დიდი მოძრაობა იყო, რათა იტალიური და ლათინური სიტყვები სულ ერთიანად აელაგმათ ფრანგულ ენაში. გერმანიაში XVII—XVIII სს. შეიმჩნევა რეაქცია ფრანგული ელემენტების წინააღმდეგ. მაგრამ გერმანიაში პურისტული ტენდენციები უფრო XIX—XX სს. ისახება. გერმანელმა ნაციონალისტ-პურისტებმა 1885 წელს დააარსეს „საერთოგერმანული ენობრივი კავშირი“, რომელსაც საკუთარი ჟურნალიც ჰქონდა. ეს ერთიანება მიზნად ისახავდა შეექმნათ „იმპერიის ენობრივი სამმართველო“, რომელიც გაატარებდა ახალ ენობრივ პოლიტიკას და ადმინისტრაციული წესით ალაგმავდა ყოველგვარ კულტურულ სიტყვას, შემოსულთ სხვა ენათაგან. „საერთოგერმანული ეროვნული კავშირის“ კარნახით. გერმანიის ფოსტის დირექტორმა თავის უწყებაში ალაგმარამდენიმე ასეული უცხოური სიტყვა და მათ ნაცვლად ხელოვნურად შექმნილი გერმანული ტერმინები გააბატონა; იმავე ხანებში სარკინიგზო უწყებაში აიკრძალა ათასამდე საერთაშორისო სიტყვა; სამხედრო უწყებამ აღკვეთა მთელი რიგი სამხედრო ტერმინები უცხოური წარ-

მოშობისა და ა. შ. ამ გამძვინვარებულ კამპანიას ხელს უწყობდა ოფიციალური ნაციონალისტური პრესა. გერმანელი პურისტების მთავარი იდეოლოგი ენგელი მის მოწინააღმდეგეებს „ეროვნულ დღაღატში“ სდებდა ბრალს, რაჟი ისინი აღიარებდნენ საერთაშორისო კულტურული ტერმინების გამოყენების აუცილებლობას გერმანულ ენაში. ერთგან ენგელი ამბობს: „მკრელი დანით უნდა ამოიკვეთოს ეს საბედისწერო სიმსივნე გერმანული ენის, გერმანელი ხალხის, გერმანული ეროვნული ღირსების საღ სხეულზეო“. ე. ი., ენგელის აზრით, გერმანულ ენაში დააკვიდრებული ინტერნაციონალური სიტყვები, საყოველთაო კულტურული ტერმინები მეცნიერებისა და ტექნიკისა, ხელოვნებისა და ლიტერატურისა, მავნებელია და აღმოსაფხვრელი გერმანული ენის განვითარების თვალსაზრისით. „ყოველი უცხოური სიტყვა უნდა შეიცვალოს გერმანული სიტყვით“, — ირწმუნებოდა „ენათმეცნიერული ოპტიმიზმის“ წარმომადგენელი ენგელი. მან შეადგინა კიდევაც ლექსიკონი, სადაც ყოველ უცხოურ, საერთაშორისო სიტყვას მიწერილი აქვს გერმანული ეკვივალენტები (ლექსიკონის მე-5 გამოცემა 1929 წ. განხორციელდა). აქ მოცემულია მეცნიერებაში დაკანონებული სპეციალური ტერმინების გერმანული თარგმანი. ფიზიოლოგია ასეა ნათარგმნი: „მოძღვრება სხეულის შესახებ“, ბიოლოგია — „მოძღვრება სიცოცხლის შესახებ“, რევოლუცია — „გადატრიალება“, „სახალხო აჯანყება“, სოციალიზმი — „სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა“, კომუნიზმი — „ადგილ-მამულის ერთობა“ და ა. შ.

ცხადია, საკაცობრიო კულტურის საყოველთაო ტერმინებს ხელაღებით უარყოფა და მათ ნაცვლად გერმანული ხელოვნური მრავალსართულიანი რთული სიტყვების (კომპოზიტების) შემოღება არ გაიზიარა ყველამ. გამოჩენილი გერმანელი მწერლები წინააღმდეგობას უწევდნენ ფანატიკოს პურისტებს. სასტიკად ილაშქრებდნენ ამ გაუმართლებელი ექსპერიმენტების წინააღმდეგ. დამახასიათებელია, რომ უდიდესი მწერლები ლესინგი და გოეთე პურისტების თვალსაზრისს კიცხავდნენ და თავგამოდებით იცავდნენ გერმანულ ენაში საერთაშორისო ლექსიკას. აი რას ამბობდა გოეთე 1795 წელს: „ვეწყველი ყოველგვარ ნეგატიურ პურიზმს, რომელიც კრძალავს სიტყვის გამოყენებას მაშინაც კი, თუ უცხოურმა ენამ შექმნა ვაცილებით მეტი ღაუფრო ნატიფი სიტყვები!“

ფ. მერინგი აღნიშნავდა, რომ, როგორც კი მოხვდება ენგელის ყურადღების ასპექტში მარქსიზმის წარმომადგენლობი (სოციალისტები), მის მიერ „უსწორობათა“ „მხილების“ ტონი განსაკუთრებით „გაჯაგრებული“ ხდება. მაგალ., ენგელი აკრიტიკებს შეისანიშნავ სტილისტს ფ. ლასალს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი იყენებს უცხოურ სი-

ტყვას — რ ე ვ ო ლ უ ც ი ა. იგი უარყოფს კ. მარქსის ნაწერებში ისეთ ტერმინოლოგიასაც, როგორიცაა „კაპიტალისტური წარმოების წესი“ და მოითხოვს ამგვარი უცხოური სიტყვების შეცვლას გამოგონილი, ხელოვნური გერმანული სიტყვებით!

ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ ჩეხი პურისტებიც (XIX ს.). პურისტული ტენდენციები რუსეთშიც იყო. ცნობილი ვ. ი. დალიც (Далы), რომელიც ავტორია რუსული ენის კაპიტალური ლექსიკონისა, ვერ ასცდა პურისტულ შეხედულებებს, რის გამოც სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურა განსაკუთრებით ნ. ჩერნიშევსკის მხრივ.

პურიზმმა თავისი უარყოფითი შედეგები გამოიღო ქართული ენის სინამდვილეშიაც. ასე, მაგალითად, ერთ დროს იყო ცდა საყოველთაო ტერმინები — პ რ ო ს პ ე ქ ტ ი, ვ ა გ ო ნ ი ტ ე ლ ე ფ ო ნ ი და სხვ. უკუეგდოთ და მათ ნაცვლად ხელოვნურად შეთხზული სიტყვები გაემატონებინათ: გ ა მ ზ ი რ ი (პროსპექტი), რ ო ნ ო და (ვაგონი — ვითომ „ოდა“, რომელიც „რონინებს“!), ე ლ ს მ ე ნ ი (ტელეფონი)... რა თქმა უნდა, ენამ არ მიიღო ამგვარი გაუმართლებელი ტერმინები, ნაცვლად მთელ კულტურულ სამყაროში დამკვიდრებული სიტყვებისა.

ასეთია საერთაშორისო სიტყვების წარმომშობი მიზეზები და მათი გავრცელების გზები.

## მსოფლიოს ენები

დედამიწის ზურგზე ენათა რიცხვი 2800-ს აღემატება. ეს რიცხვი უთუოდ გაიზრდება, როდესაც მსოფლიოს ყველა ენა ცნობილი და შესწავლილი იქნება. ასე, მაგალითად, საფუძვლიანად ვიცნობთ ევროპულ ენებს, აგრეთვე — აზიისა და აფრიკის მთელ წყება ენებს, მაგრამ აზიისა და აფრიკის, ამერიკის ძირეული მოსახლეობის, ავსტრალიისა და წყნარი და ინდოეთის ოკეანეების ენათა უმრავლესობა ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის. ამიტომ მსოფლიოს ენათა კლასიფიკაცია, რომელსაც ამჟამად გვთავაზობს მეცნიერება, რამდენადმე პირობითია, წინასწარი ხასიათისაა.

მსოფლიოს ენებში ამჟამად უნდა გავარჩიოთ ტ ო მ ო ბ რ ი ვ ი ე ნ ე ბ ი, ხ ა ლ ხ ო ვ ნ უ რ ი ე ნ ე ბ ი და ა ე რ ო ვ ნ უ ლ ი ე ნ ე ბ ი. არსებობდნენ გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ი ე ნ ე ბ ი ც, რომლებიც აღარ შემო-

უნახავს კაცობრიობას (გვაროვნული წყობილება, გვაროვნული ენები განვითარების განვლილი საფეხურია).

ტომობრივი ენებია, მაგალითად, დალისტინის ენები — აღულური, წახურული, ანდიური, დიდოური, აფრიკის, პოლინეზიის და სხვა ენები.

ხალხოვნური ენებია, მაგალითად, ავარიული, ლაკური, ყაბარდოული, უდმურტული, ციმბირის ხალხის ენები — ევენკებისა, ოდულებისა და სხვ.

ეროვნული ენებია, მაგალითად, ქართული, რუსული, ფრანგული, ჩინური, არაბული, სომხური, უკრაინული და სხვ.

არის ენები, რომლებიც ემსახურებიან არა რომელიმე ერს, არამედ რამდენიმე ერს. ასეთებია, მაგალითად, პ ო რ ტ უ გ ა ლ ი უ რ ი ე ნ ა — პორტუგალიაში და ბრაზილიაში, ფ რ ა ნ გ უ ლ ი ე ნ ა — საფრანგეთში, ბელგიასა და შვეიცარიაში, ი ნ გ ლ ი ს უ რ ი ე ნ ა — ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, გ ე რ მ ა ნ უ ლ ი ე ნ ა — გერმანიასა და ავსტრიაში, ე ს პ ა ნ უ რ ი ე ნ ა — ესპანეთსა და სამხრეთ ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკებში (ურუგვაი, პარაგვაი, არგენტინა, ჩილე, პერუ, მექსიკა...).

არის ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ე ნ ე ბ ი ც, რომლებზედაც ქვეყნდება საერთაშორისო გაერთიანებათა (გაერთიანებული ერების, მშვიდობის დაცვის კომიტეტისა და სხვ.) დოკუმენტები. ესენია: რ უ ს უ ლ ი, ი ნ გ ლ ი ს უ რ ი, ფ რ ა ნ გ უ ლ ი, ჩ ი ნ უ რ ი. ეს ენები თავიანთი ერების ენებიცაა და საერთაშორისო ენებსაც წარმოადგენენ.

არის მ კ ვ დ ა რ ი ე ნ ე ბ ი ც, „მკვდარია ენა“, რომლის მატარებელი კოლექტივი, ხალხი ისტორიულად გადაშენდა. მაგალითად, გადაშენებული, მკვდარი ენებია შუამდინარეთისა და მცირე აზიის ენები, რომლებიც არსებობდნენ საუკუნეთა სიღრმეში: სუმერული, ელამური, ხეთური და ასურულ-ბაბილონური; მკვდარია ეგვიპტური, ლათინური და სხვ.

დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებული ენებია: ჩ ი ნ უ რ ი, ი ნ დ უ რ ი, ი ნ გ ლ ი ს უ რ ი, რ უ ს უ ლ ი, ე ს პ ა ნ უ რ ი.

ევროპულ ენათაგან გავრცელებულობის მიხედვით ყველაზე წინ ინგლისური და ესპანური ენებია. როგორც ზემოთ ითქვა, ისინი, გარდა ინგლისისა და ესპანეთისა, სხვა ქვეყნებშიცაა შემოღებული. ესაა შედეგი ამ ქვეყნების კოლონიზატორული ექსპანსიისა.

მსოფლიოს ენებში გამოიყოფა მსხვილი დაჯგუფებანი, რომლებშიაც შედიან ერთმანეთთან ნათესაურ ურთიერთობაში მყოფი ენები, მონათესავე ენათა ოჯახები. თითოეულ ოჯახში გაერთიანებულ ენებს საერთო წარმოშობა აქვთ.

ტერმინი ენათა „ოჯახი“ არ უნდა გავიგოთ ბიოლოგიურად; ეს ხომ საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენაა და არა ბიოლოგიურ-ისტორიული კატეგორია. ამიტომ ცნება „ოჯახი“ ამ შემთხვევაში გადმოგვეცემს არა ისეთ მიმართებას, როგორც არსებობს „მამებსა“ და „შვილებს“ შორის, — ენათა „ოჯახი“ გულისხმობს ენათა ურთიერთობას წარმოშობისა და ისტორიული განვითარების მიხედვით, — ეს ისტორიული განვითარება კი განსაზღვრულია ენის საზოგადოებრივი ხასიათითა და ბუნებით.

საიდან მომდინარეობენ მონათესავე ენები? ერთი და იმავე ენის დიალექტებისაგან; მონათესავე ენები ყოფილი დიალექტებია, ისტორიული განვითარების პროცესში დამოუკიდებელ ენებად გარდაქმნილი. იმ ძველ ენას, რომლის დიალექტებისაგან წარმოიქმნა მონათესავე ენები, ფუძე ენას უწოდებენ. მაგალითად, უკრაინულს, რუსულს, ბელორუსულს ოდესლაც საერთო ფუძე ენა ჰქონდათ; ფრანგული, იტალიური, ესპანური, რუმინული და სხვა მოძვე ენების ფუძე ენას ხალხური ლათინური წარმოადგენს.

ენათა ნათესაობა თავს იჩენს როგორც ენის ძირითად სიტყვაობრივ მარაგში (ე. ი. სიტყვათა ძირებში), ისე გრამატიკასა და ბგერათა მიმართებაში. ასე, მაგალითად, ენაში, საერთოდ, ძველისძველია ნათესაობის ტერმინები (და, ძმა, დედა, მამა...), ძველია, აგრეთვე, რიცხვითი სახელები (ათამდის), ზოგიერთი ნაცვალსახელი, ადამიანის სხეულის ნაწილების სახელები, ზოგიერთი ცხოველის, მცენარის, იარაღების სახელები და სხვ. უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ ამგვარი სიტყვების ძირები უნდა შევადაროთ ორი ენისა ერთმანეთთან და, თუ ამას დავუმატებთ გრამატიკულ აღნაგობას და ამ გზით მსგავსება ცხადი გახდება, ნათესაობა დადასტურებული იქნება.

მონათესავე ენებში არსებული საერთო ძირის სიტყვებს რომ აღარებენ ერთმანეთს, ამ შედარების გზით შესაძლოა აღდგეს ის ძველი სიტყვა, რომელიც არსებობდა ფუძე ენაში. ეს აზრი შეიძლება სხვანაირად ასე ითქვას: ფუძე ენაში არსებობდა, ვთქვათ, რომელიმე  $x$  სიტყვა; ეს სიტყვა სათავეა მონათესავე ენებში დაცული ვ ა რ ი ა ნ ტ უ ლ ი ს ა ხ ე ო ბ ე ბ ი ს ა. მაგალითად, რუსულში „ძმის“ აღმნიშვნელია брат, გერმანულში — Bruder, ლათინურში — frater, ძველ ინდურში — bhrata(r), ძველ სპარსულში — brata(r). უეჭველია, ესენი ერთი ძირის მონათესავე სიტყვებია. მათ საერთო წყარო აქვთ: რუსული, გერმანული, ლათინური, ძველი ინდური, ძველსპარსული, მონათესავე ენები რომ არ იყვნენ, ეს საერთო ძირის სიტყვები არ ექნებოდათ.

როგორ მივიღეთ „ძმა“ სიტყვის გადმოსაცემად ეს ვარიანტები (ბრატ, ბრუდერ და სხვ.)? ამ ენების ფუძეენაში (საიდანაც ეს ენები მომდინარეობენ) არსებობდა გარკვეული სიტყვა, რომლის ვარიანტული სახეობებიც გამოამუშავებულა ზემოთჩამოთვლილ მოძმე ენებში. როგორ გამოითქმოდა ეს უძველესი სიტყვა? არ ვიცით. რადგან ის არსად არ შენახულა; ვიცით მისი ვარიანტები, არ ვიცით ამ ვარიანციების ფუძესიტყვა, მათი ძველი სახეობა. აი, ამ ვარიანტების (ბრატ, ბრუდერ...) ერთმანეთთან შედარებამ (დაფუძნებულმა ენათმეცნიერულ კანონებზე) შეიძლება საშუალება მოგვცეს, აღვადგინოთ ჩვენთვის საინტერესო სიტყვის გარეგნული სახე. მაგალითად, ერთმანეთს შეუდარეს ე. წ. რომანული ენების (ფრანგულ-იტალიურ-ესპანურ და სხვა ენათა) სინამდვილეში არსებული ერთი ძირის სიტყვები, რომლებიც „მსხალს“ გამოხატავენ და აღადგინეს მათი უძველესი სახეობა pira, რომელიც ამ ენების დღეს არარსებულ ფუძეენაში უნდა ყოფილიყო. მაგრამ, იქნებ შეცდა მეცნიერული კვლევა-ძიება, პრაქტიკულად შემოწმება მეცნიერული ძიების ამ შედეგისა ხომ არ შეიძლებოდა? არ შეიძლებოდა იმიტომ, რომ ამ ენების ფუძეენა რეალურად არ შენახულა, ხალხური ლათინური დიდი ხნის მკვდარი ენაა; არ ვიცით, მსხალს მაშინ pira ერქვა თუ არა! მაგრამ, აი, შემდეგ აღმოჩნდა უძველესი წარწერა, შესრულებული ხალხურ ლათინურზე, სადაც სწორედ pira სწერია მსხლის მნიშვნელობით... ასე გამართლდა მეცნიერული ვარაუდი, დამყარებული ფაქტების მართალ ანალიზზე.

მეცნიერებამ ევროპული ენების საფუძველზე ბევრი ასეთი ძირი აღადგინა. ავგ. შლაიხერმა 1868 წელს გამოაქვეყნა რვასტრიკონიანი მოთხრობა — „ცხვარი და ცხენები“, რომელიც დაწერილია თეორიულად აღდგენილი სიტყვების საფუძველზე, ოდესღაც არსებულ ინდოევროპულ ფუძეენაზე.

მთლიანად აღდგენა რომელიმე ენათა ოჯახის ფუძეენისა შეუძლებელია, მაგრამ მისი ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის ძირითადი მონაცემები შესაძლებელია აღდგენილ იქნეს.

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ გავეცნოთ მსოფლიოს ენათა ოჯახებს.

თითოეულ ენათა ოჯახში შესაძლებელია გამოიყოს შედარებით მცირე ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთს უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან, ვიდრე იმავე ოჯახის სხვა ენებს. ამ შინადაჯგუფებას აღნიშნავენ ტერმინებით: „ენათა შტო“.

ენახოთ, რა ენები შედიან ენათა ოჯახებში.

## 1. ინდური შტო

1. სანსკრიტი — მკვდარი ენაა; გამოყენებული იყო სალიტერატურო ენად VI საუკუნიდან (ძვ. წელთაღრიცხვით).

2. პრაკრიტი ენა — მკვდარი ენა; ესაა ზალხური მეტყველება, დიალექტები; იგი საშუალო ინდურია; პრაკრიტზე უძველესი წარწერებია შესრულებული (III საუკ. ჩვ. წელთაღრ.).

3. პალი ენა — მკვდარი ენაა. საშუალო ინდურია; ამ ენაზე შესრულებულია ბუდიზმის საღვთისმეტყველო ლიტერატურა.

4. ჰინდუსტანური — ლაპარაკობს 200 მილიონი ადამიანი; ამის საფუძველზე გამომუშავებულია სალიტერატურო ენები: ურდუ — პაკისტანის სალიტერატურო ენა, ჰინდი — ინდოეთის სალიტერატურო ენა.

5. ბენგალური (ამ ენაზე წერდა რაბინდრანათ თაგორი).

6. ბიჰარი ენა.

7. მარატჰი ენა.

8. პენჯაბური.

9. ბუჯართა ენა.

10. ორჰა-ენა და ასამური.

11. სინდჰი-ენა.

12. ბოშური (ბოშების ენა) — (ესპანეთში, უნგრეთში, რუმინეთში, გერმანიაში, თურქეთში, საბჭოთა კავშირში...).

## 2. ირანული შტო

1. ძველი სპარსული — მკვდარი ენაა; ცნობილია ლურსმული წარწერიდან (VI საუკ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე).

2. ავესტის ენა — მკვდარი ენაა; მეორე ძველსპარსულია — რელიგიური ტექსტების „ავესტის“ ენაა.

3. საშუალო სპარსული (ფალაური) — მკვდარი ენაა; იხმარებოდა III—XI სს. (ახ. წელთაღრიცხვ.).

4. სკვითური — მკვდარი ენაა (სკვითები ცხოვრობდნენ შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე).

5. სოგდური — მკვდარი ენაა (აღმოჩენილია ამ ენაზე შესრულებული ტექსტები VIII—IX საუკუნეებისა).

6. ახალი სპარსული — სალიტერატურო ენაა IX საუკუნიდან.



7. ტ ა ჯ ი კ უ რ ი .

8. ა ვ დ ა ნ უ რ ი ( პ ა შ ტ უ ) — XX საუკ. 20-იანი წლებიდან ავღანეთის სახელმწიფო ენაა.

9. ბ ე ლ უ ჯ უ რ ი — ბელუჯისტანის ხალხური ენა.

10. ქ უ რ თ უ ლ ი — ენა ქურთებისა, რომლებიც ცხოვრობენ ირანში, ერაყში, თურქეთში, საქართველოს სსრ-ში, სომხეთის სსრ-ში.

11. ო ს უ რ ი .

### 3. ს ლ ა ვ უ რ ი შ ტ ო

A. ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი ქ ვ ე ჯ გ უ ფ ე ბ ი :

1. რ უ ს უ ლ ი — დამწერლობა X საუკუნიდან.

2. უ კ რ ა ი ნ უ ლ ი — სალიტ. ენა ჩამოყალიბდა XVI—XVII სს.

3. ბ ე ლ ო რ უ ს უ ლ ი — სალიტ. ენა ჩამოყალიბდა XIX ს. დასაწყისში.

B. ს ა მ ხ რ ე თ უ ლ ი ქ ვ ე ჯ გ უ ფ ე ბ ი :

4. ბ უ ლ გ ა რ უ ლ ი — უძველესი წერილობითი ძეგლები გალები განეკუთვნება X საუკუნეს.

5. მ ა კ ე დ ო ნ ი უ რ ი — ბულგარეთში, იუგოსლავიაში, საბერძნეთში.

6. ს ე რ ბ უ ლ - ხ ო რ ვ ა ტ უ ლ ი — გავრცელებულია იუგოსლავიაში; უძველესი წერილობითი ძეგლები — XI საუკ.

7. ს ლ ო ვ ე ნ უ რ ი — გავრცელებულია იუგოსლავიაში, ავსტრიაში, იტალიაში; უძველესი წერილობითი ძეგლები — X—XI სს.

8. ძ ვ ე ლ ი ს ლ ა ვ უ რ ი ( ა ნ ძ ვ ე ლ ი ს ა ე კ ლ ე ს ი ო ს ლ ა ვ უ რ ი ) — მკვდარი ენაა; გამოყენებული იყო სლავების საერთო ლიტერატურულ ენად შუა საუკუნეებში.

C. დ ა ს ა ვ ლ უ რ ი ქ ვ ე ჯ გ უ ფ ე ბ ი :

9. ჩ ე ხ უ რ ი — ჩეხოსლოვაკია. მწიგნობრობა ლათინურ ანბანზე; უძველესი წერილობითი ძეგლები — XIII ს.

10. ს ლ ო ვ ა კ უ რ ი — ჩეხოსლოვაკია (ესეც სახელმწიფო ენაა).

11. პ ო ლ ო ნ უ რ ი — მწიგნობრობა ლათინურ ანბანზე; მწიგნობრობა XIV საუკუნიდან.

12. კ ა შ უ ბ უ რ ი — ახლოსაა პოლონურთან; პოლონეთი (ბალტიის ზღვის სანაპირო, გდანსკის დასავლეთით).

13. ს ე რ ბ ი უ ლ - ლ უ ჟ ი ც უ რ ი — საქსონიასა და პრუსიაში, მდ. შპრეეს ზემო ნაწილში; მწიგნობრობა ლათინურ ანბანზე.

14. პ ო ლ ა ბ უ რ ი — მკვდარი ენაა ( გაქრა XVIII საუკ.); გერმანია — მდ. ელბის ნაპირებზე.

15. ს ლ ო ვ ი ნ უ რ ი — მკვდარი ენაა; პომერანიაში (ბალტიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე). გაქრა შუა საუკუნეებში.

#### 4. ბალტიკური შტო

1. ლ ი ტ ვ უ რ ი — ლიტვის სსრ; მწიგნობრობა ლათინურ ანბანზე; წერილობითი ძეგლები XIV ს.

2. ლ ა ტ ვ ი უ რ ი — ლატვიის სსრ; ლათინური ანბანი; წერილობითი ძეგლები XIV ს.

3. პ რ უ ს ი უ ლ ი — მკვდარი ენაა; წერილობითი ძეგლები — XVII ს.

ბალტიკური და სლავური ენები ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან. ზოგჯერ ერთადაც იხსენიებიან: ბ ა ლ ტ ი კ უ რ -ს ლ ა ვ უ რ ი შ ტო (ან: ჯგუფი).

#### 5. გერმანული შტო

A. ჩ რ დ ი ლ ო -გ ე რ მ ა ნ უ ლ ი (ს კ ა ნ დ ი ნ ა ვ ი უ რ ი), ქ ვ ე -ჯ გ უ ფ ი:

1. დ ა ნ ი უ რ ი — დანია; ლათინური ანბანი; აგრეთვე ნორვეგიის ლიტერატურული ენა XIX ს. ბოლომდის.

2. შ ვ ე დ უ რ ი — შვეცია. დასავლეთ ფინეთი, ნორვეგია; ლათინური ანბანი.

3. ნ ო რ ვ ე გ ი უ ლ ი — ნორვეგია; მწიგნობრობა ლათინურ ანბანზე; თავდაპირველად — დანიური XIX ს. ბოლომდის ნორვეგიელთა სალიტერატურო ენა დანიური იყო.

4. ი ს ლ ა ნ დ ი უ რ ი — ისლანდია; ნორვეგიული ენის განშტოებაა; ლათინური ანბანი; წერილობითი ძეგლები XVIII ს.

B. დ ა ს ა ვ ლ უ რ -გ ე რ მ ა ნ უ ლ ი ქ ვ ე ჯ გ უ ფ ი:

5. ი ნ გ ლ ი ს უ რ ი — დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ამერიკის შეერთებული შტატები (თავისებური „ამერიკული“ ნაირსახეობა ინგლისური ენისა), კანადა, ალასკა, სამხრეთ-აფრიკის კავშირი, სუდანი, ეგვიპტე, სირია, პალესტინა, ერაყი, ინდოეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია; სალიტერატურო ინგლისური ჩამოყალიბდა XVI ს. ლონდონური დიალექტის საფუძველზე; V—XI სს. — ძველინგლისური (ან ანგლო-საქსური), XI—XVI სს. — საშუალინგლისური, XVI ს. — ახალინგლისური; ლათინური ანბანი; წერილობითი ძეგლები VII ს.

6. ჰ ო ლ ა ნ დ ი უ რ ი — ჰოლანდია. ჩრდილოეთ ბელგია. სამხრეთ-აფრიკის კავშირი (ბურები); ლათინური ანბანი; სამხრეთ-აფრიკის კავ-

შირში ცხოვრობენ ბურები, რომლებიც გადმოსახლებული არიან ჰოლანდიიდან და მეტყველებენ ბურების ენაზე (ჰოლანდიური ენის ნაირსახეობა).

7. ფ რ ი ზ უ ლ ი — ჩრდილოეთ ჰოლანდია და გერმანიის ზღვის კუნძულები; წერილობითი ძეგლები XIV ს.

8. გ ე რ მ ა ნ უ ლ ი — გერმანია, ავსტრია, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთ შვეიცარია, საბჭოთა კავშირის გერმანული მოსახლეობა; სალიტერატურო ენა VIII—IX სს. — ძველზემოგერმანული დიალექტის საფუძველზე, XIII—XV სს. — I საშუალო ზემოგერმანულის საფუძველზე, XVI საუკუნიდან — ახალი ზემოგერმანულის საფუძველზე; ლათინური ანბანი.

9. ი ღ ი შ ი ( ა ხ ა ლ ე ბ რ ა უ ლ ი ) — სხვადასხვა ზემო გერმანული დიალექტები, რომლებშიც შეზავებულია ძველებრაულის, სლავურისა და სხვა ენების ელემენტები.

C. აღმოსავლურ-გერმანული ქვეჯგუფი:

10. ვ ე ს ტ გ უ თ უ რ ი — მკვდარი ენაა; ესაა ესპანეთისა და ჩრდილოეთ იტალიის შუა საუკუნეთა გუთების სახელმწიფო ენა.

11. ო ს ტ გ უ თ უ რ ი — მკვდარი ენაა; ესაა ენა აღმოსავლელი გუთებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ ადრეულ შუა საუკუნეებში შავი ზღვის სანაპიროებზე.

## 6. რომანული (იტალიური) შტო

1. ფ რ ა ნ გ უ ლ ი — საფრანგეთი, სამხრეთ ბელგია, დასავლეთ შვეიცარია, კანადა, აგრეთვე — მაროკო, ალჟირი, ტუნისი, ფრანგული ეკვატორული აფრიკა, ლევანტი, სირია, ინდოჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, გვიანა და კუნძული ჰაიტი; ახ. სალიტ. ენა ჩამოყალიბდა XVI ს. ილ-დე-ფრანსის დიალექტის საფუძველზე (ცენტრი — პარიზი); ლათინური ანბანი; უძველესი წერილობითი ძეგლები — IX ს.; ფრანგულმა ენამ სხვა ევროპულ ენებზე ადრე მოიპოვა საერთაშორისო ენის უფლება.

2. პ რ ო ვ ა ნ ს უ ლ ი — ესაა ენა საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლური ნაწილის (პროვანსის) ეროვნული უმცირესობისა; როგორც სალიტერატურო ენა — არსებობდა შუა საუკუნეებში (ტრუბადურების ლირიკა) და მოატანა XIX ს. ბოლომდის.

3. ი ტ ა ლ ი უ რ ი — იტალია, სამხრეთ შვეიცარია და აფრიკის ყოფილი იტალიური კოლონიები; სალიტ. ენა ჩამოყალიბდა ტოსკანური კილოს, კერძოდ — ფლორენციის კილოკავის, საფუძველზე; ლათინური ანბანი; ისტორიულად — პირველი ეროვნული ენა ევროპაში.

4. ს ა რ დ ი ნ უ ლ ი (ან ს ა რ დ უ ლ ი) — კუნძული სარდინია, ენა იტალიის ეროვნული უმცირესობისა.

5. ე ს პ ა ნ უ რ ი — ესპანეთი, ფილიპინის კუნძულები და ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ყველა რესპუბლიკა (გარდა ბრაზილიისა); შეიქმნა ევროპაში ხალხური ლათინურისა და იბერიის რომის პროვინციების ადგილობრივი მოსახლეობის ენის შეჯვარდინების საფუძველზე; ლათინური ანბანი.

6. კ ა ტ ა ლ ო ნ ი უ რ ი — ჩრდილო-დასავლეთ ესპანეთი (ცენტრი — ბარსელონა) და სამხრეთ საფრანგეთი.

7. პ ო რ ტ უ გ ა ლ ი უ რ ი — პორტუგალია, ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილი, ბრაზილია სამხრეთ ამერიკაში.

8. რ უ მ ი ნ უ ლ ი — ლათინური ანბანი. მწერლობა XVI საუკუნიდან.

9. მ ო ლ დ ა ვ ე რ ი (ახლოა რუმინულთან) — მოლდავეთი; დამწერლობა რუსული ანბანის საფუძველზე.

10. მ ა კ ე დ ო ნ ი უ რ - რ უ მ ი ნ უ ლ ი — მაკედონია, ალბანეთი და საბერძნეთი.

11. რ ე ტ ო - რ ო მ ა ნ უ ლ ი — ეროვნული უმცირესობის ენაა; ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ შვეიცარიაში; 1938 წლიდან აღიარებულია შვეიცარიის ერთ-ერთ სახელმწიფო ენად (სულ ოთხია).

12. ლ ა თ ი ნ უ რ ი — მკვდარი ენაა; ესაა რომის სალიტერატურო სახელმწიფო ენა (III ს. ძვ. წელთაღრ. — ადრეული შუა საუკუნეები); უძველესი ძეგლები — VI ს. (ძვ. წელთაღრ.).

13. ვ უ ლ გ ა რ უ ლ ი ლ ა თ ი ნ უ რ ი შუა საუკუნეებისა — მკვდარი ენაა; ამ ენიდან იშვა ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, რუმინული და სხვ.

#### 7. კელტური შტო

A. გ ა ე ლ უ რ ი ქ ვ ე ჯ გ უ ფ ი:

1. ი რ ლ ა ნ დ ი უ რ ი — ირლანდიაში; სალიტერატურო ძეგლები IV ს.

2. შ ო ტ ლ ა ნ დ ი უ რ ი — სალიტერატურო ენა XVI საუკუნიდან.

B. ბ რ ი ტ ა ნ უ ლ ი ქ ვ ე ჯ გ უ ფ ი:

3. ბ რ ე ტ ო ნ უ ლ ი — საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში; ბრეტანის ნახევარკუნძულზე; ლიტერატურა XIV საუკუნიდან.

4. უ ე ლ ს უ რ ი ანუ ვ ა ლ ი ს უ რ ი — ინგლისის დასავლეთ სანაპიროზე.

C. გ ა ლ ი უ რ ი ქ ვ ე ჯ გ უ ფ ი:

5. გალიური — მკვდარი ენაა (გადაშენდა ფრანგული ენის გამოუმუშავების შემდეგ); საფრანგეთი, ჩრდილო იტალია.

## 8. ბერძნული შტო

1. ძველი ბერძნული — მკვდარი ენაა; X საუკუნიდან (ძვ. წელთაღრი; V საუკუნემდის ახ. წელთაღრი.); უძველესი ძველები ცნობილია IX საუკუნიდან (ძვ. წელთაღრი.; ჰომეროსის პოემები, ეპიგრამები); IV საუკუნიდან — საერთო ლიტერატურული ენა ანუ კონინე ანტიკური დიალექტის საფუძველზე (ცენტრი — ათენი).

2. საშუალო ბერძნული ანუ ბიზანტიური — მკვდარი ენაა; ბიზანტიის სახელმწიფოს ენა პირველი საუკუნეებიდან XV საუკუნემდის.

3. ახალი ბერძნული — საბერძნეთი, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლური ნაწილის კუნძულები, სსრკ-ს ბერძნული მოსახლეობა; ცნობილია XV—XVI საუკუნეებიდან.

## 9. ალბანური ენა

### I

ალბანეთი: ლათინური ანბანი; მწერლობა XVI საუკუნიდან.

ინდოევროპულ ოჯახს განეკუთვნებიან აგრეთვე:

1. სომხური ენა — სომხეთის სსრ, ირანი, თურქეთი; სალიტერატურო ენა V საუკუნიდან; ძველი სომხური (გრამბარი) დღემდე განსხვავდება ახალი სომხურისაგან (აშხარამბარი).

2. ტოქარული ენა — მკვდარი ენაა; აღმოჩნდა საქეიმო და რელიგიური ხასიათის ტექსტებში XX საუკუნის დასაწყისში ჩინეთის თურქესტანში; ცოცხალი იყო VII საუკუნეში (ჩვ. წელთაღრი.).

3. კანესური ანუ ნესიტური ენა (აგრეთვე ლუვიური) — მკვდარი ენაა; ესაა ხეთების სახელმწიფოს (1900—1200 წ. ძვ. წელთაღრი.) ერთ-ერთი ენა; ამ ენის ინდოევროპულ ენებთან მსგავსების გამო ხეთური ენები ინდოევროპულად მიიჩნეის.

### II

## სამიბურ მნათა ოჯახი

1. ასურულ-ბაბილონური — მკვდარი ენაა (ახ. წ. V ს. - დან); ამ ორ ენას ერთად აქადურსაც უწოდებენ; ლურსმული დამწერლობა.

2. ქანაანური ანუ ებრაულ-ფინიკური; ა) ძველი ებრაული — ენა ბიბლიის უძველესი ნაწილებისა; მკვდარი ენაა

III საუკუნიდან (ძვ. წელთაღრ.); დამწერლობა — ებრაულ ანბანზე; ბ) ფინიკიური — ენა ფინიკიისა და კართაგენისა; მკვდარი ენა; დამწერლობა — ფინიკიურ ანბანზე.

3. ა რ ა მ ე უ ლ ი — ენაა ბიბლიის შემდეგდროინდელი წიგნებისა და საერთო ენა წინა აღმოსავლეთისა III ს. (ძვ. წელთაღრ.) — IV ს. (ახ. წელთაღრ.).

4. ს ი რ ი უ ლ ი — (აისორთა ენა) — სომხეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ, თურქეთი (არამეულის ჩამომავალი ენაა).

5. ა რ ა ბ უ ლ ი — საკუთრივ არაბეთი (ე. წ. საუდის არაბეთი და იემენი), სირია (დედაქალაქი — დამასკო), ნაწილობრივ პალესტინა (ცენტრი — იერუსალიმი), ეგვიპტე (დედაქალაქი — კაირო), ერაყი (დედაქალაქი — ბაღდადი), ლიბანი (დედაქალაქი — ბეირუთი); მუსლიმანთა საერთაშორისო საკულტო ენა; მწერლობა არაბულ ანბანზე. არაბული (ჩრდილო-არაბული და სამხრულ-არაბული) მიეკუთვნება სამხრეთ-სემიტურ ენებს.

6. ა ბ ა შ უ რ ი (ანუ ე თ ი ო პ უ რ ი) — შედის სამხრულ-სემიტურ ჯგუფში.

### III

#### ჰამიტურ მნათა ოჯახი

1. ბ ე რ ბ ე რ უ ლ ი ე ნ ე ბ ი — ტრიპოლი, ტუნისი, ალჟირი, მაროკო აფრიკაში.

2. კ უ შ ი ტ უ რ ი ე ნ ე ბ ი — ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკა.

3. ძ ვ ე ლ ი ე გ ვ ი პ ტ უ რ ი — მკვდარი ენაა; ესაა ენა იეროგლიფური წარწერებისა: XII ს. (ძვ. წელთაღრ.) — III ს. (ახ. წელთაღრ.).

4. კ ო პ ტ უ რ ი — მკვდარი ენაა; ესაა ძველი ეგვიპტურის ჩამომავალი ენა შუა საუკუნეების პერიოდში, XVII საუკუნემდის; დამწერლობა — კობტური, ბერძნული ანბანის საფუძველზე; საკულტო ენაა ეგვიპტის ეკლესიისა.

მეცნიერებაში ზოგჯერ სემიტურ და ქამიტურ ენებს ერთ ოჯახში აერთიანებენ და სემიტურ-ქამიტურ ენებს უწოდებენ.

### IV

#### უნგრულ-ფინურ მნათა ოჯახი

1. ფ ი ნ უ რ ი — ფინეთი, სსრკ.; ფინურის დიალექტია კ ა რ ვ ლ ი უ რ ი; ლათინური ანბანი.

2. ე ს ტ ო ნ უ რ ი — ესტონეთის სსრ; მწერლობა XVIII საუკუნიდან; ლათინური ანბანი,

3. ლ ა პ ლ ა ნ დ ი უ რ ი — ფინეთისა და შვედეთის ჩრდილო მხარეები.

4. მ ო რ დ ო ვ უ ლ ი — გამოყენებულია რუსული ანბანი.

5. ჩ ე რ ე მ ი ს უ ლ ი ანუ უ მ ა რ ი უ ლ ი — გამოყენებულია რუსული ანბანი.

6. ვ ო ტ ი ა კ უ რ ი ანუ უ დ მ უ რ ტ უ ლ ი — გამოყენებულია რუსული ანბანი.

7. ზ ი რ ი ა ნ უ ლ ი ანუ კ ო მ ი — გამოყენებულია რუსული ანბანი.

8. უ ნ გ რ უ ლ ი — უნგრეთი; ლათინური ანბანი; მწერლობა — XVIII საუკუნიდან.

აქვე შემოდის მ ა ნ ს ი ანუ ვ ო გ ო ლ უ რ ი და ე. წ. ს ა მ ო ე დ უ რ ი ტომების ენა-კილოები (ნ ე ნ უ რ ი, ტ ა ვ გ ი უ რ ი, ს ე ლ კ უ პ უ რ ი).

## V

### ალათაურ (თურახულ-მონღოლურ) ენათა იჯახი

1. თ უ რ ქ უ ლ ი — თურქეთი; ძველად გამოყენებული იყო არაბული ანბანი, 1929 წლიდან — ლათინური ანბანი.

2. ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ უ ლ ი — აზერბაიჯანის სსრ (ნაწილი ირანში).

3. თ უ ქ რ მ ე ნ უ ლ ი — თურქმენეთის სსრ.

4. უ ზ ბ ე კ უ რ ი — უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, თურქმენეთის სსრ.

5. ყ ა ზ ა ხ უ რ ი — ყაზახეთის სსრ, უზბეკეთის სსრ.

6. ყ ი რ გ ი ზ უ ლ ი — ყირგიზეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ.

7. ბ ა შ კ ი რ უ ლ ი — ბაშკირეთის ასსრ; სვერდლოვსკის ოლქი.

8. ჩ უ ვ ა შ უ რ ი — ჩუვაშეთის ასსრ; შერეულია ფინურ ენებთან.

9. თ ა თ რ უ ლ ი.

10. ი ა კ უ ტ უ რ ი.

11. ყ უ მ ი კ უ რ ი — დაღესტნის ასსრ.

12. ა ლ თ ა უ რ ი (ოიროტული) — მთის ალთაის ავტონ. ოლქი.

13. ყ ა რ ა - ყ ა ლ ფ ა ქ უ რ ი — ყარა-ყალფაქეთის ასსრ; უზბეკეთის სსრ.

14. ხ ა კ ა ს უ რ ი — ხაკასთა ავტონ. ოლქი; ყაზახეთის სსრ.

15. ტ უ ე ი უ რ ი.

16. შორული — კრასნოიარსკის მხარე.

17. მონღოლური: ხალხა-მონღოლური ენა (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა), ბურიატ-მონღოლური ენა (ბურიატ-მონღოლთა ასსრ) და შიდა მონღოლეთის მკვიდრთა ენა (ჩინეთში).

## VI

მანჯურიულ-ტუნგუსურ ენათა ოჯახი

1. მანჯურიული — ჩინეთი, სსრკ (გადაშენების გზაზე).
2. ნანაიური (გოლდური) — სახალინი.
3. უდეგური — სსრკ.
4. ევენკური (ტუნგუსური) — სსრკ, ჩინეთი.
5. ევენური — სსრკ.

ამ ოჯახში შედის რამდენიმე სხვა ენაც.

## VII

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი

თანამედროვე იბერიულ-კავკასიური ენები გადმონაშთია ხეთურ-იბერიულ ენათა ოჯახისა. ყველა ეს ენა ამჟამად კავკასიაშია (გარდა ბასკურისა). „კავკასიური ენები“ არ უნდა ავრიოთ „კავკასიის ენებში“. კავკასიაში სხვადასხვა ენათა ოჯახის ენებიც გვხვდება: აქა ინდოევროპული ენები (რუსული, უკრაინული, სომხური, ოსური...), ალათური ენები (აზერბაიჯანული, ყუმიკური), სემიტური (სირიული...). ენათა ამ ოჯახს წინათ სხვა სახელებიც ჰქონდა (იაფეტური, ალაროიელი, ქართულ-შარომატული). ტერმინით — „იბერიულ-კავკასიური“ გამოხატულია იბერიული ანუ ქართველური ენები და მათთან მონათესავე კავკასიური ენები (და არა „კავკასიის ენები“).

იბერიულ-კავკასიური ენები ოთხი ჯგუფისაგან შედგება.

A. ქართველური ანუ იბერიული ჯგუფი:

1. ქართული (საკუთრივ ქართული, ქართვების ენა) — წერილობითი ძეგლები V ს.
2. ზანური (საერთო სახელია მეგრული და ჭანური ანუ ლაზური კილოებისა).
3. სვანური.

მკვლევართა ნაწილი ბასკურ ენასაც იბერიულ-კავკასიურ ოჯახს მიაკუთვნებს. პოლონელი მეცნიერი იან ბრაუნის ბასკურს მეოთხე ქართველურ ენად მიიჩნევს.

B. აფხაზური-ადიღური ჯგუფი:



1. აფხაზური.
2. აღიღეური.
3. ყაბარდოული.
4. აბაზური.

5. უბიხური — ამჟამად აღარაა კავკასიაში. 1864 წელს უბიხთა ტომი გადასახლდა თურქეთში (უბიხები ქალ. იზმირის მიდამოებში არიან შემორჩენილი).

C. ნახური ჯგუფი:

1. ბაცბური (ანუ წოვა-თუშური) — კახეთშია (სოფ. ზემო ალვანში).

2. ჩაჩნური.

3. ინგუშური.

წოვა-თუშებისათვის დედაენა ქართულიცაა. ისინი ქართველებად ითვლებიან.

D. დადესტნის ჯგუფი:

1. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფი: ანდიური, ბოთლიხური, დოდობერიული, კარატაული, ტინდიური, კამალაური, ახვახური, ხვარშიული, ბაგვალური, დიდოური, კაპუქური.

2. დარგუული და ლაკური ქვეჯგუფი: დარგუული, ლაკური.

3. ლეზგიური ქვეჯგუფი: ლეზგიური, წახურული, რთულური, აღულური, ტაბასარანული, ხინალულური, ბუდუხური, კრიწული (აზერბაიჯანის სსრ), უდიური (აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ).

## VIII

ჩინურ-ტიბეტურ ენათა ჯგუფი

### A. ჩინურ-სიამური შტო

1. ჩინური — ჩინური მსოფლიოში ყველაზე დიდი ენაა მასზე მოლაპარაკე ადამიანთა რიცხვის მიხედვით.

2. სიამური (ანუ ენა ტაი) დასავლეთი ინდოჩინეთი, ტაი.

3. ვიეტნამური — აღმოსავლეთი ინდოჩინეთი.

### B. ტიბეტურ-ბირმული შტო

4. ტიბეტური — ტიბეტი; დამწერლობა — VII ს. (ძვ. წელთაღრ.).

5. ტიბეტურ-ჰიმალაიური ენა-კილოები.
6. ასამური ენები.
7. ბირმული — ბირმა; დამწერლობა — XI ს.
8. ენაკუჩი-ჩინ.

## IX

### დრავიდულ ენათა ოჯახი

გავრცელებულია ინდოეთში (ინდოეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი, კუნძულ ცეილონის ნაწილი და სხვ.): დრავიდულ ენებზე ლაპარაკობს დაახლოებით 63 მილიონი ადამიანი.

1. ტელუგუ-ენა,
2. ტამილური,
3. კუიენა,
4. ბრაჰუი-ენა.

და სხვ.

როგორც ფიქრობენ, დრავიდული ენები ინდოეთის უძველესი მოსახლეობის ენაა; ინდოეთში შემდეგ გავრცელდა ინდოევროპული მოდგმის ინდური ენები.

## X

### ინდონეზიის ენები

ლაპარაკობს დაახლოებით 70 მილ. ადამიანი.

1. იავა-ენა,
2. სუნდა,
3. მალურა,
4. მალაიური.

## XI

### აფრიკისა და ამერიკის ენები

აფრიკაში:

1. სუდანის ზანგთა ენები,
2. ბანტუ-ენები.
3. ბუშმენთა და კოტენტოტთა ენები.

## ამერიკაში:

ამერიკის ინდიელ ტომთა ენების ჯგუფები: ჩრდილოეთ ამერიკაში, მექსიკასა და ცენტრალურ ამერიკაში, სამხრეთ ამერიკაში.

### XII

ახლო აღმოსავლეთის ენები

მკვდარი ენებია: შუმერული, ხეთური ენები, ჰური-ტული, ურარტული, ელამური და სხვ.

### XIII

ავსტრალიური ენები

### XIV

ზოგადი აღმოსავლეთის ენები

1. იაპონური — იაპონია და წყნარი ოკეანის რიგი კუნძულე-  
ბი; დამწერლობა — ჩინური იეროგლიფების საფუძველზე VIII ს. (ახ.  
წ.); ამჟამად იყენებენ ფონეტიკურ-სალაბურ დამწერლობას.

2. კორეული — კორეა, ჩინეთი; დამწერლობა IV საუკუნიდან;  
XV საუკუნიდან შექმნეს საკუთარი ანბანი.

### XV

აღმოსავლეთის ენები

„პალეოაზიური“ ნიშნავს ძველისძველ აზიურ ენებს. ესაა ენები  
-იატარა ხალხებისა, რომლებიც ცხოვრობენ აღმოსავლეთ ციმბირში,  
ნახევარკუნძულ კამჩატკაზე, კუნძულ სახალინსა და კურილიის კუნ-  
-ძულებზე.

1. ლუორავეტლანური (ანუ ჩუკჩური),

2. ნიმილანური (ანუ კორიაკული).

3. იტელმური...

4. ნივხური (ანუ გილიაკური),

5. კეტური.

6. უანგანური (ანუ ალექტური).

7. ე ს კ ი მ ო ს უ რ ი (ნაწილობრივ — ამერიკაშიც).

არქაული ენებია. მათი წარმოშობა და ურთიერთმიმართება არაა გარკვეული.

## ღამწერლობის წარმოშობა

წერის ხელოვნების საშუალებით ადამიანი თავის ნაფიქრ-ნაზრევს გადასცემს სხვა ადამიანს. ღამწერლობის ცნება ფართოა და იგი მოიცავს არა მხოლოდ ნიშნებს, რომლებიც გამოხატავენ ენის ბგერითს ელემენტებს — მთელ სიტყვებს, მარცვლებს ან ცალკეულ ბგერებს, არამედ ზოგიერთი ხალხის წერის სისტემაში გამოსახვევ ნახატებსაც, გრაფიკულ სიმბოლოებსაც.

წერის გამოგონებით ადამიანმა თავისი აზრი უკვდავყო, რაკი ერთხელ ნათქვამი საშუადაოდ რჩება დაწერილის სახით და თაობიდან თაობას გადაეცემა. „რაც კალმით დაიწერება, ნაჯახით არ ამოიშლებაო“. უთქვამს ხალხს, და ამ ანდაზით შესანიშნავად არის გამოხატული წერის განუზომელი ძალა და მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში.

წერა კულტურის დიდი მონაპოვარია. თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოს ცხოვრება ისე მჭიდროდაა დაკავშირებული ღამწერლობასთან, რომ, შეიძლება ითქვას, უღამწერლობოდ არც შეიძლება იარსებოს ცივილიზაციამ. მთელი რიგი გენიალური აღმოჩენები, გამოგონებანი წერის ხელოვნებასთანაა დაკავშირებული; წერის გარეშე არ შეიძლებოდა არსებულებო წიგნის ბეჭდვა, ტელეგრაფი, სტენოგრაფია — ეს გენიალური გამოგონებანი, რითაც კაცობრიობა სამართლიანად ამაყობს. ძველი სიბრძნეა: „*verba volant, scripta manent*“. „ნათქვამი გაფრინდება, დაწერილი კი რჩებაო“. ამრიგად, წერის ისტორია იმავე დროს საკაცობრიო კულტურის ისტორიაა და ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იჭერს პროგრესისა და ცივილიზაციის საერთო სისტემაში.

სავსებით გასაგებია, რომ, რაკი წერა კულტურის მეტად მნიშვნელოვანი ელემენტია, მეცნიერება დაინტერესებულია შეისწავლოს მისი წარმოშობისა და განვითარების საკითხები. ნათელი მოჰფინოს ცივილიზაციის ამ მძლავრი იარაღის საიდუმლოებას, გამოიკვლიოს მისი მექანიზმი.

ღამწერლობას სწავლობს მეცნიერების ორი დარგი — პალეოგრაფია და ეპიგრაფიკა.

დამწერლობისადმი ინტერესი ორგვარია: თეორიული და პრაქტიკული. თეორიული თვალსაზრისით ჩვენ გვინტერესებს, როგორ ჩაისახა და განვითარდა წერა და რა ფორმებისაგან აღმოცენდა იგი, რა სახეობის დამწერლობა მოეპოვება სხვადასხვა ხალხს, რა ხერხებით ამოიციან ამ ამა თუ იმ ძნელად გასაგებ ანბანს, რა გზებით მიემართება ჩვენი წერის ხელოვნება და ა. შ. პრაქტიკული თვალსაზრისით ჩვენ გვინტერესებს წერის ტექნიკა საერთოდ, მაგალითად, წერის შესწავლა სკოლაში თუ სკოლის გარეთ, წერის ხერხების გამარტივება და სხვ.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ წერა თავისი შინაგანი ხასიათით მკიდროდ არის დაკავშირებული მეტყველებასთან. სწორედ დამწერლობამ შემოგვინახა ძველი ენები; უამისოდ არ გვეცოდინებოდა კაცობრიობის უძველესი ცივილიზაციის ენები, ისტორიული ჟამთუკუღმართობის შედეგად გადაშენებულნი და სამუდამოდ აღმოუხერხილნი. მეტყველების ევოლუციის შესაბამისად იცვლებოდა დამწერლობაც. ზოგჯერ ზეპირი მეტყველების გავლენით იცვლება წერითი გამოსატყულების ფორმაც. აქ იგულისხმება ცვლილებანი მართლწერაში. ხდება პირიქითაც: წერითი მეტყველების გავლენით ხშირად ხალხური მეტყველების ფორმებიც იცვლება. არაიშვიათად ეს ორივე პროცესი ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს. სწორედ ამით აიხსნება ამა თუ იმ ხალხის ცდა — გაამარტივოს თავისი მართლწერა.

ამასთანავე; აღსანიშნავია, რომ დამწერლობა ზოგჯერ სქემატიზებულია. ავიღოთ თანამედროვე ევროპის მაგალითი. ფრანგული და, განსაკუთრებით, ინგლისური წერა არსებითად სქემებია ზეპირი მეტყველებისა, რამდენადაც არ წარმოგვიდგენენ ცალკეული ბგერების ზუსტ შესატყვისობას. ამ ენათა დღევანდელი ბგერები არ არის ყოველთვის გადმოცემული წერაში. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ლიტერატურული ენა ისტორიულად დაშორდა ხალხურ მეტყველებას, არ გამარტივდა მართლწერა. ამიტომ ინგლისურ წერაში არის რამდენიმე ასო ერთი და იმავე ბგერის გამოსახატავად, და, პირიქით, ერთი და იგივე ასო შეიძლება წარმოითქვას სხვადასხვანაირად.

ამ ზოგადი განმარტებების შემდეგ გავეცნოთ წერის ჩასახვა-განვითარების მთავარ საფეხურებს.

## დამწერლობის წინა საფეხურები

აღამიანს წერა ერთბაშად არ შეუქმნია.

აღამიანთა შორის ურთიერთობა ხორციელდებოდა მხოლოდ მეტყველების საშუალებით, საზოგადოების განვითარების იმ უძველეს

საფეხურზე არც იყო საჭიროება, ადამიანს როგორმე აღებქდა თავისი ნათქვამი, ანდა შორის ვინმესთვის შეეცუობინებინა თავისი ნათქვამი-ნათქვამი. ცხოვრების წინსვლასთან ერთად თანდათან ჩნდება აუცილებლობა, ერთმა ადამიანმა მეორე ადამიანს გაუზიაროს თავისი აზრი არა მხოლოდ უშუალო კონტაქტის გზით. არა მხოლოდ ზეპირი მეტყველების მეშვეობით, სოციალური ურთიერთობისა და გონებრივი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ადამიანს გაუჩნდა წერა-კითხვის საჭიროება. მაგრამ, ვიდრე ამ საფეხურს მიაღწევდა, კაცობრიობამ განვლო შემამზადებელი საფეხური, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა.

რა საშუალებებს მიმართავდა პირველყოფილი ადამიანი, რათა სხვისთვის აზრი გადაეცა არა ზეპირი მეტყველების გზით? სხვანაირად რომ ვთქვათ, რა ასრულებდა კაცობრიობის განვითარების უძველეს საფეხურზე წერის მაგივრობას?

პირველყოფილი ადამიანი მიმართავდა საგნების სიმბოლიკას. საგნების საშუალებით ხდებოდა „აზრის გადაცემა“, საგნები ანიშნებდნენ ადამიანებს იმას, რაც შეიძლებოდა გადმოცემულიყო ზეპირი მეტყველების გზით. ასე. მაგალითად, მონადირე თავის მიმართულებას ასე აღნიშნავდა: გზაზე ხის ტოტს დადებდა და ტოტის წვერის მიხედვით შეიძლებოდა მიხვედრა, საით წავიდა იგი. ზოგიერთმა ხალხმა, მაგალითად, ასეთი სიმბოლიკა შეიმუშავა: ქვა ნიშნავს მაგარს, გამძლეს, ნახშირი — შავს, მწუხარებას, პილბილი — მწვავეს, მოუთმენელს, ცნობისმოყვარეს. გამხმარი თავთავი — ტანჯვას, ტკივილებს, ჩვარი — ცუდ მდგომარეობას და მისთანანი. ხუთივე საგანი (ქვა, ნახშირი, პილბილი, გამხმარი თავთავი, ჩვარი) ერთ ტყვეს გაუგზავნია თავისი მეუღლისათვის და ამით უცნობებია: ჩემი სხეული გამძლეა. როგორც ქვა; მომავლის იმედი ნახშირივით შავია, ე. ი. უიმედოდ ვარ, ჩემი სხეული თავთავივით გახმება მწუხარებისაგან, გარეგნულად ჩვარს დავემსგავსეო...

საგნების საშუალებით პირველყოფილი ადამიანი გამოხატავდა არა მხოლოდ კონკრეტულ ანუ საგნობრივ ცნებებს. როგორც გამორკვეულია, განყენებული (აბსტრაქტული) ცნებების გამოხატვაც შეეძლო იმდროინდელ ადამიანს საგნებისავე მეშვეობით. ამ მიზნის მისაღწევად ირჩევდნენ ისეთ საგნებს, რომელთა ასოციაციით (ანდა ამ საგნებთან დაკავშირებულ ზნე-ჩვეულებათა და სიტუაციების მიხედვით) ცნობიერებაში იბადებოდა გარკვეული განყენებული ცნებები. მაგალითად, როცა პირველყოფილი ხალხები ერთმანეთს ომს უცხადებდნენ, ნიშნად ამისა, უგზავნიდნენ შუბებს, ისრებს ან სხვა საომარ იარაღს; ეს იყო მათი „წერილი“, მათი შეტყობინება ომის დასაწყისისა. ზოგიერთ ხალხს ასეთი წესი ჰქონდა შემოღებული: როცა სამშვიდო-

ბო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, ყალიონს ჩამოატარებდნენ, ყალიონი გადადიოდა ხელიდან ხელში. ამრიგად, ყალიონი გამოხატავდა მშვიდობას. იყვნენ ხალხები, რომლებიც ერთმანეთს, ნიშნად მეგობრობისა და პატივისცემისა, უგზავნიდნენ მარილის ნატუნს, ხოლო სიძულვილისა და მტრობის აღსანიშნავად ერთმანეთს პილპილს სთავაზობდნენ. სურვილებისა და აზრების გასაზიარებლად ცხოველებსაც იყენებდნენ. ასე, ჰეროდოტე გვიამბობს, რომ როცა ძველმა ირანელებმა სკვითებს მოსთხოვეს აღიარება და მორჩილება, სკვითებმა მათ გაუგზავნეს ფრინველი, თავი, ბაყაყი, და ხუთი ისარი. ეს იყო თავისებური ნოტა, რომელიც ნიშნავდა: „ირანელებო, თუ თქვენ არ ძალგით ფრინველივით ფრენა, მიწაში თავივით ძრომა და დამალვა, ჭაობებში ბაყაყივით ხტომა, მაშინ იმედი ნურაფრისა გექნებათ: დაიცხრილებით ჩვენი ისრებით, უკეთუ ფეხს შემოდგამთ სკვითთა მიწაზეო“.

ძალიან გავრცელებული იყო უხსოვარი დროიდანვე სხვადასხვა ხალხებში დაჭდევა, ჭდის გაკეთება ჯოხზე რისამე მისანიშნავად, უმთავრესად რიცხვის, რაოდენობის აღსანიშნავად. ეს იყო პირობითი ნიშნები, დანით ამოთლილი, დაჭდეული. უნდა აღინიშნოს, რომ დაჭდევა ბევრ ხალხს ჩვენს დრომდისაც შემორჩა. ცნობილი იყო საქართველოშიც. თედო საბოკიას ცნობით, ჭდეს თბილისში XIX საუკუნის ოთხმოციან — ოთხმოცდაათიან წლებშიც ხმარობდნენ ვაჭრობაში. ჭდე ერთგვარი პირველყოფილი საბუღალტრო წიგნის როლს ასრულებდა. დაჭდვის საშუალებით ანგარიშს აწარმოებდნენ უმთავრესად რაჭველი მეთორნეები. იმ დროს ისინი პურს ტაბაკებით ეზიდებოდნენ სახლებში ნისიად. საჭდე ჯოხი შუაზე იყო გაპობილი. როცა უნდოდათ მუშტართან დატოვებული პურის რაოდენობა აღენიშნათ, ჯოხის ნახევრებს ერთიმეორეს ზუსტად მიადებდნენ და დანით ჩამოთლიდნენ პურის რაოდენობის აღმნიშვნელ ჭდეს. ჯოხის ერთ ნახევარს მეპურე წაიღებდა, მეორე ნახევარი პურის მომხმარებელს დარჩებოდა, ანგარიშს თვის ბოლოს გაასწორებდნენ. ამისათვის ჯოხის ნახევრებს ერთიმეორეს მიადებდნენ და დაითვლიდნენ, რამდენი ჭდე იყო გაკეთებული. მომხმარებელი ამ ჭდეთა რიცხვის კვალობაზე გადაუხდიდა ფულს თავის კრედიტორს. ისიც ცნობილია, რომ მეგრელი მწყემსები ცხვრის თუ თხების სათვალავად პატარა, ერთ ციდა ოთკუთხა ჯოხებზე, რომელთაც მასრებივით ატარებდნენ სამასრებში გულზე, ჭდეებს აკეთებდნენ. ჭდის დადების ჩვეულება მოხვევებშიც არსებობდა უკანასკნელ ხანამდის.

პირველყოფილი ადამიანები თავიანთი აზრის გამოსახატავად იყენებდნენ, აგრეთვე, ნასკვებიან თასმებს. ეს იყო „საგნობრივი წერის“ ერთ-ერთი გავრცელებული სახეობა, რომელსაც მიმართავდნენ ირანელები, ჩინელები და სხვა ხალხები; დასავლეთ აფრიკის ზოგაერთ.მა

ხალხმა ჩვენს დრომდისაც შემოინახა ამგვარი „წერის“ ტექნიკა. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე გვიამბობს: ირანის ერთმა მეფემ, რომელიც სკვითთა დასაპყრობად გაემართა, იოანის ტირანებს დაუტოვა ღვედი, რომელსაც 60 ნასკვი ჰქონდა. ეს 60 ნასკვი ნიშნავდა 60 დღეს, — ამდენ ხანს უნდა დარჩენილიყო იგი ომში. ყოველდღე უნდა გაეხსნათ თითო ნასკვი. ზოგიერთმა ტომმა ჩვენს დრომდის შემოინახა გამოანგარიშების ამგვარი წესი, მაგალითად, ქმარი თუ წავა სამოგზაუროდ, თავის ცოლს უტოვებს ნასკვებიან თასმას; თასმას აქვს იმდენივე ნასკვი, რამდენ დღესაც დაჰყოფს იგი გზაში.

თანდათანობით გზას იკაფავს მხატვრობა; ესაა დამწერლობის ჩანასახი. მონადირეს უკვე აღარ აკმაყოფილებს აჩვენოს, თუ რა მიმართულებით მიდის, რა მიმართულებით მისდევს ნადირს. დროთა ვითარებაში დაიბადა აუცილებლობა, აღინიშნოს, თუ, სახელდობრ, რა ნადირს დაედევნა იგი. ამის „თქმა“ შეიძლება ნახატით; ხატვის საშუალებით გაცილებით მეტის თქმა შეიძლება.

ხატვა დიდი წინწადგმული ნაბიჯია წერისაკენ. მაგრამ ეს მაინც არაა წერა, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენამდის მოღწეული უძველესი ხანის ნახატები ყველა არ შეიძლება მივიჩნიოთ წერის იმდროინდელ საშუალებად. დღეს ჩვენთვის, ცივილიზებული ადამიანებისათვის, რომლებიც შორსა ვართ პრიმიტიული აზროვნებისაგან, ძნელია გავერკვეთ, ესა თუ ის უძველესი ნახატი მხოლოდ ნახატია, ინდივიდუალური ესთეტიკური ემოციის გამოსახულება თუ იმდროინდელი „წერის“ ფორმა.

ნახატ „ნაწერს“ ვუწოდებთ პიქტოგრამებს. ზოგჯერ — იეროგლიფებს. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ პიქტოგრამები — ეს მხოლოდ ნახატებია, მაშინ როდესაც იეროგლიფები შეიცავენ გეომეტრიულ და სხვა ელემენტებსაც.


პიქტოგრამები ხასიათდებიან შემდეგი თავისებურებით: ისინი გვაცნობენ ერთ რომელიმე ამბავს, უმთავრესად — ყოფითი ხასიათის ამბავს. თითოეული ნახატი ჩვეულებრივ შეესატყვისება ერთ წინადადებას.

რა შინაარსისაა ეს უძველესი პიქტოგრამები?

ისინი შეიცავენ: 1. სიყვარულის ახსნას, — „პიქტოგრაფიული სატრფიალო წერილები“ (შემოგვინახეს ჩრდილო-ამერიკელმა ინდიელებმა და ჩრდილო-ციმბირელებმა); 2. მონადირეობის ცნობებს; 3. მაგიურ და შელოცვის ფორმულებს; 4. საომარი შეტაკებებისა და ლაშქრობის ცნობებს; 5. პოლიტიკური ხასიათის „დოკუმენტებს“; პეტიციებს, ხელშეკრულებებს, მოსახლეობის აღწერებს, განცხადებებს და სხვ.



ზოგიერთმა ხალხმა დიდი ხნის განმავლობაში შემოინახა პიქტოგრაფიული წერა. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელები პიქტოგრაფიას იყენებდნენ XIX საუკუნის ბოლომდის.



ნახატი წარმოადგენს პიქტოგრაფიულ წერილს, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელებმა (XIX საუკუნის შუა წლებში) გაუგზავნეს ჩრდილოეთ ამერიკის პრეზიდენტს. ინდიელები სთხოვდნენ პრეზიდენტს, დაგვრთეთ ნება, გადავსახლდეთ შორეულ ტბებზე, სადაც უკეთესი ბუნებრივი პირობებია ცხოვრებისათვისო. წერილში აღნიშნულია თხოვნის საგანი — ტბები, რომლებთანაც შეერთებულია წეროს თვალი. გამოსახულია 7 ინდიელი ტომის სიმბოლოები: თევზი, ადამიანი, წავი, 3 კენგურუ და წერო. მათი თვალები ხაზებითაა შეერთებული. ეს იმას ნიშნავს, რომ შვიდივე ტომის საერთო გადაწყვეტილებაა, საერთო აზრია თავიანთი ადგილებიდან აყრა და შორს გადასახლება. მათი გულებიც ხაზებითაა შეერთებული, მასასადამე, ყველას ერთი გრძნობა ამოძრავებს. წინამძღოლი წერო ორი მიმართულებით იყურება: თვალიდან გამოდის ორი ხაზი, ერთი მიპყრობილია პრეზიდენტისაკენ, მეორე შეერთებულია ტბებთან სურათის ბოლოში (ერთი ტბა მათი ახლანდელი სამკვიდროა, მეორე — სადაც მათ სურთ გადასვლა).

სურათი უაღრესად ლაკონიურია და, ამასთანავე, მკაფიოდ გადმოსცემს იმ ადამიანების მდგომარეობას, რომლებსაც გადაშენებას უქადიან ულმობელი კოლონიზატორები.

ამრიგად, ჩვენთვის ნათელია, რომ პიქტოგრაფია წერის პირველი საფეხურია.

შემდგომი საფეხურია იდეოგრაფია, რომელიც ლოგიკური განვითარებაა პიქტოგრაფიის სისტემისა. რამდენადაც სიტყვა და ნახატი წარმოადგენენ ერთი და იმავე ობიექტის გამოხატვის ორ შესაძლებელ საშუალებას, იმდენად ხალხი უხსოვარ დროს გარკვეულ ნახატებს აიგივებდა გარკვეულ სიტყვებთან. თუ წინათ მთელი წინადადებები ერთი ნახატით „გამოითქმოდა“, თანდათანობით ნახატი ერთი სიტყვის ეკვივალენტი ხდება, ადამიანი უკვე სიმბოლოებს მიმართავს, „წერის“ ნიშნებს პირობითი ხასიათი ენიჭება.

### იზვიკტური დამწერლობა

მეცნიერები საბოლოოდ შეთანხმდნენ საკითხში, თუ ვინ შექმნა თავდაპირველად წერა — ეგვიპტელებმა თუ სუმერელებმა (მესოპოტამიაში). უფრო კი ეგვიპტისაკენ იხრებიან.

წერა წარმოიშვა ეგვიპტეში 4000 წლის წინათ ძველი წელთაღრიცხვით. ეგვიპტის სახელმწიფოს სათავეში ედგა ფარაონი, სახელმწიფოს მმართველობა ხელთ ეპყრათ ქურუმებს, ეგვიპტური კულტურა ამ დროს განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა.

ეგვიპტის გიგანტური არქიტექტურული ძეგლები — ტაძრები და პირამიდები — ჩვენს დრომდე შემონახული. ამ ძეგლთა კედლები აღსავსეა იდეოგრაფიული დამწერლობის ნიმუშებით. ამგვარმა წერამ შემდეგ იეროგლიფების<sup>1</sup> სახელწოდება მიიღო. ეს იეროგლიფები დახატული და ამოკვეთილი იყო დიდი ოსტატობით და წარმოადგენდნენ საგნების, მცენარეების, ცხოველთა და ფრინველთა მინიატურულ გამოსახულებებს, წერის ნიშნები განლაგებული იყო მარჯვნიდან მარცხნივ და პირიქით. იეროგლიფურ წარწერებს ჩვეულებრივ ახლდა დიდი ტალანტით შესრულებული მხატვრული გაფორმებანი. წარწერები ტაძრების კედლებზე გამოხატავდნენ შელოცვებს და ლოცვა-ვედრებებს ღმერთებისადმი.

ეგვიპტელებმა მოიგონეს მასალა, რომელზედაც იწერებოდა. ეს იყო პაპირუსი, რომელმაც დიდი გავრცელება პოვა ძველ მსოფლიოს ყველა კულტურულ ქვეყანაში. პაპირუსი ლერწმისებური მცენარეა, რომელიც იზრდებოდა მდინარე ნილოსის ნაპირებზე.

პაპირუსის გრაფნილები გავრცელდა მეორე ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდის. ამ საწერი მასალის დამზადება და გაყიდვა მა-




<sup>1</sup> იეროგლიფი წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან: იეროს (წმინდა) და გლიფი (ამოკვეთოთ, ამოკჭრი).

<sup>2</sup> პაპირუსი წარმოდგარია ეგვიპტური სიტყვისაგან „პა-პ-იურ“, რაც ნიშნავს „მდინარის მცენარე“.

ლე ფარაონის მონოპოლიად იქცა. მას შემდეგ, რაც რომმა დაიპყრო ეგვიპტე, პაპირუსი რომშიც მზადდებოდა (ეგვიპტე ვალდებული იყო, რომისათვის მიეწოდებინა საპაპირუსე ნედლი მასალა). პაპირუსის ძველი გრაფიკები შემორჩენილია ჩვენს დრომდე; ბევრი მათგანი აღმოჩნდა ეგვიპტის ფარაონთა აკლდამებში.

პირამიდებში და სხვა აკლდამებში აღმოჩენილი წიგნები (პაპირუსის გრაფიკები) შესანიშნავი ამსახველია იმდროინდელი ეგვიპტის ისტორიის, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ეკონომიკის განვითარებისა.

იეროგლიფურ წერაში ხშირად გამოხატულია სიმბოლოებიც. ასე,

	ნომარი	—	ფაქიბა
	ცხეა		შახსასგელი
	თვალნი		კური
	ეიკაფი		სახნისი
	ჩქა		მუვილდი
	ნეხვის ჰია		სვლა სიარული
	უკავილი		გიჯახა
	მუ		ნავის ნავანა
	ბორცვი		ბირილი
	კათხა		ფანა

#### ეგვიპტური იდეოგრამები

მაგალითად, ფუტკარი ან კრაზანა გამოხატავდა „შრომისმოყვარეობას, საქმიანობას“, პაპირუსის გრაფიკი — „ცოდნას“, პალმის ფოთოლი —

„ერთ წელიწადს“ (ძველი ეგვიპტელები ვარაუდობდნენ, რომ პალმას ყოველწლიურად თითო ფოთოლი ემატება), კვერთხი „ხელისუფლებას, მეფობას, ბატონობას“. თუ კაცი იჯდა და ხელი პირთან ჰქონდა მიტანილი, ეს ნიშნავდა ჭამას. ფიგურა, რომელიც მიაბიჯებდა, „სვლას“ გადმოსცემდა და ა. შ.

ეგვიპტურმა წერამ თანდათან ძირეული ცვლილება განიცადა. ნიშნები ახლა ცალკე სიტყვებს კი არ გამოხატავდა, არამედ მარცვლებს, სიტყვის მარცვლებს. ეგვიპტელმა ქურუმებმა, იმდროინდელმა მეცნიერებმა, შეძლეს მეტყველების დაშლა სიტყვებად. მერე — სიტყვების დაშლა მარცვლებად, სიტყვის დამარცვლა. მათ შექმნეს მსოფლიოში პირველი მარცვლოვანი ანუ სილაბური დამწერლობა. აღსანიშნავია, რომ ხმოვან ასოებს მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ამიტომ მათ მიერ გამოყოფილი მარცვლები შედგებოდა ჩვეულებრივ ორი, იშვიათად სამი თანხმოვანისაგან. მაგალითად, კმ ერთსა და იმავე დროს შეიძლებოდა წაეკითხათ როგორც კმე (ლომის თათი), ისე კემე (ეგვიპტე). ასევე კტ შეიძლება ყოფილიყო კოტ (ძლიერება), კოტა (სიმაღლე), კატ (წიგნი) და ა. შ. მალე დაიბადა საჭიროება ხმოვნების აღნიშვნისა, რადგან უხმოვნობა ხშირად გაუგებრობის წყარო იყო. ხმოვანი ბგერების გამოყოფა ახალ მიღწევას წარმოადგენდა: ეს იყო პირველი ნაბიჯი ფონეტიკური, ე. ი. ანბანური დამწერლობისაკენ.

ამრიგად, თუ თავდაპირველად თითოეული იეროგლიფური ნიშანი გამოხატავდა მთელ სიტყვას, დროთა ვითარებაში შემოღებულ იქნა ნიშნები ცალკეული მარცვლებისათვის. ამის შემდეგ საერთო რიცხვი ნიშნებისა შემცირდა. შემდგომ საფეხურზე იეროგლიფი გამოყენებული იყო არა სიტყვის ანდა მარცვლის, არამედ ცალკეული ბგერის გადმოსაცემად. როგორც ითქვა, ჯერ თანხმოვნები აღინიშნებოდა, მერე ხმოვნები.

რომ გასაგები იყოს ცალკეული ბგერების გამოხატვა, მივმართოთ ქართულ მაგალითებს. ვთქვათ, უნდა დაეწერათ „თავ“-სიტყვა. დახატავდნენ სამ საგანს: თმა (რაკი სიტყვა თ-თი იწყება), ატამი (რაკი სიტყვა ა-თი იწყება), ვაშლი (რაკი სიტყვა ვ-თი იწყება). ე. ი. მკითხველმა იცოდა, რომ დახატული თმა — ატამი — ვაშლი უნდა წაეკითხა ასე: თ-ა-ვ (თავი), ამ საგნების სახელების დასაწყისი ბგერების კვალობაზე. დაახლოებით ასე ჩაისახა ცალკეული ბგერების გადმოსცემა ხატოვანი დამწერლობის საფუძველზე.

ამრიგად, საჭირო ბგერის დასაწერად გამოყენებული იყო ისეთი სიტყვების აღმნიშვნელი ნიშან-სურათები, რომლებიც იწყებოდა ამ საჭირო ბგერით. ამ პრინციპს დღესაც იყენებენ ანბანის თვითმასწავლებლებში, რომლებიც ბავშვებისათვისაა განკუთვნილი. მეთოდუკაში

ეს (ე. წ. აკროფონიული) პრინციპი საუკეთესო ხერხია, რათა ბავშვებმა თვითონ ამოიციონ საჭირო ბგერა და ასო. დასურათებულ ანბანში, მაგალითად, დახატულია ხარი ან ხელი, ამ სიტყვების დასაწყისი ასოები შავად და დიდი ასოებითაა დაბეჭდილი. ბავშვი ამ გზით ითვისებს „ხ“ ასოს...

ღროთა ვითარებაში საგნების გამოსახულება პირობით წერილობით ნიშნებად იქცა, ე. ი. უკვე ვეღარ იცნობდი ამა თუ იმ გამოსახულებაში ამა თუ იმ საგანს. მხატვრობამ მისანიშნი ფუნქცია დაკარგა და „ყოფილი“ საგნის გამოსახულება განყენებულ წერილობით ნიშნად იქცა, — ამრიგად, „ასოები“ მივიღეთ.

ახლა ვიკითხოთ: როდის და როგორ ამოვიკითხეთ და გავშიფრეთ ეს უძველესი ეგვიპტური ნაწერები? ეგვიპტელებს ხომ არ დაუტოვებიათ სახელმძღვანელო მითითებანი, მომავალი თაობის აღამიანებმა ასე და ასე წაიკითხეთ ჩვენი ნაწერები, ასე გაიგეთ ჩვენი „ანბანი“. მამასადამე, ეგვიპტური დამწერლობის გასაღები ჩვენი ეპოქის მეცნიერებს უნდა ამოეცნოთ.

ეგვიპტური წერის საიდუმლოება პირველად ამოხსნილი იქნა XIX საუკუნის 20-იან წლებში. მისი ამოხსნა დაკავშირებულია მეცნიერების დიდი კლასიკოსის შამპოლიონის სახელთან. მას წილად ხვდა ბედნიერება — გარკვეულიყო დაახლოებით 6.000 წლის წინათ შექმნილი პირველი „ანბანის“ რთულ ხლართებში. ეს იყო ჭეშმარიტად გენიალური აღმოჩენა.

იეროგლიფურ დამწერლობას იკვლევდნენ XVII საუკუნიდან, მაგრამ სასურველ შედეგებს ვერ მიიღწიეს. ჯერ კიდევ ძველი დროიდანვე ტრიალებდა აზრი იმის შესახებ, რომ ეგვიპტური ჯადოსნური დამწერლობის შესწავლა, იეროგლიფურ „საკვირველებათა“ ამოცნობა აღემატება თანამედროვე აღამიანის გონების ძალას. იეროგლიფის წაკითხვის გზა სამუდამოდ გადაჭრილია და ამათა ამა თუ იმ მეცნიერის ჩხირკედელაობათ.

ეგვიპტეში ნაპოლონ პირველის ლაშქრობის დროს, როგორც ცნობილია, სიძველის მრავალი ძეგლი იქნა პარიზში გადმოზიდული. მათ შორის იყო ე. წ. როზეტის ქვა<sup>1</sup>, რომელმაც ეპოქალური როლი შეასრულა მეცნიერების განვითარებაში. ეს ქვა შეიცავს სამი სხვადასხვა ფორმის წარწერას: ზემო წარწერა — იეროგლიფურია, შუა — მისი განვითარების სახეობა, ქვედა — ბერძნული. ჯერ კიდევ ნაპოლონის ექსპედიციის ოფიცრებმა გამოთქვეს ვარაუდი: ალბათ სამივე წარწერა ერთი და იმავე შინაარსის გამომხატველიაო.

<sup>1</sup> სახელწოდება წარმოდგება ადგილის მიხედვით, სადაც ქვა აღმოჩნდა.

აი, ეს წარწერიანი ქვა გახდა გენიალური ინტუიციის მეცნიერის შამპოლიონის დაკვირვების საგანი. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ მანამდის ეგვიპტური ენა არ იყო ცნობილი მეცნიერებისათვის. შამპოლიონმა ჩაღრმავებული ძიების შედეგად გამოარკვია, რომ სამივე ტექსტი მართლაც ერთი და იმავე შინაარსისაა. მან, პირველმა, ამოიკითხა ეგვიპტური იეროგლიფები და ამით სათავე დაუდო ახალ დისციპლინას — ეგვიპტოლოგიას. მართლაც, როზეტის ქვაზე აღბეჭდილი იყო პირველი საუკუნის (ძვ. წ.) ტექსტი. შემდეგ ამის საფუძველზე მალე მოხერხდა უძველესი ეგვიპტური ძეგლების ამოკითხვა. შამპოლიონმა ამ გზით აღადგინა ძველი ეგვიპტური ენა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე თვლემდა „ჯადოსნურ იეროგლიფებში“.

### სუმერული დამწერლობა

მეორე დიდი კერა დამწერლობისა იყო მესოპოტამია, მოთავსებული მდინარეების — ტიგროსისა და ეფრატის შუა. სხვანაირად მას უშამდინარეთსაც უწოდებენ. ისტორიაში ეს მხარე უფრო ცნობილია ასურეთ-ბაბილონის სახელით. ბაბილონის სახელმწიფო განსაკუთრებით ძლიერია ძვ. წ. მეორე ათასწლეულში, ასურეთისა კი — ძვ. წ. პირველ ათასწლეულში (ასურული და ბაბილონური ენები მონათესავე სემიტური ენებია).

ამათზე ადრე მესოპოტამიის მკვიდრნი იყვნენ სუმერები, რომლებიც კი ბინადრობდნენ ძვ. წ. მეოთხე ათასწლეულში და წარმოადგენდნენ დიდად განვითარებულ ხალხს; სუმერები — ეგვიპტელებთან ერთად — კაცობრიობის უძველესი ცივილიზაციის შემქმნელი ხალხია. აი, ამ სუმერებმა ოთხი ათასი წლის წინათ (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) გამოიმუშავეს დამწერლობა. რომელიც ეგვიპტურ დამწერლობასთან ერთად, უძველესია დედამიწის ზურგზე. როგორც ზემოთ ითქვა, მთლად გარკვეული არ არის, რომელი რომელს უსწრებდა. სუმერული (მესოპოტამიური) წერის ქრონოლოგიურ პრიორიტეტს იცავენ უმთავრესად გერმანელი სპეციალისტები და გამოჩენილი ჩეხი მეცნიერი ჰროზნი; ეგვიპტურის პრიორიტეტს ამტკიცებენ უმთავრესად ინგლისელი მკვლევარები (პეტრი, სმიტი და სხვ.).











თუ რომელ ხალხებს ენათესავებიან სუმერები, ამ საგანზე მეცნიერებაში დღესაც დავა მიმდინარეობს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სუმერული და ქართული ერთმანეთის მონათესავე ენებია; სუმერები ქართველი ტომების წინაპრებადაა მიჩნეული.

„სუმერებმა ჯერ კიდევ ძვ. წ. მეოთხე ათასწლეულში განავითარეს საქალაქო ცხოვრება, საფუძველი ჩაუყარეს სახელმწიფოს და გამოი-

გონეს მსოფლიოში უძველესი დამწერლობა — ჯერ იეროგლიფური, ხოლო შემდეგ — ლურსმული<sup>1</sup>.

თუ ეგვიპტელები წერდნენ ქვაზე, შემდეგ — პაპირუსზე, სუმერები იყენებდნენ ისეთ მასალას, რომელიც მათ ქვეყანაში უხვად მოიპოვებოდა: ესაა თიხა. ისინი ამზადებდნენ თიხის ფირფიტებს, რომელზედაც საგანგებო ხის საჭრისით კვეთდნენ და ასე წერდნენ. საჭრისის ირიბად მოიმარჯვებდნენ ხოლმე და მთელი ძალით აჭერდნენ, რათა ღრმად გაეყოთ ფირფიტაზე შტრიხები. შემდეგ ამ ფირფიტებს გულდაგულ გამოწვავდნენ, მათთვის სიმტკიცე და გამძლეობა რომ მიენიჭებინათ. რაკი ასე ჩაღრმავებულად ავლებდნენ შტრიხებს საწერ მასალაზე, ამგვარ წერას შემდეგ ლურსმული წერა დაერქვა.

მესოპოტამიაში ხე და ქვა იშვიათი იყო და ამ ბუნებრივმა თავისებურებამ განაპირობა თიხის გამოყენება წერისათვის. თიხა კი მესოპოტამიის ნიადაგში ულვევი იყო.

	თვალნი		ჩიხალდანი
	ბაჟი		კაჟი
	მთავანი		ისარი
	ვანილი		ნავი
	არაჟი		ალაჟიანი

#### ძველსუმერული იდეოგრაფიული ნიშნები

სუმერული დამწერლობა ეგვიპტურისებურად პიქტოგრაფიულია თავისი განვითარების თავდაპირველ საფეხურზე. სუმერულმა წერამ დროთა ვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. წმინდა იდეოგრაფებს გაუჩნდა სხვადასხვა დამატებითი ნიშნები; ცნება, რომელსაც არ უხერხდებოდა თვალსაჩინოდ გადმოცემა წერაში, იშლებოდა შემადგენელ ელემენტებად და სხვ. მაგალითად, სიტყვა „შეხედვა“ გადმოცემული იყო თვალისა და მშვილდის გამოსახულებით; ცნება

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია, 1, გვ. 20, 1948, ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჭავჭავაძის, ს. ჭანაშვილი.

„ბოროტი, ავი“ თვალისა და ძაღლის გამოსახულებით გადმოიცემოდა. მაგრამ დანაწევრებული მეტყველების გამოხატვა, თუნდაც ამგვარი ასეული ნიშნებით, არ იყო სრულყოფილი. ამიტომ თანდათან ფართოდებოდა ცალკეული ნიშნების შინაარსი. ასე, მაგალითად, მზის სურათი გამოხატავდა ერთსა და იმავე დროს „დღეს, სინათლეს, მნათობს, განათებულს, სითეთრეს, თეთრს“ და ა. შ. არც ამგვარმა სისტემამ დააკმაყოფილა პროგრესის გაზრდილი მოთხოვნილებანი. სუმერები თანდათანობით შეუდგნენ წერის ფონეტიზაციას, ე. ი. ცალკეული ბგერების გამოხატვას. პირველხანად თითოეული ნიშანი პოლიფონიური, ე. ი. მრავალმნიშვნელოვანი იყო (ერთი ნიშანი რამდენიმე ბგერითს კომპლექსს გამოსახავდა).

ახალი სისტემის წყალობით შესაძლებელი გახდა გამობატულიყო ნაცვალსახელები, სუფიქსები, ფლექსიები და სხვა გრამატიკული ფორმები. რა თქნა უნდა, ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არის გამოუმუშავებული წმინდა ფონეტიკური წერა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სუმერულ ლურსმულ დამწერლობას საფუძვლად დაედო შედარებით მცირერიცხოვანი ნიშნები და სტილიზებული სურათები, უფრო ცოტა — პირობითი ნიშნები, გამოყენებული აბსტრაქტული ცნებებისათვის. ლურსმული წერის გამარტივება


ბაბილონური ლურსმული

სუმერული წერა

შემდეგ და შემდეგ ასეც ხდებოდა: რომელიმე ნიშანს შეაბრუნებდნენ და სხვა მნიშვნელობას მისცემდნენ.

ძვ. წ. მესამე ათასწლეულში სუმერთა სახელმწიფო დაამხეს ბაბილონელებმა (სემიტური მოდგმის ხალხმა) და ძველი ცივილიზებული ქვეყნის ნანგრევებზე ახალი ძლიერი სახელმწიფო შექმნეს. ბაბილონელებმა სუმერთაგან შეითვისეს დამწერლობა და დროთა ვითარებაში საგრძნობლადაც შეცვალეს: უფრო გაართულეს. ისიც აღსანიშნავია, რომ, თუ სუმერები ვერტიკალურ სვეტებად წერდნენ (ზევიდან



კვეციით,) ბაბილონელებმა მოიგონეს ჰორიზონტალური წერა (მარცხნიდან მარჯვნივ). ამავე დროს, ისინი წერდნენ სამკუთხა ჯოხით (საჭრისით); როცა მაგრად დააჭერდნენ, თიხაზე ლურსმნისებური ანუ სოლისებური კვალა აღიბეჭდებოდა. სწორედ ამიტომ ეწოდა ასეთ წერას ლურსმული ანუ სოლისებური წერა.

ბაბილონიიდან სოლისებური წერა გავრცელდა მეზობელ ხალხებში. მაღალ საფეხურზე აიყვანეს ამ სისტემის დამწერლობა ბაბილონელთა ჩრდილოელმა მეზობლებმა — ასურელებმა. ასურეთ-ბაბილონია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან და ამიტომაც, რომ ისტორიაში ამ მეზობელი და მონათესავე ხალხების კულტურა ერთი სახელითაა ცნობილი: ასურულ-ბაბილონური კულტურა. ასურელებმა რამდენადმე გაამარტივეს სოლისებური წერის სისტემა.

დაახლოებით 2350 წელს (ძვ. წ.) სოლისებური ანუ ლურსმული წერა შეითვისეს ხეთებმა, რომლებიც ქართველების შორეული წინაპრები არიან. ბევრი სოლისებური წარწერა დაგვიტოვეს აგრეთვე ხალდებმა, ურარტუს სახელმწიფოს ხალხმა. ურარტუ უძველესი კულტურის ერთი მძლავრი კერათაგანია.

ასურეთ-ბაბილონიის ნანგრევებზე აღმოცენდა სპარსელების უძველესი სახელმწიფო. სპარსელებმა მემკვიდრეობით მიიღეს სოლისებური დამწერლობა და იგი თავისებურად გადაახალისეს.

სოლისებური ანუ ლურსმული დამწერლობის ამოშიფვრა ევროპული მეცნიერების მონაპოვარია. თავდაპირველად სპეციალისტებმა ამოიკითხეს სპარსული სოლისებური წერა. ეს იმით აიხსნება, რომ სპარსული ენა ცნობილი იყო და ცნობილი ენის მეშვეობით უფრო ადვილია უცნობი დამწერლობის ხლართებში გარკვევა. ამას მოჰყვა ასურულ-ბაბილონური წერილობითი ძეგლების ამოცნობა. ყველაზე ბოლოს ამოიხსნა სუმერული დამწერლობა.

















სოლისებური დამწერლობის საიდუმლოების ამოცნობამ თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოს დაანახა ძველი ცივილიზებული სამყარო, კერძოდ გააცნო ასურულ-ბაბილონური კულტურის მონაპოვარი. ასე, მაგალითად, ასურეთის ძველი სატახტო ქალაქის — ნინევიის გათხრების დროს აღმოჩნდა უბრწყინვალესი ძეგლები — უდიდესი არქიტექტურული ნაგებობანი, სასახლეები და ტაძრები. ერთ-ერთ სასახლეში წააწყდნენ 22 ათასამდე თიხის ფირფიტას, რომლებიც შეიცავენ სოლისებურ წარწერებს. ეს ფირფიტები ცალკეული ფურცლებია წიგნებისა, რომლებიც დაცული ყოფილა VII საუკუნის (ძვ. წ.) მეფის ასურბანიპალის უმდიდრეს ბიბლიოთეკაში. ამ წიგნებმა მეცნიერებს გადაუშალეს ახლო აღმოსავლეთის უძველესი დროის კულტურული საგანძფრი, ამსახველი იმდროინდელი ისტორიის, კულტურის, ეკონომიკისა და ყოფისა. ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა აუარება მეცნიერული

ლიტერატურული და რელიგიური თხზულებანი, წიგნები ასტრონომი-  
იდან, მათემატიკიდან, მედიცინიდან, რეცეპტები — ავადმყოფთა გან-  
საკურნავად, ქიმიური რეცეპტები — საღებავების დასამზადებლად და  
სხვ.

ცხადია, ამ უძველესი ცივილიზაციის გაცნობა შეუძლებელი იქ-  
ნებოდა, ისტორიას რომ არ შემოენახა დამწერლობის ძეგლები, რომ-  
ლებიც გაშიფრეს და ამოხსნეს ჩვენი დროის მეცნიერებმა.

**ჩინური დამწერლობა**

ეგვიპტელებმა შეითვისეს სუმერებისაგან წერის კულტურა თუ  
პირიქით — ეგვიპტური დამწერლობა დაედო საფუძვლად სუმერული  
სოლისებური წერის სისტემას, ეს საკითხი, როგორც ვთქვით, ჯერ კი-  
დეც სადავოდ მიაჩნია ბევრ მეცნიერს, მაგრამ ჩინური დამწერლობა

წვიმა		𠄎	თავკომპალა		𠄎
სიხარბი		且	თვალნი		且
სახალი		火	კური		凵
მთა		山	ბალი		田
ბრინჯი		禾	ოთხთვალა		𠄎
ფრინველი		鳥	ნაჯახი		𠄎
თევზი		魚	ისარი		矢
ფართოსანი ურჩხული		𠄎	პეკვილი		𠄎

ზოგიერთი ჩინური იდეოგრაფიული ნიშნის წარმომავალი

რომ სრულიად დამოუკიდებლად აღმოცენებულია, ეს სადავო არ არის.

უძველესი ჩინური იდეოგრაფიული წერილობითი ძეგლები განეკუთვნებიან ძვ. წ. მესამე ათასწლეულის შუა ხანებს.

ყურადღება უნდა მიექციოთ შემდეგ გარემოებასაც: ეგვიპტური, სუმერული და ასურულ-ბაბილონური ენები და მათი დამწერლობის სისტემები ათასეული წლების წინათ გადაშენდნენ, ჩინური ენა და მისი დამწერლობა კი, მიუხედავად საუკუნეთა წიაღში გადგმული ფესვებისა, დღესაც განაგრძობენ არსებობას. ჩინური უძველესი და, ამავე დროს, ჩვენი დროის კულტურული ენაა.

ჩინური ენის გრამატიკული წყობა თავისებურია: იგი შედგება ცალკეული ერთმარცვლოვანი სიტყვებისაგან, რომლებიც არც იბრუნვიან და არც იუღვლიან. ამიტომ ჩინური დამწერლობა შეიცავს ნიშნებს, რომლებიც გადმოსცემენ ცალკეულ სიტყვებს. ეს ნიშნები კი წარმოშობით პიქტოგრაფიულ (ხატოვან) წერას უკავშირდებიან. ზემოთ მოცემული ნახატი ნაჩვენებია, როგორ მივიღეთ ძველი ჩინური ნახატებისაგან ზოგიერთი დღევანდელი ჩინური იდეოგრაფიული ნიშანი.

ამ ნახტიდან ჩანს, რომ ზოგიერთი თანამედროვე ნიშანი ძალიან ჰგავს ძველ „ნიშანს“, ე. ი. ნახატს, საიდანაც ისინი წარმოიშვნენ. მაგრამ დღევანდელი ჩინური დამწერლობის უამრავი ნიშანი ძალიან გადასხვაფერებულია, პიქტოგრაფიკულთან მათი დაკავშირება ძნელია, იმდენად შეცვლილა ფორმა.

ჩინურ წერაში დღეს დაითვლება 40 ათასიდან 50 ათასამდე იდეოგრაფიული ნიშანი. ჩვეულებრივი კითხვისათვის თანამედროვე განათლებულ ჩინელს 6 ათასიდან 10 ათასამდე ნიშანიც ეყოფა. სპეციალური ლიტერატურის კითხვისათვის გაცილებით მეტი ნიშნის ცოდნა საჭიროა. ვინც ძველ ჩინურ ხელნაწერებს და წიგნებს კითხულობს, მას აურაცხელი ნიშნის ცოდნა ევალება.

ჩინური წერა მიიძარტება ვერტიკალურად (ე. ი. ზევიდან ქვევით) და მარჯვნიდან მარცხნივ.

ჩინურ ენაზე შემონახულია უძველესი ძეგლები (განსაკუთრებით ბევრია VII—IX საუკუნეებისა, ძვ. წ.), ხელნაწერები, ძვირფასი ნიმუშები შორეული წარსულის ლიტერატურული და მეცნიერული აზროვნებისა.

უძველესი ჩინური წარწერები შესრულებულია ქვის ფილებზე. შემდეგ ხანებში შემოიღეს ხის ტაბულები, უფრო მოგვიანებით — ქსოვილები. ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან ქალაქი ხმარებაში. ქალაქის შექმნა მიეწერება ცნობილ ჩინელ გამომგონებელს ტზაი ლუნს (ეს იყო ჩინეთის იმპერატორის კარზე ცნობილი მოხელე).

თავდაპირველად ქალაქს ამზადებდნენ ჩერებისაგან. შემდეგ ქალაქის ტექნოლოგიაში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეიტანეს. VIII საუკუნემდე ჩინელებმა შეძლეს საიღუმლოდ შეენახათ ქალაქის დამზადების ტექნიკა. 751 წელს ბაღდადის ხალიფის ნაცვალმა სამარყანდში, საომარი ექსპედიციების დროს. ჩინეთის საზღვართან ტყვედ ჩაიგდო ორი ჩინელი, რომლებიც სპეციალობით ქალაქის დამამზა-

კანონი	კანონი	კანონი	კანონი	კანონი
Ⓒ	Ⓕ	სი	აპუნი	
Ⓔ	Ⓖ	ხა	აპული	
Ⓕ	Ⓖ	ჰა	ხა	პროტ-ტოტაი ქანონი-უასაქი
Ⓖ	Ⓖ	დუდ	ფიბა	ეიღან ანთაული ეიბა
Ⓖ	Ⓖ	მინ	კარანი	კარის ორი საბული
Ⓖ	Ⓖ	დან	სიტაპა	კირი სიღანა ქუბან-სანთქა
Ⓖ	Ⓖ	აქან	უაბული	უარი ისარი
Ⓖ	Ⓖ	კადან	საზიპაი	მიჯან მინდოლი

ზოგიერთი ჩინური ნიშნის წარმოშობა

დებლები იყვნენ. მათი შემწეობით ხალიფის ნაცვალმა სამარყანდში მოაწყო ქალაქის ფაბრიკა. სულ მალე „სამარყანდის ქალაქი“ ცნობილი გახდა აღმოსავლეთის ყველა კულტურულ ქვეყანაში.

ანბანი, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, პირველად ფინიკიელებმა ჩამოაყალიბეს. ცხადია, ფონეტიკური წერის წარმოქმნა უდიდესი პროგრესული ნაბიჯია კაცობრიობის ისტორიაში. ამიერიდან უკვე საჭირო აღარაა იდეოგრამები ან სხვა სახის დამატებითი ნიშნები. ყოველი ასო გამოხატავს ერთ რომელიმე ბგერას, ყოველი ბგერა გამოცემულია ერთი ასოთი. სადღაა ის სიძნელე თუ სირთულე, ძველი წერის სისტემებს რომ ახლდა. 22 იშვინთ, რომელსაც შეიცავს ფინიკიური ანბანი, შეიძლება დაიწეროს ყოველი ფინიკიური თუ მისი მონათესავე სემიტური ენების სიტყვა. საოცრად გამარტივდა, გაადვილდა წერა. და სწორედ ასეთი სიმარტივის გამო ამ ანბანმა უდიდესი გავრცელება პოვა მსოფლიოში. ახლა დამწერლობა აღარაა ხელოვნება, ამიერიდან ბგერების გრაფიკული თვალსაჩინოება განთავისუფლდა, როგორც იქნა ძველი სიმბოლური ფორმებისაგან, კაცობრიობამ უკვე მიაღწია წერის საბოლოო ფორმას — ნამდვილ ანბანს, ფონეტიკურ წერას (იხ. ზემოთ. მოცემული ტაბულა).

იბადება კითხვა: საიდან წარმოდგება ფინიკიური ანბანი? ფინიკიური ანბანის წარმოშობის თაობაზე მეცნიერები დაობდნენ ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან მოყოლებული, დაობენ დღესაც. რომაელი პოეტი ლუკანი და ბუნებისმეტყველი პლინიუსი აღიარებდნენ, რომ ანბანის პირველი გამოგონებელნი ფინიკიელებია. ბერძნები — პლატონი, ჰლუტარქი და რომაელი ისტორიკოსი ტაციტი ფიქრობდნენ, რომ ფინიკიური ალფაბეტი ეგვიპტური დამწერლობის საფუძველზეა გამომუშავებული.

1905 წელს სინას ნახევარკუნძულზე აღმოჩნდა 16 წარწერა კედელზე (ათარილებდნენ ძვ. წ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებით). ეს წარწერები ისეთი ნიშნებითაა შესრულებული, რომ ფიქრობენ, ისინი უნდა წარმოადგენდნენ შუალედურ საფეხურს ეგვიპტურსა და ძველსემიტურს (ე. ი. ფინიკურს) შორის. მკვლევართა აზრით, ეგვიპტური დამწერ-

სემიტური	ფინიკიური
𐤀	A
𐤁	B
𐤂	G
𐤃	D
𐤄	E
𐤅	F
𐤆	Z
𐤇	H
𐤈	
𐤉	I
𐤊	K
𐤋	L
𐤌	M
𐤍	N
𐤎	X
𐤏	C
𐤐	P
𐤑	Q
𐤒	R
𐤓	S
𐤔	Y

ფინიკიური და მისგან განვითარებული ლათინური

ლობა სემიტ ხალხებს გააცნო ერთმა სემიტური მოდგმის ტომმა, რომელიც XVI საუკუნეში ძვ. წ.) გამოადევნეს ეგვიპტიდან და გამოტყორცნეს აზიაში. არსებობს სხვა თეორიებიც. მაგრამ მათ აქ არ შეეგნებით.

ასეთია, ზოგადად, ფინიკიური ანბანის ისტორია.

როგორია ფინიკიური დამწერლობის გავრცელების გზები?

ფინიკიურმა ანბანმა უდიდესი როლი შეასრულა ახალი მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში: მისი გავლენით შემუშავდა ანბანთა უმრავლესობა, მათ შორის — ყველა ევროპული ანბანი ფინიკიურის საფუძველზეა შექმნილი და ჩამოყალიბებული.

ჩერ იყო და ფინიკიური დამწერლობა შეითვისეს ბერძნებმა. შემდეგ იგი, ბერძნულის მეშვეობით, მთელ ევროპაში გავრცელდა. აზიის ქვეყნებშიც მრავალი ანბანი შეიქმნა ფინიკიურის მიხედვით, აქ დავასახელებთ ებრაული და არაბული ანბანის ტიპებს.

ფინიკიური ანბანის გავრცელება იწყება ძვ. წ. IX საუკუნიდან. უშუალოდ ის ხალხები ითვისებდნენ ახალ ანბანს, რომლებსაც სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ფინიკიელებთან.

ბერძნული ანბანის თავდაპირველი სახეობა ზუსტი ასლია ფინიკიური ანბანისა. ბერძნულ ანბანში ასოების დალაგება-თანმიმდევრობა ისეთივეა, როგორც ფინიკიურში. ასე გასინჯეთ, ასოთა სახელები ბერძნულში დამახინჯებული სემიტური სიტყვებია. მაგალითად, ბერძნული სიტყვა „ალფა“ წარმოდგება სემიტური „ალფ“—ისაგან, რაც ნიშნავს ხარს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასო „ს“—ს თავდაპირველი გამოსახულება რქებიანი ხარის თავის წარმოდგენა იძლეოდა. ბერძნული „ბეტა“ იგივეა, რაც სემიტური „ბეტ“ (სახლი); შეადარე, აგრეთვე „დელტა“ და სემიტური „ლანეტ“ (კარი) და სხვ. ძველ ბერძნულ წარწერებში დატულია წერის სემიტური მიმართულება: ასოები იწერებოდა მარჯვნიდან მარცხნივ. ბერძნებმა გარდამავალი მიმართულება გამოიმუშავეს: პირველი სტრიქონი მიდიოდა მარჯვნიდან მარცხნივ, მეორე სტრიქონი — მარცხნიდან მარჯვნივ, მესამე სტრიქონი — ისევ მარჯვნიდან მარცხნივ და ა. შ. წერის ამგვარ მიმართულებას ეწოდებოდა „ბუსტროფედონი“ — ხარის მობრუნება. ე. ი. წერა, მსგავსი კვალში ჩამდგარი მხვნელი ხარის სკლისა. მხოლოდ ძვ. წ. IV საუკუნეში დაიწყეს ბერძნებმა წერა მარცხნიდან მარჯვნივ.

ბერძნული დამწერლობა განეკუთვნება ძვ. წ. VIII და VII საუკუნეებს. ფინიკიურ ანბანში, როგორც ვთქვით, იყო 22 ასო; ესენი თანხმოვნებისთვის, ხმოვნებისთვის კი ნიშნები არ არსებობდა. ბერძნულ ანბანში უკვე V საუკუნიდან (ძვ. წ.) ჩნდება ხმოვნების აღმნიშვნელი ასოები.

ბერძნული ანბანისაგან მომდინარეობენ ყველა ევროპული ხალხის ანბანური ტიპები, დასავლეთში ანბანი გავრცელდა იმ ბერძნული კო-

ლონიების გზით, რომლებიც განლაგებული იყვნენ აპენინის ნახევარ-კუნძულის სამხრეთ ნაწილში. ბერძნებისაგან შეითვისეს ანბანი რომაელებმა და ამ უკანასკნელთაგან გავრცელდა ამ ტიპის ალფაბეტი დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში.

## ქართული ანბანის წარმოშობა

დღევანდელ მსოფლიოში არსებობს დამწერლობათა შემდეგი სისტემები:

1. ლ ა თ ი ნ უ რ ი ს საფუძველზე შედგენილი ანბანები: ევროპის ქვეყნების უმრავლესობა, ამერიკისა და ავსტრალიის ქვეყნები, აფრიკის ქვეყნების უმრავლესობა. აზიის ზოგიერთი ქვეყანა: თურქეთი, ინდონეზია, ნაწილობრივ ფილიპინები;

2. ს ლ ა ვ უ რ - კ რ ი ლ უ რ საფუძველზე შედგენილი ანბანები: სსრკ (გარდა საქართველოსი, სომხეთისა, ლატვიისა, ლიტვისა, ესტონეთისა), ბულგარეთი, იუგოსლავიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა;

3. ა რ ა ბ უ ლ ი ს საფუძველზე შედგენილი ანბანები: არაბეთის ქვეყნები (ეგვიპტე, სირია, იორდანია, ლიბანი, ერაყი, მაროკო, ტუნისი და სხვ.), ირანი, ავღანისტანი, ჩინეთი და სხვ.

4. ი ნ დ უ რ ი მარცვლოვანი დამწერლობის საფუძველზე შედგენილი ანბანები: ინდოეთის, ინდო-ჩინეთის დიდი ნაწილი, ცეილონი;

5. ჩ ი ნ ე თ ი ს ლოგოგრაფიული დამწერლობა: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (გარდა ტიბეტისა, სინძიანისა და ჩინეთის მონღოლეთისა);

6. ი ა პ ო ნ უ რ ი ლოგოგრაფიულ-მარცვლოვანი დამწერლობა (ისტორიულად მომდინარეობს ჩინურისაგან);

7. კ ო რ ე უ ლ ი ლიგატურულ-ბგერობრივი დამწერლობა;

8. ე თ ი ო პ ი უ რ ი მარცვლოვანი დამწერლობა;

9. ბ ე რ ძ ნ უ ლ ი,

10. ქ ა რ თ უ ლ ი,

11. ს ო მ ხ უ რ ი,

12. ე ბ რ ა უ ლ ი,

13. მ ო ნ ღ ო ლ უ რ ი,

14. ს ი რ ი უ ლ ი.

როგორც ვხედავთ, ქართულ ანბანს ერთ-ერთი დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს მსოფლიოს ანბანთა ცნობილ სისტემაში.

ქართული ანბანის რეალური ისტორია იწყება V საუკუნის პირველი ნახევრიდან (ჩვ. წ.) ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლების მიხედვით. მეცნიერებაში საკმაოდ დასაბუთებულია აზრი, რომ ჩვენამდე მოღწეული ქართული ალფაბეტი უნდა წარმოშობილიყო ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში.

ვიდრე გავეცნობოდეთ ქართული ანბანის რეალურ ისტორიას, საჭიროა გავეცნოთ ჰიპოთეზებს, რომელთა მიხედვითაც ქართველ ტომებს დამწერლობა ჰქონიათ ძალიან ძველ ხანაში.

გარდა იმისა, რომ ქართულ ენაში კითხვისა და ასოს აღმნიშვნელი ტერმინები („კითხვა“, „ასო“) ძველისძველ ტერმინებად ჩანან, ინტერესს იწვევს წერის აღმნიშვნელი სახელი „წერა“. იგი თავდაპირველად ჭრას, კვეთას ნიშნავდა. აქედანაა „წერაქვი“, ე. ი. საჭრელი, საკვეთი. „წერა“ ხენის მნიშვნელობით („მიწის ჭრა, კვეთა“) მთლიან საქართველოში და „წერული“ — ყანის ნაკრეფი, შეკონილი, „საწერელი“. ე. ი. მჭამელი, მჭრელი, თითის ერთგვარი ავადმყოფობა ნათლად ადასტურებს „წერა“ სიტყვის ამ ეტიმოლოგიის სისწორეს (ს. ჯანაშია). იგივე ტერმინები გვიხსნიან წერასთან დაკავშირებული მეორე ტერმინის წარმოშობას. ესაა „წერტილი“. რომელიც ნაწარმოებია ზმნისაგან „წერტა“. ეს უკანასკნელიც ნიშნავს ჩხვლეტას, ამოკვეთას, ჭრას. მაშასადამე, ორივე ტერმინი იმ ხანისაა, როცა წერა რეალურად იყო პროცესი რაიმე მაგარ საგანზე (ქვაზე, თიხის ლაფაზე, ლითონზე) ამოჭრის, ამოკვეთისა.

ეს ტერმინები ქართველთა უძველესი წინაპრების დამწერლობაზე უნდა მიუთითებდეს, როცა ლურსმული წერა იყო გავრცელებული.

ანტიკური ხანის ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებში დაცული ცნობები და, მეორე მხრივ, უკანასკნელი ხანის არქეოლოგიური აღმოჩენები საბუთს იძლევიან ვივარაუდოთ, რომ უძველეს ქართველ ტომებს, რომლებიც უდავოდ მაღალ კულტურულ დონეზე იდგნენ, ჰქონდათ დამწერლობა, აკად. შ. ამირანაშვილი თავის წერილში „საქართველოში ნაპოვნი არქაული ხანის დამწერლობის ნიმუშები“ (1961 წ.) სრულიად კატეგორიულად აღნიშნავს, რომ „ენეოლითური და ბრინჯაოს კულტურის განვითარების მხატვრული დონე უთუოდ ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის (საქართველოს შ. დ.) მოსახლეობას დამწერლობა უნდა ჰქონოდა“. პროფ. ბ. კუფტინმა აღმოაჩინა ფიალა სიმბოლური ნიშნებით, რომლებიც პიქტოგრაფულ დამწერლობას უკავშირდება და პროტოელამურ ნიშნებს ემსგავსება. ფიქრობენ, რომ ეს ნიშნები ქართველთა უძველესი ტომის — ტაბალების (ტიბარენების, იბერების) მიერ შექმნილი ხატოვანი დამწერლობა იყო (გ. გობეჯიშვილი). პიქტოგრაფიული ხასიათისავე უნდა იყოს 1960 წ. ტ. ჩუბინაშვილის მიერ ჭავჭავთში აღმოჩენილ ჭურჭელზე აღნიშნუ-



ნიშნები. რომლებიც თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით (შ. ამირანაშვილი).

ასეთივე აღმოჩენები საქართველოში სხვადასხვა, მაგრამ მათზე აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას.

არის საბუთები ვიფიქროთ, რომ ძველკოლხებს დამწერლობა ჰქონდათ.

როგორც ვიცით, ბერძნები კოლხებს მდიდარი კულტურის ტომად მიიჩნევდნენ. მრავალთაგან დავიმოწმით მხოლოდ ერთი ცნობა.

აგათია სქოლასტიკოსი ახასიათებს ერთ-ერთ ქართველ ტომს. ლაზებს, და ამბობს: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ: ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომიერ მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია, არცთუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორკმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიკჳკვიტით... ისინი არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ“ (გეორგიკა, III, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა).

ასეთია კოლხ-ლაზების ცხოვრების შეფასება ანტიკური ხანის ავტორის მიერ (დასავლეთ საქართველოს. როგორც ვიცით, ჯერ კოლხეთი ეწოდებოდა, დაახლოებით I საუკუნეებიდან — ლაზიკა).

ბერძნულ წყაროებში მოიპოვება კოლხური (ე. ი. ქართული) უძველესი დამწერლობის შესახებ ცნობები.

კლასიკური ფილოლოგიის დოქტორს, პროფ. ა. ურუშაძეს თავის ძალიან საყურადღებო წიგნში არგონავტების შესახებ თავმოყრილი აქვს ძველ კოლხთა დამწერლობის ამსახველი ცნობები ანტიკურ ლიტერატურაში მოცემული მასალების მიხედვით.

კოლხური დამწერლობის თაობაზე ბერძნულ წყაროებში ორი სახის ცნობა მოიპოვება. ერთია ელინისტური ხანის ანონიმური ავტორისა და ახ. წ. II საუკუნის ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის ხარაქს პერგამონელის ცნობები. მეორე სახისაა უფრო ადრინდელი ცნობა კვირბებზე („კვირბები“ — უმთავრესად მაგარ საგანზე შესრულებული წარწერები).

ამ ძველ წყაროებში ნათქვამია: „ხარაქსი ამბობს. რომ ოქროს საწმისი იყო ეტრატებზე აღნუსხული ხერხი ოქროს დამწერლობისა; რომლის გამოც, ამბობენ, როგორც ღირსსარწმუნოა. „არგოს“ ლაშქრობა მოეწყოა“; „კოლხეთში დაცული (ტყავი) ნამდვილად ოქროს საწმისი

კი არ იყო (ეს პოეტური მონაქორია), არამედ ტყავებზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით“. ახ. წ. VII ს. ისტორიკოსი, „მსოფლიო ქრონიკის“ ავტორი იოანე ანტიოქელი ამბობს: „იასონმა და მისმა მზლებლებმა, პონტოს ზღვის კოლხეთს მიღწეულებმა, მოიპოვეს მელეა და ე. წ. ოქროს საწმისი. ეს ის კი არ იყო, როგორც პოეტურად გადმოგვცემენ, არამედ წიგნი, ტყავებზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით“. ეგვეე ცნობაა X ს-ის ლექსიკონში სიტყვის — „საწმისის“ ქვეშ: „ოქროს ბეწვიანი საწმისი, რომელიც იასონმა და არგონავტებმა მოიპოვეს, როდესაც პონტოს ზღვის კოლხეთში მივიდნენ... ეს იყო ტყავებზე დაწერილი წიგნი...“

სხვა ცნობებს აქ არ დავიმოწმებთ.

უადრესად საინტერესოა აპოლონიო როდოსელის „არგონავტიკაში“ (IV ს.) მოწოდებული ცნობები. ყურადღებას იპყრობს გადმოცემა კვირბებზე. „იგი პირველი ცნობაა ძველ ქართულ ტომებში (კოლხებში) არსებული დამწერლობის შესახებ“ (ურუშაძე), არგოსი კოლხეთიდან ელადისაკენ მიმავალ არგონავტებს მოუთხრობს აიას (კოლხიდის) დაარსების ამბავს და დასძენს, რომ კოლხებს „შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“. ამრიგად, კოლხებს ჰქონიათ ძველისძველი წერილობითი ძეგლები („მამათაგან ნაწერი“) სამანძილო კვირბების სახით. ამგვარ კვირბებს კარტოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდათ და კოლხები მათ პრაქტიკული მიზნით იყენებდნენ — მოგზაურთათვის კვირბებზე აღნიშნავდნენ წყლისა და ხმელეთის გზებისა და საზღვრების მდებარეობას. ცნობილი გეოგრაფი რიტერი ამბობს: „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონება სრულიადაც არ ეკუთვნით ბერძნებს. მას ბევრად უფრო ადრე ხმარობდნენ კოლხეთის ვაჭრები“.

ქართული ანბანი, რომელიც ამჟამად იხმარება, „მხედრული ანბანის“ სახელითაა ცნობილი. თანამედროვე ქართული ასოების დაწერილობა უკვე XI საუკუნეში ჩაისახა. XI საუკუნემდე კი ჩვენი ქართული ასოები სხვაგვარი მოყვანილობისა იყო. მხედრული დამწერლობა მისგან არის განვითარებული. ამ წინა საფეხურის ასოთა დაწერილობას ნუსხა-ხუცურის სახელით ვიცნობთ. ნუსხა-ხუცური, თავის მხრივ, განვითარებაა, გავრძელებაა წინა საფეხურისა, ე. წ. მრგვალოვანი ასოებისა. მრგვალოვანისაგან ნუსხახუცური (ანუ მოკლედ: ნუსხური) უკვე მეცხრე საუკუნეში განსხვავდა.

ამრიგად, ქართულ ანბანს განვითარების სამი საფეხური გაუვლია: პირველი საფეხურია მრგვალოვანი, რომელსაც ვიცნობთ მეხუთე სა-

უკუნის ძეგლებიდან მოყოლებული, ვიდრე მეცხრე საუკუნემდის. ესაა ძველი საფეხური. მეორე საფეხურია ნუსხური, რომელსაც ვიცნობთ მეცხრე საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე მეთერთმეტე საუკუნემდის. ესაა საშუალო საფეხური. მესამე საფეხურია მხედრული, რომელსაც ვიცნობთ მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე დღევანდლამდის. ესაა ახალი საფეხური.

ზემოთ ვთქვით, რომ ქართული ანბანის განვითარების სამი სახეობა გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მრგვლოვანი დამწერლობა შემდეგ საუკუნეებშიც არ გვხვდებოდეს, ასევე — ნუსხურიც. არა, ქართული შრიფტის სახეობები ერთმანეთის პარალელურად იხმარებოდა მეცხრე საუკუნის შემდეგაც, ოდონდ განსაზღვრული იყო მათი გამოყენების არე; მრგვლოვანს სულ ბოლო დრომდის ხმარობდნენ წარწერებისათვის (ქვებზე, კედლებზე) და სათაურებისათვის წიგნებში. ნუსხური უმთავრესად გამოყენებული იყო საეკლესიო წიგნების ძირითადი ტექსტებისათვის, ე. ი. მრგვლოვანი და ნუსხური ბოლომდი შერჩა ეკლესიას, ამიტომ დაარქვეს მათ „ხუცური“. ტერმინი „მხედრული“ იმაზე მიუთითებდა, რომ ეს შრიფტი სამოქალაქო საჭიროებისათვის იყო გამოყენებული.

მრგვლოვანი, ნუსხური და მხედრული ერთი შეხედვით სხვადასხვა ანბანად მოგვეჩვენება, მაგრამ, როგორც მეცნიერულმა დაკვირვებებმა გამოარკვია, მეორე პირველის განვითარებაა. მესამე — მეორისა. ეს გარემოება ცხადყო ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც გაითვალისწინა ამ სახეობების გარდამავალი საფეხურები და ქართული შრიფტის ერთიანობა დაასაბუთა. იყო სხვა მოსაზრებაც: მხედრული დამოუკიდებელი დაწერილობაა, რომელსაც ფესვები ღრმა წარსულში აქვსო. ეს მოსაზრება გამოთქვა ნ. მარმა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართული პალეოგრაფია ძირფესვიანად არ იყო შესწავლილი. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწერა ივ. ჯავახიშვილის ფუძემდებელი წიგნი. „ქართული პალეოგრაფია“ (1926) აქ კი ნაჩვენებია, თუ რა ევოლუცია განიცადა ქართულმა ასოებმა მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული დღემდის.

ვიდრე გადავიდოდეთ საკითხებზე, თუ როგორია გენეზისი ქართული ანბანისა, უნდა ვიკითხოთ: რა ხნოვანებისაა ის ქართული დამწერლობა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ; ქართული ანბანი ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის წარმონათქმნია, თუ მას ფესვები შორეულ წარსულში აქვს.

როგორც ცნობილია, მეხუთე საუკუნეზე ადრინდელი ქართული წერილობითი ძეგლები დღესდღეობით არ მოგვეპოვება: უტყუარი წერილობითი ძეგლები მხოლოდ ამ საუკუნიდან გვაქვს. ამრიგად, რეალური ისტორია ქართული მწიგნობრობისა აქედან იწყება.

უკანასკნელ დრომდის ჩვენამდის მოღწეულია პირველი ქართული

წარწერა (ბოლნისის ტაძარზე შესრულებული; ბოლნისი თბილისიდან 60 კილომეტრითაა დაშორებული) განეკუთვნება 493—494 წლებს. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ეს წარწერა იმდენად გამოკვეთილია და ჩამოყალიბებული, რომ შეუძლებელია იგი მივიჩნიოთ პირველ ქართულ ნაწერ ძეგლად; უთუოდ მრგვლოვან დამწერლობას განვითარების გრძელი გზა უნდა გაეცლო. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლეოდა ნაწერის სრულყოფილობა პელოგრაფიული თვალსაზრისით. ივ. ჯავახიშვილი დაასკვნიდა, რომ ქართული დამწერლობის განვითარების შესწავლა მისი წარმოშობიდან კი არ უნდა დავიწყოთ, არამედ იმ დროიდან, როდესაც მას უკვე განვითარების რამდენიმე, სულ ცოტა. ორი დიდი საფეხური მაინც ჰქონდაო განვლილი ეს იყო 1926 წელს.

ამის შემდეგ აღმოსავლეთის ქვეყნებში (პალესტინა, სირია, ეგვიპტე) აღმოჩენილ იქნა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, რომლებიც მეტყველებდნენ ჩვენი წინაპრების კულტურულ-შემოქმედებით. მუშაობაზე ადრინდელ საუკუნეებში. ეს ძეგლებია — ცამეტი ეკლესია და მონასტერი. ეგვიპტის უდაბნოში აღმოჩნდა V საუკუნეში პეტრე იბერის მიერ აგებული ეკლესია. იტალიელმა მეცნიერმა კორბომ პალესტინაში აღმოაჩინა მონასტერი ქართული წარწერებით, რასაც თავისთავად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის თვალსაზრისით.

თუ ამ აღმოჩენამდე უძველეს ქართულ წარწერად ითვლებოდა ბოლნისის წარწერა 493—94 წლისა, ამეირიდან მეცნიერებს შეემატა უძველესი ქართული წარწერა, რომელიც ნახევარი საუკუნით უსწრებს ბოლნისის წარწერას. პალესტინის წარწერები მეცნიერულად გამოიკვლია აკადემიკოსმა გ. წერეთელმა და ცხადყო, რომ ვარაუდი ქართული დამწერლობის არსებობისა V საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრინდელ ეპოქაში ამჟამად ბევრად უფრო დამაჯერებელია.

„პალესტინის უდაბნოს ქართული წარწერების სახით ჩვენ მივადექით იმ მიჯნას, რომლის იქით ზოგიერთი ჰიპოთეზის მიხედვით, ქართული დამწერლობის არსებობა არ ივარაუდებოდა. ამ ეპოქის შესანიშნავი ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენის შემდეგ, ისიც საქართველოდან ესოდენ დაშორებულ ქვეყანაში, როგორც პალესტინა... ეს ჰიპოთეზა საბოლოოდ უკუგდებული უნდა იქნეს. V საუკუნეზე ადრე ქართული დამწერლობის არსებობა... ამჟამად უფრო შესაძლებელი და რეალური ჩანს“ (გ. წერეთელი).

ამრიგად, ირკვევა, რომ, მართალია, ქართული ანბანი რეალურად V საუკუნის დასაწყისიდან არსებობს, მაგრამ იგი გაცილებით უფრო ძვილი წარმონაქმნია. მისი წარმოშობა წარმართობის ხანის სიღრმეში უნდა ვივარაუდოთ. რა ვუყოთ, რომ ძველი ძეგლები არ შენახულა!

ასეთია დღევანდელი მეცნიერების ექვმიუტანელი დასკვნა ამ საკითხზე.

ამ ვარემოების გათვალისწინება აუცილებელია იმიტომაც, რომ, როცა ვმსჯელობთ ქართული ანბანის გენეზისზე და ვუდარებთ მას სხვა ტიპის ანბანებს, სამწუხაროდ, არა გვაქვს საშუალება კვლევა-ძიებისას მოვიშველიოთ V საუკუნის წინანდელი ქართული ანბანის მოხაზულობა. ჩვენი ანბანის თავდაპირველი დაწერილობა რომ ვიცოდეთ, მაშინ უფრო გაადვილდებოდა მსოფლიოს უძველეს ანბანებთან მისი შედარება და დაკავშირება. ძველს ძველი უნდა შეუდარო!

როგორ დგას მეცნიერებაში საკითხი დღევანდლამდის მოღწეული ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ?

ძველ საქართველოში ეს საკითხი წამოჭრა გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა (XI საუკ.). ქართული მწიგნობრობა მან ქართველთა მეფის ფარნავაზის შემოღებულად მიიჩნია.

ლეონტი მროველი ამბობს:

„...და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესაეთავანი. ამან განაგრცო ენა ქართული და არღა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ („ქართლის ცხოვრება“).

ეს ცნობა მეთერთმეტე საუკუნის ცნობილი ისტორიკოსისა დღევანდლამდე არ იყო მეცნიერებაში ჯეროვნად შეფასებული. განა არსებობს რაიმე მტკიცე საბუთი იმისა, რომ არ დავუჯეროთ ათასასი წლის წინანდელ ცნობას? უკანასკნელი ხანის მეცნიერული ძიებები ადასტურებენ, რომ ლეონტი მროველის ცნობა ანგარიშგასაწევა და სხვა საბუთებით შემაგრებული, — ამდენად, სარწუნო და უაღრესად მნიშვნელოვანი (რ. პატარიძე).

რა ირკვევა?

„ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ხელნაწერში ლეონტი მროველის ზემოთ მოცემულ კონტექსტს ახლავს მოგვიანო ხანის კომენტარი, რომლის გაშიფვრის საფუძველზე მიღებულია დასკვნა: ქართული დამწერლობა (ქართული ასომთავრული) შექმნილია არა უადრეს 403 წლისა (ძველი წელთაღრიცხვით), როცა საბოლოოდ ყალიბდება კლასიკური ბერძნული დამწერლობა, და არა უგვიანეს 284 წლისა (ძვ. წ.), როცა ქართული ასომთავრული უკვე შემოღებულია. როგორც სახელმწიფო დამწერლობა. მაშ, ვღებულობთ ქართული დამწერლობის შექმნის მიახლოებით თარიღს 403 წ. ძვ. წ. და არა უგვიანეს 284 წ. ძვ. წ. (რ. პატარიძის ვარაუდი).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: ჩვენი მეცნიერების ნ. მარის, ი. ჯავახიშვილის, გ. წერეთლის მიერ გამოთქმული უეჭველი ვარაუდები, დაფუძნებული კულტურულ-ისტორიული და პალეოგრაფიული მასა-

ლის ღრმა გააზრებაზე, რომ ქართული დამწერლობა უნდა იწყებოდეს არა ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნიდან, არამედ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე, — კიდევ უფრო გამაგრებულია მე-11 საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ცნობასთან დაკავშირებული ახალი მასალების ანალიზითაც.

არსებობს სომხური ვერსია ქართული ანბანის წარმოშობის თაობაზე. ვითომ ქართული დამწერლობა შექმნა V საუკუნის სომეხმა მოღვაწემ მესრობ-მამტოცმა. ეს აზრი მიეწერება V საუკუნის ისტორიკოსს კორიუნს, რომელმაც, აღწერა მესრობ-მამტოცის ცხოვრება. თითქოს მესრობ-მამტოცმა შეუქმნა ანბანი სომეხებს, ქართველებს და ალბანელებს (ალბანელები — კავკასიის მკვიდრი ხალხი იყო, რომელიც შემდეგ აირია სხვა კავკასიელ ტომებში და გაქრა). ისტორიკოს კორიუნის თხზულების V საუკუნისეული (ე. ი. თავდაპირველი) ტექსტი არ შენახულა, არსებობს მხოლოდ მომდევნო საუკუნეებში გადაწერილ-გადაკეთებული რედაქციები. ივ. ჭავჭავიძემ დაწვრილებით და მთელი სიღრმით შეისწავლა ეს საკითხი და დაასკვნა: კორიუნის, როგორც V საუკუნის ავტორის, თხზულების თავდაპირველ რედაქციაში (რომელიც არ შენახულა) არ იქნებოდა საუბარი იმის თაობაზე, რომ მესრობ-მამტოცმა ქართველებსაც (და ალბანელებსაც) შეუქმნა ანბანი. საიდან ჩანს ეს? V საუკუნისავე სომეხი ისტორიკოსის ლაზარე პარფელის თხზულებაში, რომელიც დაწვრილებით გადმოგვცემს კორიუნის ისტორიული თხზულების შინაარსს. ნათქვამია, რომ მესრობ-მამტოცმა დამწერლობა მხოლოდ სომეხებს შეუქმნაო. არის კიდევ სხვა საამისო საბუთებიც. რაზედაც აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. ხოლო მომდევნო საუკუნეების სომხურ საისტორიო თხზულებებში რომ წესად იყო წინა საუკუნეების ნაწარმოებებში ცვლილებების, დანართების თუ ახალი გააზრებების შეტანა, ეს ხომ ცნობილიაო, ამბობს ივ. ჭავჭავიძელი, და მოჰყავს ამის მაგალითები. ეს ჩართვა კორიუნის თხზულებაში VI საუკუნეში უნდა მომხდარიყო, ასკვნის ივ. ჭავჭავიძელი (ამ აზრს იზიარებს ს. ჭანაშიაძე).

სომხურ საისტორიო მწერლობაში ახალი საუკუნეების განწყობილებებისა და ტენდენციების მიხედვით ძველი ტექსტების გააზრების ფაქტს ადასტურებდა ისეთი გამოჩენილი სომეხი ისტორიკოსიც, როგორც იყო პროფესორი ადონცი.

ივ. ჭავჭავიძელი ამ საგანზე ვრცლად მსჯელობს წიგნებში: „ქართული პალეოგრაფია“ (1926) და „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“ (1935).

სომხური ცნობა რომ გვიანდელია, უფრო და უფრო ნათელი ხდება ახალი მეცნიერული გამოკვლევებით. 1968 წელს ქართველმა არმენისტმა ზაზა ალექსიძემ გამოსცა „ეპისტოლეთა წიგნი“ (სომხური

ტექსტი ქართული თარგმანით. გამოკვლევითა და კომენტარებით). აქ კიდევ უფრო გაღრმავებულია ჩვენთვის საინტერესო პრობლემა და სრულიად ექვემიუტანლად მიღებულია დასკვნა, რომ მესროპთან დაკავშირებული ვერსია სომხურ საისტორიო მწერლობაში ცნობილი არ ყოფილა ჯერ კიდევ VIII საუკუნის დასაწყისში. ერთი უმნიშვნელოვანესი სომხური საისტორიო თხზულება იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ეს აზრი პოპულარული არ ყოფილა X საუკუნეშიაც.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აკადემიკოსი ნ. მარის მაშტოცს სომხური ანბანის გამომგონებლადაც არ თვლიდა. ნ. მარის ვარაუდით, მესროპ-მაშტოცის დამსახურება ისაა, რომ მან მხოლოდ ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ი გ ა ხ ა დ ა სირიული წარმოშობის ძველი სომხური დამწერლობა და ბერძნული ნორმების მიხედვით გააწყო. აქვე დავძენთ, რომ კორიუნის თხზულებაში სომხური ანბანის გამოგონების მოთხრობა დანიელ ასურის ანბანის დახასიათებით იწყება. თურმე დანიელ ასურ ეპისკოპოსს სომხური ანბანი შეუდგენია. მაშტოცს არ მოსწონებია ეს ანბანი. შემდეგ იგი ქ. სამოსატში გამგზავრებულა; იქ ერთ მშვენიერ დღეს ღვთაებრივი ხელით გამოსახული სომხური ასოები მოსჩვენებია და ეს ნიშნები სასწრაფოდ ჩაუნიშნავს. შემდეგ ერთი ბერძენი მწიგნობრის დახმარებით ანბანის მოხაზულობა დაუხვეწავს და გაუმართავს. ზოგიერთი სხვა მეცნიერიც მაშტოცს თვლის არა ასოთა გამომგონებლად, არამედ წინათ არსებული ანბანის მხოლოდ რეფორმატორად.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა და აკად. გ. წერეთელმა ქართული ანბანის კვლევას ისეთი პალეოგრაფიული საფუძველი შეუქმნეს, რომ დღეს ძველი თეორიები გადასასინჯია.

პირველი ივ. ჯავახიშვილია, რომელმაც მთელი სიღრმით შესწავლა ქართული ანბანის პრობლემა. 1926 წელს გამოვიდა მისი კაპიტალური წიგნი „ქართული დამწერლობათ-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“.

როცა ორ ანბანს ერთმანეთს ვუდარებთ, ძირითად ორ კითხვაზე უნდა იქნეს გაცემული პასუხი: 1. როგორია საანალიზო ასოების მოხაზულობა და 2. რა თანმიმდევრობითაა დალაგებული ეს ასოები.

ცნობილია, რომ ანბანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რომელ ასოს რომელი მოსდევს, ე. ი. განსხვავდებიან ასოთა დალაგების მიხედვით. გამოსარკვევია, აგრეთვე, ასოების რიცხობრივი მნიშვნელობის საკითხი; სანამ ციფრებს შემოიღებდნენ, რიცხვები ასოების საშუალებით გამოიხატებოდა.

ი. ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული შედარებითი ანალიზის შედეგად სავსებით ექვემიუტანელი ხდება, რომ 1. ქართულ-სომხური ასოე-

ბის მოხაზულობა სხვადასხვაა, 2. ასოთა თანმიმდევრობა სხვადასხვა პრინციპებზეა აგებული, 3. ასოების რიცხვობრივი გამოხატულებაც სხვადასხვა წესს ემორჩილება.

ზოგი მეცნიერი ქართულ ანბანს გენეზისიურად უკავშირებს ბერძნულ ანბანს.

ამ აზრს იცავდა ბერძნული პალეოგრაფიის დიდი ავტორიტეტი პროფესორი გარდტჰაუზენი, რომელმაც ეს თეორია წამოაყენა ჯერ კიდევ 1876 წელს (იგივე შეხედულება გაიმეორა მან 1913 წელს თავის კაპიტალურ წიგნში „ბერძნული პალეოგრაფია“; 1921 წელს მესამეჯერ შეეხო ამ საკითხს).

აზრი ბერძნული ანბანისაგან ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ არ გაიზიარა მარკვარტმა. 1917 წელს მან გერმანიაში გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი. სადაც გაკრიტიკებულია გარდტჰაუზენის დებულებები. ასეთივე აზრისაა მეორე გერმანელი მეცნიერი იუნკერი (1925 წელი).

ქართული ანბანის დედნად რომ არ ვივაოაუდოთ ბერძნული ანბანი, ეს საკმაოდ დამაჯერებლობით ნათელყო ივ. ჯავახიშვილმა თავის „ქართულ პალეოგრაფიაში“.

ქართული ანბანი. მართალია, არ არის წარმოშობილი ბერძნული ანბანისაგან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ შორის არ იყოს გარკვეული მსგავსება, წარმომდგარი საბერძნეთთან საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგად ქრისტიანულ ხანაში.

ამ გარემოებას ხაზს უსვამს გ. წერეთელი თავის სპეციალურ ნაშრომში, რომელიც გამოქვეყნდა მოსკოვში 1951 წელს.

ჯერ ერთი, ზოგიერთი მსგავსება ქართულსა და ბერძნულ ანბანებში იმითაც შეიძლება აიხსნებოდეს, რომ ორივეს საერთო წყარო აქვს. უდავოა, რომ საქართველოს ქრისტიანიზაციის დროს საბერძნეთმა ძლიერი გავლენა მოახდინა საქართველოზე. ეს გავლენა თავს იჩენს ანბანის სტრუქტურაზე. სავარაუდებელია, რომ ქრისტიანიზაციისთან დაკავშირებით ჩვენში ჩატარდა წერის ერთგვარი რეფორმა ბერძნული დამწერლობის გავლენით. ადვილი შესაძლებელია, რომ სომხურ ცნობაში მესროპის მოღვაწეობის შესახებ აღბეჭდილია ზორეული გამოძახილი თუ ანარეკლი ამ რეფორმისა (გ. წერეთელი).

რა აქვს საერთო ბერძნულ-ქართულ ანბანებს? რა გავლენა შეიძლება მოეხდინა ბერძნულ წერას ქართულ წერაზე?

1. როგორც ზემოთ ითქვა, ბერძნულმა შეცვალა სემიტურ ანბანში მიღებული მიმართულება: ბერძნები ხომ მარცხნიდან მარჯვნივ მიმართულებით წერდნენ. ასეთივეა ქართულიც. აქ უეჭველი გავლენაა; 2. თანხედენილობაა ასოთა რიგში; 3. ორივე ანბანს საერთო აქვს წერის დუქტუსი, სტილი, საერთო მანერა; 4. ბერძნულის გავლენით უნ-



და იყოს შემოღებული ხმოვნები წერაში (მანამდის მხოლოდ თანხმოვნები იწერებოდა). გ. წერეთელი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ არა მარტო ხმოვანთა სისტემაა წერაში შემოღებული ბერძნულის მიმხედურობით, არამედ ბერძნულის მსგავსია ზოგიერთი ხმოვნის მოხაზულობაც ჩვენს ანბანში.

ამრიგად, ქართული ანბანი არ არის ბერძნული ანბანისაგან წარმოშობილი, მაგრამ, ეტყობა, ქვეყნის ქრისტიანიზაციის დროს ქართულ ანბანს ერთგვარი გადახალისება განუცდია საბერძნეთ-საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის პირობებში.

ივ. ჯავახიშვილი ქართული დამწერლობის საფუძვლიანი და ყოველმხრივი შესწავლის შედეგად აცხადებს: „ჯერხანად ცნობილი ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიის განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7—8 საუკუნის უწინარეს არის საგულისხმებელი“.

სად უნდა ვეძიოთ ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული ანბანის ფესვები? მცირე აზიაში. დეტალური ანალიზის გზით მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქართული ანბანი გენეზიტურად უკავშირდება ფინიკიურ-სემიტური ანბანის სისტემას. ამ დებულების ნათელსაყოფად განსვენებულ მეცნიერს დამაჯერებელი ფაქტები მოჰყავს.

ფინიკიურ-სემიტური ანბანი ისტორიულ წარსულში სწავ კულტურულ ერთა დამწერლობის მისაბამ მაგალითად იქცა და საფუძვლად დაედო მათი ანბანის განვითარებას.

სემიტური ანბანი ორი მიმართულებით გავრცელდა: აღმოსავლეთში და დასავლეთში. აღმოსავლეთში ის, უპირველეს ყოვლისა, თვით სემიტური მოდემის ერთა შორის განმტკიცდა: მოაბელთა, ფინიკიელთა, ებრაელთა. არამეელთა და არაბებს შორის. თვით არამეელთა დამწერლობა მეზობელ და შორეულ ხალხთა შორის ფართოდ გავრცელდა ისე, რომ მისგან არაერთი ახალი დამწერლობა გაჩნდა. ყველაზე ადვილი იყო მისი შეთვისება სპარსელთათვის, რომელთაც ლურსმული დამწერლობის მივიწყების შემდეგ ე. წ. ფაქალური დამწერლობა შექმნეს. აი, ამ წრეს უკავშირდება ქართული ანბანის წარმოშობა.

დასავლეთში სემიტური ანბანი ყველაზე ადრე ბერძნებმა შეითვისეს.

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ქართულ ანბანს უკავშირებდნენ სპარსულ-არამეულს. ამ აზრს იცავდნენ ფრ. მიულერი, ტეილორი, იუნკერი.

ამრიგად, საზღვარგარეთელი მეცნიერები, ერთი მხრივ, და ივ. ჯავახიშვილი, მეორე მხრივ (რომელმაც საკითხი დაწვრილებით შეისწავლა) ამტკიცებენ, რომ ქართული ანბანი წარმომდგარია სემიტური

წარმოშობის აღმოსავლური დამწერლობისაგან (ყერძოდ ფინიკიურ-არამეულისაგან).

ადრე ნ. მარიც მსჯელობდა ქართული ანბანის არამეულთან კავშირზე.

ივ. ჯავახიშვილი მეცნიერული სიფრთხილისთვის თავის შეხედულებას ჰიპოთეზად ნათლავდა; ერთ-ერთ დაბრკოლებად ქრონოლოგიურ და ტერიტორიულ დაშორებას მიიჩნევდა შესადაარებელ ერთეულებს შორის (ე. ი. სემიტური სამყაროსა და საქართველოს შორის).

ეს დაბრკოლება ამჟამად მოხსნილია.

1940 წელს იმავე ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები საქართველოს უძველეს დედაქალაქში (მცხეთა-არმაზში). აღმოჩნდა მსოფლიოს მნიშვნელობის წარწერიანი ქვა. წარწერა ორენოვანია: ბერძნული და არამეული. გ. წერეთელმა ამოიკითხა ეს წარწერა და დაადგინა არამეული ანბანის სახეობა, რომელსაც „არმაზული დამწერლობა“ უწოდა.

რა მნიშვნელობა აქვს „არმაზული დამწერლობის“ ტიპის აღმოჩენას ქართული ანბანის ისტორიისათვის?

საქმე ისაა, რომ საქართველოს ძველ სატახტო ქალაქში — მცხეთაში აღმოჩენილი ეს დამწერლობა განსხვავებულია ყველა ანბანისაგან, რომლებსაც დღემდე ვიცნობდით. ეს გარემოება გვიკარნახებს ვივარაუდოთ რაღაც კავშირი ქართულ ანბანსა და ამ ახლად აღმოჩენილ ანბანს შორის. ეს ანბანი რომ აღმოჩენილიყო სადმე სამხრეთ არაბეთში ან აზიის ნიაში, მაშინ ქართულ ანბანთან ზოგიერთი პარალელი შეიძლებოდა გაგვეგო, როგორც შემთხვევითი მსგავსება, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოცენებული.

გ. წერეთელმა თავის ფართოდ გახმაურებულ წიგნში „არმაზის ბილნგვა“ მიიღო დიდად მნიშვნელოვანი დასკვნა: არმაზულ ანბანსა და ქართულ ანბანს უთუოდ აქვთ საერთო, ცალკეულ ასოთა მოხაზულობა ერთმანეთის მსგავსია, ასოების დამატებითი ელემენტებითა და საერთო სტილით ამ ორი ტიპის ანბანი ერთმანეთს უახლოვდება.

ძალიან საყურადღებოა შემდეგი გარემოება. ზოგიერთი ქართული ასო ამჟღავნებს უფრო მეტ სიძველეს, არქაულობას, ვიდრე შესაბამისი არმაზული ასო. მეტიც: ეს ქართული არქაული ნიშნები პროტოტიპია არმაზული ნიშნებისა, აქედან დასკვნა: ქართული ანბანი არ შეიძლება მივიჩნიოთ არმაზული დამწერლობის შემდგომ საფეხურად თუ განვითარებად; იგი მონათესავეა არმაზულისა; ორივე ერთად (ქართულიცა და არმაზულიც) მომდინარეობს საერთო წყაროდან — არამეულისაგან.

არმაზულ ანბანთან ქართული ანბანის შედარება ახლებურად აყენებს ასომთავრულ-ნუსხურ-მხედრულის (ქართული წერის ამ სამი

სახეობის) ქრონოლოგიური ურთიერთობის საკითხსაც: არმაზულთან მსგავსებას ნუსხური უფრო ავლენს. ნუსხური ხომ, მკვლევართა აზრით, განვითარებაა, შემდგომი საფეხურია ასომთავრულისა! გამოდის, რომ მეორე-მესამე საუკუნეების წარწერებში აღბეჭდილ ანბანს მეტი საერთო აქვს ქართული ანბანის მეცხრე საუკუნეში წარმოქმნილ ნუსხურ სახეობასთან, ვიდრე ასომთავრულთან, რომელიც მიჩნეულია ნუსხურის უწინარეს სახეობად. ამის საფუძველზე გ. წერეთელი ვარაუდობს, რომ ნუსხური მეცხრე საუკუნეში კი არ წარმოქმნილა, არამედ მეტი ხნის ისტორია აქვს. საფიქრებელია, რომ ორივე ტიპი — ასომთავრული და ნუსხური — თანდათანობით ვითარდებოდა და შორდებოდა თავდაპირველ ორიგინალს; სწორედ ამით აიხსნება, რომ ზოგ შემთხვევაში ნუსხურს შემოუნახავს უფრო ძველი მოხაზულობა, ზოგ შემთხვევაში კი ასომთავრულს. ასეთია წერეთლის ჰიპოთეზა.

როგორც ზემოთ ითქვა. ადრე ნ. მარიც ფიქრობდა, რომ ქართული ანბანის განვითარება არ უნდა წარმოვიდგინოთ ბიბლიური სქემის მიხედვით: ასომთავრულმა შვა ნუსხური, ნუსხურმა შვა მხედრული...

ყველა ანბანში ასოებს თავთავისი სახელები აქვს (მაგალითად, ქართულში: ანი, ბანი, განი, დონი და ა. შ.) ამავე დროს, ანბანში ასოები განლაგებულია გარკვეული წესით, გარკვეული თანმიმდევრობით (მაგალითად, ქართულში: ა, ბ, გ, დ, ე და ა. შ.).

მოვისაუბროთ ამ საკითხზე: 1. როგორ დაერქვა ასოებს ასეთი თუ ისეთი სახელები, და 2. რა საფუძველზეა დაყრდნობილი ასოთა ასეთი თუ ისეთი თანმიმდევრობა ანბანში.

როგორც ზემოთ, სათანადო ადგილას, ითქვა, ანბანური დამწერლობა გამომუშავდა ხატოვანი დამწერლობისაგან: ხატოვანი წერის დროს თითოეული სიტყვისათვის ცალკეული ნახატი იყო. როცა ხატოვანი დამწერლობა განვითარდა, როგორც ვიცით. ასეთი წესი გამოიმუშავდა: დახატული იყო საგნები და წარმოითქმებოდა ამ საგანთა მხოლოდ დასაწყისი ბგერა. გავიხსენოთ: ვთქვათ, ეხატა ხარი და ენა, წაიკითხავდნენ „ხე“ — ამ საგნების სახელთა დასაწყისი ბგერების მიხედვით (ქართული მაგალითი მოგვყავს).

ამ წესის, ე. ი. აკროფონის საფუძველზეა, როგორც ზემოთ ითქვა, მიღებული ბერძნულში ა-ს სახელი „ალფა“. ბ ასოს სახელი „ბეტა“. ბერძნულში ისინი სემიტური წარმოშობისაა; სემიტურში „ალეფი“ ხარს ნიშნავს და „ბეტ“ სახლს. მაშასადამე, ამ ასოების სახელწოდებანი ხატოვანი დამწერლობის პერიოდიდან მომდინარეობენ, როდესაც ა-ს წაკითხვისათვის ხარი იხატებოდა და ბ-ს წაკითხვისათვის სახლი. ასევე: ბერძნული გ-ს სახელია „გამა“ (სემიტურად „გომელ“ აქლემს ნიშნავს). და დ-ს სახელია „დელტა“ (სემიტურად „დელტა“ კარს ნიშნავს) და სხვა.

გავიხსენოთ ქართული ასოების სახელწოდებანი: ან, ბან, გან, დონ, ენ, ვინ, ზენ, ცეთან, ინ, კან, ლას, მან, ნარ, ძე, ონ, პარ, ეან, რაე, სან, ტარ, ჯე, უნ, ფარ, ქან, ღან, ყარ, შინ, ჩან, ცან, ძილ, წილ, ქარ, ხან, გარ, ჯან, ჰაე.

აქედან 21 ასოს სახელი 5 თანხმოვნით ბოლოვდება (ან, ბან, გან,...), დანარჩენი 15 ასოდან (ნარ, პარ, ტარ...) სახელი 4 თანხმოვნით მთავრდება, 4 ასოს (იე, რაე, ვიე, ჰაე) ბოლოში ე ხმოვანი აქვს, 2 ასო (ძილ, წილ) ლ თანხმოვნით თავდება.

თუ როგორ გაჩნდა ქართული ასოების ზემოხსენებული სახელები, ძნელი სათქმელია.

ახლა — ასოთა თანმიმდევრობის შესახებ ანბანში.

ბერძნული ანბანის მწკრივი სემიტური ანბანის სისტემას მასდევს. სემიტურში კი არ ვიცით, რის საფუძველზეა მიღებული ასოთა თანმიმდევრობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანბანის დაწყება ა-თი ე. ი. ალფათი (ბერძნულში), ალფეით (სემიტურში) შესაძლოა სარწმუნოებრივი მოტივით აიხსნებოდეს: ხარი მთელ რიგ ერებს, მათ შორის სემიტებს, წმინდა ცხოველად მიაჩნდათ (ალფეი ხომ ხარს ნიშნავს), ალფეით დაწყება საქმის დასაწყისის წინ ვედრების გამომხატველი იქნებოდა, ისევე როგორც ქრისტიან ერთა დამწერლობაში ძველად ყოველი ნაწერი აუცილებლად ჯვარის ნიშნით იწყებოდა.

ზოგიერთ ანბანში (მაგალითად, არაბულში) ასოები მოხაზულობის პრინციპით არის დალაგებული, ე. ი. ერთადაა მიჯრილი ერთმანეთის მსგავსი ასოები.

ქართულ ანბანს თავიდან მოყოლებული — 23 ასომდის ასოთა ისეთივე თანმიმდევრობა აქვს დაცული, როგორც უძველეს სემიტურსა და ბერძნულ ანბანთა მწკრივში იყო, ხოლო შემდეგ მომატებულია ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერების გამომხატველი ასოები. ეს დანართი ასოებია: ლ, ყ, შ, ჩ, ც, წ, ჰ. აქაც თანმიმდევრობა შემთხვევითი არ არის: ლ-ყ თანხმოვნებს მიჰყვება სისინა და შიშინა წინაენისმიერ ბგერათა 6 ასოდან შემდგარი ჯგუფი.

## ქართული სალიტერატურო ენა

ქართული ენა, ქართველი ერის ენა, საქართველოს სსრ სახელმწიფო ენაა. შედის ქართველურ (ანუ იბერიულ) ენათა ჯგუფში (მეგრულ-ჭანურთან ანუ ზანურთან და სვანურთან ერთად). ქართველური ტომების საერთო და ძირითადი ენაა. ქართველური ენები აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ენათა ჯგუფებთან ერთად ქმნიან იბე-

რიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს. ივარაუდება ქართული ენის კავშირ-ურთიერთობა აგრეთვე წინა აზიის ძველ ენებთან და ბასკურთან (პირენეებში). საქართველოს სსრ მიღმა ქართულად ლაპარაკობენ: აზერბ. სსრ, (ინგილოები), ჩრდ. ოსეთის ავტ. რესპ., ყაბარდოს ავტ. რესპ., სსრკ-ს საზღვრებს გარეთ: თურქეთში (იმერხეველები), ირანში (ფერეიდნელები).

ქართული ენა ერთადერთი ძველი დამწერლობის მქონე ენაა იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის. ჩვენამდის მოღწეული ადრინდელი წერილობითი ძეგლები განეკუთვნება V საუკუნეს. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ სალიტერატურო ენა უფრო ადრეც არსებობდა. ამას მოწმობს: ძველი ქართული მწერლობის პირვანდელი ძეგლების ენის დახვეწილი სტრუქტურა (მწიგნობრული ენისათვის ნიშანდობლივი ელემენტები) და ლექსიკის სიმდიდრე, ჩვენამდის მოღწეული პირველი ლიტერატურული ნაწარმოების (დაწერილია 476—483 წწ). მხატვრული ღირსებები, უძველესი ქართული დამწერლობითი ძეგლის პალეოგრაფიული თვისებები. ამასთანავე, არსებობს ისტორიული ტრადიცია (XI ს. მემათიანის ცნობა) ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ ძვ. წ. III საუკუნეში (ფარნავაზ მეფის დროს).

ჩვენამდის მოღწეულია წარწერები და პალიმფსესტები. რომლებიც განეკუთვნებიან V—VII საუკუნეებს: პალესტინის წარწერა (V ს. I ნახ.), ბოლნისის სიონის წარწერა (493 წლისა). მცხეთის ჯვრის მონასტრისა და წყისის წარწერები (VI ს. I ნახ.), ე. წ. ხანმეტი და ჰაემეტი პალიმფსესტები (V—VII სს.). ხანმეტი ლექციონარი (VI ს.), ორიგინალური მხატვრული ნაწარმოები — იაკობ ცურტაველის „წმინდა შუშანიკის წამება“ დაწერილია (476—483 წლებს შუა. ჩვენამდის დაცულია XI ს. გადაწერილი ხელნაწერის სახით) და სხვ. V საუკუნეში თარგმნილია ბიბლიური ტექსტები: ყველაზე ადრე ქართულად სახარება ითარგმნა. პირველი თარიღიანი წარწერაა ე. წ. ჰაემეტი წარწერა 616—619 წლებისა. პირველი თარიღიანი ხელნაწერია მრავალთავი ანუ კრებული 864 წლისა. დაცულია აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი ხელნაწერები, როგორცაა 897, 913, 936, 973, 978, 995 წლებისა, სამოციქულო 974 წლისა. ბიბლია 978 წლისა და სხვ. ამასთანავე, შემონახულია ბევრი უთარღო ხელნაწერი და წარწერა IX—X საუკუნეებისა და თარიღიანები X საუკუნისა. განსაკუთრებით უხვად არის წარმოდგენილი როგორც თარიღიანი, ისე უთარღო ძეგლები (წარწერები. სიგელ-გოჯნები, ხელნაწერები) მოყოლებული XI საუკუნიდან

ქართული ენის უძველესი ძეგლები დაცულია საქართველოში. რუსეთში. სირიაში. პალესტინაში. სინას მთაზე. ბიზანტიაში. საბერძნეთში. ბულგარეთში. საფრანგეთში, პოლონეთში, ინგლისში. იტალიაში, ავსტრიაში. გერმანიაში, ამერიკაში და სხვ.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პერიოდებია: ძველი (V—XI სს), საშუალო (XI—XVIII სს.) და ახალი (XVIII—XIX საუკ. დღევანდლამდე) ეს დაყოფა არ არის ერთადერთი: მეორე თვალსაზრისის მიხედვით, „ძველი ქართული“ მოიცავს პერიოდს V საუკუნეიდან XII საუკუნემდე, „ახალ ქართულს“ კი XII ს-ში ეყრება საფუძველი.

მიუხედავად საფეხურებრივი დიფერენციაციისა, ქართულ სალიტერატურო ენას ახასიათებს კონსერვატიულობა: უძველეს ენობრივ ძეგლებს არ სჭირდება თანამედროვე ქართულზე თარგმნა, ისინი ზოგადად და არსებითად გასაგებია დღევანდელი მკითხველისათვის. ეს აიხსნება: სუსტი მანვილის არსებობით; არტიკულაციის მკაფიო გამოკვეთილობით; ბგერათა უმრავლესობა გამოყენებულია სიტყვის მცველ ელემენტებად; დიალექტური ბგერითი თავისებურებანი შეზღუდულია ქართველი ხალხის კომპაქტურობის გამო (მოთავსებულია მცირე ტერიტორიაზე, მტკიცედ შეგნებული აქვს ენობრივი ერთიანობა); არსებობს ერთი სალიტერატურო ენა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს დიალექტებზე, დიალექტურ წარმოთქმაზე; ქართველ ხალხს არ გამოუცვლია ტერიტორია სალიტერატურო ენის ისტორიულ პერიოდში, არ განუცვლია ენათა შერევა, არ განუცვლია უცხოური ენის ძლიერი გავლენა იმ ზომად, რომ შეცვლილიყო წარმოთქმა და ა. შ.

სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედო ე. წ. ხანმეტური დიალექტი — ისტორიული ქვემო ქართლის მეტყველება (გაგრცელებული მცხეთა-ბოლნისის რეგიონში და მიმდგომ მხარეებში), რომელსაც ახასიათებდა ხ-ს ხმარება მეორე პირის სუბიექტურ და მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად, ამასთანავე, სიტყვაწარმოებით პრეფიქსად უფრობითი ხარისხის ფორმებში. უკვე IX საუკუნიდან პრეფიქსი ხ, როგორც სახელწოდებიდან ჩანს („ხანმეტი“), ზედმეტია. (XI ს. მწერალი და მთარგმნელი გიორგი მთაწმინდელი, ამგვარ ტექსტებს უწოდებს „ხანმეტს“). VIII ს-ში ხანმეტურ დიალექტს ცვლის ე. წ. ჰაემეტური დიალექტი, რომელსაც ახასიათებს ხ-ს ნაცვლად ჰ პრეფიქსი. ეს ქრონოლოგიური თანმიმდევრობა არ ნიშნავს, რომ ხანმეტური დიალექტი გადაიზარდა ჰაემეტურში, რამდენადაც ხ-ს გადასვლა ჰ-ში ქართული ენისათვის არ არის დამახასიათებელი. შეიცვალა მხოლოდ საყრდენი დიალექტები: მწიგნობრობა ხანმეტურ დიალექტზე წყდება და განაგრძობს არსებობას ჰაემეტურ დიალექტზე. IX—XI სს. კლასიკური სალიტერატურო ენა ჰაემეტური დიალექტების გაგრძელებას და შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით სალიტერატურო ენა ხასიათდება მხოლოდ მთავარი თავისებურებებით — ჰ-ს დაკარგვით ხმოვნების წინ ან მისი გადასვლით ს-ში. ხან-

მეტ-ჰაემეტი ტექსტები აღმოაჩინეს და გამოიკვლიეს ი. ჯავახიშვილმა და ა. შანიძემ.

ქართვის (საკუთრივ ქართული) ენის საერთო ეროვნულ ენად გადაქცევის პროცესებმა იმთავითვე გამოიწვიეს ადგილობრივი კილო-კავების ნიველირება და შთანთქმა. ძველ ლიტერატურულ ძეგლებში გამოსკვივის დიალექტურ ფორმათა სიმრავლე და მრავალფეროვნება. მათში არეკლილია ცოცხალი ენის ბგერობრივი პროცესები, ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა რედაქციაში ერთი ცნების გადმოსაცემად იხმარება სხვადასხვა სიტყვა, სავარაუდებელია — სხვადასხვა დიალექტური წრიდან მიმდინარე ლექსიკური ერთეულები. ფორმათა რყევა გრამატიკულ მოვლენებსაც შეეხება. მიუხედავად ძველი სალიტერატურო ენის მრავალფენიანობისა. თავის არსებით ნაწილში იგი მონო-ლითურია და მტკიცედ ჩამოყალიბებული ნორმების შემცველი.

კლასიკური სალიტერატურო ენის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საგანმანათლებლო ცენტრებმა და ლიტერატურულმა სკოლებმა (ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლა და სხვ.).

ქართულმა სალიტერატურო ენამ იმთავითვე დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის კომპაქტურობის შენარჩუნებაში, ერთიანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. შემდგომ საუკუნეებში სალიტერატურო ენის განვითარებაში თავისი წვლილი შეჰქონდათ, გარდა ქართულ-იბერიელებისა, სხვა ქართველ ტომებსაც. ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე (X ს.) წერდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. ამ ფორმულაში ქართლი, ე. ი. ფრიადი ქვეყანა, — სრულიად საქართველო, — დახასიათებულია ენის ნიშნის კვალობაზე: ხალხის ცნების დეფინიციისათვის ამოსავალი დებულებაა ენობრივი კონსოლიდაციის აღიარება. ეს ფორმულირება უთუოდ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის მკათიონ ანარეკლია.

ძველ სალიტერატურო ენაზე შექმნილია დიდი რაოდენობის უმნიშვნელოვანესი და მრავალფეროვანი შინაარსის ნაწარმოებები — როგორც ორიგინალური. ისე თარგმნითი ძეგლები.

ქართული ენა მთელი თავისი განფენილობითა და სიღრმით გადაშლილია როგორც ჩვენამდის მოღწეულ პირველ ორიგინალურ მხატვრულ ქმნილებაში — „უშუანიკის წამებაში“ (V ს.), ასევე მომდევნო ხანის პროზაულ ნაწარმოებებში: იოვანე საბანისძის „აბოს წამებაში“ (VIII ს.), გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (X ს.) და სხვ. სალიტერატურო ენის ფორმებმა ფართო გამოხატულება ჰპოვა ძველქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ნიმუშებში.

ისტორიულად ქართული ენის განვითარების ერთ-ერთ მძლავრ

ფაქტორს ბერძნულიდან, სირიულიდან, არაბულიდან, სპარსულიდან, სომხურიდან შესრულებული თარგმანები წარმოადგენს. ბიბლიისა თუ სხვა ძეგლების (უმთავრესად თეოლოგიური ლიტერატურის) ქართულად ამეტყველებამ საგრძნობლად გააფართოვა ქართული ენის ჩარჩოები (საკმარისია ითქვას, რომ ბიბლიური წიგნების პირველი ქართული თარგმანები განეკუთვნება ჯერ კიდევ V—VI საუკუნეებს).

თარგმანისა თუ პირადი კონტაქტების გზით ქართულ ენაში დამკვიდრებულია ბერძნული, სირიული, არაბული, არამეული, სპარსული, სომხური სიტყვები. ირანიზმები განეკუთვნებიან ძველ, მეტადრე, საშუალო და ახალ ირანულ ენობრივ ეპოქას. განსაკუთრებით პროდუქტიულია აგრეთვე არაბული წარმოშობის სიტყვები. საქართველოს ურთიერთობა არაბებთან ისლამის პირველ საუკუნეებშივე დაიწყო. ითარგმნებოდა არაბული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. ქართულში გამოიყოფა ლექსიკური ფენა. რომელიც პარალელებს პოულობს ძველ ინდოევროპულ ენებთან. ეს სიტყვები შეთვისებული უნდა იყოს ქართველურ ენათა დიფერენციაციის წინა ეპოქაში. ყოველ შემთხვევაში, მათი განვითარების უძველეს საფეხურებზე.

XI საუკუნის ბოლოდან იწყება ახალი საფეხური ქართული ენის განვითარებაში. XII—XVIII საუკუნეების ენა შეიძლება დავახასიათოთ. როგორც გარდამავალი ეტაპი, ერთგვარი შუალედური პერიოდი, რომელიც წარმოგვიდგენს ძველი ქართულის ნიშანდობლივი ელემენტებისა და ახალი ენობრივი ნაკადის თავისებურ ნაზავს, თვისებრივად ახალ ეპოქას სალიტერატურო ენის ევოლუციის გრძელ გზაზე. არსებითად ეს ხანა აღბეჭდილია ხალხურ მეტყველებასთან დაასლოებული გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებების აქტივიზაციით. თანდათანობით ირღვევა ძველი საეკლესიო ენის ერთფეროვანი შტამპი და დოგმატური სტილი; სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოებამ გამოიწვია გრამატიკულ ფორმათა ნაირნაირობა. სიჭრელე ლექსიკაში, ახალი ლიტერატურული ფორმები კი თანდათანობით ინერგებოდა.

მწიგნობრული ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებას არსებითად ხელი შეუწყო საერო მწერლობის აღმოცენებამ. XII საუკუნის სახატბო პოეზიისა (შავთელის „აბღულმესია“, ჩახრუხაძის „თამარიანი“) და მხატვრული პროზის ნიმუშებში („ამირან-დარეჯანიანი“, „ვი-სრამიანი“) ნათლად იგრძნობა გარდატეხა მხატვრული ენის განვითარებაში, ხოლო ქართული ენის მონუმენტური ძეგლი — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ დასაწყისია ახალი მოსაბრუნისა და ძირეული გარდაქმნებისა ენის განვითარებაში.

რუსთაველის ენა ჭეშმარიტად ხალხურია და მაღალ ლიტერატურულ ხარისხში აყვანილი. „ვეფხისტყაოსანმა“, რომელიც დაყრდნობი-



ლია კლასიკური ენის საუკეთესო ტრადიციებზე და გამდიდრებულ ახალი ენობრივი ნაკადის — ხალხური ენობრივი სტიქიის ნიშანდობ-  
ლური ელემენტებით, უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მომდევნო საუ-  
კუნეთა ენის განვითარებაზე.

ძველ ქართულ ენას კი, როგორც სალიტერატურო ენის საეკლე-  
სიო სტილს, არსებობა არ შეუწყვეტია და დიდხანს გამოყენებული იყო  
სასულიერო მიზნებისათვის.

გვიანფეოდალურ ეპოქაში, ე. წ. აღორძინების ხანის ენაში (XVI—  
XVIII სს.) უფრო მეტი გასაქანი მიეცა სამწერლობო ენაში დიალექ-  
ტებიდან მომდინარე ლექსიკურ-გრამატიკულ ფორმებს. ამდროინდე-  
ლი კლასიკოსი მწერლების ენაში ერთმანეთის გვერდით გვხვდება დია-  
ლექტური და ძველი ლიტერატურული ნორმები, რამდენადმე დაირ-  
ღვა სამწერლობო ენის უნიფიცირებული სისტემა და ფაკულტატიურ-  
მა ენობრივმა ფორმებმა ლიტერატურულ ნორმალისაციას თავისი და-  
ლი დაასვა.

XVII—XVIII სს. ქართული ენის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია:  
საზღაპრო ეპოსი „რუსუდანისი“, თეიმურაზ I-ის, არჩილის, ბესიკის,  
ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ის, საიათნოვას და სხვ. მწერალთა მხა-  
ტვრული ქმნილებანი. განსაკუთრებული ადგილი უკავია სულხან-საბა  
ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ენას. იქმნებოდა საისტორიო  
ხასიათის თხზულებანი. ანტონმა, გაიოზ რექტორმა და სხვ. რუსეთი-  
დან გადმოიტანეს საქართველოში რუსული სასულიერო-სქოლასტი-  
კური განათლების ტრადიციები... თბილისის და თელავის სემინარიე-  
ბისათვის სახელმძღვანელო ლიტერატურა უმეტესად რუსულიდან  
ითარგმნებოდა. უხვად ითარგმნებოდა აგრეთვე ტექნიკურ-სამხედრო  
ლიტერატურა. მდიდრულადაა წარმოდგენილი ნათარგმნი ტექსტები  
მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო დისციპლინებისა. მნიშვნელოვანია  
რუსული ენიდან დრამატულ თხზულებათა თარგმნა-გადმოკეთება.  
ქართული ენის სტიქია კარგად არის გამოვლენილი სპარსული ლიტე-  
რატურის ისეთი ძეგლების ქართულ თარგმანებში, როგორცაა „შაჰ-  
ნამე“, „ქილილა და დამანა“, „ლეილ-მეჯნუნიანი“ და სხვ.

საშუალო ქართულის ფორმირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი  
წყაროა მრავალრიცხოვანი ისტორიული საბუთები, აგრეთვე ეპიგრა-  
ფიკული მასალა. ამგვარი ჟანრის ძეგლები ხალხური მეტყველების  
უკუფენაა და თავისებური ლიტერატურული სტილის შემცველი. ის-  
ტორიულ დოკუმენტებში ასახულია კულტურულ-ეკონომიკური და სო-  
ციალური ტერმინები, ამასთანავე. ისინი შეიცავენ მდიდარ მასალას  
ისტორიული ფონეტიკის, მორფოლოგია-სინტაქსისა და სიტყვაწარმოე-  
ბის საკითხების ახსნისა და გაგებისათვის. ეს ძეგლები სხვადასხვა  
ლოკალური წარმოშობისაა, სხვადასხვა კუთხეშია შემუშავებული, რაც

ხელს უწყობდა ფორმათა სიჭრელესა და მრავალფეროვნებას. სტილისტიკური სხვადასხვაობის მიუხედავად, ამ ტიპის თხზულებანი ძირითადად სალიტერატურო ენის შაგისტრალურ ხაზს მიჰყვებიან და საშუალო ქართულის საერთო სტრუქტურის შემადგენელ ნაწილად გვევლინებიან.

XI—XII საუკუნეებიდან მოყოლებული უმაღლეს წერტილს აღწევს ქართული სამეცნიერო და ფილოსოფიური ენა. „ქართლის ცხოვრებაში“, საისტორიო ხასიათის ამ კაპიტალურმა თხზულებამ, დიდად შეუწყო ხელი მეცნიერული ენის განვითარებას.

სპეციალური ფილოსოფიური ენის შექმნისათვის იმთავითვე დიდი როლი შეასრულა თეოლოგიური და ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმანებმა. იოანე პეტრიწი (XI—XII ს.) ითვლება ქართული ფილოსოფიური ენის შემქმნელად. მან ბერძნულიდან თარგმნა ნემესიოს ემესელის, პროკლე დიადოხოსის, არისტოტელეს თხზულებანი და შექმნა ახალი მთარგმნელობითი სკოლა. პეტრიწი ქართული ძირებით ზუსტად გადმოსცემდა ყველა ტერმინს, ევროპულ ენებზე ბერძნული და ლათინური სახესხვაობის სახით რომ არსებობს. მთარგმნელობითი მუშაობის გაშლა მოითხოვდა ლიტერატურულ დახელოვნებასთან ერთად მშობლიურ და მისგან არსებითად განსხვავებულ ენათა ღრმა ცოდნას. ამან გამოიწვია ინტენსიური ფილოლოგიური კვლევაძიება. შეიქმნა მიმართულებები თარგმნით ხელოვნებაში. საინტერესო ცდებია ჩატარებული XI ს. მოღვაწეების — გიორგი მთაწმინდლისა (XI ს.) და ეფრემ მცირეს (XI ს.) მიერ სტილისტიკის დარგში. ეფრემ მცირესა და იოანე პეტრიწის განხილული ჰქონდათ გრამატიკის საკითხები. ეფრემ მცირემ მოახდინა ქართული პუნქტუაციის რეფორმა.

განსაკუთრებით XIII—XIV საუკუნეებიდან ქართულ ენაში იწერება აღმოსავლური ენებიდან მომდინარე სიტყვები (ირანიზმები, თურქიზმები და სხვ.). საშუალო ქართულში მთავრდება ამ ენათაგან ნასესხები სიტყვების ფონეტიკური მოდიფიკაცია და ქართული საარტიკულაციო ჩვევებისათვის მათი შეგუება.

გარდა ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში მომხდარი ძირეული გადახალისებისა და ცვლილებებისა, საშუალო ქართული ამჟღავნებს მთელ რიგ თავისებურებებს ფონეტიკისა და გრამატიკის დარგებში. დაიწყო მოქმედება ფონეტიკურმა კანონმა, რომლის ძალითაც სიტყვის აბოლუტურ ბოლოში მჟღერი ჩქამიერი თანხმოვნები ყრუვდებიან. კონარტიკულაციის პროცესში საგრძნობია ავრთვენი ბერათა კომბინატორული ცვლილებები სხვადასხვა პოზიციაში, მათ შორის ანლაუტში. ბერათა მონაცვლეობის იშვიათი შემთხვევები გვიჩვენებს საშუალო ქართულში განვითარებულ ან ახალ კანონზომიერებას (არტიკულაციის წინ წამოწევა, ან ველარიზაცია; ლაზიალიზაციისა თუ დელაბიალიზა-

ციის პროცესები), ანდა ძველად მოქმედი შესაძლო ბევრათადაწევის გადმონაშთს, იშვიათად კი — არტიკულაციის თავისებურებას სუბსტრატი ენის გავლენის შედეგად. ბრუნებაში ფუძემოყვანიან უკვეცელ სახელებში გამარტივებულია დიფთონგი, ემფატიკური „ა“ ხმოვანი იკარგება და შემდეგ ვითარდება „ი“, იცვლება კავშირებისა და ზმნი-ზედების ფორმა, ვრცელდება ზედსართავთა უფრობითი ხარისხის ფორმები, სიტყვაწარმოებაში ფართოდაა გამოყენებული კინოობითობის სუფიქსები. ზმნის ხოლმეობითის ფორმებში ორგანული წარმოება ადგილს უთმობს აღწერით ფორმებს; თურმეობითში ჩნდება „ნ“ სუფიქსი; ნამყო წყვეტილის 3 პირის მრავლობითის დაბოლოებაში ჩნდება გარჩევა გარდამავალი და გარდაუვალ ზმნებში; სუსტდება სახელობითში დასმული სახელის სინტაქსური ძალა და სხვ. —:

XVIII საუკუნიდან დასაბამი ეძლევა ახალ პერიოდს სალიტერატურო ენის ისტორიაში (საქმიანი, საკანცელარიო დოკუმენტების, კლასიკოსების — სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის ენა), მაგრამ ენის ბუნებრივ განვითარებას მთელი ასი წლის განმავლობაში გზა გადაუღობა ქართული ენის პირველი სრული გრამატიკის ავტორის — ანტონ კათალიკოსის გრამატიკულმა სკოლამ. ანტონმა, რომელიც ეყრდნობოდა „სამი სტილის“ თეორიას, დანერგა არქაიზებული და ხელოვნური ფორმები. ანტონისეული გრამატიკული პრინციპები ედო საფუძვლად XIX ს. შუა წლებამდე გამოქვეყნებულ სასკოლო გრამატიკებს. არქაიზებულია XIX საუკუნის პირველი ნახევრის რომანტიკოსი პოეტების (ა. ჰავეჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის) ენა. ქართველი არქაისტების თვალსაზრისს თეორიული საყრდენი ჰქონდა ლოგიკისტური გრამატიკული სისტემისა და შუა საუკუნეების თეოლოგიის საფუძვლებში. მათთვის მისაბაძი იყო იოანე პეტრიწის ენა და არა იმდენად ძველი ლიტერატურის კლასიკური ენობრივი ძეგლები. იმდროინდელ პრესაში გაბატონებული იყვნენ ანტონის სკოლიდან გამოსული ლიტერატორები. ქართული პუბლიცისტური სტილი (ორმოცდაათიან-სამოციანი წწ.) მთლიანად ეყრდნობოდა არქაიზებული და ხელოვნური ენის წორმებს. მიუხედავად ამისა, იყო ცდები (გიორგი ერისთავის კომედიები) სასაუბრო მეტყველების ნორმების წარმოჩენისა მწიგნობრულ ენაში.

ქართველ მესამოციანელთა მეთაური ილია ჰავეჭავაძე პირველია, რომელმაც გაბედულად გაილაშქრა ენობრივი კონსერვატიზმის წინააღმდეგ და ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების მძიმე ტვირთი იკისრა. მას მხარში ედგნენ აკაკი წერეთელი და სხვა მწერლები. დრომოქმულ ენობრივ ნორმათა უკუგდების აუცილებლობა და თანამედროვე ლიტერატურული ენის ნორმალისაციის ინტერესები დღის წესრიგში აყენებდნენ ტრადიციული თვალსაზრისის („სამი სტი-

ლის“ თეორიის) კრიტიკას, არქაისტების მეთოდოლოგიის თეორიულ დამტკიცებას, ერთი მხრივ, და ახალი სამწერლობო ენის შენებას, ახალი ნორმების დამკვიდრებას, მეორე მხრივ, ანბანის გამარტივება, არქაული და ხელოვნური ფორმების უკუგდება, ხალხურ მეტყველებასთან დაახლოება, ტერმინული (საერთაშორისო) სიტყვების დამკვიდრება, სამეცნიერო ლიტერატორის მოწესრიგება, — ეს საკითხები დაისვა ახალი თაობის ლიტერატორთა წინაშე. სალიტერატურო ენის საყრდენად ხალხური მეტყველება გამოცხადდა, რასაც მოჰყვა მწვავე რეაქცია ძველი თაობის ლიტერატორთა მხრივ. სქოლასტიკური ფილოსოფიის საფუძვლებზე აღმოცენებულმა „სამი სტილის“ თეორიამ მარცხი განიცადა. ჩატარდა ორთოგრაფიის რეფორმა. სალიტერატურო ენა დემოკრატიზაციის გზას დაადგა. დაიწყო ახალი ხანა სალიტერატურო ენის განვითარებაში.

XIX ს. II ნახევარში დასრულდა ქართველი ერის ფორმირების პროცესი. ერთიანი საერთო-სახალხო ენა ჩამოყალიბდა ქართველი ერის ნაციონალურ ენად. ქართული საერთოეროვნული ენის ფორმირება მოხდა ქართლური და კახური დიალექტების საფუძველზე. მის შემდგომ განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანეს სხვა დიალექტებმაც.

ახალი ქართული მწიგნობრული ენის განმტკიცებისა და სრულყოფის საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს ქართული მწერლობის კლასიკოსების ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის მხატვრულმა ქმნილებებმა, ამასთანავე, ცნობილი პედაგოგის ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებმა („დედაენა“, „ბუნების კარი“). ახალი სალიტერატურო ქართულით მეტყველებდნენ აგრეთვე რ. ერისთავი, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, ე. ნინოშვილი, ვაჟა-ფშაველა, ე. გაბაშვილი, ა. ყაზბეგი, დ. კლდიაშვილი, ი. ევდოშვილი, ი. დავითაშვილი და სხვ. გარდა მხატვრული მწერლობისა, ქართული ენის განვითარებას ხელი შეუწყო მეცნიერული და პუბლიცისტური ლიტერატურის ფარგლების გაფართოებამ განსაკუთრებით XIX ს. II ნახევრიდან მოყოლებული.

პოლიტიკურ-პუბლიცისტური სტილის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებდა მარქსისტული ლიტერატურის გავრცელება ქართულ ენაზე. ჭერ კიდეც 70-იანი წლების პრესაში უხვად გვხვდება ციტატები მარქსის ნაწერებიდან. ითარგმნა „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“ და სხვ.

ამასთანავე აღსანიშნავია ქართული სასცენო მეტყველების მნიშვნელობა მეტადრე ქართული სასაუბრო ლიტერატურული ენის განვითარებაში (ქართულ თეატრს საფუძველი გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩაეყარა).

ქართველი ხალხი ქართულ ენაზე ეცნობოდა რუსული და მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებს. ითარგმნებოდა პუშკინის, ლერმონტო-

ვის, კრილოვის, ტურგენევის, ტოლსტოის და სხვათა ქმნილებანი. დიდი როლი შეასრულა სალიტერატურო ენის განვითარებაში შექსპირის ტრაგედიების მთარგმნელმა ი. მაჩაბელმა.

ქართული ენის განვითარებაში გრანდიოზული ცვლილებები მოხდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ პერიოდში — სოციალისტური კულტურის აღმავლობის პირობებში, თანამედროვე სალიტერატურო ენა შემდგომი განვითარება ილიას, აკაკის, ვაჟას ენისა: ესაა ახალი ქართული სალიტერატურო ენა საბჭოთა პერიოდისა. ქართული საბჭოთა მწერლების ცნობილმა წარმომადგენლებმა საგრძნობლად გაამდიდრეს ქართული ენა. მეცნიერების განვითარებამ ხელი შეუწყო ახალი სამეცნიერო ენის აღორძინებას. შეიქმნა რამდენიმე ათეული ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

გაფართოვდა ლექსიკის ფარგლები, დაიხვეწა გრამატიკული წყობა. შეიქმნა ასეულობით ახალი სიტყვა და გამოთქმა, ფრაზეოლოგიური ერთეული, რომლებიც გამოხატავენ ჩვენი ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას. ენა შეივსო ისეთი სიტყვებით, რომლებიც წარმოიშვნენ სოციალური წყობილების შეცვლასთან, წარმოების განვითარებასთან, კულტურის, მეცნიერების წინსვლასთან დაკავშირებით. გამდიდრდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკა, ფართოდ დაინერგა ენაში შემოკლებული სიტყვები, შეიქმნა ე. წ. საბჭოთა კომპოზიტები. XIX—XX სს. სალიტერატურო ენაში უხვად არის შესული საერთაშორისო ტერმინოლოგია ახალი ევროპული ენებიდან (მეტადრე რუსული ენის მეშვეობით).

გაფართოვდა და გაღრმავდა მთარგმნელობითი მუშაობა. ინტენსიურად ითარგმნებოდა რუსული კლასიკური და საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები, ამასთანავე, მოძმე ხალხებისა და მსოფლიო მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. ქართულ ენაზე თარგმნილია მარქსის, ენგელსის, ლენინის თხზულებანი.

სალიტერატურო ქართულის სარეზერვუარო ფონდს წარმოადგენს დიალექტებიდან მომდინარე დახვეწილი მასალა.

სალიტერატურო ენის ნორმალიზაციას რესპუბლიკაში ხელმძღვანელობს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია“. პერიოდულად იცემა კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“.

## ქართული ენის განვითარება

ცნობები ქართული კილოების შესახებ გვხვდება ჯერ კიდევ XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. უცხოელ მოგზაურთა და მეცნიერთა ნაშრომებში (ალტერი, გიულდენშტედტი, ბროსე, როზენი, ერკერტი, შუხარდტი და სხვ.).

ქართული დიალექტების მეცნიერული შესწავლა XX ს. დამდეგიდან იწყება. 1910 წ. მარმა სამხრეთ საქართველოში შეისწავლა იმერხეული მეტყველება და 1911 გამოსცა ტექსტები, რომლებსაც დაურთო შენიშვნები და ლექსიკონი. მისივე ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიაში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა დიალექტოლოგიურ კვლევას, შედგა ინსტრუქცია-პროგრამა, გაიშალა საექსპედიციო საქმიანობა, გამოიცა სალექსიკონო მასალა და მისთ. (ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ვ. ბერიძე).

1913 წ. კრებულ „ძველ საქართველოში“ დაიბეჭდა მ. ჭანაშვილის ვრცელი ნაშრომი ინგილოურის შესახებ.

დიალექტების გეგმაშეწონილი და სისტემატური შესწავლა პირველად თბილისის უნივერსიტეტში დაიწყო. ა. შანიძემ დასაბამი მისცა „მთის კილოების“ ფუნდამენტურ კვლევას. ოციან წლებში გამოქვეყნდა ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას ფუძემდებლური დიალექტოლოგიური ნაშრომები, რომლებმაც განსაზღვრეს ამ დარგის განვითარება. ფართოდ გაიშალა აგრეთვე კვლევა-ძიება ჯერ ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, ხოლო მოგვიანებით — მისგან გამოყოფილ ენათმეცნიერების ინსტიტუტში. მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენის კათედრებზე.

ქართულ დიალექტოლოგიაში მუშაობა იმთავითვე რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. ამოცანად დაისახა: 1. დიალექტთა ყოველმხრივი და ამომწურავი შესწავლა (ტექსტების შეკრება-გამოცემა, ცალკეული. დიალექტების ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებების სრული დახასიათება); 2. დიალექტური ლექსიკონების შედგენა; 3. ისტორიული დიალექტოლოგიის პრობლემების კვლევა; 4. მწერლის ენის შესწავლასთან ერთად პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებათა შესწავლა; 5. დიალექტთა საერთო მოვლენების წარმოშობა-განვითარების ძიება ქართული ენის განვითარების საერთო ფონზე და ქართული ენის დიალექტთა მასალის ანალიზის საფუძველზე ზოგადენათმეცნიერული საკითხების გაშუქება. გამოქვეყნებულია მონოგრაფიული გამოკვლევები და დიდი რაოდენობით ცალკეული სტატიები; სპეციალურად შესწავლილია რამდენიმე დიალექტის ლექსიკა; დაბეჭდი-

ლია დიალექტოლოგიური ტექსტები და სხვ. საფუძველი ჩაეყარა დიალექტოლოგიური ატლასის შექმნას.

დიალექტური თავისებურებანი გამოვლენილია ძველი საუკუნეების წერილობით ძეგლებში — ძველ ქართულ თარგმანებში, ორიგინალურ მხატვრულ ლიტერატურაში, ისტორიულ საბუთებში და სხვ. მოგვეპოვება წინა საუკუნეებში ფიქსირებული ცოცხალი მეტყველების ტექსტებიც, რომლებიც დაცულია ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (XVIII ს.).

ქართული ენა იყოფა მეტ-ნაკლებად განსხვავებულ დიალექტურ ერთეულებად. ისინი ტრადიციულად ერთიანდებიან აღმოსავლურ და დასავლურ ჯგუფებში (გამოყოფენ სამხრულ ჯგუფსაც). რასაც საფუძვლად უდევს უმთავრესად ეთნიკური და გეოგრაფიული საკლასიფიკაციო პრინციპი. დიალექტთა კლასიფიკაციის ლინგვისტური კრიტერიუმი კი კილო-თქმათა განმასხვავებელი ნიშნების ერთობლიობაში მდგომარეობს.

აქართული გავრცელებულია აჭარის ასსრ ხელოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის რაიონებში. აგრეთვე გურიაში — ჩოხატაურის რაიონის რამდენიმე სოფელში (დასახლებულან დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ). ამ დიალექტზე ლაპარაკობენ აჭარის იმ ნაწილშიც, რომელიც მოქცეულია თურქეთის ტერიტორიაზე. გამოიყოფა 2 კილოკავი: ზემოაჭარული და ქვემოაჭარული. ზემოაჭარული მოიცავს ხელოს, ქედისა და ნაწილობრივ ხელვაჩაურის რაიონებს (მდ. აჭარისწყლის ხეობაში), ქვემოაჭარული — ქ. ბათუმის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონებს. ზოგი აჭარულს ყოფს „ბარის აჭარულად“ და „მთის აჭარულად“, ამ კლასიფიკაციით მთის აჭარული მდ. აჭარისწყლის ხეობაში (ხელოს, შუახევის, ქედისა და ნაწილობრივ ხელვაჩაურის რაიონებში) მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაა, ბარის აჭარული — ქობულეთისა და ხელვაჩაურის რ-ნებში მოსახლე აჭარელებია. აჭარული ძალიან ახლოს დგას შავშეთ-კოარჯეთის მეტყველებასთან. ზემოაჭარულს მრავალი საზიარო ფორმა აქვს მესხურთან და ჯავახურთან. ქვემოაჭარულს — გურულთან. აჭარულს უხვად შემოუნახავს არქაიზმიები. აჭარული ლექსიკა შეიცავს თურქულ და თურქული ენიდან შემოსულ არაბულ-სპარსულ სიტყვებს. დღევანდელ აჭარულში თურქული ელემენტები თანდათან იზღუდება და მათ ნაცვლად ქართული ლექსიკური ეკვივალენტები ბატონდება. აჭარული გამოიყენებულია ქ. ლომთათიძის და აჭარაში მომუშავე თანამედროვე ბელეტრისტების ნაწარმოებებში.

გურული შედარებით მცირე ტერიტორიაზეა გავრცელებული და მოიცავს მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის ადმ. რაიონებს; გავრცელებულია სამტრედიის რაიონის ზოგიერთ სოფელშიც. გუ-

რულში დადასტურებულია შინასხვაობა არა მხოლოდ მთისა და ბარის მიხედვით, არამედ თემებისა და სოფლების მიხედვითაც. გურულზე გავლენა მოუხდენია ჩრდილოეთ-დასავლეთით მეგრულ-ქანურს, სამხრულ-დასავლის მესხურსა და აჭარულს, აღმოსავლეთით — იმერულს; ისტორიულად გურიის ტერიტორიაზე ხდებოდა მოსახლეობის გადაადგიობანი, გასათვალისწინებელია მოსახლეობის გარედან დენის პროცესებიც, რასაც თავისი გამოხატულება უპოვია არაქართული წარმოშობის გვარ-სახელებში. გამოიყოფა ორი კილოკავი: ზემოგურული და ქვემოგურული. ქვემოგურული გავრცელებულია ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონებში, გარდა სამხრეთის მთიანი ნაწილისა, ზემოგურული — ჩოხატაურის რაიონში და მახარაძის რაიონის სამხრეთის მთიან ნაწილში. გურულში უხვად არის წარმოდგენილი ზანიზმები (მეგრულ-ქანური ფენა), დაცულია არქაიზმებიც. საინტერესოა ინოვაციებიც. გურულის თავისებურებანი ფართოდ არის წარმოდგენილი მწერლობაში, უმთავრესად ე. ნინოშვილის თხზულებებში. გურულიზმები გვხვდება აგრეთვე ლალიონის, ნ. ნაკაშიძის, ჭ. ლომთათიძის, პ. ჩხიკვაძის, ნ. დუმბაძისა და სხვათა ნაწარმოებებში. გურული ფორმები დადასტურებულია ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში და ძველ მწერლობაშიც („რუსუდანიანი“ და სხვ.).

თუ შურს ჩაღმათუშურსაც უწოდებენ. გავრცელების არეა ახმეტის რაიონი. თუშურად მეტყველებენ წოვათუშებიც. შედის „მთის კილოების“ ჯგუფში. ხევსურულთან და მოხეურთან ერთად ქმნის ვიწრო ჯგუფს, რომელიც ცნობილია „ფხოურის“ სახელით. თუშური ძველთაგანვე გავრცელებული იყო პირიქითის ალაზნისა და თუშურის (გომეწრის) ალაზნის აუზში, მთათუშეთის 4 თემში ანუ 8 საზოგადოებაში; ამჟამად კი 3 საზოგადოებაა: ჩაღმა, გომეწარი, პირიქითი; მეოთხე საზოგადოება — წოვათა წარმოდგენს წოვათუშეთის სამფლობელოს (ახლანდელი ზემოალვანი). ბარში (კახეთში — ზემოალვანი, ქვემოალვანი) ჩამოსახლების შემდეგ ინტენსიური ხდება თუშურის კონტაქტები კახურ კილოსთან.

იმერული ყველაზე მსხვილი დიალექტური ერთეულია (ქართლურის შემდეგ) და მოიცავს ორჯონიკიძის, საჩხერის, თერჯოლის, ზესტაფონის, ვანის, სამტრედიის, მიაკოვსკის, წულუკიძის რაიონებს, ქ. ქუთაისის, აგრეთვე ჭიათურის, ტყიბულისა და წყალტუბოს საქალაქო საბჭოების ტერიტორიებს. იმერლები სახლობენ სხვა (გარდაბნის, ბოლნისის, ლაგოდეხის, ყვარლის, ახალციხის) რაიონებშიც. ვრცელი გეოგრაფიული განფენილობის შესაბამისად, იმერული მჭიდროდ უკავშირდება ქართლურს, რაჭულს, ლეჩხუმურს, მესხურს, გურულს, მეგრულს. იყოფა ორ, საკმაოდ დიფერენცირებულ, კილოკავად: ზემოიმერულად და ქვემოიმერულად: აგრეთვე გამოყოფენ შუა-



იმერულს (ანდა „თერჯოლურს“), რომელსაც ახასიათებს კილოკავის ნიშნები; გარდამავალი დიალექტური ერთეულის გავრცელების არედ მიჩნეულია თერჯოლისა და მიაიაკოვსკის რაიონების, აგრეთვე ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი. განსხვავება ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოკავთა შორის დადასტურებულია მორფოლოგიასა და განსაკუთრებით ლექსიკაში, აგრეთვე ინტონაციაში. იმერულში მკვეთრად გამოიყოფა ზანური ფენა (მეტადრე ლექსიკაში, ტოპონიმიკაში). იმერულის თავისებურებები უხვად არის წარმოდგენილი ისტორიულ საბუთებში (XV—XVII სს.). იმერულმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. მისი თავისებურებანი გამოყენებული აქვთ ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებაში ა. წერეთელს, დ. კლდიაშვილს, გ. წერეთელს, ნ. ლორთქიფანიძეს, რ. გვეტაძეს, კ. ლორთქიფანიძეს, ო. იოსელიანს და სხვ.

იმერხეული. ტერმინი „იმერხეული“ ვიწროა და პირობითი, ფართო გაგებით წარმოდგენს ისტორიულად შავშეთ-კლარჯეთში (სამხრეთი საქართველო) გავრცელებული კილოს შემადგენელ ნაწილს. იმერხეული შემორჩენილია იმერხევის პროვინციაში, კლარჯეთის აღმოსავლეთ სოფლებში, რომლებიც მდებარეობენ მდ. იმერხევისა და მისი შენაკადების აუზში, მდ. ჭოროხის ხეობამდე (XVI ს-დან თურქეთში შედის). განიცდის თურქული ენის გავლენას; ამ მხარის მთელ რიგ რაიონებში ქართული დავიწყებულია. დღემდე შემორჩენილი არაერთი ტოპონიმი დადასტურებულია ძველ ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებში. იმერხეული ძალზე ახლოს დგას აჭარულთან, შემდეგ მტკვრის აუზის მესხურთან; გამოიყოფა ქართლური დიალექტის ფენაც.

ინგილოური გავრცელების არეა საინგილო (კახეთის აღმოსავლეთი, ალაზნის მარცხენა მხარე, ისტორიული წყაროებით „გალმა მხარი“; ამჟამად შედის აზერბაიჯანის სსრ-ში) და მოიცავს კახის (სოფლები: კაკი ანუ კახ-ინგილო, ალათემური, მუშაბაში, ალიბეგლო, ქოთუქლუ, თამასლო, ზაგამი), ზაქათალის (სოფლები: ალიაბადი, მოსული), ბელქნის (სოფ. ითითალა) რაიონებს. იყოფა კაკურ და ალიაბადურ კილოკავებად. შემორჩენილია ქართული გვარები (ტარტარაშვილი, როსტიაშვილი, გამხარაშვილი, ჯანაშვილი, ხუციშვილი, პაპიაშვილი და სხვ.). განიცდის აზერბაიჯანულის გავლენას, უმთავრესად ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში, ტოპონიმიკაში; მასზე გავლენას ახდენს აგრეთვე ხუნძური ენა. გარდა სხვა ენებთან კონტაქტების გზით წარმოქმნილი თავისებურებებისა, ინგილოური მდიდარია როგორც არქაიზმებით, ისე ინოვაციებით და ნაკლებად განიცდის სალიტერატურო ქართულის ზემოქმედებას, რაც მკვეთრად განასხვავებს მას სხვა ქართული დია-

ლექტებისაგან. ინგილოური ახლოს დგას ფერეიდნულთან, აგრეთვე კახურთან.

კახური ერთ-ერთი მსხვილი დიალექტური ერთეულია. გავრცელებულია საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, სიღნაღის, ლაგოდეხის, წითელწყაროს რაიონებში. ქართულთან ერთად დიდ როლს თამაშობს სალიტერატურო ქართულის ფორმირებაში, როგორც მისი ფუძე დიალექტთაგანი (განსაკუთრებით ე. წ. ალორძინებია ხანიდან მოკიდებული ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყაროა სამწერლობო ენისა). კახური კილო ნაირფეროვანია ამ მხარის მოსახლეობის არაერთგვაროვნების შესაბამისად: კახეთში დამკვიდრებული არიან წარმოშობით სხვადასხვა კილოზე მოუბარნი, რომლებსაც მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვთ თავიანთი დიალექტის თავისებურებები. კახეთის ზოგიერთ რაიონში ცხოვრობენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც (რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, ბერძნები, უდიელები, ქისტები), რომლებიც ლაპარაკობენ კახურ დიალექტზედაც. გამოიყო 3 კილოკავი: გარეკახური, შიგნიკახური და ქიზიყური. გარეკახური გავრცელებულია თბილისის გარეუბანში, საგარეჯოსა და ნაწილობრივ გურჯაანის რაიონებში; შიგნიკახური — გურჯაანის, ლაგოდეხის, თელავის, ახმეტის, ყვარლის რაიონებში; ქიზიყური — სიღნაღის, წითელწყაროს რაიონებში. კახურში განსაკუთრებით გამოირჩევა ქიზიყური, რომელსაც მეტად შემოუნახავს არქაიზმები (ზოგი მკვლევარი მას ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყოფს). კახურისებები ჭარბად გვხვდება საისტორიო ძეგლებში, მოყოლებული XV ს-იდან. კახურის თავისებურებები წარმოდგენილია კახეთიდან გამოსული მწერლების ენაში (თეიმურაზ I, არჩილი, თეიმურაზ II, ა. ჭავჭავაძე, ი. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი, ი. ევდოშვილი, დ. მაჩხანელი, გ. ლეონიძე და სხვ.).

ლენხუმური გავრცელებულია ძირითადად ცაგერის რაიონში, ნაწილობრივ წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე და ამბროლაურის რაიონში. ლენხუმურზე მოუბარნი ჩასახლებული არიან გურჯაანის, ახმეტის, ბოლნისის, ოჩამჩირის რაიონებშიც. ლილაშის მკვიდრი ებრაელებიც ლენხუმურად ლაპარაკობენ. განიცდის სვანურისა და მეგრულის გავლენას (ისტორიულად დღევანდელი ლენხუმის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სვანები და ზანები). განსაკუთრებით ეს ჩანს ტოპონიმოკასა და ლექსიკაში. ძირითადად ლენხუმური ქვემომიგრულის ტიპისაა, ახლოს დგას ქვემორაჭულთანაც. ლენხუმური პირობით შეიძლება დავეყთ ქვემოლენხუმურად და ზემოლენხუმურად (ქვემოლენხუმური ანუ კტედალმართული-ტედალმართული გავრცელებულია შდ. რიონის შუა წელზე, მექვენის ზემოთ. სოფ. ალპანამდე), ზემოლენხუმური კი — რიონის ხეობის ერთ ნაწილში (ნიკორძიერიდან ასკ-გველითავამდე) და ლაჯანურის ხეობისა (აჭარის ხიდიდან ძულურ-ფაქუ-

შამდე) და ცხენისწყლის ხეობის (გორდიდან კლდეკარამდე) რეგიონში. ზემოლენჩხუმურში არის მცირეოდენი შინაგანი სხვაობა, იყოფა ცაგერსქვემოურ და ცაგერსზემოურ მეტყველებად. ლენჩხუმურის ზოგ თავისებურება დამოწმებულია XVII—XVIII სს. ისტორიულ საბუთებში.

მესხური ეწოდება მტკვრის აუზის მეტყველებას (ახალციხის, ასპინძის, ადიგენის რაიონები). იგი ჯავახურთან ერთად საქართველოში ისტორიულად გავრცელებული მესხური კილოს ნაშთია; ჭოროხის ხეობის დიალექტთან ერთად ძველ საუკუნეებში წარმოდგენდა ქართული ენის სამხრეთულ განშტოებას. სამხრეთ საქართველოში ცნობილი ისტორიული ცვლილებების შედეგად ამ მხარის ქართული მეტყველება გაქრა და შემორჩა იმერხეულისა და ახალციხურ-ახალქალაქურის სახით. ისტორიულად მესხური წარმოდგენდა სალიტერატურო ენის ერთ-ერთ საყრდენ კილოს. ამჟამად მესხურის გავრცელების არეალია სოფლები: ტატანისი, მიქელწმინდა, მუსხი, ღრელი, წყორძა, ურაველი, ხეოთი, ანდა, ანდრიაწმინდა, ივლიტა, ვალე, ტოლოში. ნაქალაქევი, აწყვიტა (აძგვიტა), ქუნცა, ძველი (ზველი), კობარეთი, თმოგვი, რუსთავი, უდე, არალი, ბოლაჯური. ზოგ მათგანში შერეული შოსანლეობაა (ცხოვრობენ იმერლები, გუდამაყრელები, რაკველები და სხვ., აგრეთვე სომხები, ქართველი ებრაელები, რუსები, ბერძნები). თანამედროვე მესხური ძირითადად ქართლური კილოს ტიპისაა, მაგრამ მასში გამოიყოფა დიდი ფენა, რომელიც ნიშანდობლივია დასავლური კილოებისათვის (უწინარესად ჭოროხის მეტყველებისათვის); იგი რამდენადმე გარდამავალი სახეობის დიალექტია; უფრო ახლოს დგას ჯავახურთან. ლექსიკა-ფრაზეოლოგია განიცდიდა თურქულის გავლენას. შუა საუკუნეებში ზებირი (აგრეთვე მწიგნობრული) გზით შემოსული ბერძნულ-თურქულ-სპარსულ-სომხური სიტყვები, პირველ ყოვლისა სამხრეთ საქართველოს ენობრივი წრის მეშვეობით ინერგებოდა ქართული ენის საზოგადო ლექსიკონში.

მთიულურგუდამაცხრული. საკუთრივ მთიულური (მთიულთა მეტყველება) გავრცელებულია მდ. მთიულეთის არაგვის აუზში (საქართველოს სამხ. გზაზე), ფასანაურის სადაბო და ქვეშეთის სასოფლო საბჭოებში შემავალ სოფლებში (დუშეთის რაიონი), საკუთრივ გუდამაყრული (გუდამაყრელთა მეტყველება) კი — გუდამაყრის ქედიდან გამომდინარე მდ. გუდამაყრის არაგვის ხეობაში (სოფლები: დუშაქხო, ჩოხი, ათნოხი, გამსი, მაქართა, წინამხარი, ლუთხუბი და სხვ.). ამ კილოს წარმომადგენლები ცხოვრობენ სხვა რაიონებშიც (თიანეთის, თელავის, კასპის, ლენინგორის, წითელწყაროს, ასპინძისა და სხვ.). გუდამაყრული მიჩნეულია მთიულურის კილოკავად; ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია „გრძელი ხმოვნები“, გამოწვეული ტონური

მახვილით (გაქრობის გზაზეა. ამჟამად ძირითადად მოქმედია დინამიკური მახვილი) და ქართლურის გავლენით წარმოშობილი ახალი წარმონაქმნებით თუ სხვა მოვლენებით. მთიულურ-გულდამაყრული შედის „მთის კილოთა“ ჯგუფში, უმთავრესად არქაული მოვლენების მიხედვით; ახალი მოვლენებით ენათესავენა ქართლურსა და კახურს.

მოხეური ხევის მეტყველებაა, გავრცელებულია ყაზბეგის რაიონში, მდ. თერგის ორივე მხარეზე გაშენებულ სოფლებში, აგრეთვე თერგის მარჯვენა შენაკადის სნოსწყლისა ანუ ლუღღუშაურის არაგვის ზეობაში. მოხეურს უხვად შემოუნახავს არქაიზმები და უმთავრესად ამით ენათესავენა „მთის კილოებს“, ბევრი საზიარო ფორმა აქვს აგრეთვე ქართლურთან და კახურთან. მწერლობაში მოხეური კილოს ნიმუში გამოიყენა ი. ჭავჭავაძემ „მგზავრის წერილებში“; მოხეური ფართოდ არის წარმოდგენილი ა. ყაზბეგის პერსონაჟთა მეტყველებაში (ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მოხევიზმები გვხვდება მწერლისეულ ენაშიც).

რაჭული გავრცელებულია ონისა და ამბროლაურის რაიონებში. რაჭულად უქცევენ ქ. ონში მცხოვრები ებრაელებიც. იყოფა მთარაჭულ, ზემორაჭულ და ქვემორაჭულ კილოკავებად. მთარაჭული გავრცელებულია მთის რაჭის სოფლებში: გლოლაში, ღებსა და ჭიორაში (ონის რაიონი), ზემორაჭული — ზემო რაჭაში (ონის რაიონი გლოლა-ღებ-ჭიორის გამოკლებით და ამბროლაურის რაიონის ლიხეთის ხეობა), ქვემორაჭული — ქვემო რაჭაში (ამბროლაურის რაიონი). მთარაჭული ახლოს დგას „მთის კილოებთან“ (უმთავრესად გრამატიკულ-ლექსიკური არქაიზმებით). ქვემორაჭული არსებითად უახლოვდება იმერულს და ლეჩხუმურს.

ფერეიდნული ირანის ერთ-ერთ პროვინციაში — ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაა. ფერეიდნული ქართველების წინაპრები XVII ს. დასაწყისში შაჰ-აბასმა გადაასახლა ირანში კახეთიდან. ქიზიყ-საინგილოდან. ცოცხალ ქართულ კილოთა შორის ფერეიდნული პროფილი არსებითად განსხვავებულია იმის გამო, რომ სრულიად მოწყვეტილია მოძვე ქართულ კილოებს, აცდენილია სალიტერატურო ქართულის ზემოქმედება-გავლენას, მოქცეულია სხვა ენების გარემოცვაში; უბირველეს ყოვლისა, განიცდის სპარსული ენის ძლიერ გავლენას. ფერეიდნელები ორენოვანნი არიან. ირანიზმები უხვად გვხვდება ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში, ქართულ სიტყვას სპარსული ცვლის, დიალექტი აჭრელებულია სპარსულ (და მისი მეშვეობით — არაბული) ლექსიკური ერთეულებით. ირანიზმები შეჭრილია ქართული მეტყველების ფსიქოლოგიაშიც: ფრაზები აგებულია სპარსული ენის თარგზე, უხვად არის კალკები; უცხოური ენის გავლენას ვერ აცდა არტიკულაცია. გავლენები ენის აღნაგობაში შეზღუდულია, მორფო-

ლოგია და სინტაქსური ურთიერთობის სახეები არსებითად შეუცვლელია. დატულია არქაიზმები. შეინიშნება შინაგანი ევოლუციის გზით მიღებული ახალი თავისებურებანიც. ზოგიერთი საზიარო მოვლენა ქართული კილოებისაგან დამოუკიდებლად გაჩენილა. ყველაზე ახლოს დგას ინგილოურთან.

ფშაური საკუთრივ ფშავის მეტყველებაა, რომელიც იხმარება დუშეთის, თიანეთის, ახმეტის, წითელწყაროს, საგარეჯოს, თელავის, ყვარლის რაიონებში. ტიპობრივი ფშაური კილო უფრო უკანაფშავშია შემონახული; ფშავის არაგვის შუა წელში მდებარე სოფლების მეტყველებას ჭარბად ატყვია ქართლურის გავლენა. ჟინვალის ზემო სოფლებში ნარევი მოსახლეობაა, რაც თავის გამოხატულებას პოულობს დიალექტში. განსხვავებულია ერწო-თიანეთის ფშაურიც. შედარებით უკეთ აქვთ შემონახული ფშაური კილო ქვემოქედელ ფშავებს, რამდენადაც ისინი აქ კომპაქტურად არიან დასახლებული. „მთის კილოთაგან“ ფშაური იმითაც გამოირჩევა, რომ მას ძლიერ ატყვია ბარის კილოების გავლენა. ფშაური კილოს თავისებურებები მწერლობაში გამოიყენეს რაზიკაშვილებმა, განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველამ.

ქართლური ერთ-ერთი უმსხვილესი დიალექტური ერთეულია. გავრცელებულია ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, დმანისის, დუშეთის, თეთრი წყაროს, კასპის, მარნეულის, მცხეთის, ქარელის, წალკის, ხაშურის რაიონებში. ქართლური სალიტერატურო ქართულის ფუძედიალექტია. შიგადიფერენციაციის საფუძველია ქართლურ დიალექტზე მეტყველი მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე. დიალექტოლოგიურად ქართლი იყოფა რამდენიმე ნაწილად: ქართლის ცენტრალურ ნაწილში (შიდა ქართლი), ქართლის დასავლეთის ნაწილი (ბორჯომის, ხაშურისა და სურამის მიდამოები). ქართლის სამხრეთის ნაწილი (ქვემო ქართლი), ქართლის ჩრდილოეთის ნაწილი (ლენინგორის რაიონი და დუშეთის რაიონში შემავალი ქართველებით დასახლებული სოფლები). ქართლურის კილოკავებია: ცენტრალურქართლური (შუაქართლური ანუ შიდაქართლური), დასავლურქართლური, ჩრდილოურქართლური, სამხრეთლქართლური (ქვემო ქართლური). ქვემო ქართლურში გამოიყოფა თქმები: წერაქვ-სიონისა, რეხის. ქართლური შეიცავს დიალექტთა ურთიერთგავლენის საფუძველზე აღმოცენებულ რამდენიმე გარდამავალ ერთეულს (ქართლურ-მთიულური, ქართლურ-ფშაური, ქართლურ-ჯავახური, ქათლურ-მესხური, ქართლურ-იმერული). ქართლურის ნიშანდობლივი ელემენტები თავს იჩენს მხატვრულ ლიტერატურაში. ცალკე უნდა გამოიყოს ქართლურიზმები, რომლებიც უხვადაა წარმოდგენილი ბერსონაჟის ენაში. განსაკუთრებით XIX—XX სს. ლიტერატურულ ქმნილებებში გამოყვანილი გმირების ენის სტროქტურაში (ს. მაგლობლიშვილი, ნ. ლომოური, ა. ფურცელაძე, შ. არაგვისპირე-

ლი: ე. გაბაშვილი, მ. ჯავახიშვილი, გ. შატერაშვილი, ო. ჩხეიძე და სხვ.).  
ყიზლარ-მოზდოკური, ჩრდილოეთ კავკასიაში — ქ. მოზ-  
დოკსა და ყიზლარში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაა (ყიზლარის  
ყოფ. ოლქის სოფლები: სასოფლო და სარაფანი). ხალხური გადმოცე-  
მით, ქართველები ამ რეგიონში ჩასახლებულან XVIII ს-ში ქართლი-  
დან, კახეთიდან, უმთავრესად ლეკთა ლაშქრობების გამო, ზოგიერთი  
ნათვანის შამილის წინააღმდეგ ომის მონაწილე ყოფილა. ისტორიული  
წყაროების მიხედვით, თავდაპირველად ყიზლარში ქართული ახალშე-  
ნი დააარსა რუსეთის მიმავალი ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ამალის.  
ერთმა ნაწილმა 1724 წ. ამ მოსახლეობას თანდათან ემატებოდნენ ქარ-  
თველთა სხვა ჯგუფებიც. შემორჩენილია ქართული გვარები (ზედგე-  
ნიძე, ლომიძე, ფხაკაძე, ბიწაძე და სხვ.), უმეტესობა შეცვლილია რუ-  
სული გვარებით. ქართული მეტყველება გაქრობის გზაზეა. ამ დია-  
ლექტისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ქართული კილოს თავი-  
სებურებათა შერევა და რუსული ენის ძლიერი გავლენა.

ხევსურული. ხევსურები, გარდა საკუთრივ ხევსურეთისა, ცხო-  
ვრობენ საქართველოს რამდენიმე რაიონში. ამ გეოგრაფიულ განფენი-  
ლობის გამო ხევსურული კილო გავრცელებულია დუშეთის, ყაზბე-  
გის, თიანეთის, ახმეტის, მცხეთის, თელავის, საგარეჯოს, წითელი წყა-  
როს, გარდაბნისა და ზოგ სხვა რაიონში. ხევსურულის გავრცელების  
ძირითადი არეალია პირიქითი ანუ გადაღმა ხევსურეთი და პირაქეთი  
ანუ გადმოღმა ხევსურეთი. ხევსურული განეკუთვნება „მთის კილო-  
ებს“. მასში არის შინასხვაობაც: არხოტულ-შატილური მეტყველება  
ფონეტიკურ-მორფოლოგიური და ლექსიკური თავისებურებებითა და  
ინტონაციით რანდენადმე განსხვავდება პირაქეთული ხევსურულისა-  
გან. ამის გამო პირობითად გამოიყოფა 2 კილოკავი: „პირაქეთულ-არ-  
ხოტული“ და „შატილურ-მიღმახური“. გეოგრაფიული არეალია ბა-  
ჩისახოსა და ბაცალიგოს (პირაქეთ ხევსურეთში) და არხოტისა და  
შატილის (პირიქით ხევსურეთში) რეგიონები (ახლანდ. ბარისახოს  
სოფსაბჭო). ხევსურული მდიდარია არქაიზმებით.

ჯავახური გავრცელებულია ახალქალაქის რაიონში (სოფლე-  
ბი: აფნია, გოგაშენი, ოკამი, პტენა, ჩუწჩხა, კოთელია, მურჯახეთი, ვა-  
რევანი, ბარალეთი, გოკიო), ასპინძის რაიონში (სოფლები: ხიზაბავრა,  
თოკი, სარო, ვარგავი). ბორჯომის რაიონში (ბალანთა, ჭიხარულა).  
ჯავახები ამ ბოლო ხანებში სხვა რაიონებშიც დასახლდნენ (ლაგოდე-  
ზის, ყვარლის, გორის და სხვ.). ისტორიულ წარსულში ჯავახურის  
გავრცელების არე უფრო დიდი იყო. ჯავახური ახლოს დგას ქართ-  
ლურთან, განსაკუთრებით მესხურთან. ისტორიულად მესხურთან ერ-  
თად ზემო ქართლურს განეკუთვნებოდა. ჯავახური შეზავებულია და-  
სავლურქართული კილოების თავისებურებებით. ლექსიკა-ფრაზეოლო-  
გიაში უხვად არის დანერგილი თურქულ-არაბული.

## ქართული ენის წარმოშობის თეორიები

ქართულის ენის წარმოშობის პრობლემით დაინტერესებული იყვნენ ევროპელი მეცნიერები ჯერ კიდევ XVII—XVIII სს-ში. ეს ის ხანაა, როდესაც მეცნიერული აზროვნება ენის შესახებ ჯერ კიდევ არ არის გამომუშავებული (შედარებით-ისტორიული მეთოდი ენათმეცნიერებაში XIX ს. პირველი ნახევრის მონაპოვარია) და მკვლევარნი კმაყოფილებიან მხოლოდ და მხოლოდ ენათა პრიმიტიული შედარებით ფიქსიკის დარგში. ამ საუკუნეებში დაინტერესებული არიან მსოფლიო ენათა კატალოგზაციის საკითხებით, ცალკეულ ენათა ნათესაობის დადგენით, ენის წარმოშობის ძიებით.

მსოფლიო ენათა საერთო სქემაში გარკვეული ადგილი ჰქონდა შიჩნეული ქართულ ენას. კაცობრიობის ენათა პრაქტიკულად აღიარებული იყო ძველებრაული. სემიტურ ენათა ნათესაობა ამ დროს უკვე დადგენილად მიაჩნიათ. აზიის ენებისადმი ინტერესი გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მათში ხედავდნენ ენის განვითარების უფრო ძველ საფეხურებს, ვიდრე ევროპულ ენებში. აზიის ენებში მოქცეული იყო ქართული ენაც. მალე უკუგდებულ იქნა ებრაული ენისაგან მსოფლიოს ენათა წარმომავლობის იდეა და ენათა კლასიფიკაციის პრობლემატიკაში ამოტივტივდა გეოგრაფიული პრინციპი. მაგალითად, ადელუნგმა ქართული ენა აზიის ენათა ჯგუფს მიაკუთვნა.

რამდენიმე ავტორი ძველი კოლხეთის ენას, როგორც უძველეს ქართულ ენას, გენეტურად უკავშირებდა ეგვიპტურ ენას. ეს თეორიადამყვანებული იყო ანტიკურ ხანაში შემუშავებულ თვალსაზრისზე კოლხეთისა და ეგვიპტელების ნათესაობის შესახებ.

პეროდოტე, მაგალითად, ამბობდა, რომ ორივე ხალხის ცხოვრების წესები და ენა ერთნაირია. ბერძენი ისტორიკოსის ეს შეხედულება უნდა გავიგოთ, როგორც შედეგი მისი საერთო-ეგვიპტოფილური კონცეფციისა. რაკი კოლხები ითვლებიან დღევანდელი ქართველების წინაპრად, ამიტომ ქართული ენა, როგორც გაგრძელება ძველი კოლხური ენისა, დაკავშირებული იყო ეგვიპტურ ენასთან. ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე ბაიერი ძველ ქართულ შრიფტს ეგვიპტურ დამწერლობასაც ადარებდა და მათ შორის საერთო მოხაზულობას პოულობდა.

გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი ლაიბნიცი, მსჯელობდა რა მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციის საკითხებზე, აღიარებდა, რომ მისთვის მთლად ნათელი არ არის ქართული ენის (ე. ი. ძველი კოლხურის) დაკავშირება ეგვიპტურ ენასთან. ეს საკითხი წამოჭრილია აგრეთვე ლაიბნიცისა და ცნობილი გერმანელი ფილოლოგის ანდრეას აკოლოტოს მიწერ-მოწერაში.

ლორენცო ჰერვასი ამბობდა, რომ ლაზური (ქანური) ქართული

ენის დიალექტია; ეგვიპტურთან ლაზურ მეტყველებას მსგავსება არა აქვს, მაშასადამე, ქართული ენის დაკავშირება ეგვიპტურთან შეუძლებელია.

პირველი მეცნიერი, რომელმაც სცადა ქართული ენა დაეკავშირებინა ევროპულ ენებთან (ბერძნულთან, ლათინურთან...), გახლავთ ლორენცო ჰერვასი. მას მოჰყავს ქართული სიტყვები პაოლინის ლექსიკონიდან და უდარებს იტალიურ სიტყვებს. საბოლოოდ ჰერვასი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს საერთო სიტყვები სიტყვათ სესხების შედეგია და არა გენეტური ერთიანობისა.

ქართულ ენას ევროპული მოდგმის ენად თვლიდა ზემოხსენებული გერმანელი ფილოსოფოსი ლაიბნიცი. როგორც ითქვა, ლაიბნიცი ქართული ენის პრობლემას არაერთხელ შეჰხებია.

ჯერ კიდევ 1695 წელს აკოლუტოსადმი მიწერილ წერილში ლაიბნიცს მოჰყავს მთელი სია ქართული სიტყვებისა (პაოლინის ლექსიკონზე დაყრდნობით), რომლებსაც უდარებს ევროპული ენების სიტყვებს. 14 წლის შემდეგ, 1709 წელს, ლაიბნიცი ლა კროზუსადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ მას, სამწუხაროდ, ხელთ არა აქვს იტალიელი მაჯოს მიერ დაწერილი ქართული გრამატიკა, მაგრამ ამ შრომას იგი იცნობს იმ რეცენზიის მიხედვით, რომელიც დაბეჭდილია იტალიურ ჟურნალში. ეტყობა, ამ რეცენზიის საფუძველზე ამბობს ლაიბნიცი, „გამაოცა (ქართული ენის) დრო-კილოების სიუხვემო“.

1710 წელს თავის სტატიაში მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციის შესახებ ლაიბნიცი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ქართული, სპარსული და სომხური ენები წარმოადგენენ სკვითური და არამეული ენების ნაწილს. აქ იგი აფართოებს თავის კონცეფციას ქართული ენის ევროპულ ენებთან ნათესაობის თაობაზე და დასძენს, რომ სურს გამოიკვლიოს ქართული ენისა და სემიტური ენების საერთო ელემენტები.

მიუხედავად იმისა, რომ ლაიბნიცის მიერ დამოწმებული ფაქტობრივი მასალა დამაჯერებელი არ არის სათანადო დასკვნების გამოსატანად, უნდა ითქვას, რომ ამ დიდი ავტორიტეტის შრომებში მოცემულ მსჯელობას ქართული ენის შესახებ უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო სამყაროში ქართული ენის პრობლემებისადმი ინტერესების გამოჩენის თვალსაზრისით.

ფართო გავრცელება მოიპოვა ევროპულ ფილოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილი ფრანგი ორიენტალისტის ანკეტილ-დიუპერონის მიერ მოცემულმა ქართული და ზენდური ენების შედარებითმა ანალიზმა. ეს ჰიპოთეზა გამოთქმული იყო XVIII ს. ერთ-ერთ ავტორიტეტულ ორგანოში და მას მიმდევრებიც გამოუჩნდნენ.

თუ XVII—XVIII სს. დასავლეთ ევროპის ფილოლოგიურ ლიტერატურაში ქართული ენის ნათესაობის პრობლემა წყდებოდა ლექსი-



კური მასალის საფუძველზე, XIX ს. დასაწყისიდანვე საკვლევადიებო ორბიტაში ჩართული იქნა გრამატიკული სტრუქტურის დამახასიათებელი ნიშნები ქართული ენის გენეალოგიის დასადგენად.

ქართული (და, საერთოდ, ქართველური ენების) ნათესაობის კვლევის დარგში ახალი პერიოდის დასაწყისში უკავშირდება ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის აკადემიკოს მარი ბროსეს (1802—1880) სახელს.

ბროსე თვლიდა, რომ ქართული ენა გენეტურად დაკავშირებულია ინდოევროპულ ენებთან. კვლევა-ძიების დასკვნები, რომლებიც მოცემულია მის ფუნდამენტურ წიგნში „ქართული გრამატიკა“ (1834), შემდეგი სახითაა ჩამოყალიბებული: 1. ქართული ენის ლექსიკური მარაგი საერთოა ინდოევროპულ ენებთან, განსაკუთრებით სანსკრიტთან, ძველ სპარსულთან და ზენდურთან; 2. ქართული ბუნებისა და შედარებითი ხარისხის ფორმანტი სანსკრიტული ანდა ზენდურია; 3. ასევე მსგავსია ნაცვალსახელების სისტემა; 4. უღვლილების გარკვეული ნაწილი ამჟღავნებს პარალელებს სპარსულის, სანსკრიტისა და ბერძნულის უღვლილებასთან; 5. სინტაქსი და სიტყვათა ნაწილი ქართულს თითქოს თავისებური აქვს, მაგრამ ამ სფეროშიც მრავალი შეხვედრის დადასტურება შეიძლება.

ქართული ენის გენეალოგიის საკითხით დაინტერესდა ლინგვისტური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, უდიდესი გერმანელი მეცნიერი ფრანც ბოპი.

ბოპის დაინტერესებას ქართული ენის წარმოშობის პრობლემით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერულ წრეებში ამ ენისადმი ყურადღების გამახვილების თვალსაზრისით. ლინგვისტური მეცნიერების საერთაშორისო ავტორიტეტმა ქართული ენის შესახებ მოხსენება წაიკითხა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიაში ჯერ 1842 წლის 11 დეკემბერს, ხოლო მეორედ — იქვე, 1845 წლის 23 ოქტომბერს.

1846 წელს ბოპმა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიურ-ისტორიული განყოფილების მემუარებში დაბეჭდა ნაშრომი: „ქართულის შესახებ ენათა ნათესაობის თვალსაზრისით“, ხოლო იგივე ნაშრომი 1847 წელს ცალკე წიგნადაც გამოქვეყნდა ამ სათაურით: „კავკასიის წევრები ინდოევროპულ ენათა ოჯახისა“.

ბოპი ქართველურ ენებს (საკუთრივ ქართულს, მეგრულს, ლაზურს, სვანურს) უწოდებს „იბერიულს ანუ ქართულს“. ავტორი შესავალ ნაწილში გადმოგვცემს როზენის, კლაპროთის, სენმარტენის, ბროსეს შეხედულებებს ქართველურ ენათა შესახებ და შემდეგ ასაბუთებს საკუთარ თვალსაზრისს.

ფრანც ბოპის შრომის მიზანია ცხადი გახადოს, რომ „ენობრივი

ორგანიზმის ყველა ნაწილში — სახელთა ფლექსიაში, ზედსართავებში, ნაცვალსახელების ფუძეებსა და ბრუნებაში, რიცხვით სახელებში, აგრეთვე ზმნის უღვლილებში — პირთა, რიცხვთა, დროთა და კილოთა მიხედვით ქართული ენა ავლენს ნათესაობას ინდოევროპულ ენებთან (სანსკრიტთან და სხვ.).

ბოპის ნაშრომში არ არის ლაპარაკი ფონეტიკურ შესატყვისობათა შესახებ; საკითხი განხილულია მხოლოდ მორფოლოგიისა და ლექსიკის ჩვენებათა მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ბოპის წიგნში წარმოდგენილი ენობრივი მასალა და შედარებები თავის არსებით ნაწილში დარწმუნებული არ არის, მაინც უნდა ითქვას, რომ მან გამოთქვა ბევრი საინტერესო და უდავოდ სწორი დაკვირვება, რასაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის მორფოლოგიის კვლევის დარგში.

ბოპის ნაშრომის კრიტიკული ანალიზი მოგვცა აკადემიკოსმა ბროსემ, მიუხედავად იმისა, რომ ისიც ქართულს ინდოევროპული ენების მონათესავედ თვლიდა. ბროსემ 1844 წლის 1 ნოემბერს თავისი შენიშვნები მოახსენა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას (აკადემიის მემუარები, 1846).

ფრიდრიხ მიულერი აღნიშნავდა, რომ, თუმცა ბოპის ცდა, „დაამტკიცოს ქართველური ენების ინდოევროპულობა, გასაოცრად გონებასწავლურია“, მაგრამ საკითხი დამტკიცებული მაინც არ არისო.

1854 წელს მაქს მიულერიც მსჯელობს ქართველურ ენათა შესახებ (ბროსესა და როზენის შრომებზე დაყრდნობით) და დაასკვნის, რომ საერთოდ კავკასიური ენები ურალურ-ალათურ ენებს ენათესავენ ბიანო.

1864 წელს გამოქვეყნდა ვენის უნივერსიტეტის პროფესორის ფრიდრიხ მიულერის ნაშრომი „კავკასიურ ენათა ადგილი ენათმეცნიერებაში“, სადაც მიღებულია დასკვნა, რომ ქართულ-კავკასიური ენები წარმოადგენენ დიდ ენათა ჯგუფის გადმონაშთს.

ამრიგად შემუშავდა თვალსაზრისი ქართველურ (და კავკასიურ) ენათა განკერძოებულობის შესახებ.

ფრიდრიხ მიულერის მიერ წამოყენებული დებულება გაიზიარა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა, ქართველური ენათმეცნიერების დიდმა ავტორიტეტმა. 1872 წელს იგი ამბობდა: „თუ ჯერ კიდევ დღევანდლამდე განთქმულ ევროპულ ლინგვისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა ქართული ენის გენეტური კავშირის შესახებ, ლინგვისტური თეორიების ასეთი გაუბედობის, გაურკვეველობისა და წარუმატებლობის მიზეზი უნდა ვეძებოთ არა მხოლოდ გრამატიკული ფორმების (განსაკუთრებით ზმნების) სირთულესა და დახლართულობაში, არამედ, ჩემი აზრით, უმთავრესად იმა-

ში, რომ სრულად და ყოველმხრივ არ არის შესწავლილი საგანი — ენა — ყველა თავისი განშტოებითა და შენაკადით, არ არის შესწავლილი მისი ტიპი, მთელი თავისი დამახასიათებელი ნიშნებით, რომლებითაც იგი, როგორც ერთი განუყოფელი მთელი, განსხვავდება ყველა სხვა — მისი მსგავსი ობიექტისაგან. ენის ტიპის ამგვარი აღდგენა ყველას აარიდებდა უმადურსა და საფრთხილო შრომას — მორფოლოგიურ ანუ გენეალოგიურ კლასიფიკაციაში ეძებნათ ადგილი იმ ენისათვის, რომლის ტიპი ჯერ კიდევ გარკვეული არ არის“.

რომ ქართული ენა არ ენათესავება მსოფლიოში არსებულ ენათა ოჯახებს, ეს აზრი მკვეთრად და კატეგორიულად გამოთქვა ალ. ცაგარელმა იმ მოხსენებაშიც, რომელიც მან წაიკითხა ორიენტალისტთა მეშვიდე ყრილობაზე ქ. ვენაში 1886 წელს.

ქართული ენის (და, საერთოდ, კავკასიური ენების) განკერძოებულობის თეორიას მხარი დაუჭირა გერმანელმა მეცნიერმა რ. ერკერტმაც (1895 წ.).

მეცნიერებაში ერთ დროს წამოყენებული იყო თეორია სემიტური ოჯახის ენებთან ქართული ენის მონათესაობის შესახებ. ეს თეორია წამოაყენა აკად. ნ. მარმა.

ნ. მარის აზრით, ქართული ენა სემიტურის მონათესავეა, მაგრამ სემიტური ენა არაა. ქართული და სემიტური ენები ერთი ენისაგან არიან მიღებული და ეს უძველესი ფუძეენა სემიტურთან ახლოს იდგა. ეს იყო ნ. მარის საპროგრამო განცხადება. 20 წლის შემდეგ იბეჭდება მისი ვრცელი შრომა, სადაც მოცემულია ცდა მისი სტუდენტობის დროს წამოყენებული დებულების დამტკიცებისა.

შემდეგ თვით ნ. მარმა აღიარა, რომ ქართული ენის გენეტური დაკავშირება სემიტურ ენებთან არ გამართლდა.

დიდი ხანა მეცნიერებაში წამოყენებულია შეხედულება ქართული ენის გენეტური კავშირის შესახებ მცირე აზიის უძველესი (დღეს გადაშენებული) ენების ჯგუფთან.

წინა აზიისა და შუამდინარეთის ძველი ენებია: შუმერული, ხეთური, ჰურიტული, ელამური (ანუ სუზური). ხეთურ ენათაგან იბერიულ-კავკასიურ ენებს უკავშირებენ პროტოხეთურ ენას.

ეს ენები ძველი სამყაროს ცივილიზებული ხალხების ენებია.

ამ ენებთან ქართულის მონათესაეობის იდეას წინათ მხარს უჭერდნენ ვინკლერი, ბორკი, ტრომბეტი, დირი, მიხეილ წერეთელი, სვანიძე, კარსტი, მარი და სხვ.

მეცნიერებაში დგას საკითხი წინაეღინური (პელასგურ-ანატოლიური) კულტურის შემქმნელ ხალხებთან იბერიულ-კავკასიური ენების კავშირის შესახებ.

ჯერ კიდევ ადრე შეამჩნიეს, რომ ბერძნულ ენაში გამოიყოფა ფე-

ნა, რომელიც არ აიხსნება ინდოევროპული ენების საფუძველზე, მაშასადამე ეს დანალექი უნდა განეკუთვნებოდეს ხმელთაშუა ზღვის უძველეს მკვიდრთა სამყაროს. 1896 წელს სახელმწიფო მეცნიერი კრემერი ამბობდა, რომ წინაბერძნული მოსახლეობის გარკვევა ენობრივ მასალებს თუ შეუძლიათ. „თუ ჩვენ წინ ენობრივი გადმოცემა არ გვიძვეს, თავის ქალები ვერ გვეტყვიან, თუ რა ენაზე ლაპარაკობდნენ ოდესღაც მათი მატარებლები“, — გონებამახვილურად შენიშნავს დიდი ავტორიტეტი. იგი დაასკვნის, რომ მცირე აზიის უძველესი მოსახლეობა, ფრიგიელების გამოკლებით, არც ინდოევროპულია და არც სემიტური.

ასეთივე აზრი სხვებმაც გამოთქვეს.

წინაბერძნული ეგეოსური ენების ამოცნობის გზები მიიმართება იბერიულ-კავკასიური ენებისაკენ, კერძოდ — ქართველური ენების სამყაროსაკენ.

ლინგვისტური მეცნიერების დიდი ავტორიტეტი ა. მეიე სრულიად გარკვევით მიუთითებდა, რომ ყველაზე უფრო საიმედო გზა წინაბერძნული მოსახლეობის ენის გასაცნობად მცირე აზიის ძველი ენებისა და კავკასიური ენების შესწავლაა. ეს საშუალებას მოგვცემს ძველი ბერძნული ენის ლექსიკაში ავხსნათ ის, რისი ახსნაც ინდოევროპულ ენათა გარემოში შეუძლებელი ჩანს. უპირველესად საჭიროა ნათესაობის დადგენა კავკასიური ენების შიგნით, კერძოდ სამხრეთ-კავკასიურ (ქართველურ) და ჩრდილო-კავკასიურ ენებს შორის.

ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი ელჟარდ მაიერი ამბობდა: „კავკასიური რაიონები დასახლებულია მრავალრიცხოვანი ტომებით, რომელთა ეთნიკური ბუნება ჯერ კიდევ ნაკლებადაა გამოკვლეული. ეს ტომები თითქოს ერთმანეთთან არ არის ნათესაურ კავშირში. ამათგან ყველაზე ცნობილი არიან ივერიელები (აწინდელი ქართველები), რომელთაც მტკვრის ხეობა უჭირავთ. ეჭვს გარეშეა, ეს ხალხები ღრმად იყვნენ შეჭრილი მცირე აზიასა და სომხეთში. მათ უნდა მივათვალოთ მოსხები — მესხები (ასურული წყაროებით — მუშკაია, ბიბლიური — მეშხ) და ტობარენები (ბიბლიური ტებალ, ასურული ტაბალაი), რომლებსაც ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ კაპადოკია ეჭირათ და იქიდან ილაშქრებდნენ ტიგროსის მხარეში“.

მეორე დიდი ავტორიტეტი ფრ. ჰომელი ამბობდა: „მცირე აზია ოდესღაც თითქმის მთლიანად დასახლებული იყო იმ ხალხებით, რომლებიც ხეთებთან ერთად შეადგენდნენ ერთ მონათესავე ეთნიკურ ჯგუფს... მათ შთამომავლობადაც უნდა ჩავთვალოთ ქართველები“ და სხვ.

არნ. ჩიქობავას დასკვნით, რაც უფრო შორს ვიხედებით ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ წარსულში,

მით უფრო ხელშესახები ხდება ამ ენათა წარმოშობითი კავშირი წინა აზიისა და შუამდინარეთის ძველი ცივილიზაციის ენებთან (ურარტულთან, ჰურიტულთან, ხეთურთან, ელამურთან, შუმერულთან).

ცნობილი ბულგარელი ლინგვისტი ვ. გეორგიევი აღნიშნავს, რომ საბოლოოდ უნდა გაირკვეს ჩრდილოეთ კავკასიის ენებისა და ქართველური ენების ნათესაობა; საჭიროა საფუძვლიანად შევისწავლოთ წინააზიის ენები (ხეთური, ჰურიტული და სხვ.) იმის გათვალისწინებით, რომ ისინი შესაძლოა ენათესაებოდნენ კავკასიურ ენებს; ამ პრობლემის გარკვევას შეუძლია ცხადი გახადოს ეგეოსურმცირეაზიისა და წინააზიის ენათა ტომებისა და ხალხების გენეზისი.

უდავო ჩანს, რომ ბერძნულმა ენამ შეითვისა წინაბერძნული ენობრივი სამყაროს ელემენტები. ეს ელემენტები მან გარდაქმნა თავისი შინაგანი კანონების თანახმად.

მკვლევარნი გამოთქვამდნენ შეხედულებებს იმის თაობაზე, თუ რა შეუთვისებია ბერძნულს წინაბერძნული ენიდან. ამის მაგალითებს აქ არ მოვიტანთ.

ეგეოსურ-ქართული პარალელების ძიება, ეჭვგარეშეა, მომავალში საინტერესო სურათს გადაგვიშლის.

ირკვევა, რომ გეოგრაფიულ-სახელწოდებათა წარმოების ყველა ძირითად ეგეოსურ ტიპს აშკარა პარალელი მოეპოვება ქართველურ ტოპონიმიში. შეხვედრა არ განისაზღვრება მხოლოდ გარეგნული მსგავსებით, იგი აფიქსთა ფუნქციის სრულ იდენტურობაშიაც ვლინდება. მაგალითად, ეგეოსური კუთვნილების სუფიქსი, რომელიც ეგეოსური არეალის ფარგლებში ძირითადად სამი სახით გვხვდება, სრულ შესაბამისობას გვიჩვენებს ქართველურ ტოპონიმიში გამოყენებულ სუფიქსებთან (პროფ. რ. გორდუზიანი).

პარალელებს მრავლად ავლენს ეგეოსურ-ქართველურ ტოპონიმათა ფუძეების შეპირისპირებაც.

პარალელები ჩანს სიტყვათწარმოების სხვა შემთხვევებშიც, მაგალითად, ეგეოსური წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსი სრულ მსგავსებას გვიჩვენებს ანალოგიური მნიშვნელობის ქართულ „ელ“ სუფიქსთან.

უდავოა, რომ ეგეოსურ და ქართველურ ენობრივ პარალელთა არსებობის ნებისმიერი ახსნა, ვიდრე შეპირისპირება გარკვეულ და თანმიმდევრულ სურათს არ მოგვცემს, ვერ გასცდება ერთ-ერთი შესაძლებელი დაშვების ფარგლებს.

ბევრ მეცნიერს გამოუთქვამს შეხედულება ქართული ენისა და მთის კავკასიური ენების ნათესაობის თაობაზე. მაგალითად, კავკასიური ენების ცნობილი მკვლევარი უსლარი ამბობდა: „ქართული ენა კავკასიური ენაა და, საფიქრებელია, ყველაზე შესანიშნავი“ ენათა

ამ ოჯახში. მიუხედავად გასაოცარი ნაირგვარობისა, კავკასიური ენები გვიჩვენებენ ღრმა ნათესაურ თვისებებს.

ქართული ენის გენეტურ კავშირს მთის კავკასიურ ენებთან აღიარებდა აგრეთვე ნ. მარი.

1937 წელს გამოვიდა აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური წიგნი „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, სადაც წამოყენებულია შემდეგი ძირითადი დებულებები: ქართველებისა და მთის კავკასიელების შორეული წინაპრები მოძმე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და ერთი ენაც კი უნდა ჰქონოდათ; მრავალგვარმა სხვადასხვა გარემოებამ ეს მოძმე ერები და ტომები რომ ერთმანეთს საგრძნობლად დააშორა, ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ფაქტორებმა ისინი ხუთ დიდ ერთეულად აქცია; ქართული ენის ისტორიაში ორი დიდი ხანის არსებობა უნდა გვეჩვენოს გათვალისწინებული; პირველი და უძველესი ის ხანაა, როდესაც გრამატიკული სქეს-კატეგორიები იმ ენათა ძირითად დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა, მეორე — მომდევნო ხანა კი იმ დროიდან იწყება, როდესაც გრამატიკული სქეს-კატეგორიები გაქრა და, ღრმა ცვლილებებთან დაკავშირებით, ქართული ენის ახალი სახე ჩამოყალიბდა.

ქართველური და მთის კავკასიური ენების ნათესაობას ამტკიცებს აკად. არნ. ჩიქობავას მეცნიერული სკოლა. ამ პრობლემას მიეძღვნა მრავალი მონოგრაფია და სტატია.

ქართულ და კავკასიურ ენათა წარსულში გახედვა გვარწმუნებს, — აღნიშნავს არნ. ჩიქობავა, — რომ მსგავსება პირველადია, სხვაობა კი მეორეული: რაც უფრო ახლოს ვეცნობით განვითარების წინა საფეხურებს, მით უფრო მეტია სიახლოვე; გენეტური ერთიანობა განსაზღვრავს ქართველურისა და მთის კავკასიური ენების ურთიერთობას (და არა ხანგრძლივი ისტორიული კონტაქტით შეპირობებული დამსგავსება, თუმცა ამასაც გარკვეული ადგილი უნდა დაეთმოს).

მეცნიერებაში დამკვიდრდა ცნება „იბერიულ-კავკასიური ენებისა“.

არიან მეცნიერები, რომლებიც არ იზიარებენ თეორიას ქართული ენის გენეტური კავშირის შესახებ მთის კავკასიურ ენებთან.

კავკასიური ენების ერთობის შესახებ ეჭვი გამოთქვა ჯერ კიდეე პროფ. ნ. ტრუბეცკოიმ. განსაკუთრებით უარყოფდა იგი ქართულ ენის ჩრდილოეთ კავკასიის ენებთან ნათესაობის იდეას.

პროფ. გ. დეტერსი, ცნობილი ავსტრიელი ქართველოლოგი, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თითებზე ჩამოითვლება საერთო სიტყვები ქართულ (და, საერთოდ, ქართველურ ენებსა) და სხვა კავკასიურ ენებს შორის, მაგრამ ტოპოლოგიურად მათ შორის საერთო ბეგრიანა. ამიტომ ეს ენები გენეტურად კი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, არამედ ისინი ქმნიან „ენობრივ კავშირს“.

იმავე აზრს იზიარებს მისი მოწაფე, ცნობილი ლინგვისტი პროფ. კ. შვიდტი. ის ამბობს, რომ ქართულსა და მთის კავკასიურ ენებს შორის მსგავსებანი აიხსნება გეოგრაფიული მეზობლობით, — წარმოშობით კი ისინი ერთმანეთს არ უკავშირდებიან.

ნორვეგიელ ქართველოლოგს პროფ. ჰანს ფოგტს მიაჩნია, რომ საერთოკავკასიური ფუძეების აღდგენა უაღრესად პრობლემატური ამოცანაა. შედარებით-ისტორიული მეთოდი იბერიულ-კავკასიური ენების კვლევის დარგში არ მოგვცემს იმ შედეგებს, რომლებიც მან მოგვცა ინდოევროპული, სემიტური და უგროფინური ენების დარგში. ზოგიერთი მსგავსება, რომლებიც კი არსებობს ქართულსა და მთის კავკასიურ ენათა შორის, მეორეულია და მომდინარეობს კავკასიელი ხალხების ათასწლოვანი თანამეზობლობის საფუძველზე წარმოქმნილი ენობრივი კონვერგენციიდან (დაახლოებიდან). ფოგტის სიტყვით, კავკასიური ენების ერთიანობის ჰიპოთეზა მეტად მიმზიდველია და არც დაძაჯერებლობასაა მოკლებული, მაგრამ ამავე დროს ძნელი დასამტკიცებელია.

აკად. გ. წერეთლის სიტყვით, „ვიდრე... რეგულარული მიმართებანი არ იქნება დადგენილი, საკითხი ქართველურ ენათა გენეტური ურთიერთობისა მთის კავკასიის ენებთან იქნება უფრო მეტად საგანი რწმენისა, ვიდრე ცოდნისა, და რაგინდ დიდი იყოს ეს რწმენა, იგი დებულუბას ნათესაობის შესახებ მტკიცების ძალას ვერ შეჰმატებს“. იგივე ავტორი ფიქრობს, რომ ამჟამად წინა პლანზე დგება ამოცანა კავკასიური და წინააზიური არეალური ლინგვისტიკის პრობლემის შესწავლისა შედარებით-ტიპოლოგიური თვალსაზრისით. კავკასია წარმოადგენს ენათა მიკროკოსმოსს და ერთმანეთის მონათესავე ენათა გარდა აქ მრავალი სხვადასხვა სისტემის ენა (ინდოევროპული, თურქული, სემიტური) იყრის თავს მათი სტრუქტურული მოდელის დადგენა, პირვანდელი არქეტიპების რეკონსტრუქცია და ურთიერთმიმართებების გარკვევა მნიშვნელოვანია არა მარტო თითოეული მათგანის შესწავლისათვის, არამედ ენათა განვითარებისა და ურთიერთობის ზოგადი საკითხების და უნივერსალიების პრობლემების კვლევისათვის.

ამრიგად, ერთი მხრივ, ამტკიცებენ ქართულ-კავკასიური ენების გენეზისურ კავშირს, და მეორე მხრივ, ფიქრობენ, რომ მათ შორის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსებანია მხოლოდ და არა წარმოშობითი ერთობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, თუ პირველ ასპექტს მივძღვნება მონოგრაფიული გამოკვლევები, მეორე ასპექტი ჭერჭერობით არ გამხდარა მონოგრაფიული შესწავლის საგანი.

ქართული ენის გენეტური დაკავშირების შესახებ ბასკურ ენასთან ქვემოთ ცალკე თავში იქნება საუბარი.

## ქართული ენის კონტაქტები მსოფლიოს ენებთან

უხსოვარი დროიდან მოყოლებული ქართველ ხალხს ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ხალხთან თუ ეთნიკურ ჯგუფთან. ეს კონტაქტები შეპირობებული იყო გეოგრაფიული მეზობლობით ანდა კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობით.

ეთნოკულტურული კონტაქტები მკვეთრად არის აღბეჭდილი ქართული ენის სტრუქტურასა და ლექსიკაში. უცხოური ენობრივი ფენების გამოვლენა მკვევრმეტყველურად აშუქებს ქართველების ისტორიული განვითარების გზას და მათ სოციალურ ურთიერთობებს სხვადასხვა წარმოშობის ხალხებთან.

ამასთანავე, ქართულ ენასაც თავისი წვლილი შეუტანია სხვა ენათა ისტორიულ განვითარებაში.

„სხვა კულტურულ ენებთან უთანასწორო ბრძოლიდან ქართული ენა ხშირად გამოსულა გამარჯვებული და ამით მტკიცე საფუძველი შეუქმნია ქართველი ხალხის დამოუკიდებელი სახის შენარჩუნებისათვის“ (ნ. მარი).

ქართულ ენაში შემოსული უცხოური ლექსიკური ელემენტების ბგერობრივი მოდიფიკაცია საინტერესოა არა მარტოდენ ქართული ენის ფონეტიკური სისტემის შესასწავლად. არაიშვიათად ქართულ ენას დაუცავს მსესხებელი ენის თვალსაზრისით საინტერესო და საგულისხმო უძველესი ფორმები, რაც თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია.

ქართულ ენაში დალექილია მცირე აზიის გადაშენებული ცივილიზებული ენების ლექსიკური ელემენტები. ისინი მთელი რიგი მკვლევარების მიერ ახსნილია გენეტური ურთიერთკავშირის პლანში და ამიტომ ჩვენი ნაშრომის ამ თავში მათი განხილვა მიზანშეწონილი არ არის, რამდენადაც ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ქართული ენის შეხვედრები განსხვავებული სისტემის ენებთან, რაც შედეგია ხალხთაშორისი კონტაქტებისა.

ქართულ ენაში გამოიყოფა მნიშვნელოვანი ლექსიკური ფენა, რომელიც საოცარ პარალელებს პოულობს ძველი ინდოევროპულ ენებთან. ეს სიტყვები შეთვისებული უნდა იყოს ქართველურ ენათა დიფერენციაციის წინა ეპოქაში, ყოველ შემთხვევაში, მათი განვითარების უძველეს საფეხურებზე.

ამ სიტყვათა სიძველე იმაზე მიუთითებს, რომ ისინი არ არიან ნაღესხები „ისტორიულ ეპოქაში“ იმ ინდოევროპელი ხალხების ენებიდან, რომლებიც ემეზობლებოდნენ ქართველებს (ეს ხალხებია: ბერძნები, ირანელები, სომხები, ირანული წარმოშობის სკვითები, სარმატები, ალანები, თრაკიელები — კიმერიელთა სახით — ან ფრიგიელე-



ბი და ხეთურ-ლუვიური ჯგუფის ხალხები მცირე აზიაში). გამოკვლეული ტერმინების ხასიათი (მესაქონლეობისა და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ტერმინები, ადამიანის სხეულის ნაწილების და სხვა მნიშვნელოვანი ცნებების აღმნიშვნელი სახელწოდებები, რიცხვითი სახელები, ზმნები) გვარწმუნებს, რომ ეს სიტყვები განეკუთვნებიან ქართული ენის უძველეს ლექსიკურ ფონდს. ამავე დროს, მათ კანონ-ზომიერი შესატყვისები გაუჩენიათ ქართველურ ენებში. სწორედ ამიტომაც საფიქრებელი, რომ ამ კატეგორიის სიტყვები შეთვისებულია ქართულში ენობრივი დიფერენციაციის წინა ხანებში.

ცნობილია, რომ კიმერიელები თრაკიული წარმოშობის ტომები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო მათ ერთ დროს მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშათ საქართველოს მოსახლეობის ისტორიაში. ისინი მცირე აზიისაკენ კოლხიდის ველით გაიჭრნენ, შემდეგ კოლხიდის მეზობლად დამკვიდრდნენ. არაა გამორიცხული, რომ ზოგი კიმერიელი ტომი საქართველოს მიწა-წყალზე დამკვიდრდა. მეორე მხრივ, ბევრი მონაცემის მიხედვით ირკვევა, რომ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი უძველეს ხანებში ქართველი ტომების ერთ-ერთი უმთავრესი კერა იყო. ამიტომაც ბუნებრივი ხდება მცირე აზიაში მცხოვრებ ინდოევროპელ ტომებთან კონტაქტის ვარაუდი.

ქართულ-ინდოევროპულ ლექსიკურ პარალელებზე მსჯელობდა ჯერ კიდევ ფრანც ბოპი.

ამგვარ პარალელებზე მიუთითებენ: ა. გლიე, ვ. პიზანი, ა. ტრომბეტი, კ. ბოუდა, მ. ჯანაშვილი, ნ. მარი, ჰ. ფოგტი, ვ. პოლაკი, გ. კლიმოვი და სხვ.

ვ. გორაიევა და არნ. ჩიქობავამ თბილი-ს აღმნიშვნელი სიტყვა ქართველურ ენებში ტაბ (აღდგენილი ძირია) დაუკავშირეს ლათინურ, რუსულ, ძველინდურ იმავე ძირეული მასალის სიტყვებს. არნ. ჩიქობავა სიტყვაში უღელი გამოყოფს ძირეულ უღ-ს და მას უკავშირებს ინდოევროპულ ენებში ამავე მნიშვნელობის სიტყვებს. „ეს ძირი უნდა იყოს ქართველი ტომების ინდოევროპულ ენებზე მოუბარ ტომებთან შეხვედრის შედეგი. სად და როდის? ეჭვი არაა, — შორეულ წარსულში, მცირე აზიაში“.

მრავალი ქართულ-ინდოევროპული ლექსიკური პარალელია დღეს გამოვლენილი გ. მელიქიშვილის წიგნში „საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“ (1965).

ფართოდ და სრულად ეს საკითხი განხილულია თ. გამყრელიძისა და გ. ივანოვის ცნობილ წიგნში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ (1984).

ძველ ინდოევროპულ ენებში სიტყვებთან მსგავსებას ამჟღავნებს, მაგალითად, ისეთი სიტყვები, როგორცაა თიკანი, ღორი, კატა, ლომი, რქა, ირემი, ურემი, ბოსელი, ყორანი, ბოჩოლა, კაკაბი, პური, ქერი, ფიჭვი, გორი, შთა, ველი, ვაკე, ზღვა, მკერდი, კბილი, სისხლი, დღე, პირველი, ექვსი, შვილი და მრავალი სხვა.

აქ უადგილოა მოვიყვანოთ ზემოხსენებულ სიტყვათა პარალელუბი ინდოევროპული ენებიდან.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ყოველგვარი დაკავშირება ქართული სიტყვებისა ძველი ინდოევროპული ენების მასალასთან (ისევე, როგორც, საერთოდ, სხვა ენების მასალასთან), გამოთქმული სპეციალურ ლიტერატურაში, უდავოა. უეჭველია, რომ მომავალი ძიებები დააზუსტებს არსებულ ინტერპრეტაციებს და ბევრ ახალ მიგნებას გამოავლენს.

ცალკე უნდა გამოიყოს ირანული სიტყვები ქართულ ლექსიკაში. ეს სესხება მეტად უხვია და შედეგია საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობისა სხვადასხვა ირანული მოდემის ხალხებთან და ტომებთან.

ქართულ ენაში შემოსული ირანული ელემენტების მონოგრაფიულმა შესწავლამ გამოარკვია, რომ ნასესხები სიტყვები განეკუთვნება როგორც ძველ, ისე, განსაკუთრებით, საშუალო და ახალირანულ ენობრივ ეპოქას.

ირანულ ენათა ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით ეს სიტყვები უმთავრესად წარმოგვიდგენენ ჩრდილო-ირანულ (სკვითურ-ალანურ-ოსურ), ჩრდილო-დასავლურ და სამხრულ-დასავლურ დიალექტურ წრეებს.

ზოგი უძველესი ირანული ელემენტი არ შეიძლება გავიგოთ, როგორც უბრალო სესხება; ისინი ქართული ენის ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ და შედიან მისი ლექსიკის ძირითად ბირთვში. ირკვევა, რომ ეს ელემენტები ნასესხებია ქართველურ ენათა დიფერენციაციამდე.

ირანისტ მზია ანდრონიკაშვილის სიტყვით, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში დადასტურებულ ირანულ ლექსიკურ ელემენტებს უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ არა მხოლოდ ქართული ენის ისტორიისათვის, ისინი აღძრავენ დიდ ინტერესს ირანისტაის თვალსაზრისითაც და შეიძლება გამოგვადგეს ირანულ ენათა ისტორიული დიალექტოლოგიისა და ფონეტიკის, განსაკუთრებით საშუალო ირანული ენობრივი ეპოქის, ერთი მხრივ. ან სკვითურ-ალა-

წურ-ოსური ენობრივი წრეების, მეორე მხრივ, რიგი საკითხების გა-  
შოსაყვლევად.

ირანული წარმოშობის საკუთარი სახელები შეიძლება დავეთხოთ სამ  
ჯგუფად: 1. საკუთარი სახელები, რომლებიც უშუალოდ შემოსულია  
ირანული ენებიდან, 2. არმენიზებული ფორმით შემოსული სახელები,  
3. არაბიზებული სახით შემოსული სახელები.

ქართულ ენას შეხვედრის წერტილები აქვს ერთ-ერთ ირანულ  
ენასთან — ო ს უ რ თ ა ნ ა ც .

ისტორიულ წარსულში მრავალი სიტყვა შეუთვისებია ოსურ ენას  
ქართული ენიდან. გავლენა დადასტურებულია ფონეტიკის სფერო-  
შიც. ქართულ ენასაც უსესხებია სიტყვები ოსურიდან. ქართული და  
ოსური ენების კონტაქტების პრობლემას ეძღვნება ნ. მარის, გ. ახვლე-  
დიანის, ვ. აბაევის, ო. თედეევას ნაშრომები.

მრავალი სიტყვა დაინერგა ქართულ ენაში ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ე ნ ი-  
დან, განსაკუთრებით საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის  
დროიდან.

V საუკუნიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა სასულიერო ხასი-  
ათის ძეგლების თარგმნა. საეკლესიო ტერმინოლოგია უხვად დამკვიდ-  
რდა ქართულში უმთავრესად ბერძნული ენიდან. ქრისტიანული სასა-  
უბრო ენის ტერმინები ქართულში შემოსულია ჯერ კიდევ ადრე ზე-  
პირი გზით დასავლურ ქართულ დიალექტებში. ძალზე იშვიათად გა-  
მოიყენებოდა საკუთარი ქართული ეკვივალენტები. მაგალითად, ბერ-  
ძულიდან შემოვიდა „ევანგელე“. იგი ერთხანს იხმარებოდა მწერ-  
ლობაში (დადასტურებულია პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგ-  
ლებშიც: V საუკუნე), მაგრამ მალე იგი შეიცვალა ძველი ქართული  
სიტყვით „სახარება“. ასევე; ქვეყნის ქრისტიანიზაციის პირველ ხა-  
ნებში ლოცვა „ღმერთო შემიწყალე“ ქართულად ძალიან დიდხანს  
სრულდებოდა ბერძნული სიტყვის „კირიელეისონ“ მოშველიებით.  
ქართველი მწერლის გიორგი მერჩულეს თხზულებაში ნათქვამია: ქარ-  
თლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა  
ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო  
კვრიელემსონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: უფა-  
ლო, წყალობა ყაჲ გინა თუ: უფალო შეგვწყალენ!“ შემდეგ და შემ-  
დეგ ბერძნულ „კირიელეისონს“ მოედებნა ქართული შესატყვისი  
ფორმა. მიუხედავად ამისა. საქართველოს შორეულ რაიონებში ბერ-  
ძული ფორმულა XIX საუკუნის შუა ხანებამდისაც იხმარებოდა. ასე,  
მაგალითად, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ამბობს, სვანეთში მოვის-  
მინე, რომ ქართული წირვა და გალობა იმერულად შეასრულეს, ხო-  
ლო „უფალო შემიწყალე“ ბერძნული „კირიე-ელეისონით“ იყო შე-  
ცვლილიო.

ბერძნული ენიდან შემოსული სიტყვების მარაგიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი ტერმინოლოგია, რომელიც განეკუთვნება ე. წ. საერთაშორისო სიტყვების წყებას და შესულია მსოფლიოს ყოველ კულტურულ ენაში. V—XII საუკუნეების ქართულ მწერლობაში ჩვეულებრივია ისეთი სიტყვები, როგორცაა, მაგალითად, კ ა ნ ო ნ ი, ს ქ ე მ ა, ლ ა ვ რ ა, პ ა ლ ა ტ ი, ე ტ ი მ ო ლ ო გ ი ა, ს ქ ო ლ ა ს ტ ი-კ ა, ა ნ გ ე ლ ო ს ი, ე ნ ტ ე ლ ე ქ ი ა, ი ს ტ ო რ ი ა, მ ა თ ე მ ა ტ ი-კ ა, რ ი ტ ო რ ი, მ უ ს ი კ ა, ს ფ ე რ ო, ს ი ლ ო გ ი ზ მ ი, ს ქ ო ლ ი ო, ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა, გ რ ა მ ა ტ ი კ ა და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. კ ა ნ ო ნ ი გვხვდება, მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებში (V საუკ.). უხვადაა წარმოდგენილი ამგვარი „კულტურული ცნებები და ტერმინები“ ძველ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. განსაკუთრებით — ფილოსოფიური ხასიათის თხზულებებში.

ქართულ ენაში მრავლად არის შემოსული ბერძნული საკუთარი სახელები. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში ჭარბობს ბერძნული საკუთარი სახელები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — სპარსული.

თანახმად პროფ. ს. ყაუხჩიშვილის სპეციალური გამოკვლევისა, ბერძნულიდან შემოსულ საკუთარ სახელებს ატყვიან, — ზეპირი გზით არიან შემოსული, ბერძნებთან უშუალო კონტაქტების შედეგად, თუ მწიგნობრული, ლიტერატურული გზით, ე. ი. თარგმანების გზით.

ზემოთ ითქვა: ე-თი დაბოლოებული სახელების ხმარება საქართველოში დაკავშირებულია ქრისტიანობის გავრცელებასთან და ამ გავრცელებისდა მიხედვით შემოდის საკუთარი სახელები, რომლებიც ბერძნულში ოს-ითაა დაბოლოებულნი, ქართულში კი ე-თი. პირველ რიგში ეს ეხება ქრისტეს სახელწოდებას. ბუნებრივია, რომ ქრისტეს სახელს ქართველები იმთავითვე გაიცნობდნენ ლოცვა-ვედრების გზით, როდესაც ქრისტესადმი მიმართვაში ბერძნები იხმარდნენ არა ქ რ ი ს-ტ ო ს-ს, რომელიც სახელობითის ფორმაა, არამედ ვოკატივის ფორმას (წოდებითი ბრუნვა): ქ რ ი ს ტ ე. ამნიარადგვა შეთვისებული ი ე-ს უ, რომელიც ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში სწორედ ამ სახით გვევლინება და არა ფორმით ი ე ს ო. წოდებითი ბრუნვის ფორმით (ე. ი. ზეპირი გზით) არის დამკვიდრებული ქართულში ბერძნული სახელები: ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე, დ ა მ ი ა ნ ე, ა ნ დ რ ო ნ ი კ ე, პ ე ტ რ ე, პ ა ვ ლ ე, ს ტ ე ფ ა ნ ე, პ ი ლ ა ტ ე, ი პ ო ლ ი ტ ე და მრავალი სხვა. ასევე ზეპირი გზითაა შემოსული ბერძნული სახელები, რომლებიც ი ო ს-ზე ბოლოვდებიან სახელობით ბრუნვაში, ხოლო წოდებითში — ო-ზე. ამიტომაც, რომ ქართულში გვაქვს ა კ ა კ ი, გ ი-ო რ გ ი, ა ლ ე ქ ს ი, ა პ ო ლ ი ნ ა რ ი და ა კ ა კ ი ო ს, გ ი ო რ-

გიოს და სხვ., რადგანაც ეს უკანასკნელი ფორმები ბერძნული სახელობითი ბრუნვის ფორმებია და ბერძენი ბერძენს დაუძახებდა (მოუხმობდა) არა სახელობითი ბრუნვის ფორმით (ასე: აკაკიოს!), არაშედ წოდებითი ბრუნვის ფორმით (ასე: აკაკი!) ეს გაიგონა ქართველმა და გადმოიღო კიდევაც ამ ფორმით. ახლა, რასაკვირველია, აკაკი, გიორგი და სხვ. ქართულში სახელობითი ბრუნვის ფორმებიცაა.

ი- ბოლოკიდურით გადმოცემულია ძველსავე ქართულში ის ბერძნული სახელებიც, რომელთაც სახელობითში ჰქონდათ „ეს“. ესენია: არისტოტელი, დიოგენი, ევრიპიდი, სოფოკლი, დემოსთენი და სხვ. შემდეგ დაბოლოება „ი“ ქართული სახელობითი ბრუნვის დაბოლოებად იქნა გაგებული და ამით აიხსნება, რომ პარალელურად ჩნდება ძირი არისტოტელ. ასევე ძველ ქართულ მწერლობაში უფრო ხშირად გვხვდება სოკრატ, ვიღრესოკრატ ი.

შედარებით ვრცლად იმიტომ შეეჩერდით საკუთარ სახელებზე, რომ გვეჩვენებინა ბერძნული სიტყვების ქართულში შემოსვლის ორი გზა — ზეპირი და ლიტერატურული, ამასთანავე, გაგვეგო, დაახლოებით რა ბერძნული სახელებია დამკვიდრებული ქართულში უძველესი დროიდან მოყოლებული. ქართველებს რომ მკვიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნებთან და რომ ბერძნებს და ქართველებს პირადი კონტაქტები ჰქონდათ ერთმანეთთან დამყარებული, ეს მშვენიერად ჩანს საკუთარი სახელების ლინგვისტური ანალიზითაც. ყოველივე ამაზე ზემოთაც იყო საუბარი.

აქ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ სიტყვაზე, რომელიც თითქოს სადავო არ უნდა იყოს, რომ ქართული წარმოშობისაა, და გვხვდება კი ბერძნულში!

ჰომეროსის „ოდისეაში“ გვხვდება სიტყვა „მოლი“ (კოლხთა წინამძღოლის — აიეტის დის კირკეს სამფლობელოში, კუნძულ აიაიაზე არსებული ბალახის სახელი). სხვა ბერძნულ წყაროებში ეს სიტყვა არ გვხვდება. მას ინდოევროპული ეტიმოლოგიები არ ეძებნება. ქართულში კი მოლი დღემდის იხმარება და ნიშნავს ახლად ამოსულ ხშირ და წმინდა ბალახს. ჰომეროსთან იგულისხმება გრძნეული ბალახი.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სადაც მოლი სწორედ ამგვარ კონტექსტში არის ნახმარი:

„ფატმან მისცნა დაწერილნი მას გრძნეულსა ხელოვანსა:  
„ესე წაგნა მიათვითო ქალსა, მზისა დასაგვანსა“.  
მან გრძნეულმან მოლი რამე წამოსევა ზედა ტანსა“.

მ ო ლ ი გვხვდება ჯადოსნური წამლის მნიშვნელობით „აბდულ-მესიანშიც“ და „შაჰნამეშიც“.

ქართულ ენაში შემოსულია სიტყვები ს ო მ ხ უ რ ი ე ნ ი დ ა ნ ა ტ. სომხები და ქართველები, როგორც უძველესი ცივილიზაციის შექმნის მონაწილე ხალხები, ერთმანეთთან ისტორიულად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ისინი უხსოვარი დროიდანვე ემეზობლებიან ერთმანეთს, მათი ურთიერთთანამშრომლობა ქრისტიანული აღმოსავლეთის კულტურის შექმნაში სრულიად განსაკუთრებულია და უადრესად საინტერესო. მდიდარია და მრავალფეროვანი ამ ორი მოძმე ხალხის ლიტერატურული ურთიერთობა ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე; წინა საუკუნეებში გაჩაღებული იყო მთარგმნელობითი მუშაობა სომხურიდან ქართულად და ქართულიდან სომხურად.

ქართულ ენაში შემოსულია როგორც სომხური სიტყვები, ისე სომხური გზით ზოგიერთი სპარსული და სემიტური სიტყვაც. ქართულში დამკვიდრებული სიტყვების მნიშვნელობა თვითონ სომხური ისტორიული ლექსიკის ზოგი ბუნდოვანი საკითხის გადასაჭრელად ნაჩვენებია ჰიუმბანის, მეიეს, მარის, აჰარიანის, შანიძის, ლაპანციანის, ი. აბულაძის, სევაკის და სხვა მკვლევართა ნაშრომებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. მარისა და ი. აბულაძის გამოკვლევები.

სომხურიდან არის შემოსული ძველ ქართულში როგორც ძირეულად, სომხური, ისე სხვა ენების სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად: ა ვ ა ზ ნ ი, ა ხ ო ვ ა ნ ი, დ ა ლ ი მ ი, პ ა ტ ი ვ ი, ს ა ს ტ ი კ ი, ბ ი ლ წ ი, კ ა ტ ა ბ ა ნ ი, ყ ა მ ი, კ ო ლ ტ ი, ქ უ რ უ მ ი, ხ ა რ კ ი და სხვ.

ისევე, როგორც სომხურს გაუმდიდრებია ქართული ენის ლექსიკური მარაგი, ქართულ ენასაც მიუწოდებია სომხური ენისათვის არა ერთი და ორი სიტყვა.

სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის პროცესში ქართულიდან შესულა სომხურში ისეთი სიტყვები, როგორიცაა ვ ე ლ ი, ყ რ ძ ა, ც ხ ო ვ ა რ ი, პ ი რ ი, ს ა უ ნ ჯ ე, ვ ა რ დ ნ ა და სხვ. (ნ. მარი, პ. ფოგტი). ამ ქართულ სიტყვებს სომხურში ფონეტიკური ცვლილებანი განუცდია.

ზემოთ დასახელებული სიტყვების ურთიერთსესხება განეკუთვნება სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის იმ დროს, როდესაც ორივე ერს თავთავისი მწიგნობრობა მოეპოვებოდა და (ქრისტიანულ ხანაში) კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა ჰქონდა.

იჩვენება, რომ ქართველებსა და სომხებს კონტაქტები ჰქონიათ უძველეს ეპოქებშიც, ე. ი. იმ ხანაში, როდესაც ყალიბდებოდნენ სომხური და ქართული ეთნიკური ერთეულები. ნ. მარი ამტკიცებდა, რომ იმ უძველეს ხანებში ქართველური ენებიდან ბევრი სიტყვაა შესული უძველეს სომხურ ენაში.

გავეცნოთ ამ საკითხს უფრო მიახლოებით.

როგორც ცნობილია, სომხური ენა მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახს. ეს ასეა, მაგრამ ცნობილმა ლინგვისტებმა შენიშნეს, რომ ამ ენაში მოიპოვება მნიშვნელოვანი ელემენტები. რომლებიც არ განეკუთვნებიან ინდოევროპული ენების საერთო ფონდს, ისინი სხვა რომელიმე სისტემის ენათა შემონატანია და დანერგილი სომხურ ენაში. გამოჩენილი სომეხი მეცნიერის, აკადემიკოს აჭარიანის ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, 10 996 სომხური სიტყვის ძირიდან მხოლოდ 713 ძირია საერთო ინდოევროპული ენების ძირებთან. ამრიგად, სომეხმა და უცხოელმა ენათმეცნიერებმა სომხურ ენაში გამოყვეს ინდოევროპული ენების თვალსაზრისით აუხსნელი უცხო ელემენტები.

სად იყო საძიებელი ეს უცნობი ენობრივი ფენა?

ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ნ. მარი იკვლევდა სომხური სალიტერატურო ენის საკითხებს, მეცნიერი ამბობდა: „მეხუთე-მერვე საუკუნეების ძველ სომხურ სამწერლობო ენაში მოხდა რაღაც გარდატეხა. ძველი სომხური სალიტერატურო ენის ზოგი თავისებურება, გაბატონებული ამ მომენტამდის, აშკარადდება იმ ქართულ დეკლემაციის შესწავლით, რომლებიც ნათარგმნია სომხურიდან“. ამრიგად, ნ. მარი ქართულ მასალებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სომხური სალიტერატურო ენის საკვანძო საკითხების გადასაჭრელად. მაგრამ ეს ეხებოდა სალიტერატურო ენის პერიოდს. ზემოთ კი ჩვენ ვეხებოდით სალიტერატურო ენის პერიოდამდე არსებული სომხური ენის შედგენილობას, ე. ი. გაცილებით უფრო ძველ ხანას.

და როცა დაისვა სომხური X ფენის ამოცნობის პრობლემა, იმავნ. მარმა, რომელიც წინათ მსჯელობდა სომხურ-ქართული სალიტერატურო ენების პერიოდებზე (ე. ი. ახალ ხანაზე), სრულიად ლოგიკურად ამ შემთხვევაშიც საკვლევადიებო გეზი ქართული ენისაკენ აიღო. 1903 წელს ნ. მარმა პეტერბურგში გამოაქვეყნა კაპიტალური წიგნი „ძველი სომხური ენის გრამატიკა“; სადაც ავტორი აღნიშნავს: სომხური ენის აგებულება არ ამოიწურება არიული ელემენტებით: სომხურში ინდოევროპულ ენათა ფენასთან შერწყმულია რომელიღაც უცნობი ლინგვისტური ოჯახის ნალექი; მაშასადამე, სომხური ნარევი ტიპის ენად გამოიყურება.

რომელი ლინგვისტური ოჯახის სინამდვილიდან მოდის ეს ნალექი თუ ფენა სომხური ენისა? — აყენებს საკითხს წიგნის ავტორი. პასუხი ასეთია: „ამ უცნობი ოლენობის ფიზიონომია თანდათან მოიხაზა ჩუთვის იმ მუშაობის დროს, რასაც ვაწარმოებდი სემიტურ ენებთან ქართული ენის გენეტური ნათესაობის დასადგენად“. სხვა ნა-

შრომში ნათქვამია: სომხურზე უძველეს პერიოდში დიდი გავლენა მოუხდენია სხვა ენებს. „გამვლენელ ენებში არის ქართულიც“, უპირატესად ისეთი ქართველური ენები, — განაგრძობს მარი, — როგორცაა „ივერიული, ესე იგი მეგრული და ქანური. თანაც ირკვევა, რომ, გარდა ამ მეზობელი ენების... გავლენისა, სომხეთის... ენის თვით-ჩასახვაში დიდი წილი უდევს... სვანურს... სვანურში უნდა ვეძიოთ ყველაზე უპირველესად სომხეთის ლურსმული წარწერების გამოცანის ახსნა“<sup>1</sup>.

ყურადღებას იპყრობს ქართული ენის კონტაქტები სემიტურ ენებთან. ეს არის შედეგი სემიტურ სამყაროსთან ქართველების უძველესი კავშირ-ურთიერთობისა.

ებრაულისა და არამეულის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მცხეთის არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით. ჯერ კიდევ მანამდე მეცნიერებაში მკვეთრად იღვა საკითხი ქართული ბიბლიის ებრაულ ორიგინალთან ურთიერთობის შესახებ. გასული საუკუნის 70-იან წლებში აღმოჩენილ იქნა მცხეთაში ებრაული (უფრო ზუსტად — თალმუდის არამეულ ენაზე) წარწერა, რომელიც გამოსცა ცნობილმა მეცნიერმა დ. ხოლსონმა (1844 წ.). იმავე ენაზეა შესრულებული 1938 წ. იქვე მოპოვებული წარწერა იოსებ ბარ ჰაზანისა, რომელიც გამოიკვლია აკად. გ. წერეთელმა (1940 წ.).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის არამეულის სამყარო. საქართველოში არამეული ტრადიციების შესახებ ჩვენ წინათაც შეგვეძლო ვარაუდი გვექონოდა იმ არამეული სიტყვების მიხედვით, რომლებიც გარკვეული რაოდენობით გვხვდება ქართულში ძველთაგანვე მოყოლებული. მაგრამ ახალი აღმოჩენების მიხედვით დადასტურდა, რომ არამეული ენა იბერიის (ძველი საქართველოს) მმართველი წრეების ოფიციალური დოკუმენტების ენად იყო გამოყენებული. მეტიც: მცხეთა-არმაზის წარწერებიდან ჩანს, რომ არამეულს აქ იმდენად ხანგრძლივი ტრადიციები ჰქონია, რომ იბერიაში შეიქმნა არამეულის თავისებური შტო, მეტად ორიგინალური პალეოგრაფიული ნიშნებით და ზოგიერთი ენობრივი თავისებურებით. იბერიის სახელმწიფო წყობილების, სოციალურ ურთიერთობათა და პოლიტიკური ისტორიის საკითხების შესასწავლად ჩვენ მოგვეპოვება ავთენტიკური არამეული და აგრეთვე სპარსული ძეგლები, რომლებიც

<sup>1</sup> ნ. მარმა ამ საკითხს უძღვნა ვრცელი შრომა — „იაფეტური. (ე. ი. ქართველური. — შ. ძ.) ელემენტები სომხეთის ენებში“, რომელიც II ნაწილად გამოქვეყნდა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში (1911—1919).



თავისი სულით, ხასიათით ამავე დროს ქართულია (გ. წერეთელი). არამეულთან დაკავშირებულია ქართული ანბანის პრობლემებიც, რაზედაც ლაპარაკია ამ წიგნის სხვა თავში.

ქართულ ენას შეხვედრები უნდა ჰქონოდა სემიტურ ენებთან აღრინდელ ეპოქებში. ასე, მაგალითად, ძველად ნასესხებია ქართულში სემიტური წარმოშობის ისეთი სიტყვები, როგორცაა: აქლემი, თარგმანი, თარჯიშანი, კუპრი, ზეთი და სხვ.

განსაკუთრებით პროდუქტიულია ქართულ ენაში არაბული წარმოშობის სიტყვები.

საქართველოს ურთიერთობა არაბებთან ისლამის პირველ საუკუნეში იწყება. VII საუკ. ორმოციან წლებში საქართველოს მოსახლეობა უშუალო კონტაქტს ამყარებს არაბებთან და ეს კავშირი არ შეწყვეტილა რამდენიმე საუკუნის მანძილზე. ამავე დროს, არაბული კულტურის ძეგლები ითარგმნებოდა ქართულ ენაზე. ამრიგად, არაბული ლექსიკური მასალა ინერგებოდა როგორც არაბებისა და ქართველების პირადი ურთიერთობის, ისე მწიგნობრული გზით.

ქართველმა მწიგნობრებმა კარგად იცოდნენ არაბული ენა. ისინი არაბულ ხელნაწერებზედაც მუშაობდნენ.

არაბული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სინის მთის ქართული მონასტრის ქართულ ხელნაწერებში გვხვდება არაბული დაწერილობის კვალი. სინის ქართულ ხელნაწერებში ნაკლებად იგრძნობა სირიულის გავლენა, ვიდრე ბერძნულისა და შედარებით მეტადაა შენახული არაბული ენის გავლენის კვალი.

სინაზე ნაპოვნია არაბული ანბანი ქართველთათვის. თითოეული არაბული ასო განმარტებულია ქართული ასოთი. სინაზე არსებობდა არაბული ხელნაწერები რვეულთა ქართული ნუმერაციით და ქართული ხელნაწერები — არაბული ნუმერაციით (სიტყვებით). და, ბოლოს, სინის მთის ქართულ ხელნაწერებში ნაპოვნია ქართველთა ჩანაწერები და მინაწერები არაბულ ენაზე. არაბული მინაწერები და ჩანაწერები ქართულ ხელნაწერებში იმის მაჩვენებელია, რომ მაშინდელი გადამწერლები შესანიშნავად იცნობდნენ ორივე ენას და ჩანს, რომ სინაზე უკვე მაშინვე მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული ქართველების მიერ არაბული დამწერლობის შესწავლის ტრადიცია.

არაბული ელემენტების შესწავლა ქართულ ენაში მნიშვნელოვანია არა მარტო ქართული ენის ლექსიკური შედგენილობის შესწავლისათვის, არამედ ისინი, როგორც აღნიშნავს გ. წერეთელი, მდიდარ მასალას იძლევა აგრეთვე არაბული ენის ისტორიული ფონეტიკისათვის, უნიადან ძველთაგანვე არსებული ქართული წესი ხმოვნების ზუსტი აღნიშვნისა შესაძლებელს ხდის გარკვეულ იქნეს ბუნება და ხასიათი ამა თუ იმ ბგერისა ისტორიულ ეპოქაში.

საინტერესოა, რომ თვით არაბების აღმნიშვნელი სახელები ქართულში შემოსულია სხვა ენების მეშვეობით ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე არაბები უშუალო კონტაქტს დაამყარებდნენ ქართველებთან. ასეთებია: ა რ ა ბ ი, ა რ ა ბ ი ე ლ ი და ს ა რ კ ი ნ ო ზ ი. ეს უკანასკნელი ქართული გადმოცემა ბერძნული ფორმისა, რომელიც აგრეთვე არაბული ტომის სახელია. არაბების ამ ზოგადი სახელწოდებების გვერდით იმთავითვე ჩნდება ჩვენში არაბული ტომების აღმნიშვნელი სიტყვები. ასეთებია, მაგალითად, ტ ა ი ჭ ი, რომელიც ქართულში ცხენს ნიშნავს, მას საფუძვლად უდევს ჩრდილო არაბული ტომის სახელი (აქედანვეა, სხვათა შორის, სახელწოდება ტ ა ჯ ი კ ი). ქართულში ტ ა ი ს ტომის აღმნიშვნელი სიტყვა შემოდის ჯერ არაბის, ბედუინის აღსანიშნავად, შემდეგ — არაბული ცხენისა.

ხალხისა და ტომების აღმნიშვნელი ტერმინების გვერდით ჩნდება ადამიანის საკუთარი სახელები: ჰ ა ბ ო, ა ბ დ უ ლ ა, ჯ ა ფ ა რ ი და სხვ. შემოსულია ქართულში აგრეთვე ისლამის პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ტერმინოლოგია (ა მ ი რ ა და სხვ.), ზოგადი სახელები (ნ ი კ რ ი ს ი, ა უ ზ ი, დ ა ვ ა, ვ ე ქ ი ლ ი) და სხვ.

„გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ზოგიერთი სიტყვა ქართულიდან იყოს სემიტურში წადებული“ (გ. წერეთელი).

აქ შეიძლება დავასახელოთ სიტყვა ღ ვ ი ნ ო, რომელიც ასეთ ეჭვს იწვევს. როგორც ვიცით, ეს სიტყვა გავრცელებულია სხვადასხვა სისტემის ენაში: რუს. вино, გერმ. wein, ინგლ. wine, ფრანგ. vin, ლათ. vinum, ბერძ. οινος და სხვ. სემიტურში ასეთი ფორმებია გავრცელებული: არაბ. wayn, ებრ. yayin, ასურულ-ბაბილონური tnu და სხვ.

ინდოევროპეისტები აღიარებდნენ, რომ ეს სიტყვა არაა ძირეული ინდოევროპული, იგი ნასესხებიანო (ტომსონი). სემიტოლოგებსაც ეს სიტყვა არ მიაჩნდათ წარმოშობის სიტყვად (ლაგარდი, ჰომელი, გენეზიუსი).

ხომ არ არის ეს სიტყვა ქართული წარმოშობისა? ამას ვარაუდობდა ნ. მარი.

გ. წერეთელი ფიქრობდა, რომ ადვილი შესაძლებელია, ეს სიტყვა სემიტურში ქართულიდან იყოს შესული. მისი მსჯელობა ასეთია: ქართულ ვ ი ს მეგრულში შეესატყვისება გ ი (შდრ. ქართ. ვ ი რ ი, მეგრ. გ ი რ ი ნ ი). ამიტომ ქართ. ღ ვ ი ნ ო ს შეესატყვისად (ქართულშიც უნდა ყოფილიყო ღ ვ ი ნ ი, რომელიც ეფარდება მეგრულს და გვხვდება ძველ ტექსტებშიც) მეგრულში უნდა გვქონოდა გ ი ნ ი. ამ ფორმით ეს სიტყვა შემონახულია სომხურში, სადაც იგი მეგრულ-ქანურიდან უნდა იყოს ნასესხები. სომხურს არ შეეძლო ეს სიტყვა

შეთვისებინა ინდოიჩანულიდან, რადგან იგი აღმოსავლურ ინდოევროპულ ენებში არ გვხვდება; გამორიცხულია სემიტურიდან სესხებაც. „ქართულში რომ სიტყვა სემიტურიდან იყოს შემოსული, სომხურს ქართველური ენებიდან არ დაჰქირდებოდა სიტყვის გადაღება, რადგან სემიტურიდან სესხების გზები მისთვის გახსნილი იყო. თუ გავიხსენებთ ბიბლიაში არსებულ ძველ გადმოცემას, რომელიც გვაძენობს, რომ ამიერკავკასია ვენახისა და ღვინის სამშობლოა, სერიოზული საფუძველი გვექნება; გამორიცხულად არ ჩავთვალოთ შესაძლებლობა, რომ მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაჩვენებელი ისეთი სიტყვა, როგორც არის ღვინო და თვით საგანი იმით აღნიშნული, ქართულიდან იყოს მთელ მსოფლიოში გავრცელებული“ (აკად. გ. წერეთელი).

არის კიდევ სხვა ლექსიკური შეხვედრები სემიტურ ენებსა და ქართულში, მაგრამ აქ მათზე სიტყვას არ გავაგრძელებთ.

ქართულ ენაში მოიპოვება აგრეთვე თურქული ენის ელემენტები. ძველ საუკუნეებში შემოსულია ანატოლიურ-თურქულიდან სიტყვები უმთავრესად ზეპირი გზით. განსაკუთრებით ბევრია ნასესხები სიტყვა თურქულიდან ქართული ენის სამხრულ დიალექტებში.

ორი მოძმე ხალხის — აზერბაიჯანელებისა და ქართველების ოდითგანვე არსებულ თანამეგობრობას და ურთიერთდახმარებას სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში არ შეიძლებოდა ხელი არ შეეწყოს აზერბაიჯანული და ქართული ენების ურთიერთშემოქმედებისათვის და არ განეპირობებინა ერთი ენის ლექსიკური შემადგენლობის ზრდა მეორე ენის ელემენტებით.

ნასესხები ლექსიკური ელემენტების ანალიზი და მათი კლასიფიკაცია სიტყვათა მნიშვნელობის თვალსაზრისით ზოგჯერ საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ხალხთა სამეურნეო და კულტურული ცხოვრების რს დარგებიც, რომლებიც ერთს უფრო მეტად ჰქონდა განვითარებული და სრულყოფილი, ვიდრე მეორეს. აზერბაიჯანული ელემენტები ქართულში ასახავს სახალხო მეურნეობის ისეთ მხარეებს, როგორცაა მეცხოველეობა, თევზის მრეწველობის პროდუქტები და სხვ.

აზერბაიჯანულიდან ქართულში ნასესხებია სიტყვები: თოხლი, შიშაგი, ყოჩი, იალაღი, დოღი, ბუღა, დოში, ხიზილალა, ტოლმა, ბუღლამა, ყაუჩმა, ბოზბაში, ოხუნჯი და სხვ.

აზერბაიჯანულში ქართულიდან ნასესხები მასალის კლასიფიკაცია კი გვიჩვენებს, რომ სესხება ხდება მევენახეობის, მეღვინეობის, მიწათმოქმედების ტერმინებისა. აკად. ივ. ჯავახიშვილმა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შედარებითი შესწავლისა და ამ საგანთა სახელოების დაწვრილებითი ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე გა-

მოარკვია, რომ ძველ საქართველოს მაღალი სამიწათმოქმედო კულტურა ჰქონდა. მეზობელი ხალხები — სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდილოკავკასიელები და სხვანი გარკვეულ შემთხვევებში ქართველებისაგან ითვისებენ როგორც გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ისევე მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ ტექნიკას, და, მაშასადამე, შესაბამის ტერმინებსაც. ივ. ჯავახიშვილი, მაგალითად, ჩერდება სიტყვაზე გუთანი და აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანულში ქართულიდან ნასესხებმა გუთანი-სიტყვამ კოტანი-ის სახით განდევნა საერთო თურქული საბანი.

დადგენილია აგრეთვე, რომ აზერბაიჯანულში ქართულიდან ნასესხებია ისეთი ტერმინები, როგორიცაა მოდგამი, რომელსაც აქვს მიწის კოლექტიური დამუშავების მნიშვნელობა. ქართულიდან ნასესხებია აგრეთვე სიტყვა თოხი (თოჯი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გვხვდება XI საუკუნიდან). ეს აღნიშნულია რუსულ-აზერბაიჯანულ ოთხტომეულ ლექსიკონშიც, რომელიც ბაქოში გამოქვეყნდა 1943 წელს. ამ სიტყვას რომ ღრმად აქვს ფესვი გადგმული აზერბაიჯანულ ყოფა-ცხოვრებაში, იქიდან ჩანს, რომ მან მოგვცა რამდენიმე ახალწარმოებული ზმნა.

ს. ზელინსკის აზერბაიჯანულ სოფლის მეურნეობის ტერმინებს შორის ფიქსირებული აქვს სიტყვა მარგილ, რომელიც ვაზის შეყვანვისათვის იმბარება. ეს სიტყვაც ქართულია. ქართულიდანვეა ნასესხები აზერბაიჯანულში შემდეგი სიტყვები: ჰაჭა, ჰინჭარი, ტაღვარი (ტაღვარი დადასტურებულია ძველ ქართულ ხელნაწერებში) და სხვ.

უძველეს ქართველ ტომებს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ მეტალურგიული ინდუსტრიის განვითარებაში.

ნ. მარის სიტყვით, ქართველურ ტომებში — მოსოხებში, ხალიბებში, ჰოროხის აუზში უძველეს დროს „აყვავებული იყო მეტალურგიული ინდუსტრია“.

ბევრი საბუთი არსებობს იმის სასარგებლოდ, რომ ქართველი ტომები და მათი წინაპრები საუკეთესო მეტალურგებად ითვლებოდნენ. სულ უკანასკნელ ხანებში გამოირკვა ერთი უაღრესად საყურადღებო ამბავი: შესანიშნავი ბრინჯაოს კულტურა, რომელსაც წინათ კობანის კულტურას ეძახდნენ, ნამდვილად დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის, საკუთარი კულტურა ყოფილა, და რომ ეს კულტურა ვრცელდებოდა თურმე მცირე აზიაშიც. მოსსინიკოვა სპილენძის ხელადი, ტბალების და ხალიბების რკინა და ოქრო სვანეთიდან ცნობილი იყო ჩვენს ერამდე მრავალი საუკუნის წინ კავკასიის მიღმა მდებარე ახლო და შორეულ მხარეებშიც.

ხალიბები იგივე ხალდებია. სტრაბონი ამბობს, რომ ხალიბი ძველი სახელწოდებაა, ხოლო ხალდი — უფრო ახალი. ორივე სახელწოდების დაბოლოება წმინდა ქართულია. ქართველების დღევანდელი სახელი ეტიმოლოგიურად უკავშირდება ხალიბების სახელწოდებას: ქართულ-ელ-ი, შდრ. ხალდუ, ამასთანავე, კარდუ. ესკარდუ — ხალდუ — ქართუ ქვეყანა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, იგივეა, რაც ქალდეა. სვანეთში არის სოფელი ხალდე.

მთელ ანტიკურ სამყაროში ხალიბებს რკინის დნობა-ჩამოსხმის საუკეთესო ოსტატებისა და ფოლადის გამომგონებლების სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი (მაგალითად, ვირგილიუსის ცნობით, „ხალიბები — ტომი პონტოში, რომელმაც რკინა აღმოაჩინა“).

მ. ბლანკენჰორნმა წამოაყენა დებულება, რომ რკინის დამუშავება: ძვ. წ. მესამე ათასწლეულის დამდეგს უნდა დაწყებულიყო და რომ ასეთი აღმოჩენა მსოფლიოს რამდენიმე ადგილას დამოუკიდებლად უნდა მომხდარიყო; მცირე აზიაში რკინის ასეთი აღმოჩენები უნდა ყოფილიყვნენ ტაბალები და ხალიბები.

უძველესი ქართველი ტომების — ტაბალებისა და მუსკების მდენეულობის ხელოვნების ქებას ებრაელებამდისაც მიუღწევია. ბიბლიის პირველი წიგნის ავტორი დარწმუნებულია, რომ მჭედლობა ტაბალების მოსახლეობის მოკონილი ხელობაა.

„ამ ქართველ ტომებს მარტო თავიანთთვის კი არ უყეუებიან მდენეული, ჭურჭელი და იარაღი, არამედ ისეთ შორეულ ქვეყნებშიც კი მიჰქონდათ ხოლმე გასაყიდად, როგორც იყო ტვიროსი. მრეწველობასთან ერთად, მაშასადამე, ალებ-მიცემობაც გავრცელებული და დაწინაურებული ყოფილა. ხალიბებისა და ტაბალების სპილენძისა და რკინის ნაწარმოები საბერძნეთშიც განთქმული ყოფილა. იქ ხმა დადიოდა კიდევ, რომ მისსინიკები რალაც მიწას ურევენ მადანში და ამიტომ გამოდის ასე კარგო... უეჭველია, რომ ქართველ ტომებს მდენეულობის შემუშავებაში საბატიო ღვაწლი მიუძღვის ძველი განათლებული კაცობრიობის წინაშე“ (ივ. ჯავახიშვილი).

საკითხავია: როგორია ქართულად (და ქართველურ ენებზე) მდენეულის სახელები?

ყველა მადნის სახელი ქართული წარმოშობისაა. არც ერთი ნასესხები არ არის რომელიმე ენიდან (გარდა ერთისა). აი, ეს სახელწოდებები: ქართ. ოქრო, მეგრ. ორქო, სვან. ვქრე; ქართ. ვერცხლი, მეგრ. ვარჩხილი, კვარჩხილი, სვან. ვარჩხილ; ქართ. თითბერი, ქართ. სპილენძი, მეგრ. ლინჯი, სვან. სპილენძ; ქართ. რკინა, მეგრ. კინა, ჭანური ერკინა; ქართ. ტყვივი, ტყვია.

ერთადერთი კალა არ არის ქართული წარმოშობისა. იგი წარ-

შოდგება მალაკას ქალაქ კალაპ-იდან, რადგან შუა საუკუნეებში ეს მადანი იქიდან მოჰქონდათ. ძველ ქართულში ეს სიტყვა არ გვხვდება. ძველად ხმარობდნენ სიტყვებს: ბ რ პ ე ნ ი, პ რ პ ე ნ ი.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი თ. შრადერი აღიარებს, რომ მადნების სახელწოდებები სხვა ერებს ქართველი ტომებისაგან შეუთვინებიათ.

ბრინჯაოს ევროპული სახელწოდება წარმომდგარია სპარსული ბ ი რ ი ნ ჯ ი-სგან, ხოლო სპარსული სიტყვა შეთვისებულიაო ქართული ენიდან. ქართ. ს პ ი ლ ე ნ დ ი, როგორც ეს პირველად ნ. მარმა ახსნა, წარმომდგარა ამგვარად; ს პ ი რ ე ნ დ და ნიშნავს სპერის ანუ ისპირის მადანს (სომხურში შესულია ასე: პ ლ ი ნ დ). ეს ეტიმოლოგია გაიზიარეს ივ. ჯავახიშვილმა და სხვებმა.

ბერძენი მწერლებიც ერთხმად აღიარებენ, რომ საუკეთესო სპილენძის ნივთები სწორედ ამ ქვეყნიდან გამოჰქონდათ. ელადაში სპილენძი ცოტა იყო.

თითბერის სახელწოდებები ზოგიერთ ევროპულ ენაში (მაგალითად, გერმანული messing, ანგლოსაქსური mästling, ძველნორმ. messing, პოლონ. mosiandz) მომდინარეობენ მოსსინიკების ტომის სახელწოდებისაგან. მოსსინიკები სწორედ თითბერის ხელობაში იყვნენ განთქმულნი. ამ მადნის მეორე სახელწოდებაც (თ ი თ ბ ე რ ი) ნამდვილი ქართულია და ნიშნავს თ უ თ ფ ე რ ი, ე. ი. მთვარის ფერის მადანს (ქართ. თთუჭ; მეგრულად თუთა ნიშნავს მთვარეს).

ვარაუდობენ, რომ რკინის, განსაკუთრებით ფოლადის მომზადებაც ბერძნებს ქართველი ტომებისაგან შეუსწავლიათ. ეს ჩანს ფოლადის ბერძნული სახელწოდებიდან: ხალფს. ხალიბეის ტომის სახელწოდებიდან არის წარმომდგარი და ნიშნავს „ხალიბურს“.

ამრიგად, უმთავრესი და კაცობრიობის წარმატებისათვის აუცილებლად საჭირო მადნების სახელები ან ქართველი ტომებისაგან არის შეთვისებული ან არა და მათი სატომო სახელწოდებისაგან არის წარმომდგარ. ამით ცხადად მტკიცდება, რომ „ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვით“ (ივ. ჯავახიშვილი).

ეს ეტიმოლოგიები უდავო არ არის. ჩვენ წარმოვადგენთ ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდებს.

ასეთია ზოგადი ცნობები ისტორიულ წარსულში ქართული ენისა და მსოფლიო ენების კონტაქტების შესახებ.

## ქართული სამხედროლოგო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან

ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის აუცილებლობა განსაკუთრებით მეკეთრად ისახება ეგრეთ წოდებულ ადორძინების ხანის ენაში. ეს ხანა ჩვენი ენის განვითარებაში მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია იმდროინდელ სამწერლობო ენაში ფორმათა სიჭრელე, გამოწვეული უმთავრესად ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებით. მართლაც, ამ ეპოქის მხატვრულ ლიტერატურაში მძლავრად იჭრება სხვადასხვა დიალექტური სინამდვილიდან შომდინარე ნაკადი, რაც, ბუნებრივია, თავისებურ დაღს ასვამდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ლიტერატურული ენის ნორმალიზაციას. ასე, არჩილის, თეიმურაზ მეორის, დავით გურამიშვილის სამწერლობო ენის ქსოვილში ხალხური მეტყველების ნიშანდობლივი ფორმები შეზავებულია საერო ლიტერატურის კლასიკური ხანის ლიტერატურულ ნორმებთან. ამ ფორმებს ზოგჯერ სტილისტური დამუშავება და დახვეწა აკლიათ, ისინი ჯერ კიდევ არ ამალღებულან სალიტერატურო ენის დონემდე, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მათი განვითარების გეზი ენის დემოკრატიზაციისაკენ მიემართება.

მეორე მხრივ, დამახასიათებელია უცხოური ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ელემენტების მომძლავრება სალიტერატურო ენაში. სპარსული და თურქული ენებიდან მომდინარე სიტყვებით და გამოთქმებით იესებოდა ქართული ლექსიკონი; ხშირად ისეთი სიტყვებიც იწერებოდა, რომელთა ეკვივალენტი ჩვენს ენას კარგა ხანია ჰქონდა. ეს გარემოება შესაბამის ქართულ სიტყვებს გაჭრობას და სამუდამო დავიწყებას უქადდა, ქართულ სალიტერატურო ენას რომ არ ჰქონოდა დიდი ტრადიცია და შინაგანი წინააღმდეგობა არ გაეწია ისეთი უცხოური ლექსიკური ელემენტებისათვის, რომლებიც ანაგვიანებდნენ ენას და რომელთა დანერგვას ქართული ენის მდიდარი ლექსიკონი არ მოითხოვდა.

ე. წ. ადორძინების ხანის სალიტერატურო ენის საერთო სტრუქტურაში ერთმანეთის გვერდით არსებობენ ურთიერთისაგან მეკეთრად განსხვავებული ენობრივი სტილები. საეკლესიო ენის ტრაფარეტი, არქაული ენით დაწერილი სამეცნიერო თხზულებანი, ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებული ლიტერატურული ნაწარმოებები, ე. წ. საბუთების ენა (რომელიც თავისებურ ადგილს იკავებს იმდროინდელ მწიგნობრულ ენაში). — ყოველივე ეს ხელს უწყობდა სტილების აღრევას და ერთიანი სალიტერატურო ნორმალიზაციის რღვევას.

ამგვარ პირობებში ენის სიწმინდისათვის ზრუნვა აუცილებელი და

ბუნებრივად ნაკარნახევი იყო ერთიანი სამწერლობო ენის გამომუშავების საჭიროებით.

არ არის შემთხვევითი, რომ პირველი არჩილი იყო, რომელმაც ხმა აღიმაღლა ენის უფლებების დასაცავად და გაბედულად გაილაშქრა სალიტერატურო ენის დამახინჯებათა წინააღმდეგ. როგორც ვიცით, არჩილი ახალი ლიტერატურული მოძრაობის მეთაურია, იგი ერთვულ-რეალისტურ თვალსაზრისზე დგას და თანმიმდევრულად იღვწის ქართული ენის სიწმინდისათვის.

არჩილისათვის მიუღებელია, მაგალითად, თეიმურაზის ნარევი სტილი, რომელიც საკმაოდ შეიცავს ბარბარიზმებს. თავის ნაწარმოებში „სამიჯნურონი“ პოეტი საკამათოდ აღიარებს თეიმურაზის მაჭამას, როგორც უცხო პოეტური ენის სამყაროდან შემოსულ ფორმას, „განსაკუთრებით ენობრივი სარჩულის გამო“<sup>1</sup>. გავიხსენოთ ეს ადგილი:

„მკითხველ-მთარგმნელნო, მაჭამას წინ მეც ეს მაპირთმევია,  
ჩემი და ჩემმაგიერად, არვისთვის წამირთმევია;  
მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია;  
ვიცი, შეიტყოთ უცლურად, თუ სიტყვა ამირევია“.

არჩილი არ იზიარებს თეიმურაზის განცხადებას, რომ „მძიმეა ენა ქართველთა“; მას აღელვებს იმავე პოეტის სიტყვები: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“<sup>2</sup>. აკი თეიმურაზი სავსებით აშკარად აღიარებს:

„მე ოდენ ქართულ ენასა მარილად ურთე სპარსული,  
თათრულიც გამირევია, მიქია მათი არსული“.

გავიხსენოთ „გაბაასება“, სადაც არჩილი რუსთაველის პირით ეუბნება თეიმურაზს: „მძიმედ გჩანს ენა ქართველთა, მაშ. ბძანე არაბულითო“.

ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ არჩილი უკიდურესი პურისტი იყოს. არა, მან კარგად იცის, რომ უცხოური ენის ელემენტები არ არის დასაგმობი, რომ ენა ვერ ასცდებდა სხვა ენიდან შემოსულ ლექსიკურ მასალას... ენამ „ბევრი სხვაც უნდა იცოდეს, სრულ არ უზნობდეს ქართულადო“ (ასოთა რვათა გვამისათა, 10, 1—2). უცხოურ ენათა შესწავლა სასარგებლო საქმეა:

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, გვ. 179, 1940.

<sup>2</sup> თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და გ. ჭაქობიას რედაქციით. 1934 (ლეილ-მეჩნუნიათა, 4, 1—2).



„ენა და წიგნი რამდენი ვინც იცის, ესეც იმდენად ჩავადლოთ თვითო ზნეობად, სხვის ქვეყნის ამბავ მოსმენად“.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ენა და ვანაგვიანოთ უცხოური ენის სიტყვებითა და გამოთქმებით, შევრყვნათ ჩვენი ენის ლექსიკონი. აი, მაგალითად, რას ამბობს არჩილი:

„ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიციოდე სხვასავით, მაგრამ ცუდია გარევა ქართულ ენაში სხვას ავით“.

ქართულ მწერლობაში სპარსოფილების წინააღმდეგ ბრძოლაში არჩილს საპატიო ადგილი ეთმობა.

ქართული ლექსიკონის სიწმინდის დაცვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უკვდავი „ქართული ლექსიკონის“ ავტორმა — სულხან-საბა ორბელიანმა.

საბა ბრძოლას უცხადებს „სხვათა ენებიდან“ შემოსულ ისეთ სიტყვებს, რომელთა დამკვიდრება ჩვენს ენაში არ არის გამართლებული. განსაკუთრებით ეს ისეთი სიტყვებია, რომლებსაც ქართული ეკვივალენტი დაეძებნება, და ლექსიკოლოგის ვალია, სათანადო კვალიფიკაცია მისცეს ამ კატეგორიის ლექსიკურ მასალას. ეს აუცილებელია, რათა მკითხველმა იცოდეს, რომელია ქართული და რომელი უცხოური. „სხვათა ენებიდან“ ძალადობის გზით შემოსულ სიტყვებს სულხან-საბა „უხმარს“ უწოდებს, რომ ხელი შეუწყოს მათ განდევნას და მივიწყებული ქართული შესაბამისი სიტყვის დამკვიდრებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი, რომელიც ამჟამად ცნობილია მეცნიერებაში „D რედაქციის“ სახელით<sup>1</sup>. ენის სიწმინდისათვის ბრძოლა კარგად არის ასახული, მაგალითად, შემდეგს განმარტებებში:

**ქარავანი** — ესე ქარავანი არაბთა ენაა, ჟამთა ვითარებით შემოდებულია, ქართულად მოგზაური ეწოდების (D).

**ქაფი** — ესე ქაფი თათართა ენაა, ჟამთა ვითარებით ვიტყვი, ხოლო ქართულად უწოდ პერსა (D).

**ლეში** — სომხურია და უწმარი, ქართულად მძორი ჰქვიან (C).

**ფიჭრი** — არაბულია, გულისთქმას უხმობენ, უწმარად ვიტყვი, ქართველნი (D).

**ფოხალი** — ქართული არაა და უწმარცა (D).

სულხან-საბა ნამდვილ, ძირეულ ქართულ სიტყვებს ხალხში ეძებს

<sup>1</sup> ე. მეტრეველმა გამოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევა ამ რედაქციის თაობაზე: ე. მეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის უძველესი ავტოგრაფი (აკად. ს. ჭანაშვიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შრომები, XIX-B. 1956).

და არაიშვიათად ლექსიკონში სინონიმებზედაც მიუთითებს ამა თუ იმ დიალექტური წყაროს ჩვენებით. მაგალითად:

ოჯიჯი — ბადე მეგრულად.

დაკავებას უხმობენ გურიელნი დაჭერას.

შენასა კახნი ტავარსა უწოდებენ, და მრ. სხვა.

D ნ უ ს ხ ა შ ი სიტყვა ისრ-ის განმარტების ერთ-ერთ მინაწერში, ისრის განმარტებაში თავმოყრილია ბერძნულ, ყივჩაღურ და ქართულ სასროლ იარაღთა სახელების დიდი მრავალფეროვნება. საბა ხედავს ქართული მასალის სიმდიდრეს და ამბობს: „ამისთანაები მე ამისთვის ჩაურთვე, რომ სხვა ენაში არ მოვა და არც იციან“ — იგულისხმება ისრების ქართული სახელები, რომლებიც საბას დიდი გულმოდგინებით შეუყრებია.

განსაკუთრებით მწვავედ ქართული ენის სიწმინდის საკითხები დაისვა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, 60-იანი წლებიდან. როგორც ვიცით, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დიდი გარდატეხა მოხდა სალიტერატურო ქართულის განვითარების ისტორიაში, ჩატარდა ორთოგრაფიის რეფორმები, საბოლოოდ უკუგდებული იქნა არქაიზებული ენის (resp. ანტონისეული გრამატიკის) ნორმები, თეორიულად დასაბუთდა ახალი ქართული უფლებანი, ენა დაადგა სრული დეშოკრატიზაციის გზას, ფართო პერსპექტივები გადაიშალა საერთაეროვნული ენის გაფურჩქვნა-განვითარებისათვის, მწიგნობრულ ენაში ამოტივტივდა საუკუნეთა მანძილზე ქართულ ხალხურ მეტყველებაში არსებული გრამატიკული ფორმები და ლექსიკური ელემენტები.

ქართულ მწერლობაში ბრძოლამ სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის განსაკუთრებით თავი იჩინა 80—90-იან წლებში. უნდა გარკვეულიყო სამწერლობო ენის საორიენტაციო დიალექტების საკითხი, არქაიზმებთან ურთიერთობა, მოსაგვარებელი იყო სალიტერატურო ენის კონკრეტული საკითხები — ლიტერატურული ნორმების პრაქტიკული საკითხები და სხვა.

რა საენათმეცნიერო მეთოდს იმარჯვებდნენ სალიტერატურო ენის იმდროინდელი თეორეტიკოსები ლიტერატურული ნორმების დადგენის დროს?

ისინი ეყრდნობოდნენ უმთავრესად კეთილხმოვანების (ეეფონიის) პრინციპს, რომელიც მეტნაკლები თანმიმდევრობით გამოიყენებოდა გრამატიკული მოვლენების შერჩევისას ნორმების დამდგენი სპეციალისტების მიერ.

ესა თუ ის ენობრივი მოვლენები უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად არ ეწოთირება იგი ყურს, რამდენად კეთილხმოვანია, საამო მოსასმენი, — აი კრიტერიუმი, რომლითაც უნდა უარყვოთ ერ-

თი გრამატიკული ნორმა და უპირატესობა მიეცეთ მეორეს! ცნობილ-  
მა გრამატიკოსმა სილოვან ხუნდაძემ, რომელიც მეთოდური თანმიმ-  
დევრობით ახორციელებდა ამ პრინციპს, ასე განსაზღვრა ევფონია  
;გრამატიკაში: „... ყოველს კულტურული ერის სალიტერატურო ენაში  
კეთილზმოვნებას, როგორც მუსიკაში ჰარმონიას, მცირე ადგილი არ  
უჭირავს, და თუ რომ განვითარებულ მსმენელს კი აქვს ნება რომე-  
ლომე მუსიკალური თუ სასიმღერო ჰანგი ჰარმონიულათ ან დისჰარ-  
მონიულათ აღიაროს, ენის მკვლევარსაც ვერავინ დაუშლის, მეცნი-  
ერულ დასაბუთებასთან ერთად, კეთილზმოვანობაც იმოწმოს“ (ქართ.  
მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, გვ. 5. ქუთაისი,  
1927).

თავის ცნობილ წიგნში „სალიტერატურო ქართული“, რომელიც  
1901 წელს გამოვიდა, სილოვან ხუნდაძემ მკვეთრად ჩამოაყალიბა ევ-  
ფონიის საფუძვლზე დადგენილი ენობრივი ნორმები. კეთილზმოვა-  
ნება გრამატიკაში უნივერსალურ მეთოდად დასაბა. ასე, მაგალითად,  
ენა ცდილობს „გააადვილოს გამოთქმა“ სიტყვებში ბრძანება, გრძელი,  
გაზრდა და ამიტომ უნდა დაეკანონოთ ბძანება, გძელი... (გვ. 102—  
103). „მ ე ტ ა თ უ ს ი ა მ ო ვ ნ ო მ ო ს ა ს მ ე ნ ი ა ახლანდელ მწერ-  
ლობაში ძველებური ფორმა ბრუნვებში: „საქმისა კაცისასა, საქმე-  
სა კაცისასა, საქმითა კაცისათა“; ამიტომ უნდა ვთქვათ:  
კ ა ც ი ს ს ა ქ მ ე ს, და ა. შ. (გვ. 113).

კეთილზმოვანება ერთ-ერთ პრინციპად ჰქონდა მიჩნეული სერ.  
გორგაძეს გრამატიკული მოვლენების დადგენის დროს (ქართული  
მართლწერა, 1916. ქუთაისი).

კეთილზმოვანების საფუძვლზე არჩევდა მთელ რიგ გრამატიკულ  
ნორმებს აკაკი წერეთელი. ასე, მაგალითად, იაკობ გოგებაშვილთან  
პოლემიკის დროს აკაკი აღნიშნავდა („არ ცოდნა არ ცოდეა“,  
იხ. „კვალი“; 1894, № 30), რომ სიტყვათა შეხამებაში „თავის დღე-  
ში“ ორ „ს“-ს (თავისს) არ ვხმარობ, რადგან ამას კეთილზმოვანება  
მოითხოვს.

იაკობ გოგებაშვილი ზმნის ფორმას „ვლიარე“ უპირატესობას აძ-  
ლევდა „აღვიარე“-სთან შეპირისპირებით იმის გამო. რომ ეს უკანას-  
კნელი „უფრო ძნელი გამოსათქმელია“ („ივერია“, 1894, № 170).  
ქართულ ენას გოგებაშვილი კეთილზმოვანების თვალსაზრისით ერთ-  
ერთ საუკეთესო ენად მიიჩნევდა, „ნაზხმიანი“ ბგერები (გ, ჰ, თ, ფ,  
ქ, ძ) გვაქვს, გარდა ორი ბგერისაო (ყ, ჭ).

კეთილზმოვანება სუბიექტური მეთოდია და მისი გამოყენება გრა-  
მატიკული მოვლენების ანალიზისას შეუწყნარებელია. ის, რაც ერთს  
კეთილზმოვანად მიაჩნია, მეორისთვის იგი შესაძლოა არ იყოს კეთილ-  
ზმოვანი; მით უმეტეს, ეს მიდგომა გასაგებია, როდესაც საქმე გვაქვს

სხვადასხვა დიალექტთან. ევფონია გამართლებულია პოეტური ენისათვის, — ფონეტიკურ მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენები კი ობიექტური საზომით უნდა იქნეს შეფასებული.

1895 წელს პეტრე ჭარაიამ „მოამბეში“ (№ IX) გამოაქვეყნა ძალიან საინტერესო წერილი „ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლწერა“, სადაც სასტიკად გაილაშქრა კეთილზმომჯობის, როგორც სუბიექტური მეთოდის, წინააღმდეგ. ენის განვითარება არ მიიშართება ევფონიის მოთხოვნილებათა მიხედვით, ეს არ არის მეცნიერული ცნებაო, — სავსებით სამართლიანად დაასკვნა იმდროინდელი ცნობილი ქართველი ლინგვისტი.

გავეცნოთ ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიას ცალკეული საკითხების მიხედვით.

ჯერ უნდა გაირკვეს ხალხურ მეტყველებასთან მიმართების საკითხები.

### სალიტერატურო ენის საორიენტაციო დიალექტები

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლებში ახალ სიბრტყეზე დაისვა სალიტერატურო ქართულის საორიენტაციო დიალექტების საკითხი. თუ წინათ უცილობელი იყო, რომ ერთადერთი ქართულია, რომელიც ესაფუძვლება სალიტერატურო ენას, ახლა ამ დებულებას გარკვეული კორექტივი ესაპირობებო, ამბობენ ენის იმდროინდელი თეორეტიკოსები. რაკი სალიტერატურო ენაში უხვად შემოიჭრა სხვა დიალექტების ელემენტები, რაკი ქართულ კილოს გვერდში ამოუდგა სხვა კილოები, საკითხი სხვა სიბრტყეზე უნდა დაისვასო. განსაკუთრებით ფართოდ გაეღო სამწერლობო ენის კარები დასავლურ დიალექტებს; რაზიკაშვილებმა, ნამეტურ ვაჟა ფშაველამ, მთის მეტყველების ფორმებს ფართო გასაქანი მისცეს მწიგნობრულ ენაში.

იმერულის (და საერთოდ ქართული ენის დასავლური განშტოების) სალიტერატურო შემოტანის აუცილებლობა მწერლობის ენაში თითქმის ერთხმად აღიარებულია იმდროინდელი გრამატიკოსების მიერ, იმერულისა, რომელიც ისტორიულად შეზღუდული იყო ამ თვალსაზრისით. ასე, მაგალითად, იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის ითვალისწინებდა დასავლური კილოების მასალას თავის უკვდავ სახელმძღვანელოებში და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ, მართალია, ეს კილოები საფუძვლად არ დასდებია ჩვენს სამწერლობო ენას, მაგრამ საერთოეროვნული ენის ფორმირებაში დასავლური განშტოების ქართულ ენას საპატიო ადგილი უნდა დაეთმოსო. წერილში „უმეცრების ამაცობა“ (ეურნ. „ივერია“, 1881, № VI) ჩვენი დიდი პედაგოგი ამბობს:

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იხმარებიან იმისთანა გამოთქმანი, რომელიც ზედ გამოჰკრილნი არიან საგანზედ, აზრზედ და რომელიც იშვიათად იხმარებიან დანარჩენს კუთხეში. პირველსაკითხმა წიგნმა უნდა გაავრცელოს ეს მოხერხებული გამოთქმანი მთელს საქართველოში და გამარჯვება დაუმკვიდროს მათ არსებითს ბრძოლაში...“

ი. გოგებაშვილმა კარგად იცის, რომ შესაძლოა იმერულ დიალექტში შეგხვდეს ისეთი სიტყვა-გამოთქმა, რომელსაც უპირატესობა მიენიჭება შესაბამის ქართულ ფორმასთან შედარებით. მაგალითად, „იმერეთში ამბობენ: „შენი წიგნი იქ დავტოვე, ქართლში იტყვიან: შენი წიგნი იქ დავადდე. პირველი სიტყვა... სჯობს ამ შემთხვევაში ქართულ სიტყვასა, რომელიც ორაზროვანია“ (იქვე). ი. გოგებაშვილს ასეთი მაგალითი დასავლური კილოებიდან ბევრი სხვაც დაუმოწმებია.

სალიტერატურო ქართულის გამდიდრების საწინდრად მიაჩნია ალ. ხახანაშვილსაც სხვადასხვა დიალექტიდან ზომიერად შერჩეული და შემოტანილი ფორმები და ლექსიკური ერთეულები („ქართული სამწერლო ენა“. „ივერია“, 1901, № 82). ავტორი დადებით მოვლენად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ „ვაჟა-ფშაველამ ძმებითურთ და ყაზბეგმა შემოიტანეს ლიტერატურაში მთაში დარჩენილი სიტყვები და ფორმები“. ამავე წერილში ნათქვამია, რომ დავით კლდიაშვილმა ბევრი საინტერესო მასალა შესძინეს სამწერლო ენას. მაგალითად, ნინოშვილი გვაძლევს ძვირფას მასალას ჩვენი კილოების შესასწავლადო. ავტორი დასძენს, რომ კილოური ელემენტების „შეტანა სალიტერატურო ენაში უნდა მოხდეს სიფრთხილით, მაგრამ აუცილებლად“, რადგან „მწერლობის განვითარება თხოულობს“ ამასო.

ამავე სიმკვეთრით იმერული კილოს მონაცემების გამოყენებაზე უფრო ადრე ლაპარაკობდა ცნობილი გრამატიკოსი სილოვან ხუნდაძე. წერილში „გაზეთი „ივერია“ და მისი ენა“ („თეატრი“, 1886, № 13, 14). ავტორისათვის ამოსავალია დებულება: „ლიტერატურული ენა უნდა იყოს შეზავებული ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის მშვენიერი ფორმებისგან და სიტყვებისაგან“. ავტორი ამბობს, „იმერულ კილოს (იგულისხმება ქართლური — შ. ძ.) მეტი ადგილი სჭერია და უნდა ეჭიროს ჩვენს ლიტერატურულ ენაში, მანამ იმერულს, მაგრამ იმერული კილო, იმერული ელემენტი ისე აუცილებელია... როგორც თევზისათვის წყალი... იმერული კილო ამსუბუქებს ჩვენს ენას, აკეკლუცებს მას და პოეტურ სილამაზეს აძლევს“.

წიგნში „სალიტერატურო ქართული“ (1901, ქუთაისი) სილ. ხუნდაძე უფრო განზოგადებულად ლაპარაკობს: „ქართველი ლიტერატორი რომელიმე ერთი კუთხის ენით არ უნდა ხელმძღვანელობდეს, არა-

მედ საქართველოს ყოველი კუთხის ენას უნდა აქცევდეს ყურადღებას...“ (გვ. VI—VII).

1911 წელს სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ „განათლებაში“ ცხოველი კამათი გაიმართა იმის თაობაზე, თუ რა ფორმები უნდა დავამკვიდროთ სალიტერატურო ენაში.

დისკუსიის საბაზი იყო 1911 წელს ქუთაისში გამოცემული „ქართული მართლწერა“. „განათლების“ მერვე ნომერში დაიბეჭდა გრიგოლ ყიფშიძის ბიბლიოგრაფიული წერილი, სადაც დადებით მხარეებთან ერთად აღინიშნა წიგნის მცდარი დებულებები. გრ. ყიფშიძე მკაცრად აკრიტიკებს ამ პროექტში მიღებულ ზოგიერთ ნორმას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ქართული კილოს მონაცემებს და ზოგორც გაუმართლებელ იმერულ ფორმას, მას არ შეიწყნარებსო ლიტერატურის ენა. როგორ უნდა გვესმოდეს, ავტორის აზრით, ქართული სალიტერატურო ენის მიმართება დიალექტებთან?

„ქართლის კილოსა და ლაპარაკს უნდა დავუგდოთ ყური“, — ამ თვალსაზრისით არის დაწერილი ყიფშიძის წერილი. მკაცრი იყო ავტორის დასკვნა: „თუ ქართლის კილოს აღვიარებთ სალიტერატურო ენის ქვა-კუთხედად, რაიცა აუცილებელია პროგრესისა და კულტურის ინტერესებისათვის, მაშინ ზემოხსენებულ წიგნაკში (იგულისხმება „ქართული მართლწერა“ — შ. ძ.) ბევრი უნდა მივიჩნიოთ წყლის ნაყვად და უსაქმურის კაცის ჩხირკედლაობად“ (გვ. 500). არ არის დავიწყებული წიგნის დადებითი მხარეებიც: წიგნაკში ბევრი მართალი შენიშვნაც არისო.

გრ. ყიფშიძის სტატიას გამოეხმაურა სილ. ხუნდაძე. მისი წერილი სათაურით „ქართული თუ ქართლური“ იმავე წელს გამოქვეყნდა გაზ. „კოლხიდაში“. იგი მცირე შემოკლებით გადმობეჭდეს „განათლებაში“ (1911, № IX).

სილ. ხუნდაძე იცავს „ქართული მართლწერის“ ნორმებს. მაგ., უნდა დავაკანონოთო „კეთილ კაცს“, „კეთილი კაცის“, „მოვიდენ“ და არა ყიფშიძის პროექტი — „კეთილს კაცს“, „კეთილის კაცის“, „მოვიდენ“ და მისთანანი. ხუნდაძე არ უარყოფს, რომ ქართლური სალიტერატურო ენის ფუძე დიალექტია. მართალია, „ქართლის ენის საძირკეობას ჩვენ არ უარყოფთ, — ამბობს ავტორი, — ხოლო კედლებისა და საზოგადოთ ენის შენობის სილაშხის შემოქმედებაში სრული ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს, მაგალითად, იმერულმა“ (გვ. 529; ხაზი ავტორისა).

სხვა ადგილას უფრო კატეგორიულად არის გამოთქმული სილ. ხუნდაძის თვალსაზრისი: „სალიტერატურო ენისათვის მარტო-მარტო არც ქართლის ენა გამოდგება, არც კახეთისა, არც იმერეთისა და არც

სხვა კუთხის. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: სალიტერატურო ენის შექმნაში მონაწილეობას უნდა იღებდეს მთელი ხ ა ლ ხ ი, მთელი ერი, და არა რომელიმე ერთი კუთხე, რადგან ზოგიერთი ტერმინი ან ფორმა ერთი კუთხისაა აზრიანი და კეთილზმომადგენელი, ზოგი კი შერბილული კუთხისა (ხაზი ჩემია — შ. ძ.). ხ ა ლ ხ ი ს შემოქმედება, მართლაც ერთ კუთხეში კი არ ამოძრავებს ადამიანის ნიჭს, არამედ ყოველ კუნძულში“ (ხაზი ავტორისაა). და თუ ზოგჯერ იმერულში აღმოჩნდება სალიტერატურო ენისათვის მისაღები ფორმა ან სიტყვა-გამოთქმა, არ იქნება სწორი, ვთქვათ, „ეს იმერულია და ამიტომ არ მინდა მივიღო“ (529). სანიმუშოდ დასახელებულია მქვია, მშია, მწყურია ტიპის ფორმები (ესენი დასავლეთში იხმარება, მქვიან... უარსაყოფელია).

ყურნალის იმავე ნომერში დაიბეჭდა გრ. ყიფშიძის „პასუხად ბ-ნ ხუნდაძეს“, სადაც ნათქვამია: „ჩვენ სრულიადაც ათვალწუნებით არ ვეკიდებით ამ კილოებს (იგულისხმება დასავლური კილოები — შ. ძ.). როგორც იქნებ ბ-ნ სილოვანს ეგონოს; პირიქით, დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ და დიდის სიხარულითა და აღტაცებით ვეწაფებითო!..“ დამოწმებულია დ. კლდიაშვილისა და ეგნ. ნინოშვილის შესანიშნავი ნაწარმოებები, სადაც გამოვლენილია ბევრი საყურადღებო კილოური მოვლენა, ღირსი ლიტერატურული კანონიზაციისა. ასევე ესარჩლება ავტორი, ფშაურ კილოს, რომლის საღი ფორმები და ლექსიკური ერთეულები გვხვდება ვაჟასა და ბაჩანას ნაწერებში (გვ. 565).

გრ. ყიფშიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ლაზურ-მეგრულსა და სვანურს საზოგადო ქართული ენის ისტორიული განვითარების შესწავლისათვის: „ლაზურ-მეგრული და სვანური შუქსა ჰფენს ჩვენის საერთო და საზოგადო ქართულის იმ პერიოდს, როცა ჯერ ჩვენის ერის ისტორია არც კი დაწყებულიყო: ბევრი ძირი და ფესვი ჩვენის სიტყვებისა, აწ უკვე გაუგებარი, შესაძლოა მივიკვლიოთ ამ იდიომების შესწავლითაო“, საესებით სამართლიანად აღნიშნავდა გრ. ყიფშიძე (გვ. 565).

ამ შემთხვევაში ჩვენთვის ძალიან საყურადღებოა ის გარემოება, რომ ავტორი მეგრულ-ჭანურ-სვანურის მონაცემებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურის შესწავლის თვალსაზრისით. მოვუსმინოთ მას: „... ლაზური, მეგრული, სვანური დიდის ყურადღებისა და შესწავლისა და კვლევა-ძიების ღირსად მიგვაჩნია. მაგ., იდიომების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენის საერთო, სალიტერატურო ენის ბუნებისა და აგებულების შესწავლის საქმეში...“ (გვ. 565). სწორი დასკვნაა.

ეს ვრცელი ციტატები იმიტომ დავიმოწმეთ, რომ გვეჩვენებინა,

რა სალი შეხედულებები იყო გამოთქმული ქართული ენის შესახებ ჩვენი ენის ცნობილი გუშაგების მიერ.

გრ. ყიფშიძე თავისი დებულების საილუსტრაციოდ ასახელებს საინტერესო მაგალითებს. გვაქვს სიტყვა ჩაქინდვრა თავისა („რას ჩავექინდრავს თავი?“). ქართლელი ამ სიტყვას ხმარობს, მაგრამ არ ესმის მისი თავდაპირველი შინაარსი, „აბა იმერელი მწერლისათვის“ ეს გამოთქმა ბუნდოვანიაო. სამაგიეროდ, იმერულში გვაქვს, — განაგრძობს ყ ი ფ შ ი ძ ე, — სიტყვა ქინდრი, რომელიც ნიშნავს კეფას, კისერს, ქედს. აი, ასე ამდიდრებს, კერძოდ, იმერული ჩვენს ენასო (გვ. 566).

კიდევ ერთი მაგალითი:

გრ. ყიფშიძე ამბობს, რომ ქართულში არის სიტყვა ჭიხური. ამ სიტყვის „ძირი და მისი პირვანდელი აზრი ძნელად მისახვედრია, რადგან მისი შეგნება ქართლელს აღარ აქვს“ (გვ. 566), მაგრამ მეგრულად ჭიხა ნიშნავს ციხეს, კოშკს და არის სოფელი ჭიხაიშიო, დასძენს ავტორი.

პეტრე მირიანაშვილი თავის წერილში „საერო ენა და სათემო კილო“ (გაზ. „ივერია“, 1888, № 166) თანამედროვე სალიტერატურო ენის საყრდენ კილოდ მესხურ მეტყველებას აღიარებს. ავტორი იმუშავებს ქართული სალიტერატურო ენის ძველ საფეხურებს და აღნიშნავს, რომ სამხრეთ საქართველოს მეტყველებამ უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი სამწერლობო ენის ისტორიაში. მირიანაშვილმა ბრძოლა გამოუცხადა რაზიკაშვილების მიერ შემოტანილ ფშაურ ფორმებს სალიტერატურო ენაში.

3. მირიანაშვილის შეხედულებას აკრიტიკებს ნიკო ურბნელი (ნ. ხიზანიშვილი) თავის წერილში „მესხური კილო და მისი მოსარჩლე“, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“ 1888 წელს (№ 205).

ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველამ სალიტერატურო ენის საორიენტაციო დიალექტად ფშაური კილოც აღიარა<sup>1</sup>.

ზემოთქმულიდან გასაგებია, თუ რა სიბრტყეზე ისმებოდა დიალექტიზმებისადმი ახალი ქართული სალიტერატურო ენის მიმართების საკითხი. ისტორიულად სამწერლობო ენის განვითარებაში მეტ-ნაკლებად რამდენიმე ქართული დიალექტი იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ფუძედიალექტს ქართლური წარმოადგენდა. სხვა კილოების მონაწილეობა წიგნის ენის ფორმირებაში ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა ახალი სალიტერატურო ენის ფორმირებისას. ჩვენი სალიტერატურო ენის თეორეტიკოსები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ლიტერატურულმა ენამ მთელი სისავსით უნდა შეისრუტოს მრავალფეროვანი ქართუ-

<sup>1</sup> დაწვრილებით ეს საკითხი განხილულია ჩემს წერილში: „ვაჟა-ფშაველას ენის პრობლემა“.



ლი დიალექტური ელემენტები, რომლებიც დედაენის საერთო სტრუქტურის თვალსაზრისით გამართლებულია.

ასე განისაზღვრა ჩვენი ენის გეზი და მიმართულება.

პაე და სანი ზმნაში

ჰ და ს პრეფიქსების საკითხი დაუსრულებელ დავას იწვევდა ყოველთვის. ზოგიერთი გრამატიკოსი ამ ნიშნებს ზმნაში ზედმეტად მიიჩნევდა, ზოგიერთი კი მათ ხელშეუხებლობას აღიარებდა.

აქ აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი:

როდესაც მსჯელობდნენ ჰ და ს ნიშნების თაობაზე, ყურადღებას არ აქცევდნენ მათი გამოყენების მორფოლოგიურ წესს, — საკითხი განიხილებოდა მხოლოდ და მხოლოდ ფონეტიკის თვალსაზრისით. სხვანაირად რომ ვთქვათ, იმას კი არ ამბობდნენ, გარკვეული კატეგორიის ზმნებში ჰ-ს ვიხმართო და გარკვეული კატეგორიის ზმნებში არაო, არამედ მარტივად აყენებდნენ საკითხს: ან ყოველ ზმნასთან, ან არც ერთთან!

ძველ ქართულ ლიტერატურულ ენაში კი, როგორც ცნობილია, გარკვეული კანონზომიერება იყო დაკული: მეორე პირის სუბიექტურ ნიშნად, მაგალითად, ჰ, ს (იყო სხვა ნიშნებიც) თხრობით კილოში იხმარებოდა, ბრძანებითში — არა. ასე, ჰპოვე-ც იხმარებოდა, პოვე-ც; სწერე-ც და წერე-ც იმისდა მიხედვით, თუ რა როლს ასრულებდნენ წინადადებაში. ასევე: მესამე ობიექტურ ნიშნად ჰ, ს (იყო სხვა ნიშნებიც) ისეთ ზმნას მოუდიოდა, რომელიც ირიბობიექტიანი იყო. ამიტომ: იხმარებოდა კლა (და არა ჰკლა), მაგრამ: ჰკითხა (და არა კითხა); იხმარებოდა წერს (საერთოდ — წერილს, და არა სწერს), მაგრამ: სწერს (წერილს მას). ასეთი მორფოლოგიური გარჩევა ზმნებისა წაშლილი იყო მე-19 საუკუნის ენაში. ძველი ქართულის ამ კანონზომიერებას სალიტერატურო ენის თეორეტიკოსები არ ითვალისწინებდნენ და ეს ნიშნები ან სულ არ ვიხმართო, ან ყველგან ვიხმართო, — ასე ფიქრობდნენ.

ჰაეს წინააღმდეგ თავგამოდებით იბრძოდა სილ. ხუნდაძე როგორც თავის ცნობილ „ქართულ გრამატიკაში“ და გამოკვლევაში „სალიტერატურო ქართული“, აგრეთვე პოლემიკურ წერილებში, რომლებიც ქვეყნდებოდა 90-იანი წლების ქართული პრესის ფურცლებზე. ჯერ კიდევ 1889 წელს („ივერია“, № 12, 14, 15) სილ. ხუნდაძე აკრიტიკებდა არ. ქუთათელაძის „ქართულ გრამატიკას“ და მიუთითებდა, რომ ჰ უნდა განიდევნოს როგორც ზმნებიდან, ისე ჰაზრი სიტყვიდანო. იმავე წელს გაზეთში („ივერია“, № 40) არ. ქუთათელაძემ არ გაიზიარა ხუნდაძის მოთხოვნები და ჰაეს ხმარების აუცილებლობა იმით დაასაბუთა, რომ ჰ-ს ხმარობენ რუსთაველი, საბა, გურამიშვილი, 12. შ. ძიძიგური

ილია, აკაკი, რ. ერისთავი; აკაკი ჰაზრი სიტყვასაც ხმარობსო. „პასუხის პასუხში“ სილ. ხუნდაძემ („ივერია“, № 93) უფრო გაამახვილა ყურადღება მის მიერ წამოჭრილ საკითხზე: 1. არც ერთ ძირეულად ქართულ სიტყვაში ჰ არა გვაქვსო, ამბობდა ავტორი, ჰაერი, ჰავა, ჰუნე, ჰუბუტი — ნასესხები სიტყვებია და არის შემთხვევითი, რომ ხალხში ავა, აერი იხმარებო. აქედან: 2. ზმნაშიც „ხორცმეტია“ ჰ იგი ისევეა გასაღვენი, როგორც ვ, მ, ა... .

პრეფიქსების საკითხს გამოეხმაურა იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც „გიორგიძის“ ფსევდონიმით „ივერიაში“ მოათავსა წერილი — „ქართული ენა და სილოვანი“ (1894, № 47). ავტორი ამბობს, რომ ჰქონია-ს თუ ჰ ჩამოვაცალეთ, ქონია გამოვა, ე. ი. „ქონი არისო“. უმთავრესად აკრიტიკებს მიცა ფორმას. მისცა იხმარება ძველ ენაში, ქართლურ-მესხურ დიალექტებში, მიცა-ს არც იმერული უქერს მხარსო, უფრო ვრცლად ჩერდება იაკობი მიცა ფორმაზე წერილში: „ენის მკვეცელებს“ („ივერია“, 1894, № 139).

ჰაე—სანის პრობლემას იაკობ გოგებაშვილი არსებითად წყვეტს იმის მიხედვით, რომ ამ ნიშნების უხმარებლობა ორაზროვნებას ქმნის, რასაც, ავტორის აზრით, ენა თავს უნდა აღწევდეს.

წერილში „ორ-აზროვანი კილო ჩვენს პრესაში“ („ივერია“, 1894) იაკობი აკრიტიკებს „კვალს“, რომელიც „ამჯობინებს ორ-აზროვან ფორმებსა და ცთილობს გაამეფოს ამრევ-დამრევი კილო“. ავტორის აზრთა განვითარება ასეთია: ვთქვათ, ზმნები „ცთილობს, ცხოვრობს“ მოითმენენ უპრეფიქსობას, მაგრამ როგორღა გაეარჩიოთ ერთმანეთისგან ასეთი ფორმები: „ბავშვს მიძინებია“ — „მე ბავშვი მიძინებია“, „შედგა ბოთლი“ — „შედგა იგი“, „გადგა სურა განზე“ — „გადგა თვითონ განზე“ და სხვა. პირველ შემთხვევაში უნდა იყოსო: მისძინებია, შესდგა, გასდგა... ანდა: სიტყვაში „ჰყავის“ ჰ რომ ჩამოვაშოროთ (ყავის), მივიღებთ სიტყვის — „ყავის“ ნათესაობით ბრუნვას; „შეკრა ძნა“ — „შეკრა გამიძნელდა“. უნდა იყოს: „შეჰკრა ძნა“.

სილოვან ხუნდაძემ „კვალის“ ფურცლებზე (1894, № 29) გააკრიტიკა გოგებაშვილი: გრამატიკულ საკითხებს იმის მიხედვით წყვეტს, რომ ორაზროვნება თავიდან ავიციდნოთ, კონტექსტს კი ანგარიშს არ უწევსო!

ჰაესა და სანის საკითხის გარშემო კამათი ატყდა ქურნალ „განათლებლაშიც“.

1911 წელს ქურნალის მეხუთე ნომერში დაიბეჭდა სამ. ცომაიას წერილი სიმონ ქვარიანის ცნობილი წიგნის — „საქართველოს ისტორიის“ თაობაზე. ავტორი მიუთითებს წიგნში გაპარულ ზოგიერთ პროვინციალიზმზე. „მძიმე გრამატიკულ შეცდომად კი ბ. ნ. ს. ქვარიანის „ისტორიაში“ უნდა ჩაითვალოს ჰ-ს განდევნა ხმარებიდან... თავისე-

ბურება ჰ-სი ქართულ ფონეტიკაში ყოველ დაკვირვებით მოაზროვნე ქართველისათვის აშკარაა და ამიტომ მისი განდევნა ალფაბეტიდან... გასაკიცხიაო“, დაასკვნის სამ. ცომიაო (გვ. 302).

სიმონ ქვარიანი თავის საპასუხო წერილში (განათლება“, VIII, 1911) სომხურისა და სპარსულის ზეგავლენით ხსნის ჰ-ს შემორჩენას ჩვენს ენაში. იგი შესაძლებლად მიიჩნევს ამ ბგერის დატოვებას სიტყვაში „ჰაერი“ და შორისდებულებში: აჰა, ჰე, ოჰ, ჰოჰ, ჰერი და ზოგიერთ უცხოურ სიტყვაში, როგორცაა, მაგალითად, ჰაოსი, შაჰაბასი, შაჰი, ჰეინე და სხვა.

ეურნალის იმავე ნომერში გამოქვეყნებულია იმერელის წერილი სათაურით: „განა ჰე ხორცმეტია?“ ავტორს ჰგონია, რომ ძველ ქართულ ტექსტებში (დასახელებულია ნ. მარის მიერ გამოცემული ხანძთელის ცხოვრება) გარკვეულ შემთხვევაში ჰაეს არხმარება „დაუდევრობის ბრალია“ (ან ძველი ავტორების, ან ძველის მეცნიერ-გამომცემელთა), თორემ ეს ასო ყველგან უნდა იყოს დაწერილიო (მაგალითები: ყვეს, ყავ და სხვა). ამ წერილს გამოეხმაურა სილ. ხუნდაძე („განათლება“, X, 1911, გვ. 532—533).

სილ. ხუნდაძემ „სალიტერატურო ქართულში“ (1901) ფართოდ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები ჰაე—სანის ხმარების შესახებ. ავტორი თვლის, რომ ჰ ძველად უცხოური ენების გავლენით შემოუღიათ, ხალხში კი ჰ არ ისმის და მის შემცველ სიტყვებს ასე გამოთქვამს: ხაერი—აერი, ხავა—ავა და სხვა. ძველ მწერლობაშიც ყოველთვის არ იხმარებოდა ჰ; დღევანდელ ქართულშიც ჰ-ს გამოყენებაში სრული არეუ-ღარევაა. რაც შეეხება ს-ს, იგი კეთილზმოვანების თვალსაზრისით უნდა გამოვიყენოთ ზმნებში. მაგ., უნდა იყოს მისცა, გასცა და არა მიცა, გაცა, საჭიროა ეს ბგერა ცხრა თანხმოვნის წინ და ა. შ.

ამრიგად, ხუნდაძე ჰაე—სანის საკითხს კეთილზმოვანების პრინციპის მიხედვით აშუქებს.

### -დენ თუ დენ?

სადავო იყო ამ ტიპის ფორმები: მოვიდნენ — მოვიდენ, იყვნენ — იყვენ.

სილ. ხუნდაძე თავის წერილში ასაბუთებდა, რომ კეთილზმოვანება მოითხოვს დენ, ენ დაბოლოებებს. „სალიტერატურო ქართულში“ ავტორი ვრცლად ეხება ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ ძველ მწერლობაშიაც არააშეიათია გამარტივებული დაბოლოებები დენ, ენ. „ვის-რამიანში“ დნენ სულ არ იხმარება, რამდენიმე მაგალითილა ნენ-ის ხმა-

რებისა, უმეტესად მის ადგილს ეს დაბოლოება იკავებსო (მოვიდეს, ოყენეს...), ასევეა „ვეფხისტყაოსანშიცო“. შემდეგ დამოწმებულია საბას, გურამიშვილის და სხვათა ნაწერები.

იაკობ გოგებაშვილი თავგამოდებით იცავდა დნენ დაბოლოებას („ორ-აზროვანი კილო ჩვენს პრესაში“, 1894, „ბასუხი ბატონს სილოვანს“, 1894 და სხვა). ავტორისათვის ამოსავალი დებულება ისევ და ისევ ორაზროვნებაა, რომელსაც იწვევს გამარტივებული დაბოლოება და რომელიც დასაგმობია ენაში. მაგალითები: „ავიდნენ ისინი ზევით“ — „ავიდნენ მე ბოლსა“, „მოვიდნენ ისინი ჩვენსას“ — „მოვიდნენ მე ოფლსა“, „ადგნენ სტუმრები ზეზე“ — „ადგენ წიგნსა“ და სხვა. მათი გაერთიანება კი გამოიწვევს ორაზროვნებასო, დაასკვნის ავტორი.

ამავე თვალსაზრისს იცავდა გრ. ყიფშიძეც: მასაც სწამდა, რომ დენ დაბოლოების გაბატონება შეიძლება იყოს წყარო გაუგებრობის და ორაზროვნებისა.

სილ. ხუნდაძემ უყრნ. „განათლებაში“ მოთავსებულ წერილში (IX, 1911) ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი თავისთავად სწორ დებულებას, რომ კონტექსტს ენაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: „ისინი წავიდნენ“ — „ცხვირში სისხლს წავიდნენ“ როგორ უნდა გააჩიოთ? — ამბობს სილოვანი, — ძალიან ადვილათ: თუ რომ ცხვირში სისხლის დენა გენატრებათ და ან სიცხე მოგცესთ და ოფლი იდინოთ, მაშინ სისხლის დენასა და ოფლის მოდენაზე ილაპარაკეთ, და თუ წასვლა-წამოსვლაზეა ლაპარაკი, იმედია მიხვდებით, რადგან ამის გაგებას დიდი სიბრძნე არ სჭირდება“.

„აღვიარებ“ თუ „ვალვიარებ“?

„ივერიისა“ და „კვალს“ შორის დიდი კამათი ატყდა ზმნის ფორმების აღვიარებ და ვალვიარებ გამო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, გიორგი წერეთელმა, სილოვან ხუნდაძემ, კოტე დოდაშვილმა, დუტუ მეგრელმა და სხვებმა.

აკაკი წერეთელმა ამ საკითხს მიუძღვნა 3 წერილი, იაკობ გოგებაშვილმა — 10 წერილი 17 ფელეტონად, გიორგი წერეთელმა — 4 წერილი, სილ. ხუნდაძემ — 6 ფელეტონი, ვ. დოდაშვილმა — 7 ფელეტონი, დუტუ მეგრელმა — 1 წერილი.

საკითხი ასე წამოიჭრა: აკაკი წერეთელმა „კვალის“ 1894 წლის 28-ე ნომერში მოათავსა წერილი სათაურით: „ჭრელი ფიქრები“. სადაც შეეხო ი. გოგებაშვილის საბავშვო ზღაპრებს, დაბეჭდილს „ივერიისაში“ (1894, № 137). ზღაპრის შინაარსი ასეთია: ერთი ქვიანი და-

ითანხმებს გუგულს, რომ გალობაში ბულბულს შეეჯიბროს, მოსამართლედ დანიშნეს ვირი. გაიმართება მეჯლისი და შეეჯიბრებიან ერთმანეთს გუგული და ბულბული. ვირი გუგულის სასარგებლოდ გამოიტანს განაჩენს და ასე დაამარცხებს ბულბულს, რომელთანაც მას კერძო ინტერესები აქვს. აკაკის მოჰყავს ზღაპრის შინაარსი და დასძენს: „ერთი წუნი ამ ვირისა ის არის, რომ ქართული არ ჰყოფიდა იმის ნაცვლად, რომ გუგულს უთხრას პირველ მგალობლად „აღვიარებ“, ჩიქორთულად ეუბნება „გალიარებ“.

ამას მოჰყვა იაკობის პასუხი „პაწია სამაგიერო“ („ივერია“, 1894, № 144). აქ აღნიშნულია, რომ აღვიარებ ძველი ფორმაა, გალიარებ — ახალი. ორივე კანონიერია; ამჟამინდელი ფორმა კი დასაკანონებელიაო.

წერილში „არ ცოდნა არ ცოდვა“ („კვალი“, 1894, № 30) აკაკი წერეთელი ამბობს: „ბატონმა დოდაშვილმა, გიორგი წერეთელმა და მე. დავასკვენით პირობა, რომ „კვალისათვის“ კიდევ ერთი განყოფილება მოგვემატებია: ს ა ს წ ო რ - მ ე ტ ყ ვ ე ლ ო და ჩვენს მწერლობაში როცა შევნიშნავდით ურიგო ქართულს, გვემხილებია ხოლმე. პირველი ისარი გატყორცნე და იმ ისარმაც ყურში გაუზუზუნა ბ-ნ იაკობ სიმონიძეს“ (ი. გოგებაშვილს — შ. ძ.). შემდეგ დასძენს, რომ არ გვეგონა, იაკობი იწყენდა ჩვენს შენიშვნასო. პაექრობაში სხვებმაც მიიღეს მონაწილეობა და, ამრიგად, ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ორგანო: „კვალი“ და „ივერია“.

აღვიარებ—ვლიარებ ფორმების გამო გამართულ პაექრობას მოჰყვა იუმორისტული ხასიათის ლექსები როგორც „კვალში“, ისე „ივერიაში“.

„ივერიაში“ (1894 წ.) დაიბეჭდა სახუმარო ფელეტონი, რომელსაც ხელს აწერს „ივანიკა და გოჯასპირი“. როგორც ამჟამად გამორკვეულია. ეს ფსევდონიმი იაკობ გოგებაშვილისაა.

აღვიარო ფორმის უპირატესობის საენათმეცნიერო დასაბუთებასცადა კ. დოდაშვილმა, რომელმაც „კვალში“ (1894 წ.) გამოაქვეყნა რამდენიმე ფელეტონი. ავტორის აზრით, ეს ფორმა საღვთო წერილში გვხვდება; „წინ ჯდომა პირის მაჩვენებლისა უნდა ჩაითვალოს საზოგადო კანონად ქართულის ზმნებისა“ (ვლიარო თუ სწორია, მაშინ კანონიერი იქნება ასეთი ფორმებიც: „ვდააწერ“, ე. ი. დავწერ და მისთანანი). „მკითხველებისათვის მიგვინდია იმათ გასინჯონ, აკაკი თუ ბატონი სიმონიძე (გოგებაშვილი — შ. ძ.) სჭირს ხარს კულსა და შუბლზე აბამს“. ამასთანავე, დოდაშვილი გრამატიკული ცნებების აღრევას უკიყინებს გოგებაშვილს.

ი. გოგებაშვილი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საანალიზო ფორმაში „აღ“ პრეფიქსი (sic!) შეხორცებია ძირს „იარ“, „შენ მე

შადიარებ და არა აღმდარებ, უდიარებია და არა აღუარებია... („ივერია“, 1894, № 144).

გ. წერეთელი მხარს უჭერდა ფორმას — აღვიარო; ძველ ქართულში ვადიარო შეუძლებელი ფორმაა და გოგებაშვილის მიერ დაშოწმებული ადგილი „წმინდა ესტატეს ცხოვრებიდან“ სარწმუნო არ არის, ხელნაწერის დაზიანების ბრალია, როგორც ამას დიმი. ყიფიანიც ადასტურებს. გ. წერეთელი საბინინისეულ ტაქსტს უდარებს წერაკითხვისეულ ხელნაწერს, სადაც არ გვხვდება ვადვიარო („კვალი“, 1894, № 43).

„კვალში“ 1894 წელს დაიბეჭდა სილ. ხუნდაძის წერილი უცნაური სათაურით: „ვინ უნდა გამართოს სადილი?“

„მე ვიყავი მედიატორედ, — ამბობს სილოვანი, — კამათმა გამოარკვია, რომ გოგებაშვილი არ არის მართალი“; რაკი თავიდანვე დაძქმული იყო, რომ წაგებულმა სურამში უნდა გამართოს სადილი, ამიტომ ი. გოგებაშვილი ვალდებულია ეს პირობა შეასრულოს. აგრტორი დასძენს: „მიგვიპატიეოს სადილათ... და ჩვენ ჩვენი მხრით მოლხენას არ მოვაკლებთ: აკაკი შაირებით დაატკობს საზოგადოების სმენას, მე ჩანგურს დავუკრავ და ზედ დავამღერებ ჩვენებურათ — ძველებურათ. დასასრულ ბატონ სიმონიძის (გოგებაშვილის — შ. ძ.) სადღეგრძელოს გიახლებით და ვისურვებთ მის ბედნიერ ცხოვრებას და წარმატებას ქართული ენის საკეთილდღეოთ და ჩემს სიტყვას ასე დავასრულებ:

„ესეც ღმერთმან აღდგერძელოს,  
ვის უღვივის კვლავ იმედო,  
ვის ახარებს, ვის აცოცხლებს  
ქართულ ენის კარგი ბედი,  
ვინ არ ზოგოს იმისათვის  
თვით სიცოცხლე, თვისი მკერდო,  
გაუმარჯოს „აღვიარებ“-ს  
წმინდა ქართულს ალავერდი“.

აღსანიშნავია, რომ აღვიარო—ვადიარო ფორმათა საკითხი დასმულია სალიტერატურო ქართულის ნორმების პროექტში, რომელიც დაიბეჭდა 1921 წელს („სალიტერატურო ქართულისათვის. პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კო-

შიტეტის მიერ“). იქ მიღებულია აღვიარებ, აღვიარე, ნაცვლად ამისა: ვაღიარებ, ვაღიარე (გვ. 25).

ახალ სალიტერატურო ენაში დაკანონებულია ფორმა: ვაღიარე.

### წინადადების კონსტრუქციები, სტილის საკითხები

ენის სიწმინდის დაცვის ინტერესები მოითხოვდა, რომ ყურადღება გამახვილებულიყო ქართული ენის კონსტრუქციებზე, თავ-დან აგვეცდინა სხვა ენების გავლენები წინადადების აგებულებაში, არ დაჩრდილულიყო ქართული ბუნებრივი ფრაზეოლოგიზმები, არ შერყვნილიყო „სული ენისა“.

სალიტერატურო ქართულის თეორეტიკოსები ამ გარემოებასაც აქცევდნენ ყურადღებას.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა დიმიტრი ყიფიანის (ბაქარ ქართლელის) წერილი „უცნაური ნადირობა“, მოთავსებული 1880 წლის ჟურნალ „ივერიაში“ (№ 1). ავტორი აანალიზებს ოცამდე წინადადების კონსტრუქციებს და ასაბუთებს მათს შეუფერებლობას ჩვენი ენის სინტაქსის თვალსაზრისით. გვეცნოთ ზოგიერთ მთვანს:

1. „სიკვდილს მორჩა“, „ხიფათს გადარჩა“. მორჩა ნიშნავს: გაათავა, შეასრულა. უნდა ყოფილიყო: „სიკვდილს გადარჩა (ან გადაურჩა)...“

2. „უფროსთან მუნდერში მივიდა, მერე კი სერთუკში იყო“; „ავადმყოფი მოვლაში ჰსაჭიროებს და მშვიერი საქმელშიო“. დ. ყიფიანი ასეთ შენიშვნას აკეთებს: „ქართველი იტყვის: ალბათ ის მუდრეგი მუნდერი ისეთი რამ ყოფილა, რომ უფროსიცა და უმცროსიც ორნივე შიგ თავსდებოდნენო“. უნდა: „მუნდირით მოვიდა, სურთუკით იყო; ავადმყოფს სჭირდება მოვლა, მშვიერს — საქმელი“ (გვ. 100).

3. „წყლის იქით“, „მთის იქით“, „სახლის უკან“... ასწორებს: „წყლის იქით“, „მთას იქით...“.

4. „სპილო მძღავრი პირუტყვია, ხილის ნაყოფი უყვარს და ხორციელს არა სჭამსო“; ასწორებს: „სპილო ძალოვანია“ (მძღავრი ნიშნავს მედიდურს, ამაცს...); „ხილის ნაყოფი არის მეტისმეტი პლეონაზმი, — ამბობს ყიფიანი, — რადგან ხილი არის ნაყოფი და ნაყოფი არის ხილი“. უნდა ითქვას: „ხის ნაყოფი“.

5. „ვერ დავინახავ, თვალი თუმცა ახილული მქონდესო“. ასწორებს: „ვერ დავინახავ, თვალი თუმცა ახილული მაქვს“.

ავტორი მოუწოდებს მწერლებს, „ნაწილ-ნაწილად“ დაყონ „უშველებელი პერიოდები“, რათა წინადადება უფრო ელასტიური იყოს. იმავე ჟურნალში (№ 9, 1883) მოთავსებულია სარედაქციო წერი-

ლი სათაურით — „ხილად“, სადაც განხილულია რუსული ენის გვე-  
ლენით შემუშავებული წინადადებები. მაგალითი: „ჩვენ არ გარდაე-  
სთვლით (перечислим) ყველა იმ პირობებს“ (გვ. 120). რუსიციზმად  
არის აგრეთვე მიჩნეული პირის ნაცვალსახელების უადგილო და მო-  
ქარბებული ხმარება ქართულში, მაშინ როდესაც ისინი (ნაცვალსა-  
ხელები) თვითონ ზმნაში იგულისხმებიან, ჩვენის ენის გრამატიკულ  
ფორმის წყალობითა“.

წერილში „გაზეთი „ივერია“ და მისი ენა“ („თეატრი“, 1886, № 13,  
14) სილ. ხუნდაძეს მოჰყავს ქართული ენისათვის შეუფერებელი წი-  
ნადადებები, მაგ., „თუ ბოლგარია ან სერბია რუსეთის პოლიტიკის  
მომხრეობას გასწევენ, მაშინ ავსტრია რუსეთის წინაშე მეტად სუსტი  
იქნებოდა“. დროთა შეუთანხმლებობა არისო. ასეთი მაგალითები წე-  
რილში მრავლადაა დასახელებული. იგივე ავტორი ერთ წერილში  
 („კვალი“, 1894, № 20) იწუნებს ილიას ლექსიდან აღვილს: „თვალში  
ცრემლით განებებთ თვალსა“ რუსიციზმიო.

სტილისტური დამახინჩების საინტერესო მაგალითებია დამოწმე-  
ბული თედო სახოკიას წერილში „ქართული ენა“, რომელიც რამდენ-  
იმე ფელეტონად დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში“ 1911 წელს (№ 340,  
343 და სხვა).

წერილში „პასუხად „კვალის“ რაზმსა“ („ივერია“, 1894, № 203)  
ი. გოგებაშვილი ასახელებს ქართული კონსტრუქციების შებლაღვის  
საგულისხმო ნიმუშებს. დავიმოწმოთ ერთი მათგანი: „ამითი მაინც  
მოგეცით მიზეზი ჩემი შეცდომები აღვდგინათ (შეცდომებს განა აღ-  
დგენა უნდათ და არა გამტყუნება?) და კიდევ უფრო დიდი ნათელი  
ძოფეფინებათ ჩვენს (?) ისტორიის წყვილიაღზედ (გამოდის ჩვენი წყვილი-  
ადი ისტორიისა, რომლისა?). თუ სხვა სარგებლობა არა მომიტანია რა,  
თქვენი გენიოსური სტილი მოსაზრება და კვლევა მაინც გამომიწვევია  
თქვენგნით (თქვენი სტილით თქვენგნით გამომიწვევია — ზეთიანი ზე-  
თი გამომიხდია). როგორც მოგეხსენებათ, ქუთაისის ქალაქში (ქუთა-  
ისის სოფელი რომელიდაა?) უნდა აშენდეს სასულიერო სემინარი-  
ისათვის სახლი, რომლის ასაშენებლად (აშენდეს ასაშენებლად?) ჯერ  
ჯერობით ადგილი არ არის გადაწყვეტილი (ადგილი ამოირჩევა და არა  
გადაწყდება) მაგრამ ყოვლად სამღვდელო გაბრიელი და უმრავლესო-  
ბა სამღვდელელებისა კი გადაწყვეტით (აკი გადაწყვეტილი არ არისო?)  
ამბობს (ეპისკოპოსი და სამღვდელელება ამბობს? დამიხედეთ რელაქ-  
ტორის ეტიმოლოგიას) ბაგრატიის ტაძრის გვერდით ძველი ციხის დან-  
გრევას (დანგრევას ამბობს?)... მეათე საუკუნისა და მეთერთმეტე სა-  
უკუნის დამდევს (ორი საუკუნის დამდევს მეფედ ყოფნა? პირჯვარი  
დაიწერეთ) ყოფილ მეფედ მოგვაჩვენაო“.



მოსაწესრიგებელი იყო საერთაშორისო სიტყვების დაწერილობის საკითხებიც.

გაზ. „ივერიამ“ (№ 261, 1903) საგანგებო მეთაური მიუძღვნა ქართულ სალიტერატურო ენაში უცხოური სიტყვების დანერგვასა და გავრცელებას. მეთაურში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო სიტყვები უნდა შემოვიდეს ჩვენს სალიტერატურო ენაში ზომიერად. ამასთანავე, ეს სიტყვები უნდა დაემორჩილოს ქართული ენის ფონეტიკურ სისტემას, „ისე როგორც დედა-ენის გრამატიკა, მისი ბუნება და აგებულება მოითხოვს და უცხო სიტყვების ზომიერი ხმარება ჩვენს ენას ვერას დააკლებს, ვერ შეჰბღალავს, რადგან ყოველი სიტყვა დაეჭვმდებარება დედაენის გრამატიკას, მის დარჯაკში გაივლის და ისე მოიქნება, როგორც ყოველი ქართული სიტყვაა მოქნილი“.

„წერილში რედაქციის მიმართ“ (იქვე) ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ბევრი მწერალი ულაგო ადგილას ხმარობს, როგორც მოეპრიანება, უცხოურ სიტყვებს, მაშინ როდესაც ჩვენს ენას ბლომად მოეპოვება სათანადო სიტყვები და გამოთქმები.

სილ. ხუნდაძის გამოკვლევაში „სალიტერატურო ქართული“ ფართო ადგილი ეთმობა ჩვენს ენაში შემოსულ უცხოურ სიტყვებს (იხ. თავი „უცხო სიტყვების შემოტანა“, გვ. 166). ავტორი მიუთითებს მთელ რიგ დამახინჯებებზე და დაასკენის, რომ „ამ შემთხვევაშიც ენის სიწმინდის დაცვა მწერლობის აუცილებელ მოვალეობას შეადგენს“. ისიც ნათქვამია, რომ ძველად ჩვენს ენაში დაინერგა ბევრი არასაკირო უცხოური სიტყვა, რომელთაც განდევნეს ადგილობრივი ლექსიკური ერთეულები (გვ. 167). დასასრულ, სილ. ხუნდაძე ილაშქრებს ზოგიერთი უცხოური სიტყვის გადმოქართულების წინააღმდეგ. მაგალითად, შეუწყნარებელია რუსული „სამოვარი“ ვთარგმნოთ („თვითმადულებელი“).

### მთავრულები

როგორც ვიცით, დღევანდელ წერაში (ე. ი. მხედრულ დამწერლობაში) სტრიქონის პირველი სიტყვა, ერთი მხრით, და საკუთარი სახელები, მეორე მხრით, მთავრული ასოებით არ იწყება, როგორც ეს, მაგალითად, რუსულ და სხვა ევროპულ ენებშია მიღებული.

მე-19 საუკუნეში დაისვა საკითხი, რომ ქართულშიც შემოეღოთ მთავრული ასოები.

ჯერ კიდევ დიმიტრი ყიფიანი ამბობდა: „რატომ ასომთავრულებს

აღარა ვხმარობთ?.. ევროპული ქრისტიანული მართლწერა გეთაკილებათ, თუ უფრო თათრულსა და არაბულს ამჯობინებთ?“ (ყურნალი „ივერია“, 1880, № 1, გვ. 103).

მთავრულებს განსაკუთრებით იცავდა სილ. ხუნდაძე. „სალიტერატურო ქართულში“ მან მკვეთრად ჩამოაყალიბა თავისი აზრი ამ საგანზე. ავტორი ამბობს, რომ მხედრულ დამწერლობაში მთავრულებად გამოყენებული იყო ზუსტური ასოები. ძველად ხშირად წითლური იხმარებოდა, ე. ი. წითელი მეღვინით ან კინოვარით წერდნენ ხოლმე სათაურებს და „რომელიმე ტექსტის ინიციალებს“. მთავრულები ძალიან უადვილებს მკითხველს კითხვას, მათი შემოღება პრაქტიკული თვალსაზრისით გამართლებულიაო (გვ. 200).

ნიკო ჯანაშიამ სასტიკად გაილაშქრა მთავრულების შემოღების წინააღმდეგ (იხ. „ცნობის ფურცელი“, 1902, № 1661); ამით ჩვენ ვართულებთ ქართულ ორთოგრაფიასო.

ალ. მირიანაშვილმა უარყო ნიკო ჯანაშიას აზრი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრულების შემოღება ოდნავადაც არ გაართულებს ჩვენს ანბანს, პირიქით, წერტილის შემდეგ რომ მიჯნასავით დიდი ასოა „წამოსკუბებული“, იგი „საოცარს შეღავათს აძლევს თვალს და მით მკითხველს საკვირვლად უადვილებს დაწერილის წაკითხვას“. ჰიგიენური და პრაქტიკული თვალსაზრისით მთავრულების შემოღება მიზანშეწონილიაო, დასძენს ავტორი.

ს. 2-1

### ჩვენი დედაქალაქის სახელის მართლწერა

ჯერ კიდევ პირველ ქართულ ყურნალში — „ციცქარში“ ატყდა კა. მათი ჩვენი დედაქალაქის სახელწოდების შესახებ.

ალ. სავანელი წერილში „მკითხველისადმი“ ასაბუთებდა, რომ მართლწერის თვალსაზრისით უფრო მისაღებია: **თბილისი**, ვიდრე **ტფილისი**. ეს ტერმინი წარმოდგება სიტყვისაგან **თბილი** და რა იქნება, რომ ჩვენ ვთქვათ **ტავი** (თავი), **ტელავი** (თელავი) და სხვა („ციცქარი“, 1858, № 2).

შემდეგ დაიბეჭდა „ნოტა ბენეს“ (ნიკო ბერძენიშვილის) სტატია, სადაც ნათქვამია, რომ ძველ ძეგლებში იხმარებოდა **ტფილი**, რის საფუძველზედაც მიღებულია სახელწოდება **ტფილისი**. ამრიგად, **ტფილისი** უნდა დავაკანონოთო.

ცნობილი გრამატიკოსი არ. ქუთათელაძე აკრიტიკებდა სილ. ხუნდაძეს, რომელიც ასაბუთებდა **ტფილისი**-ს მართლწერას („ივერია“, 1889, № 40).

ჩვენი დედაქალაქის სახელწოდების მართლწერას მიეძღვნა 1897

წლის (№ 51). „კვალის“ მეთაური: „ტფილისი, თბილისი, თუ თფილისი?“ (დაწერილია პ. ჭარაიას მიერ. ხელს აწერს: პ. ჭ-ია). ნათქვამია, რომ ძველ ქართულში იყო ტფილი, სიტფო, სიტფოება. მოყვანილია მეგრული ფორმა: ტებ, ტებუ. მაშასადამე ძირი ტებ ყოფილა; რედუქციით მივიღებთ ტბ, საიდანაც მიღებულია ტფ; შემდეგი საფეხურია თფ, ამიტომ თფილისი უნდა გავაბატონოთ.

ხალხის გამოთქმაში თფ ისმის და ამიტომ თფილისი უნდა დავაკონონოთ, იმეორებდა სილ. ხუნდაძე თავის „სალიტერატურო ქართულში“ (გვ. 98).

რამდენიმე ათეული წლის წინათ ქართული ორთოგრაფიული საკითხების მომწესრიგებელმა კომისიამ („სალიტერატურო ქართულსათვის“, 1921, ტფილისი) სამი სახეობიდან — ტფილისი, თფილისი, თბილისი უპირატესობა პირველს მისცა („სატახტო ქალაქის მართლწერა დარჩეს ისტორიული, სახელდობრ ტფილისი“, გვ. 16).

\* \* \*

! ასე იღვწოდნენ ჩვენი ახლო წარსულის მოღვაწეები, ქართული ენის იმდროინდელი თეორეტიკოსები და პრაქტიკული მუშაკები ახალი სალიტერატურო ენის ნორმათა ჩამოყალიბებისა და სრულყოფისათვის, მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ქართულის განვითარებისათვის. როგორც ზემომოყვანილი ფრაგმენტული ცნობებიდანაც ჩანს, მეცხრამეტე საუკუნის ქართველმა მწერლებმა და გრამატიკოსებმა არა ერთი და ორი მტკივნეული საკითხი წამოჭრეს და მათს გადაწყვეტას გარკვეული მიმართულება მისცეს.

## ბასკები და ჩვენ

ბასკები არაინდოევროპული მოდგმის ერთადერთი უძველესი ხალხია დასავლეთ ევროპაში. ენის სტრუქტურით, ყოფის რეალებით, ეთნოგრაფიული ტიპოლოგიით, ეროვნული ფსიქოლოგიით ბასკთა ტომი სრულიად თავისებურია და არქაული ცივილიზაციის ნიშანდობლივი თვისებებით აღბეჭდილი.

დღევანდელ მსოფლიოში ბასკური ენის არსებობა — ესაა ცოცხალი პულსაცია უძველესი ლინგვისტური ორგანიზმისა, რომელიც განეკუთვნება ათასწლეულების წინარე ეპოქის ეთნიკურ სამყაროს და

ცხადად მიგვიანიშნებს დასავლეთ ევროპის თავდაპირველი მოსახლეობის პირველსახეს. ნორვეგიელი ქართველოლოგის პროფესორ ჰანს ფოგტის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, თუ ბასკური ენა გადაშენდება, მაშინ მომავალ თაობას ხელიდან გამოეცლება ის გასაღები, რომლითაც იგი კარს შეაღებდა შორეული წარსულის წყვედიადით მოცულ საიდუმლოებაში.

დამახასიათებელია ერთი ესპანელი ისტორიკოსის შემდეგი სიტყვები.

„ერთადერთი ენა, წინარე ისტორიიდან გადარჩენილი, საკვირველება, რომელიც ესპანეთს ებოძა ნეოლითის და, შესაძლოა, პალეოლითის მიერ... რა ენაა ეს ენა? ვერავითარი ძალა ევროპაში ვერ გადაისვრის XX საუკუნის ადამიანს, ვთქვათ, 5 ანდა 10 ათასი წლის წინარე ხანაში, ვერ დაუბრუნებს მას იმდროინდელი რეალობის შეგრძნებას. საკმარისია მხოლოდ მოეუსმინოთ ბასკ გლეხებს ესპანეთში, როცა ისინი მღერიან თავიანთ ენაზე რომელიმე სახალხო დღესასწაულის დროს... ჩვენ ვუსმენთ ნეოლითის მწყემსებს! ჩვენ ვუსმენთ, იქნებ, იმ ადამიანებს, რომლებიც ალტამირას ხატავდნენ!“ (ალტამირა — კარსტული წარმოშობის მღვიმე კანტაბრის მთებში, ესპანეთში. აქ კედლებს ამშვენებს ზედაპლეოლითური ზანის მხატვრობა: ზუმბრების, ტახების, ირმებისა და სხვა ცხოველებისა, აგრეთვე, ნახევრად ცხოველთა, — უნდა ვიფიქროთ, ნიღბებიანი ჯადოქრების, — ფიგურები).

სპეციალურ ლიტერატურაშიც არაიშვიათად შეხვდებით მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ბასკური სრულიად განსაკუთრებული რასის მეტყველებაა, იგი არ თავსდება ენათმეცნიერული კლასიფიკაციის არც ერთ სისტემაში და დღესდღეობით ცალკე მდგომი და უნათესავო ენობრივი ერთეულია, როგორც რელიქტი უძველეს საუკუნეთა ეთნიკური ჯგუფების ლინგვისტური სამყაროსი.

„ბასკოლოგია ამჟამად მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემაა“ (აკადემიკოსი ვ. შიშმარიოვი).

როგორც ვთქვით, ბასკები ევროპის უძველესი ხალხია. ისინი ბინადრობდნენ პირენეებში გაცილებით უფრო ადრეულ ხანაში, ვიდრე იქ ევროპელები დამკვიდრდებოდნენ. დღეს ბასკები დასავლეთში წარმოადგენენ ერთადერთ უძველეს ტომს, რომელიც არ არის ევროპელთა მოდგმისა. ბასკებს ეჭირათ ფართო ტერიტორია პირენეის ნახევარკუნძულზე (რასაც მოწმობს ამ მხარის ტოპონიმი), მაგრამ ისტორიულ წარსულში ისინი შეავიწროვეს და მიუვალ მთებში მოამწყვდიეს. რომაელებმა ვერ მოახერხეს ბასკების გადაგვარება, მაშინ როდესაც რომანიზაციას ვერ ასცდნენ დანარჩენი იბერიული ტომები დასავლეთში და სამუდამოდ შეერივნენ ლათინთა მოდგმას. ბასკები გადაურჩნენ აგრეთვე ვესტგუთებისა და არაბების ლაშქრობებს და

ფაქტობრივი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს უღმობელ უთანასწორო ბრძოლებში. ამრიგად, ბასკთა ტომი სასწაულებრივი ძალით გადაურჩა ეთნიკური ასიმილაციის მძლავრ პროცესებს და დღეს იგი ერთადერთი ცოცხალი მოწმეა ნახევარკუნძულის წინაევროპული მოსახლეობისა, თავისი ეროვნული თვითმყოფადობა და ენა რომ შეუნარჩუნებია და ძველ იბერიაში მობინადრე ტომების შთამომავლის სახით წარმდგარა თანამედროვეობის წინაშე.

„ძნელია დაიწეროს ამ ერის საშინაო და საგარეო ისტორია, რადგან არ არსებობს არც ერთი ძველი დოკუმენტი მის შესახებ“ (როდნეი გალოპი). ამიტომ არის საიდუმლოებით მოცული ბასკების ისტორიის უძველესი პერიოდი. უხვი საისტორიო მასალა არც ახალმა საუკუნეებმა შემოგვინახეს, მაგრამ მაინც ხერხდება აღვადგინოთ ამ ლეგენდარული ხალხის გმირული თავგადასავალი უკანასკნელი ორი ათასი წლის მანძილზე.

დიდი დავა სუფევს მეცნიერებაში ბასკების თავდაპირველი დედასამშობლოსა და მათი წარმოშობის შესახებ. მეცნიერთა ერთი წყება ფიქრობს, რომ ბასკები ადგილობრივი დასავლეთ პირენეების ენეოლითური ხანის მკვიდრთა გამაგრძელებლები არიან, ზოგი ემხრობა მიგრაციის თეორიას და აღიარებს, რომ ბასკები კავკასიელები არიან, ზოგს კიდევ ბასკები ჩრდილოეთ აფრიკიდან მოსულ ხალხად მიაჩნია. იყვნენ ავტოკთები, რომლებიც ირწმუნებოდნენ — ბასკები წარმოშობით სამხრეთ ამერიკიდან არიანო, და სხვა. ასეთი აზრიც წარმოიშვა, რომ ბასკები ევროპის კონტინენტზე ლეგენდარული ატლანტიდან მოვიდნენო.

მართალია, ზოგიერთი მეცნიერი უარყოფს ბასკებისა და იბერების ნათესაობას (ბასკებს მიიჩნევენ მხოლოდ პირენეის იბერიის შემადგენლობაში შესულ განცალკევებით მდგომ ტომად), მაგრამ ბევრი მომხრე ჰყავს აზრს, რომ ბასკები სისხლხორცეულად იბერიული ეთნოსია და დღეს ისინი უნდა ვალიართ ძველი იბერების ერთადერთ შთამომავლებად. ფიქრობენ, რომ საფრანგეთის ბასკები ნაწილობრივ წარმოდგებიან აკვიტანელებისაგან, რომლებიც ეთნიკურად ახლოს იყვნენ იბერებთან (ბინადრობდნენ სამხრეთ-დასავლეთ გალიაში, ძდ. ვარონსა და პირენეებს შორის). თვით ბასკები თვლიან, რომ მათი უმუშალო წინაპრები არიან კანტაბრები (ძველი იბერიის ერთ-ერთი ტომი), რომლებმაც თავის დროზე სახელი გაითქვეს რომაელებთან ომებში (II—I სს. ძვ. წ.). შემდეგ ისინი საბოლოოდ დანებდნენ რომაელებს და დაკარგეს კიდევაც საკუთარი სახე. ამასთანავე ბასკების უმუშალო წინაპრებად მიიჩნევდნენ კარისტორებს. ვარდულებს და ავტორიონებს, რომლებიც ბინადრობენ ბასკთა აქამინდელ ტერატორიაზე, და, რაც მთავარია, ვასკონებს. რომელთაც რომაელთა ბატ-

ნობის დროს ნავარა ეჭირათ. შემდგომ ვასკონებმა ძალაუფლება გაავრცელეს თავიანთ მონათესავე ტომებზე ალავაში, გიპუსკოაში და ბისკაიში და ამ ეთნიკურმა ჯგუფებმაც მათი დამპყრობლების სახელწოდება მიიღეს. უფრო გვიან, VI ს-ში, ვასკონებმა დაიპყრეს აკვიტანიის ნაწილი და, ამრიგად, მათი სახელი, — უკვე გახსოვნიხსახით, — გავრცელდა პირენეების ჩრდილოეთითაც.

ძვ. წ. II ს-დან ჩვ. წ. V ს. შუა ხანებამდე ბასკეთში რომაელები არიან გაბატონებული. V ს. მეორე ნახევრიდან VII ს-მდე ისინი ვესტგოთებს ემორჩილებოდნენ. როცა ესპანეთი არაბებმა ჩაიგდეს ხელთ (VIII ს.), ბასკებმა დიდი ძალისხმევით შეინარჩუნეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა (მაგრებმა კანტაბრის მთებში ვერ შეაღწიეს).

როგორც ითქვა, ბასკთა ტომი ისტორიულად, თავისი ფესვებით უკავშირდება დასავლეთის იბერიის სამყაროს.

პირველი წერილობითი ცნობა იმის თაობაზე, რომ იბერები ბინადრობენ დასავლეთში — პირენეის ნახევარკუნძულზე — ეკუთვნის ძველ ბერძენ ავტორს ჰეკატეოს მილეტელს, რომელიც ცხოვრობდა ჩვენს ერამდე VI ს-ში. ამავე ცნობას გვაწვდიან სხვა ავტორებიც. როგორც ირკვევა, იბერებს ეკავათ შემდეგდროინდელი ესპანეთის აღმოსავლეთისა და სამხრეთის პირვანდელი ტერიტორია, ხოლო შემდეგ იბერიელი ტომები გავრცელებულან პირენეის ნახევარკუნძულის მთელ არეზე. აქედან მივიღეთ მთელი ნახევარკუნძულის სახელწოდება — ი ბ ე რ ი ა.

ბერძნები და რომაელები ასე უწოდებდნენ პირენეის მკვიდრთ: *Hiberes, Iber (Hiber)*.

იბერიელები — ეს უძველესი ხალხი დასავლეთ ევროპაში — ანტიკურ ხანაშივე გადაშენდნენ.

III ს. (ახ. წ.) მომდევნო ხანიდან იბერიელთა ტერიტორიას ესპანეთი დაერქვა. რომაელებმა ფართო გავრცელება მოუპოვეს ტერმინს *Hispania*, რომლის ბერძნული ვარიანტია *Σπανία*. მთლად ნათელი არ არის, მაგრამ, ეტყობა, ეს სახელწოდება ადგილობრივი წარმოშობისაა — იბერიული სამყაროს ერთ-ერთი ძველი ეთნიკური ტერმინია, შემდეგ რომ შინაარსი გაუფართოებია და მთელ მხარეს დარქმევია. ანალოგიისათვის გავიხსენოთ ტერმინები გალია, ბრიტანია და მისთანანი. რომელთაც შემდეგ მიუღიათ განზოგადებული მნიშვნელობა.

რა შეიძლება ითქვას ძველი იბერიის ეთნიკური შედგენილობის თაობაზე?

არსებობს შემდეგი შეხედულებანი: 1. იბერიის ნახევარკუნძული წარმოადგენდა ჰერულ ეთნიკურ კონგლომერატს — დასახლებული იყო ძირეულად სხვადასხვა მოდემის ტომებით, მათ შორის იბერებით,

რომლებიც ყველაზე ენერგიული და ექსპანსიისადმი მიდრეკილნი იყვნენ და ამიტომ ეწოდა მთელ მხარეს „იბერია“; 2. პირენეის ნახევარკუნძულზე თავდაპირველად ბინადრობდნენ ერთი მოდემის ტომები — იბერიელი ტომები, რომელთაც შემდეგ და შემდეგ შეემატნენ სხვა წარმოშობის ეთნიკური ჯგუფები.

თანდათანობით დასავლეთის იბერიაში იჭრებიან სხვადასხვა მოდემის ეთნიკური ჯგუფები. მათ შორის პირველი ადგილი კელტებს უკავიათ.

საგულევებელია, რომ კელტური ტალღები ნაწილ-ნაწილ აღწევდა იბერიაში. როგორც ფიქრობდნენ, უმთავრესად კელტები შეესივნენ იბერიას ან VI ს. (ძვ. წ.) ბოლოს და V ს. (ძვ. წ.) დასაწყისში, ანდა IV ს-ში.

ახალი მძლავრი ეთნიკური ჯგუფის გაჩენა პირენეის ნახევარკუნძულზე, ბუნებრივია, მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევდა იბერიის მოსახლეობის, იბერთა ტომების ნომენკლატურაში. მას შემდეგ, რაც დამთავრდა ომი იბერებსა და კელტებს შორის, გამოიკვეთა ამ ორი ხალხის მფლობელობის გეოგრაფიული საზღვრები, ანტიკური ხანის ავტორები გარკვევით განარჩევენ ერთმანეთისაგან კელტებსა და იბერებს და გვაწვდიან მათ ლოკალიზაციასთან დაკავშირებულ ცნობებს. ქვეყნის ერთი ნაწილი — პირენეის მთების ახლო მიდამოები, აღმოსავლეთი ხმელთაშუა ზღვის ზოლი და სამხრეთი ხმელთაშუა ზღვის ნაწილის ზოლი — მთლიანად ეკავათ იბერებს; ამასთანავე, შესაძლოა, იბერებმა სანაპირო და სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიდამოები აითვისეს კელტების განდევნის შემდგომ. ჩრდილოეთ-დასავლეთსა (გალისია) და პორტუგალიაში კი კელტები ბატონობდნენ.

იბერიის ნახევარკუნძულის დანარჩენ პუნქტებში იბერები და კელტები ერთად ცხოვრობდნენ, რამაც გამოიწვია მათი ეთნიკური შერწყმა და შეჯვარდინება. ეს რაიონი მოიცავს იბერიის ცენტრს, ჩრდილოეთი სანაპიროს ნაწილს და ანდალუსიის სანაპირო ხაზის ნაწილს. ნახევარკუნძულის ამ სექტორში წარმოშობილ ახალ ეთნიკურ სახეობას ძველი ავტორები უწოდებენ კელტიბერებს, ხოლო მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიას — კელტიბერიას.

პირველი ხალხი კართაგენელებია, რომელთა შეჭრასა და ბინადრობაზე იბერიაში მატინანეს რამდენადმე უტყუარი წერილობითი ცნობები შემოუნახავს, თუმცა ამ საკითხშიც ზოგი რამ საცილობელია. ვარაუდობენ, რომ უკვე XII ს-ში (ძვ. წ.) ფინიკიელებმა მკვიდრად მოიკიდეს ფეხი სამხრეთ-დასავლეთ იბერიაში. მთელ ნახევარკუნძულს ფინიკიელები ასე უწოდებდნენ: სპან-ი, სპანია.

ექსპანეში დიდი ტალღა შეიჭრა ბერძენთა კოლონიების სახითაც.

ბერძნებმა ჯერ კიდევ VII ს-ში (ძვ. წ.) დაამყარეს პირველი კონტაქტები ესპანეთის მოსახლეობასთან.

II ს-დან (ახ. წ.) მოყოლებული პირენეის ნახევარკუნძულის სრული ბატონ-პატრონები რომაელები არიან.

ამ დროიდან დაიწყო იბერიის რომანიზაცია. მთელ მხარეში მძლავრად იწყო გავრცელება ლათინურმა ენამ და მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივი ტომების გარომაელებას. რომანიზაციის პროცესი მეთოდური თანმიმდევრობით ხორციელდებოდა და მოიცავდა ნახევარკუნძულის მთელ ტერიტორიას.

საბოლოოდ დაემხო ოდესღაც ძლევამოსილი იბერია, ევროპაში „ობლად შეინილი“ ძველი მოდგმა სისხლისაგან იწრიტებოდა და ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებას ლამობდა, — დიდი იმპერიის ასიმილატორული პოლიტიკის მეოხებით მცირერიცხოვანი ხალხის ბედი გადაწყვეტილი იყო, უკეთეს შემთხვევაში იგი უნდა გათქვეფილიყო დამპყრობელ ხალხში და ამ ეთნოლოგიური შერევის შედეგად საკუთარი სახე სამარადქამოდ დაეკარგა.

რომანიზაციის მძლავრ პროცესს გადაურჩა მხოლოდ ბასკთა ტომი, ერთ-ერთი წევრი ძველი იბერიული ეთნიკური ჯგუფისა და დღემდის შეინარჩუნა ეროვნული თავისუფლება, ანთროპოლოგიური სახეობა, ენა, ადათ-წესები...

რა აგებულებისა იყო იბერიული ენა, ანდა, უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყვით — იბერიის ნახევარკუნძულზე არსებული უმეტესი მოსახლეობის ენა (თუ ენები!).

ამ კითხვაზე გარკვეული პასუხის გაცემა ძნელია, რადგან, როგორც ვიცით, ძველი იბერიელები გადაშენდნენ, მათი ენის ამსახველი წერილობითი ძეგლები კი აღარ შემორჩა ისტორიას, თუმცა არსებობდა იბერიული დამწერლობა, წერის თავისებური სისტემა, ფრაგმენტული წარწერების სახით რომ მოღწეულა ჩვენამდის.

წამოყენებულია ასეთი ჰიპოთეზა: პირენეის ნახევარკუნძულზე არსებობდა სამი ენობრივი ზონა, ესენია: ა) ვასკონური, ახალი ერის დასაწყისში გადაშენებული აკვიტანიური ენა (თანამედროვე სამხრეთ საფრანგეთის ტერიტორიაზე), ბ) იბერიული, გ) ტარტესიური (ძველი ტარტესის მიდამოებში).

ერთი მხრივ, წარწერების ენაზე დაკვირვება, მეორე მხრივ, იბერიის ტოპონიმის შესწავლა, მესამე მხრივ, ბასკურ ენაში „გაოხრების“ ჩატარება, — ბასკური ხომ ერთადერთი გადარჩენილი ცოცხალი მოწმე და წარმომადგენელია დასავლეთის იბერიული სამყაროსი, — საშუალებას მისცემს მეცნიერებას მიახლოებით მაინც მოხაზოს გადაშენებული იბერიული ენის სახე და მოამზადოს ნიადაგი პირვანდელი მოსახლეობის ლინგვისტური სურათის აღსადგენად.



იბერიელებმა VIII ს-ში (ძვ. წ.) შექმნეს ხელოვნება, რომელიც აყვავდა V—IV სს-ში (ძვ. წ.). იბერიელთა პლასტიკურმა ხელოვნებამ შემდგომ განიცადა ფინიკიური და ბერძნული კულტურის ზეგავლენა. უმთავრესი კერა, სადაც ჩაისახა იბერიული ხელოვნება, როგორც ჩანს, ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონებია; ასეთი კერები სხვაგანაც იყო. იბერთა არქიტექტურა დღემდის შემონახულია ტრაგონების ციკლოპური კედლების ნაშთების სახით. შემონახულია აგრეთვე სხვა არქიტექტურული დეტალების ნაშთები სხვა რაიონებშიც. დიდად საყურადღებოა სკულპტურის ნიმუშები, შესრულებული ფაქიზი გემოვნებითა და მაღალი ოსტატობით. ასეთებია სხვადასხვა სახის ქვის სკულპტურული ძეგლები, სფინქსები. აღმოჩენილია ფიბულებისა და კერპების ნაირგვარი ნიმუშები, ამასთანავე, ხარების ქანდაკებები (უმთავრესად კასტილიაში), მეომართა გამოსახულებანი იბერიული წარწერებით და სხვ. ეს ძეგლები არსებითად ერთი სტილის ქმნილებებია, მაგრამ ზოგი, ეტყობა, უფრო გვიანდელია და, შესაძლოა, რომაელთა ბატონობის ხანას განეკუთვნება. იბერთა იუველირული ხელობის განვითარების მანიშნებელია რამდენიმე შესანიშნავი ქმნილება: ოქროს დიადემა (აღმოჩენილი ხავეაში), დიადემების ნამსხვრევები (აღმოჩენილი ასტურიაში), რომლებიც ამჟამად პარიზში — ლუვრშია დაცული. გარდა ამისა, აღმოჩენილია ფერადი კერამიკის ბრწყინვალე ნიმუშები, აღბეჭდილი ცხოველთა სურათებითა და ფიგურებით. როგორც არქეოლოგები ფიქრობენ, კერამიკას ეტყობა ძიკუნური გავლენები. მრავლად არის შემორჩენილი სხვადასხვა გამოსახულებებით გაფორმებული საფლავის ფილები და სამსხვერპლოები.

დასავლეთის (ევროპის) იბერიის გარდა მსოფლიო ისტორია იცნობს მეორე იბერიასაც: აღმოსავლეთის (კავკასიის) იბერიას და იბერიელებს — დღევანდელი ქართველების წინაპრებს. ანტიკურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ეწოდებოდა „იბერია“, ხოლო დასავლეთ საქართველოს „კოლხიდა“. ცნობები უძველესი ქართველი ტომების შესახებ უხვად არის მოცემული ანტიკური ხანის ავტორების — ძველი ბერძნებისა და რომაელების მიერ.

ჯერ კიდევ ჰომეროსი თავის პოემებში მოიხსენიებს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში მობინადრე ტომებს, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ბერძნებთან. ასე, მაგალითად, ჰომეროსისათვის ცნობილი არიან მცირე აზიაში მცხოვრები, ტროადის ომის მონაწილე, ქართველი ტომები — ხალიბები, ხალიძონები და სხვ. ჰომეროსი იცნობს აგრეთვე თქმულებას არგონავტების ლაშქრობის შესახებ: როგორც ვიცით, კოლხი დედოფალი გარკვეულ როლს ასრულებს ოდისეესის თავგადასავალში, ეს არის კირკე, რომლის სასახლეში იყო

ოღისევის თავის ამხანაგებთან ერთად. კირკეს სასახლე აღწერილია ისეთი ნიშან-თვისებებით, რომ ექვს არ უნდა იწვევდეს — კირკე არის არა ბერძენი, არამედ უცხოელი. ოღისევის თავგადასავალს არ ესაჭიროებოდა ამ გმირის მოხვედრა ისეთ მიწა-წყალზე, რომელიც შვი ზღვის შორ მიდამოებში იქნებოდა. კირკე კოლხეთის მეფის აეტის დაა, და, მამასადამე, თვითონ კირკე ბინადრობს სადღაც კოლხეთის მახლობლად. რაკი ჰომეროსმა კირკეს ეპიზოდი შეიტანა „ოღისეაში“, შეიძლება დავასკვნათ, რომ თქმულება კოლხეთზე თავისი წარმტაცი ფაბულით პოპულარობით სარგებლობდა ბერძენებში.

რეალურ ისტორიულ საფუძვლებზე აღმოცენებულ არგონავტების თქმულებაში ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ დროთა დანაშრე-ვებია წარმოდგენილი, მაგრამ ამ თქმულების ყველა ფენისა. და ვერ-სიის წამყვანი მოტივი ყოველთვის იყო აია-კოლხეთი.

უძველესი ქართველი ტომების — ტაბალებისა და მუსკების მად-ნეულობის ხელოვნების ქებას ებრაელებამდისაც მიუღწევია. ბიბლი-ის პირველი წიგნის ავტორი დარწმუნებულია, რომ მკედლობა ტაბა-ლების მოსახლეობის მოგონილი ხელობაა.

იმდროინდელი ბერძენები, როგორც ეტყობა, უწინარესად დასაე-ლეთ საქართველოს ტომურ გაერთიანებებს იცნობდნენ. ეს ის ტომე-ბია, რომლებიც განლაგებული იყვნენ უმთავრესად შავი ზღვის სანა-პირობებზე.

მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ბერძენი ლოგოგრაფების თხზულებებში ქართველი ტომების შესახებ. მაგალითად, ჰეკატეოს მილეტების (VI ს. ძვ. წ.) „ქვეყნის აღწერაში“ (მოღწეულია ფრაგმენ-ტების სახით) მოიხსენიებიან კოლები, მოსხები (კოლხთა ტომიად), მაკრონები (ახლა სანსები ეწოდებათ), მარები (მოსსინიკების მეზობ-ლად ცხოვრობენო), ხალიბები და სხვ.

ბერძენ ისტორიკოსთაგან პირველია ჰეროდოტე, რომელიც მო-იხსენიებს ქართველ ტომებს. ვარაუდობენ, რომ იგი კოლხიდაშიც ყო-ფილა. ვრცელი და ძალზე საინტერესო ცნობებია დაცული ქართველი ტომების — ტაოხების, მოსსინიკების, მაკრონების და სხვ. შესახებ ქსენოფონტის (IV ს. I ნახევარი, ძვ. წ.) „ანაბაზისში“.

უხვი ცნობები მოგვეპოვება მომდევნო საუკუნეების ბერძენი ის-ტორიკოსების თხზულებებშიც ჩვენთვის საინტერესო საგანზე.

ახლა იბერიისა და იბერიელების შესახებ.

ბერძნულ წყაროებში პირველად პლატონი და არისტოტელე მო-იხსენიებენ ი ბ ე რ ი ა ს და ი ბ ე რ ე ბ ს.

პლატონი იბერებს ასახელებს იმ „ემომარ ხალხთა“ შორის, რომ-ლებიც სვამენ უწყლო ღვინოს, ხოლო არისტოტელე ამბობს, რომ

,იბერების მეომარი ხალხი საფლავის გარშემო იმდენ სარს არჭობს აოლმე, რამდენიც მტერი ჰყავს მოკლული მიცვალებულსო“.

III ს. (ძვ. წ.) ბერძენი მწერლის აპოლოდორის მიერ შემონახული ინფორმაციაშიც კავკასიის იბერები იგულისხმებიან. ცნობა შემონახული აქვს სტრაბონს. აი ისიც: „დასავლელი იბერები გადმოსახლდნენ პონტოსა და კოლხეთის ზემოთ მდებარე ადგილებში, რომელთაც, აპოლოდორის სიტყვით, არმენიისაგან მდ. არაქსი ყოფს“.

პირველი საუკუნის გეოგრაფის სტრაბონის ცნობილ თხზულებაში ხშირად არის მოხსენიებული და დახასიათებული იბერიის ქვეყანა და მისი ხალხი. სახელოვანი ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი კარგად იცნობს როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე დასავლეთ საქართველოს.

„კოლხეთი: მდებარეობს პირკანიისა და ექსინის ზღვებს შორის, ე. ი. კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შორის. დასავლეთის საზღვარია შავი ზღვა. კოლხეთის სანაპირო გადაჭიმულია ბიჭვინთიდან ტრაპეზუნდამდე. სამხრეთით ესაზღვრებიან პონტოს სამეფო და არმენია...“ სტრაბონის მიხედვით, იბერია მდებარეობს კოლხეთის აღმოსავლეთით და კავკასიონის ქედის სამხრეთით. ე. ი. მისი საზღვრებია დასავლეთით კოლხეთი, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთით ალბანია, სამხრეთით მდინარეები არაქსი და მტკვარი. მოსხური (მესხეთის) მთები ყოფენ მას არმენიისაგან“.

სტრაბონი ამბობს, რომ „იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაც და დაბებითაც, ისე რომ, იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა (დაწესებულებანი)“.

უალრესად საყურადღებოა აგრეთვე სტრაბონისეული დახასიათება იბერთა სოციალური წყობისა: „ახევე ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი (გვარია) და პირველი, რომლისგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე (ამ გვარიდან) მოსამართლეობს. მეორე (გვარი) არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე (გვარი) არის ხალხისა, რომელიც სამეფო მონაა და აკეთებს ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს (ნათესაობას) უხუცესი“.

მას შემდეგ, რაც იბერია ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ერთგვარად მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდა, რომის მიწათმფლობელური იმპერიის ორბიტაში რჩება და მეტად აქტიური როლის შესრულება იწყო კავკასიისა და მეზობელ მხარეებში, საზოგადოებრივი განვითარების პროცესიც აქ დაჩქარდა. სავარაუდებელია, კერძოდ, მი-

წათმფლობელობის მნიშვნელოვანი ზრდა, განსაკუთრებით ქალაქებში, ხელოსნობასა და მშენებლობაში.

ანტიკური ხანის ქართული სახელმწიფოებიდან დროთა ვითარებაში ყველაზე მტკიცე აღმოსავლურქართული (იბერიის) სამეფო აღმოჩნდა. იბერია-ქართლში ქართველი ტომების კონსოლიდაციას ჩაეყარა საფუძველი და სწრაფად წავიდა წინ ერთიანი ქართული ენისა და ერთიანი კულტურის ჩამოყალიბების პროცესი. ადრე აქ სამწერლობო ენებს უცხოური (არამეული, ბერძნული) წარმოადგენდნენ, შემდეგ კი მათი ადგილი ქართულმა ენამ დაიკავა. ქართული ეროვნული ტრადიციით, ქართული დამწერლობა იბერიის სამეფოს ჩამოყალიბების ხანაში (III ს. ძვ. წ.), მეფე ფარნავაზის დროს, გამომუშავდა. „ქართლის ცხოვრებაში“ ხომ ნათქვამია, რომ ფარნავაზმა „შექმნა მწიგნობრობა ქართული“. აღსანიშნავია, რომ არსებობს ძველი წიგნები, სადაც ჩამოთვლილია აზიისა და ევროპის ხალხები, რომლებსაც აქვთ საკუთარი დამწერლობა. ერთ-ერთ ასეთ ნუსხაში ვკითხულობთ: „ხოლო საკუთარი დამწერლობა აქვთ კაპადოკიელებს, იბერებს, — რომლებსაც აგრეთვე ტირანელები ეწოდებთ, — ლატინებს, — რომლებითაც სარგებლობენ რომაელები, — სარმატებს, ესპანელებს, სკვითებს, ელინებს, ბასტარნებს, მიდიელებს, არმენიელებს“. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ უთუოდ საქართველოს იბერები იგულისხმებიან და არა ესპანეთის იბერები.

რა თანამიმართებაა დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერიელებს შორის, არიან თუ არა ერთმანეთის მონათესავე ქართველი და პირენეელი იბერები, თუ აქ სახელწოდებათა უბრალო თანხედენაა, — ეს კითხვა აღძრათ ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ბერძენ და რომაელ ავტორებს: მწერლებს, მეცნიერებს, სახელმწიფო მოღვაწეებს... შემდგომს საუკუნეებში ამავე საგანზე თავისი შეხედულებები აქვთ გამოთქმული ძველ სომეხ და ქართველ მოღვაწეებსაც. ეს საკითხი მთელი სიმწვავეით დაისვა ახალ ევროპულ მეცნიერებაშიც.

ამრიგად, აზიისა და ევროპის იბერიელთა ისტორიული, ეთნიკური თუ ლინგვისტიკური დამოკიდებულების კვლევა საერთაშორისო მეცნიერულ პრობლემათა წყებას განეკუთვნება.

ძველი ბერძენი და რომაელი მოღვაწეები აღიარებენ, რომ აზიელ და ევროპელ იბერებს შორის უთუოდ არის ნათესაური დამოკიდებულება, ოღონდ სადავოდ იყო მიჩნეული საკითხი მათი თავდაპირველი ადგილსამყოფლის შესახებ. ზოგი ფიქრობდა, რომ იბერების პირვანდელი სამშობლო დასავლეთია — პირენეის ნახევარკუნძული, საიდანაც უხსოვარ დროს ერთი ტალღა ეთნიკური ჩჯუფისა დაძრულა და კავკასიაში დასახლებულა. მეორენი ვარაუდობენ, რომ ევროპელი იბერები კავკასიიდან არიან მოსულნი. მიგრაციის მიზეზებიც არის და-

სახელმწიფო. ზოგი იმასაც აღნიშნავდა, რომ ორ იბერიას შორის არავითარი ურთიერთობა არ არსებობს და სახელწოდებათა ერთიანობა სრულიად შემთხვევითიაო.

ზემოხსენებულ თვალსაზრისთა სხვადასხვაობა ჩამოყალიბებულია რომაელი ისტორიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის, ტომით ბერძენის, აპიანეს (II—I სს.) შემდგომს ფორმულირებაში („რომის ისტორია“):

„აზიელ იბერებს ერთნი ევროპელი იბერების წინაპრად თვლიან, მეორენი — მათ კოლონიტებად, მესამენი კი — მხოლოდ თანამოსახელე ხალხად, რამდენადაც ისინი არ ჰგვანან ერთმანეთს არც ჩვეულებებით და არც ენით“.

აპიანე აქ პასიური დამკვირვებელია მხოლოდ და თავის პოზიციას ჩვენთვის საინტერესო საგანზე არ ამქლავნებს.

ქრონოლოგიურად პირველი ცნობა იბერების აზიიდან მიგრაციის თაობაზე ეკუთვნის ძველ რომაელ მწერალსა და მეცნიერს, რომის საჯარო ბიბლიოთეკის დამაარსებელს ვარონს (II—I სს.), რომლის თხზულება, მართალია, არ შემონახულა, მაგრამ ცნობა დამოწმებულია რომაელი ნატურალისტის პლინიუსის (I ს. ახ. წელთაღრ.) თხზულებაში. აი, რას ამბობს პლინიუსი:

„ვარონი ირწმუნება, რომ იბერები, სპარსელებიც, ფინიკიელებიც, კელტებიც და პუნიკებიც მთელ ესპანეთში განსახლდნენ“.

ძველი ესპანელების (ევროპელი იბერების) აღმოსავლეთში გადასახლების მიზეზად ზოგიერთს მიაჩნდა ბაბილონელი მეფის ნაბუკოდროსოსის (ცხოვრობდა 604—561 წწ.) შემოსევები დასავლეთში: მას თითქოს იბერიელთა ნაწილი ტყვედ ჩაუგდია და აზიაში გადაუსახლებია, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე. ნაბუკოდროსოსის თავდასხმების შესახებ პირველად ლაპარაკობდა ბერძენი მწერალი, გეოგრაფი და ისტორიკოსი მეგასტენი (IV—III სს.) თავის თხზულებაში, სადაც აღწერილია მოგზაურობა ინდოეთში. ამ თხზულების მხოლოდ ნაწყვეტებია შემონახული და შესულია გვიანდელი ავტორების თხზულებებში.

მეგასტენის ცნობას გადმოგვცემს სტრაბონი. იმავე ავტორს ეყრდნობა ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი (I ს. ახ. წ.).

ასეთივე ცნობა აქვს დაცული ევსევი კესარიელს — „საეკლესიო ისტორიის მამას“ (III—IV სს.):

„ნაბუკოდროსოსისა, რომელიც პერსიულზე უფრო ძლიერი იყო, მის შემდეგ, რაც საომარი ჯარი შეკრიბა, მიაღწია ლიბიელთა ქვეყანაში და იბერთა ქვეყანაში, აჯობა მათ, გააცამტვერა და დაიმორჩილა: ერთი ნაწილი გადააადგილა მან პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე, იქ დასახლდა“; „აგრეთვე მეგასტენე ამბობს თავის „ინდოეთის“ მეოთხე

წიგნში, რომელშიც მოგვითხრობს ამის წინ მოხსენიებული ბაბილონელთა მეფის შესახებ, რომ ის სიმამაცით და საგმირო საქმეებით ჰერაკლეს აღემატებოდა, იმდენად აღემატებოდა, რომ ლიბიის და იბერიის მეტი წილი, — ამბობს იგი, — დაიპყრო“.

ამრიგად, სტრაბონიცა და ფლაბიოსიც აღნიშნავენ, რომ ნაბუკოდროსოროსმა თავისი ჭარი გადაიყვანა ესპანეთიდან პონტოში.

აკად. ი. ჯავახიშვილი ყურადღებას მიაპყრობს ევსევი კესარიელის ზემოთ დასახლებულ სიტყვებს და აღნიშნავს: ამ ექსცერპტში „ივენთის ის არის საინტერესო, რომ მეგასთენის, ავტორი III საუკუნის ძველი წელთაღრიცხვით, ლაპარაკობს იბერების გადასახლებაზე — ასე შორეული სამხრეთიდან, ეს ადასტურებს, რომ მაშინ ამგვარი გადმოცემა, მართლაც, არსებულა. როგორც ცნობილია, ამ მოვლენას, ქართველების გადასახლებას თუ მოსვლას ამიერკავკასიაში, გადმოცემის უფრო გვიანდელი ვერსია მიაწერეს უკვე ალექსანდრე მაკედონელს. მეგასთენისეული ცნობა გამოხატავს ამ გადმოცემის უფრო ძველ სტადიას, ფაქტის დათარიღება კი გულისხმობს, ნაცვლად III საუკუნისა, VI საუკუნეს ძველი წელთაღრიცხვით“.

ევსევისეული ცნობიდან ჩანს, რომ ნაბუკოდროსოროსს საქართველოში (პონტოში) გამოუყვანია არა თავისი ჭარი, როგორც ეს სტრაბონ-ფლაბიოსის ცნობებშია ნაგულისხმევი, არამედ აფრიკასა და ესპანეთში დაპყრობილი ხალხის ნაწილი დაუსახლება პონტოს მარჯვენა მხარეში.

ამასთან დაკავშირებით მარ-აბას-კატინა (I ს. ძვ. წ.) თავის ნაშრომში „სომხეთის ძველი ისტორია“ გადმოგვცემს აბიდენის სიტყვებს: ნაბუკოდროსოროსი თავის ჭარით შეესია იბერებს (იგულისხმებიან ევროპელი იბერები. — შ. ძ.), დაიმორჩილა იხინი და მათი ნაწილი დაასახლა პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირებზე, დასავლეთში.

მარ-აბას-კატინას მონათხრობი დამოწმებულია უფრო გვიანდელი ავტორის — სომეხი ისტორიკოსის მოსე ხორენელის (V ს. ახ. წ.) „სომხეთის ისტორიაში“ (ამავე ცნობას იმეორებენ სხვა სომეხი ავტორებიც, რომლებიც სარგებლობენ ხორენელის თხზულებით).

ცნობას ბაბილონთა მეფის მიერ ესპანეთის მოსახლეობის ნაწილის საქართველოში გადმოსროლის შესახებ მარ-აბას-კატინა და მოსე ხორენელი რატომღაც მიაწერენ აბიდენს და არა მის პირვანდელ ავტორს — მეგასთენს. ეს შეცდომა ადვილი ასახსნელია.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ნაბუკოდროსოროსი დასავლეთში არასოდეს არ ყოფილა. ძველ წყაროებში დამოწმებულ ზემოხსენებულ ლეგენდას გარკვეული ახსნა ეძებნება მეცნიერებაში. საფიქრებელია, მეგასთენისეული ცნობის წყაროა ნაბუკოდროსოროსის ლაშქრობე-

ბის სხვა ამბავი, საფუძვლად რომ დასდებია მეგასტენისა და სხვათა მიერ მოწოდებულ ისტორიულ პერიპეტას.

XIII—XIV სს. (ახ. წელთაღრ.) ისტორიკოსს ნიკიფორე ქსანთო-პულოსს, რომელსაც ეკუთვნის 18 წიგნისაგან შემდგარი „საეკლესიო ისტორია“, მიაჩნდა, რომ საქართველოს იბერები „ისპანიის იბერთაგან არიან გადმოსახლებული“.

გავეცნოთ იმ ავტორებს, რომლებიც მსჯელობენ იბერიელთა ნათესაობაზე, მაგრამ არ ასახელებენ მიგრაციის მიზეზებს.

დიონისე პერიეგეტი I—II სს. გეოგრაფი აღნიშნავდა:

კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შორის „ცხოვრობს აღმოსავლელი ხალხი იბერები, რომლებიც ოდესღაც მოვიდნენ პირენეებიდან აღმოსავლეთში და სასტიკი ომი აუტეხეს პირკანებს“.

VII ს. ბიზანტიელი ავტორი მაქსიმე აღმსარებელიც ვარაუდობდა, რომ დასავლეთ ევროპის იბერები კავკასიიდან არიან მოსული.

გავიხსენოთ რომაელი პრისციანის (V—VI სს.) სიტყვები, რომლებიც ზემოთაღ დავიმოწმეთ: „...საკუთრივ Hiberes-ად იწოდება ტომი, გამოსული იბერიიდან, რომლებიც არმენიის გადაღმა ცხოვრობენ...“

საინტერესოა აგრეთვე ევსტათის (XII ს. ახ. წ.) მიერ მოწოდებული ცნობები:

„კასპიისა და შავ ზღვას შორის ყელს, სადაც აღმოსავლეთის იბერია მდებარეობს, პერიეგეტი უზარმაზარ, ფართოვაკეებიან სივრცედ გვიხატავს“;

„... ამ სამ ყველაზე დიდ მატერიკს ერთმანეთისაგან გამოყოფენ სხვა უფრო პატარა მიწებით და აზიისა და ევროპის საზღვარს უწოდებენ კასპიისა და ევქსინის პონტოს შორის მეტად დიდსა და ფართო ყელს. სწორედ ამ ყელზე, გარდა ბევრი სხვა ადგილისა, მდებარეობს გახმაურებული პრომეთეს კავკასია და იბერების აღმოსავლეთის ქვეყანა, რომელიც კოლხიდასა და ალბანეთს შორის გაწოლილა“.

„არმენიის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს კასპიისა და ევქსინის პონტოს შორის გაწოლილი ყელი. მასზე ცხოვრობენ აღმოსავლეთის იბერები, პირკანების ბუნებითი მტრები, რომლებიც გადმოსახლდნენ პირონიში (რომელსაც, როგორც ვიცით, პირენეს მთასაც უწოდებენ) მცხოვრები დასავლელი იბერებისაგან. ეს სწორედ ის ყელია, რომელიც, როგორც აღრე იყო ნათქვამი, ზოგიერთებმა აზიისა და ევროპის საზღვრად მიიჩნიეს. ეს იბერები კი, გეოგრაფის სიტყვებით (იგულისხმება სტრაბონი. — შ. ძ.), სომხურად და მიდიურად აღიკაზმებიან. მათ შორის მითელები, მისივე სიტყვით, განსაკუთრებული ვაჟაკობით გამოირჩევიან“.

დიონისე პერიეგეტის კომენტარებში ევსტათი ერთგან ამბობს, აღმოსავლეთი იბერია დასავლეთის იბერების კოლონიააო.

სოკრატე სქოლასტიკოსი (IV—V სს.), რომელიც ზემოთაც დაე-  
მოწმეთ, თავის საეკლესიო ისტორიაში“ გვაუწყებს:

„დროა ვთქვათ იმის შესახებაც, თუ როგორ გაქრისტიანდნენ იმა-  
ვე ხანებში იბერებიც. ერთი, თავისი ცხოვრებით სათნო და უმანკო  
ქალი, რაღაც ღვთის განგებით, იბერთა მიერ იქნა დატყვევებული. ეს  
იბერები ცხოვრობენ ევქსინის პონტოსთან, ხოლო იმ იბერთაგან არა-  
ან გამოსულები, რომლებიც ისპანიაში არიან“.

როგორც ცნობილია, ჩვენამდის მოღწეულია X ს. შუა ხანებში  
შედგენილი დიდად მნიშვნელოვანი განმარტებით-ენციკლოპედიური  
ხასიათის ლექსიკონი, რომელიც სვიდას სახელით არის მონათლული.  
გარდა იმდროინდელი გაუგებარისიტყვებისა, ლექსიკონში მოიპოვე-  
ბა სტატიები ამა თუ იმ ძველ მოღვაწეებზე და გეოგრაფიულ პუნ-  
ქტებზე. სვიდას ლექსიკონში არის ასეთი ადგილი:

„ი ბ ე რ ე ბ ი — ტომის სახელია და ი ბ ე რ ი ა — ქვეყანაა. არის  
აგრეთვე სხვა იბერიაც, დასავლეთისა, რომელსაც ისპანიაც ეწოდება,  
კონსტანტინე დიდის დროს მოინათლნენ შინაგანი ინდები, იბერები  
და არმენიელები“.

საყურადღებოა XI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის მიხეილ ატალი-  
ატეს თხზულებაში დაცული ცნობები იბერიელთა შესახებ. ატალიატე  
წარმოშობით მცირეაზიელი იყო და დიდი თანამდებობები ეჭირა (სა-  
ხელმწიფო საბჭოში უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელი, სამხედ-  
რო სასამართლოს ხელმძღვანელი, პატრიკოსი, მაგისტრი და პროედ-  
როსი). მის თხზულებაში ვრცლად არის ლაპარაკი იბერიელთა შესა-  
ხებ. გავეცნოთ ნაწყვეტებს ატალიატეს ნაშრომიდან:

„იბერიელები კელტური ქვეყნიდან გამოჩნდნენ, რამეთუ იბერია,  
ნაძღვილად რომ ვთქვათ, და თვით კელტიბერია, მდებარეობენ რომის  
(ე. ი. რომის იმპერიის. — შ. ძ.) დასავლეთ ნაწილებში, დასავლური  
ოკეანის გასწვრივ. ამ მხარეს ახლა ისპანია ეწოდება. იბერიის მცხოვ-  
რებლები, რომლებიც უმამაცესი ვაჟკაცები არიან და მეტად მკლავ-  
ძაგარნი, დიდი ხნის განმავლობაში რომაელთა წინააღმდეგ ომობდნენ  
და მათთან ბრძოლების დროს გამოიჩინეს დიდი გამძლეობა და ვაჟკა-  
ცობა; და ძლივს დაიმორჩილეს ისინი რომაელებმა უდიდესი და უძ-  
ველესი გამბედაობითა და ენითუთქმელი შეშარტებით, ისე რომ დრო-  
თა ვითარებაში ხელშეკრულებაც დადეს მათთან და ერთიმეორესაც  
შეერივნენ დაქორწინებით და საურთიერთო ადგილმონაცვლეობით;  
ამიტომ მეფეთა შორის დიდმა და ყოვლად სათნო კონსტანტინემ არა-  
მციარელი ნაწილი იჭიდან, დასავლეთის იბერიელთაგან, გამოყო და  
გადაასახლა აღმოსავლეთით, ასირიის მხარეებში, და აქედან არის,



რომ იბერიის სახელწოდება მიიღო იმ ქვეყანამ, რომელმაც ისინი შეიბიზნა. წინათ ამ ქვეყანაში მოსახლეობდნენ ასირიელები, შემდეგ — ელიელები, დიდი ხნის შემდეგ — არმენიელები. და ვერავინ იპოვის ცნობებს, რომ აღრიწოდულ ხანებში იბერიელები იხსენიებოდნენ ძველ „ისტორიებში“. ძნოლოდ იმ დროიდან იხსენიებიან, რაც ისინი აქ დასახლდა კონსტანტინემ“.

ა. ატალიატეს ამ ცნობასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: არ არის სწორი, თითქოს იბერია და იბერიელები მხოლოდ კონსტანტინეს დროიდან (IV ს. ახ. წ.) იხსენიებოდნენ ძველ საისტორიო წყაროებში. ჩვენ ზემოთ დავრწმუნდით, რომ იბერია ცნობილი იყო გაცილებით ადრეული ხანის მწერალთა თხზულებებში. ცხადია, არც ის შეეფერება სინამდვილეს, თითქოს კონსტანტინე დიდს გადმოესახლებინოს იბერები ესპანეთიდან საქართველოში. ატალიატეს ცნობას სხვა მხრივ აქვს ღირებულება: ჩვენ ვეცნობით XI ს. ბიზანტიის საზოგადოებაში გავრცელებულ ვერსიას ესპანეთის იბერებისა და საქართველოს იბერების ნათესაობის შესახებ. ესაა აქ მთავარი.

ინტერესი მოკლებული არ იქნება გავეცნოთ იოანე ცეცეს (XII ს. ახ. წ.) ერთ ცნობას. მამის მხრით, როგორც თავად აღნიშნავს, ცეცე იყო ბერძენი, ხოლო დედის მხრივ იბერიულ-კავკასიური წარმოშობისა. ცნობრობდა კონსტანტინოპოლში. მიღებული ჰქონდა საფუძვლიანი ფილოლოგიური და გრამატიკული განათლება. დაგვიტოვა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ერთ მის თხზულებაში გვხვდება ასეთი ადგილი: „იბერიის ქსოვილები. სერები და თხარები ტომია ინდოეთის ახლოს, საუცხოო ქსოვილებს ამზადებენ, ყველაზე უკეთესს, და უფრო ძვირფასს, ვიდრე ძველ დროში; და დასავლეთის იბერები და აგრეთვე კორაქსები საუკეთესო ქსოვილების დამმუშავებელი არიან, ხოლო ამჟამად ცუდს აკეთებენ, როგორც ბევრს უთქვამს: თებედან (მოაქვთ), სერული (ქსოვილები) კი არ იკიან, როგორც სხვები (ამბობენ)“.

ამ ნაწყვეტთან დაკავშირებით პროფ. ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავს: აქ ლაპარაკია აბრეშუმის ქსოვილებზე. ამასთან დაკავშირებით მოხსენიებული არიან „ესპანეთის იბერები“ („დასავლეთის იბერები“). შეიძლებოდა ასეთი ჰიპოთეზა წამოგვეყენებინა: 1. იბერთა გვერდით მოხსენიებული „კორაქსები“ ცნობილი არიან თვით ძველი ბერძნული წყაროებით, როგორც ამიერკავკასიის მცხოვრებლები, როგორც ქართველი ტომის წარმომადგენლები; 2. მაშასადამე, მათ გვერდით მოხსენიებული „იბერები“ უნდა იყვნენ არა „დასავლეთის“, არამედ „აღმოსავლეთის“ იბერები; 3. ცნობილია, რომ ჭერ კიდევ VI საუკუნეში ბიზანტიურ წყაროებში არის ლაპარაკი იბერიულ (ე. . . ქართულ) აბრეშუმზე“.

დაბოლოს, ძველ საბერძნეთსა და რომში მოიპოვებოდნენ ისეთი ავტორებიც, რომლებიც ვერაფერს ნათესაობას ვერ ხედავდნენ დასავლელ და აღმოსავლელ იბერიელებს შორის. ამ მხრივ საგულისხმოა სტრაბონის გულუბრყვილო მოსაზრება, ჰიპოთეტურად გამოთქმული. გამოჩენილი გეოგრაფი გადმოგვცემს, რომ იმ ადგილებში, სადაც ქართველები ცხოვრობენ (ე. ი. კავკასიის იბერები), ჩანჩქერებს ოქრო მოჰყვება; ჩამოზიდულ ოქროს აგროვებენ გობებითა და ბანჯგელიანი ტყავებით (აქედან მომდინარეობს მითი ოქროს ვერძის შესახებ). ხოლო, რაკი დასავლეთის იბერიაშიც მოიპოვება ოქროს ქვიშნარი, სახელწოდებათა იდენტობის სათავეც ეს არისო.

ამით შეიძლება დავამთავროთ ძველი ბერძნული და რომაული წყაროების მიმოხილვა ჩვენთვის საინტერესო საგანზე. როგორც გამოიჩვენა, ორი იბერიის თანამიმართების თაობაზე მრავალ ბერძენ და რომაელ ავტორს გამოუთქვამს მოსაზრებები.

აი, ეს ავტორებიც: აპოლოდორი, ვარონი, პლინიუსი, სტრაბონი, აპიანე, ევსევი, კესარიელი, აბიდენი, მეგასთენი, მაქსიმე აღმსარებელი, ნიკიფორე ქსანთოპულოსი, არისტინანე, ევსტათი, დიონისე პერიეგეტი, სოკრატე სქოლასტიკოსი, სვიდა, ატალიატე, ცეცე და სხვ. არსებობს ძველი სომხური წყაროებიც.

იბადება კითხვა: იცოდნენ თუ არა ძველ საქართველოში, რომ არსებობს მეორე იბერია დასავლეთში?

ქართული წყაროები ეჭვმიუტანლად მიგვანიშნებენ იმ გარემოებაზე, რომ დასავლეთის იბერიელების არსებობა ჩვენს წინაპრებს კარგად სცოდნიათ.

VIII—IX სს-ზე უწინარესი ცნობები ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით ჭერჭერობით გამოვლენილი არ არის, მაგრამ ამ ხანიდან რომ ქართულ ენაზე არსებულ წერილობით ძეგლებში ლაპარაკია ესპანეთის იბერიის შესახებ, ეს კი უეჭველია.

გავეცნოთ ქართულ წყაროებს.

პირველი ცნობა დასავლეთის იბერიის შესახებ მოიპოვება ბასილი კესარიელის (329—379) თხზულების (Hexameron) უძველეს ქართულ თარგმანში. იგი თარგმნილია VIII—IX სს-ში არაბული ენიდან.

ბერძენი ავტორის — ბასილი კესარიელის (ანუ ბასილი დიდის) თხზულება ადრეული შუა საუკუნეებიდანვე მთელ მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. აქ ვრცლად არის კომენტირებული ბიბლიის ის ადგილი, რომელიც ეხება ქვეყნის შექმნას, მკედარი და ცოცხალი ბუნების წარმოშობასა და აღამიანს. ძეგლი გვამცნობს ამასთანავე მაშინდელი მეცნიერების მონაცემებს. Hexameron-ის სახით საქმე გვაქვს არა ვიწრო საეკლესიო ძეგლთან, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საეროსთან, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო სა-

ხელმძღვანელოს და, როგორც ასეთი, ის უმეტესწილ ქმნიდა საერთო-საგანმანათლებლო საშუალებას, აფართოებდა თვალთახედვას და აკმაყოფილებდა ბუნებრივ მოთხოვნილებას — წარმოდგენა ჰქონოდა კაცს გარემოცვაზე. ბასილის კომენტარები მოიცავს ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო საკითხებს, რამაც განაპირობა თხზულების ფართო გავრცელება ქრისტიან ხალხთა მწერლობაში.

ბასილი კესარიელის თხზულება ქართულად სხვადასხვა დროს რამდენჯერმე უთარგმნიათ. XI ს. 50იან წლებში გიორგი მთაწმიდელის მიერ შესრულებული თარგმანის ანდერძში აღნიშნულია, რომ წინა საუკუნეებში არსებობდა სხვა თარგმანებიც ბასილის თხზულებისა. VIII—IX სს. თარგმანი დიდი ხანი არ არის, რაც აღმოჩნდა ორი ნუსხის სახით იერუსალიმის ქართული ხელნაწერების კოლექციაში.

და აი, ბასილი კესარიელის თხზულება ამ ადრინდელ ქართულ თარგმანში, იმ ადგილას, სადაც განმარტებულია ბიბლიური კოსმოგონია, ნათქვამია: თავდაპირველად ზღვა არ არსებობდა, ზღვა, რომელიც დღეს ლადირის მთის ირგვლივია; არც ის შემადრწუნებელი უფსკრული იყო, რომელსაც მეზღვაურები უფრთხიან ხოლმე, რომელიც ეკერის ბრიტანეთის კუნძულსა და დასავლეთის ქართვლებს, არამედ შემდგომ წარმოიშვა და განივრცო.

საკითხავია: ჩვენთვის საინტერესო ადგილი ტექსტისა როგორაა გადმოცემული მერმინდელ, XI ს. (გიორგი მთაწმინდლისეულ) თარგმანში?

აქაც ბერძნული იბერიის ეკვივალენტია „ქართველნი დასავლეთისანი“ (ე. ი. დასავლეთის ქართველები).

ყურადღებას მივაპყრობთ იმ გარემოებას, რომ ბერძნულ დედანში გვაქვს „დასავლეთის იბერია“, ლათინურ თარგმანში კი ასეთი შენაცვლება: „... occidentales Hispanos ambit“, „დასავლეთის იბერია“ შეცვლილია ერთი ტერმინით „ესპანეთი“.

ასეთი „გააზრება“ სხვა შემთხვევაშიც გვხვდება.

ძველი ქართველი მთარგმნელების მიერ ესპანეთის იბერიის აღსანიშნავად შემოთავაზებული ტერმინი — „ქართველნი დასავლეთისანი“ იმის მჭევრმეტყველური მოწმობაა, რომ ისინი ამ ფორმულით აღიარებენ აღმოსავლეთის იბერებისა და დასავლეთის იბერების ერთიანობა-ნათესაობას!

ამრიგად, ბერძენი ავტორის თხზულების ქართული თარგმანის ვერსიებში აშკარად გამოსჭვივის VIII—XI სს. დროინდელ საქართველოში შემუშავებული მრწამსი აღმოსავლეთისა და კავკასიის იბერელების იდენტიფიკაციის შესახებ.

ეჭვს გარეშეა, ევროპის იბერების მონათულა „დასავლეთის ქართველებად“ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის უკუღმანა.

დროინდელი ეროვნული შეგნების თავისებური ანარეკლია.

ისიც უნდა დავსინოთ, რომ შუა საუკუნეებში გავრცელებული შეხედულება და თვალსაზრისი ქართველთა ეთნოგენეზის თაობაზე უთუოდ ინერციაა უფრო ადრინდელი ეპოქების მსოფლმხედველობისა, ასე გაბედულად და დაუფარავად რომ არის გამოძეგნებული სხვა მხრივ პედანტური სიზუსტით შესრულებულ ქართულ თარგმანებშიც.

პირენის ნახევარკუნძულის იბერიელები მოხსენიებული არიან ტერმინით — „ქართველნი დასავლისანი“ Liber Generation-ის ქართულ ვერსიაშიც.

ამ ძეგლთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს შემდეგი.

ცნობილია, რომ ბიზანტიასა და მისგან კულტურულად დამოკიდებულ ქვეყნებში უძველესი დროიდან დამყარდა შეხედულება, თვალსაზრისი, რომ წარღვნის შემდეგ კაცობრიობა მომრავლდა ნოეს სამი შვილისაგან, რომელთაც სემი, ქამი და იაფეტი ეწოდებოდათ; თითოეულმა ამ სამ ძმათაგანმა დაიკავა გარკვეული ნაწილი ქვეყნისა, სადაც ფეხი მოიკიდეს შემდეგში მათგან შთამომავალმა ერებმა. ამიტომ შუა საუკუნეების ბიზანტიაში ჩნდებიან ისეთი მწერლები, რომელნიც არკვევენ იმ დროის ცნობილ ერთა გენეალოგიას და შთამომავლობას, ვის ვისგან მოაქვს დასაწყისი — სემის, ქამის თუ იაფეტისაგან, რომელი ერი სად ბინადრობდა და რომელ ენაზე ლაპარაკობდა. აი ამის საფუძველზე დამუშავდა Generationis hominem და Diemerismos, დიდი გავრცელება რომ მოიპოვა ცივილიზებულ მსოფლიოში: მას თარგმნიდნენ და შესაფერის კომენტარებს ურთავდნენ. III ს.-ში ამგვარი ხასიათის თხზულება შექმნა იპოლიტე რომაელმა. არსებობს ამ თხზულების მრავალი რედაქცია, შექმნილი შემდგომ საუკუნეებში.

ეროვნულ-გენეალოგიურ საკითხებისადმი ძველ საქართველოშიც იჩენდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას. თეორიული ინტერესი ხალხთა კლასიფიკაციისა და მათი გეოგრაფიული განფენილობის პრობლემისადმი ჩვენში განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება X ს. ბოლოდან XII ს. დამდეგამდე, როდესაც მიმდინარეობს პროცესი ქართველთა პოლიტიკური გაერთიანებისა. ამის მშვენიერი დამადასტურებელია XI ს. ცნობილი ისტორიკოსის ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, რომელშიც ავტორი არკვევს კავკასიის მკვიდრთა, კერძოდ — ქართველთა, შთამომავლობას და ნათესაობას. ლეონტი მროველს ამ საკითხების კვლევა-ძიებაში ჰყავდა წინამორბედი ექვთიმე ათონელის (მთაწმიდელი) სახით (კ. კეკელიძე).

ექვთიმე მთაწმიდელი (955—1028) ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი და ჩვენი კულტურული წარსულის ერთი უდიდესი

პიროვნებაა, რომელმაც განსაკუთრებული კვალი დატოვა ქართულ მწერლობის ისტორიაში. მან ქართულიდან ბერძნულად თარგმნა „სიბრძნე ბალავარისა“, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ამ ნაწარმოების ევროპულ ენებზე შესრულებულ თარგმანებს. ეს რომანი შუა საუკუნეების ქრისტიან ხალხთა ლიტერატურაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, იგი მიეკუთვნება მსოფლიო ლიტერატურულ შედეგებს. გარდა ამისა, ექვთიმემ გაამდიდრა ძველი ქართული მწერლობა ბერძნული ენიდან ნათარგმნი თხზულებებით. არ არის დარგი სასულიერო ლიტერატურისა, რომელშიც მას არ ეთარგმნოს ესა თუ ის თხზულება ( ბიბლიოლოგია, აპოკრიფები, ეგზეგეტიკა, დოგმატიკა და პოლემიკა, ასკეტიკა და მისტიკა, ჰომილეტიკა, ლიტურგიკა, საეკლესიო სამართალი). ექვთიმე მთაწმინდელი თავისი ლიტერატურული საქმიანობით ორი პერიოდის მიჯნაზე დგას: პირველისა და მეორის. ამით აიხსნება, რომ მისი მემკვიდრეობა მატარებელია როგორც ძველი ტრადიციებისა, ისე ახალი ტენდენციებისა. იგი უფრო მთარგმნელია, მაგრამ თავისებური: სათარგმნელი მასალის შერჩევისას და თარგმნის პროცესში მას მუდამ მხედველობაში ჰქონდა ინტელექტუალური მოთხოვნილებანი და განვითარების დონე თავისი თანამემამულეებისა, ამიტომ სათარგმნელ დედნებს ის ან უმატებდა ან აკლებდა რამეს. ასე რომ, თითქმის არც ერთ მის რომელიმე ნათარგმნ თხზულებაში დედანი უცვლელად მოცემული არაა. თავის თარგმანებში ის იძლეოდა ახალ რედაქციას ამა თუ იმ თხზულებისას. ამდენად, უცხო ძეგლები მის მიერ, შეიძლება ითქვას, გაქართულებულია. როგორც უნდა იყოს, მან, როგორც ბიზანტიელთა შორის კარგად ცნობილმა დიდად პოპულარულმა მოღვაწემ, ცხადად დაანახვა ბერძნებს შემოქმედებითი უნარი ქართველებისა, დონე და დიაპაზონი ქართული კულტურისა და ის საპატიო ადგილი, რომელიც მის სამშობლოს მოპოვებული ჰქონდა მოწინავე ქრისტიან ერთა შორის (ე. კეკელიძე).

ზემოხსენებული იპოლიტეს ქრონიკის ნაწილი მოთავსებულია ეპიფანე კვიპრელის (გარდ. 403 წ.) თხზულებაში, რომელიც წარმოადგენს იპოლიტე რომაელის თხზულების ორი რედაქციის შერეულ სახეს.

ექვთიმე მთაწმინდლის თარგმანი შესრულებულია არა უგვიანეს X ს. უკანასკნელი მეხუთედისა და წარმოადგენს ეპიფანეს თხზულების თავისებურ რედაქციას. მთარგმნელს დედანში გამოუტოვებია რამდენიმე თავი და, სამაგიეროდ, დაუმატებია ისეთი მასალა, რომელიც დედანში არ მოიპოვება.

როგორც ცნობილია, პირენეის ნახევარკუნძულზე კელტების დიდი ტალღის შეჭრის შედეგად მოხდა ეთნიკური შერევა და შეაქმნა

იბერიელთა ტომი კელტიბერები. ეს კელტიბერები და იბერები იაფეტის შთამომავალთა შორის არიან მოხსენებული.

Liber Generation-ში მოხსენიებულ კელტიბერებს ექვთიმე მთაწმიდელი ქართულად ასე თარგმნის: „დასავლეთის კელტქართველნი“. ესეც ფრიად საგულისხმო მინიშნებაა იმაზე, თუ როგორ ესმოდათ ძველ საქართველოში ორი იბერიის მკვიდრთა მიმართება.

ძველ საქართველოში წარჩინებულ მოღვაწეებს გასჩენიათ იდეა — მოეწყოთ ექსპედიცია და გამგზავრებულ იყვნენ ესპანეთში, რათა გასცნობოდნენ „დასავლეთის ქართველების“ ცხოვრებას, ე. ი. ბასკებს.

პირველი უტყუარი ცნობა ამ საკითხის შესახებ დაცულია XI ს. გამოჩენილი მწერლისა და მოღვაწის გიორგი მთაწმიდლის (დაიბ. 1009 წელს) თხზულებაში სათაურით „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“, რომელიც დაწერილია 1042—1044 წლებში.

გიორგი მთაწმიდელს ერთი უპირველესი ადგილთაგანი უჭირავს XI ს. ქართულ ლიტერატურულ მოღვაწეთა შორის. ის იყო ივერიის მონასტრის წინამძღვარი, მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლიტერატურული ძეგლი, უმთავრესად ბერძნული ენიდან ნათარგმნი ან ნარედაქციევი. იგი გამოჩენილი ისტორიკოსიც იყო. გიორგი მთაწმიდლის ზემოხსენებული ორიგინალური თხზულება მოგვითხრობს ათონის ქართველთა მონასტრის დაარსებისა და შინაგანი წყობილების ამბებს და უაღრესად საინტერესო ცნობებს შეიცავს არა მარტოდენ საქართველოს ისტორიის შესახებ, არამედ საბერძნეთის შესახებაც, როგორც ეს თავის დროზე ამერიკელმა ქართველოლოგმა, ნ. მარის მოწაფემ, პროფ. რ. ბლაიკმა აღნიშნა.

გიორგი მთაწმიდლის ნაწარმოებში ჩვენი მიზნებისათვის საინტერესოა იოვანე მთაწმიდელი-ათონელი (მამა ექვთიმე მთაწმიდლისა), რომელმაც დააარსა ათონის ივერიის მონასტერი და ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე გახლდათ.

ათონის ივერიის მონასტერი დაარსებულია 980—983 წლებში. ეს შესანიშნავი სავანე ქართული მწიგნობრობისა იმთავითვე მატარებელი იყო ეროვნული იდეისა საბერძნეთში და მალე გადაიქცა წყაროდ, საიდანაც საქართველოში მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადი. თუ ქართული მწერლობა უაღრესად განვითარდა XI—XII სს-ში, ეს ივერიის მონასტრის მეოხებითაც, სადაც თავმოყრილი იყვნენ ქართველთა ააუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და

კალიგრაფიული სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს ისტორიაში.

ახლა მოვუსმინოთ გიორგი მთაწმიდელს, რომელიც გვამცნობს იოვანეს ცხოვრების ერთ ეპიზოდს:

თორნიკე გარდაცვალების შემდეგ ნეტარმა მამა იოანემ განიზრახა თან წაეყვანა თავისი ძე და რამდენიმე მოწაფე და გაქცეულიყო სპანიაში (ესპანეთში): მას თავიდანვე უმძიმდა შულლისა და შფოთის ატანა, მაგრამ დროებით ყოველივეს ითმენდა, რომ აეშენებინა თორნიკესთვის საძვალე (აკლდამა) და დაეხსნა მისი სული. იოანეს გაგონილი ჰქონდა, რომ ქართველები, — არამცირელი ქართველი ტომები და ხალხები, — ცხოვრობენ სპანიაში და ამიტომ იგი გაემართა აბიდოსში, რათა ეპოვა სპანიაში (ესპანეთში) მიმავალი ხომალდი და გამგზავრებულიყო იქ. რადგანაც ვინც იმ დროს აბიდოსში მთავრობდა, მამა იოანეს ფრიად საყვარელი პიროვნება იყო, მან გაუშლავნა თავისი განზრახვა მეგობარს, ეს უქანასქელი კი წინ აღუდგა და, რამდენადაც შეეძლო, არ უშვებდა. ხოლო როდესაც დაინახა, რომ მამა იოანე მტკიცედ იცავდა მიღებულ გადაწყვეტილებას, შემდეგი სიტყვებით გამოუცხადა მას თავისი ნება: „წმინდა მამავ, შენთვის ცნობილია, რა დიდად აფასებენ მეფეები შენს პირად ღირსებას: თუ გაგიშვებ, დიდი ბოროტება დამატყდება თავს. ამიტომ მივწერ მეფეებს და, როგორც ისინი ბრძანებენ, შენც იხე მოიქეცი“. მან მისწერა მეფეებს და ზათ უბრძანეს — იოანე და მისი თანამგზავრები სატახტო ქალაქში გაგზავნათ. როდესაც ჩავიდნენ (სატახტო ქალაქში), მეფეები დიდი პატივით მიესალმნენ მათ და დიდი სინანულით უთხრეს: „წმინდა მამებო, ჩვენ ფრიად ვაფასებთ თქვენს სიწმინდეს და რა მიზეზია, რომ გაგვირბით და უცხო ქვეყანაში მიემგზავრებით?“ ნეტარმა იოანემ პოასხენა: „ღვთის მსახურო და თვითმპყრობელო მეფეებო! მე ამ სოფლად მყოფი ერთი გლახაკი გახლდით, ყოველგვარი ცოდვის მტკირთველი. მსურდა სადმე უცხო მხარეში გამგზავრება, რათა სიღარიბეში მეცხოვრა და მეხსნა ჩემი სული. არ ვიცი, როგორ მოხდა. რომ ჩემი განმარტობის ადგილი შეიტყო და მოვიდა ჩემი ნათესავი თორნიკე. ამის გამო ატყდა შულლი და მე შემოვიკრიბე ხალხი. ამიტომ მსურს გავთავისუფლდე ამ უსიამოვნებათაგან, რათა ვიზრუნო საკუთარ სულზე“. დიდხანს დიდი პატივით თავისთან გააჩერეს მეფეებმა იოანე და დიდი რულუნებით ძლივს დაარწმუნეს ისევ მონასტერში დაბრუნებულიყო. მეფეებმა იოანე უხვი საბოძვარით გამოისტუმრეს.

როგორც ტექსტიდან ჩანს, იოვანე ქ. აბიდოსში ჩასულა. მეფეებს ურჩევიათ, უქან დაბრუნებულიყო. ამრიგად, იოანე ათონელის ექსპე-

დიცამ, რომელიც მოწოდებული იყო ესპანეთში ჩასულიყო და „იქა-ური ქართველნი“ (ე. ი. ბასკები) მოენახულებინა, ფიასკო განიცადა... (XI ს. ავტორის ტექსტი დაიბეჭდა თბილისში 1946 წელს ი. ჭავჭავაძის პუბლიკაციით). ეს ფაქტი მოხდა X ს. ბოლო წლებში.

ბერძნულიდან ნათარგმნი უკანასკნელი თხზულება, რომელშიც კი ბასკები, „ესპანეთის ქართველები“ მოიხსენებიან, გახლავს „ამბროსი მდიოლანელის ცხოვრება“, სადაც ნათქვამია: „მყის მიიყვანა იგი საქართველოდ, რომელსა იგი სპანიადცა უწოდებენ“ (თარგმანი შესრულებულია XI ს. გასულამდე თეოფილესა და ეფრემ მცირის მიერ).

აქ ჩვენთვის საყურადღებოა საქართველო-ესპანეთის იდენტიფიკაცია.

ამ დროიდან მოყოლებული — ვიდრე XVIII ს-მდე — ქართულ წყაროებში „ესპანეთის ქართველები“ აღარ იხსენიებიან.

მართალია, ქართულ წყაროებში XI ს. ბოლოდან მოყოლებული XVIII ს. შუა წლებამდე ქართველთა და ესპანელთა ნათესაობის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ქართველ საზოგადოებაში არ შეიძლებოდა მიმწყვდარიყო ამ საგანზე ფიქრი; ძნელი დასაჯერებელია, რომ ხალხში მთლად განელებულიყო და დაეიწყებულიყო ინტერესი იმ პრობლემისადმი, რომელიც ასე მკვეთრად და ამაღლევებლად ისმებოდა წინა საუკუნეებში. ტრადიციულ საზოგადოებრივი აზრის უწყვეტობაზე სრულიად გარკვეულად მიგვანიშნებს XVII ს. ცნობილი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ჩანაწერები, რასაც საკითხის ისტორიისათვის უთუოდ აქვს მნიშვნელობა.

შარდენი თბილისში ჩამოვიდა 1672 წლის სექტემბერში და გაემგზავრა 1673 წლის 28 თებერვალს. მან მოიარა როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო, ვრცლად აღწერა საკუთარი თვალით ნანახი უამრავი ფაქტი თუ მოვლენა: პირადი შთაბეჭდილებები შეაქვს საქართველოს წარსულის შესახებ ცნობებით, რომლებიც ამოკრება ბერძენ, რომაელ და ირანელ ისტორიკოსთა თხზულებებიდან და და წინამორბედ ევროპელ მოგზაურთა და მისიონერთა ჩანაწერებიდან.

შარდენი თავის ნარკვევში საგულისხმოდ ამბავს მოგვითხრობს. იგი მიიწვიეს ნადიმზე ქართველ მეფესთან. „გამომშვიდობებისას მან მკითხა, — ამბობს შარდენი, — როგორ ბრძანდებოა ჩემი ნათესავი, ესპანეთის მეფე, და ძვირფასი ქვებით მორთული თასით შესვა მისი სადღეგრძელო... დიდხანს ვიფიქრე იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა ყოფილიყო მეფე ესპანეთის მეფის ნათესავი, და მივხვდი, რომ ეს მრავალი ავტორის აზრს ეთანხმებოდა. ესპანელები წარმოშობით იბერიელები არიან. კაპუცინებს ვკითხე, — განაგრძობს შარდენი, — როგორ ესმით-მეთქი ეს ნათესაობა მთავარს“.



შენიშნავ, რომ შარდენს ყრუდ საქართველოში ჩამოსვლამდეც სკოდნია ესპანელებისა და ქართველების ნათესაობის შესახებ („... ეს მრავალი ავტორის აზრს ეთანხმებოდა. ესპანელები წარმოშობით იბერიელები არიან“).

ვრცლად არის ლაპარაკი ქართველთა და ესპანეთის იბერიელთა ნათესაობაზე XVIII ს. ცნობილი ქართველი მოღვაწისა და მწერლის ტიმოთე გაბაშვილის სამოგზაურო ჟანრის თხზულებაში (გამოცემულია ე. მეტრეველის მიერ 1956 წ.).

ტიმოთე გაბაშვილმა მოიარა ბევრი ქვეყანა და საშუალება ჰქონდა გასცნობოდა იმდროინდელ განათლებულ ადამიანებს. იგი ესაუბრებოდა კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის პატრიარქებს, მთავარეპისკოპოსებსა და ეპისკოპოსებს, ფილოსოფოსებსა და მწიგნობრებს. ტიმოთეს, როგორც ფრიად განსწავლულსა და საინტერესო პიროვნებას, ყველგან პატივითა და ყურადღებით იღებდნენ.

ტიმოთე გაბაშვილი ათონის მთაზე მოგზაურობის დროს გაეცნო XVIII ს. ერთ-ერთ უძლიერეს სასწავლო-სამეცნიერო კერას — ათონის აკადემიას და დაგვიტოვა უაღრესად საინტერესო წერილობითი ცნობები როგორც აკადემიის სტრუქტურისა და სასწავლო გეგმების, ასევე აკადემიის რექტორის — ევგენი ბულგარისის შესახებ. ევგენი ბულგარისი თავისი დროის მოწინავე ადამიანი იყო. მის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული როგორც ათონის აკადემიის, ასევე კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სკოლის აღორძინება.

ვათოპედის (ათონის) აკადემიის შესახებ არსებულ ცნობათა სიმცირის გამო ტიმოთეს, როგორც თვითმზილველის, ცნობებს პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება. ტიმოთე გაბაშვილის ცნობები განსაკუთრებით ღირებულია იმის გამო, რომ ისინი მომდინარეობენ არა უბრალო ცნობისომეყარე მოგზაურისაგან, არამედ ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში განსწავლული ადამიანისაგან, რომელიც არა მარტო უყურებს და ისმენს, არამედ სწავლობს, იძიებს და აფასებს ნანახსა და გაგონილს.

საგულისხმოა, რომ გაბაშვილი (ისევე როგორც ანტონ პირველი) ცდილობდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის გამოცდილების გამოყენებას თავის სასწავლო საქმიანობაში. ევროპული განათლების ახალი მიღწევების დანერგვაზე ათონის აკადემიაში ფიქრობდა ევგენი ბულგარისიც. ეს გარემოება კი საინტერესოს ხდიდა ტიმოთესათვის ევგენი სხოლარის სასწავლო საქმიანობას. ევგენი ბულგარისი ავტორია რიგი საღვთისმეტყველო, დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის თხზულებებისა (საფიქრებელია, ფრიდრიხ დიდის რჩევით, ეკატერინე მეორემ იგი რუსეთში მიიწვია, როგორც დიდი მეცნიერი).

ევგენი ბულგარისთან საუბრებში გაბაშვილმა აღძრა საკითხი ქართველთა და ესპანეთის უძველეს მკვიდრთა ნათესაობის თაობაზე.

ტიმოთეს თხზულებაში მოცემული ცნობები მრავალმხრივ საყურადღებოა.

1. გაბაშვილს, XVIII ს. მოღვაწეს, კარგად სცოდნია წინა საუკუნეებში გავრცელებული აზრი ქართველთა და ესპანელთა ნათესაობის შესახებ.

ამრიგად, ხაქართველოში ჯერ კიდევ არ არის გამქრალი და მისუსტებული ძველი საუკუნეების გამოძახილი ევროპელი და აზიელი იბერების ურთიერთობის თაობაზე.

2. გაბაშვილის მიხედვით, ქართველი და შპანიელი (ესპანელი) სინონიმებია.

ასეთი შენაცვლება ეთნონიმებისა სიმპტომატურია და უთუოდ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის ანარეკლი. ასე, მაგალითად, იმავე საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერი და მოღვაწე ანტონ პირველიც (ბაგრატიონი) ივერიის ნაცვლად ხმარობს სპანიას.

საქართველო-ესპანეთის ისტორიულ იდენტიფიკაციას, როგორც ვიცით, ტრადიცია უჭერდა მხარს. გავიხსენოთ, მაგალითად, ათონზე შესრულებულ ძველ თარგმანებში „ესპანეთის“ მაგივრად „იბერიის“ ხმარება და საქართველოს მაგივრად — „სპანიისა“.

3. ათონის აკადემიის რექტორი ევგენი ბულგარისი ადასტურებს ქართველთა და ესპანელთა ნათესაობას.

4. ევგენი ბულგარისი აყენებს მიგრაციის საკითხს: ქართველები გადასახლებულან ესპანეთში, ხოლო შემდგომ, „კვალად განმრავლდნენ შპანია, წარვიდნენ შპანიელნი ქართლად“. ამ მოძრაობის შედეგად ქართველებს და შპანიელებს ერთნაირი სახელი ეწოდება.

5. ევგენი ბულგარისის მიერ განსაზღვრულია, თუ როდის მოხდა შპანიელთა მოსვლა საქართველოში და ქართველთა წასვლა შპანიას. ზოგადად არის თქმული: „ოჯრობასა ქართლისასა მეფე და ერნი ქართველნი მოსრულან... და კვალად... წარვიდნენ შპანიელნი ქართლად პირველ ქრისტეს მოსლვისა“.

6. ქართველთა და ესპანელთა ნათესაობის შესახებ ევგენი ბულგარისს ცნობები ამოუკრეფია ძველი წერილობითი წყაროებიდან.

ამით შეიძლება დავასრულოთ საუბარი ძველ ქართულ წყაროებში ჩვენთვის საინტერესო ცნობების თაობაზე.

წამოყენებულია ჰიპოთეზები ძველ იბერიელთა მიგრაციის პრობლემასთან დაკავშირებით.

უწინარეს ყოვლისა, გავიხსენოთ ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების შეზღუდლებანი კავკასიელი იბერებისა და ევროპელი იბერების მოძრაობის შესახებ ისტორიულ წარსულში.

რა თქმა უნდა, ეთნიკური ჯგუფების გადაადგილების მათეული გაგება მოკლებულია დამაჯერებლობას და არ სცილდება საეარაულო მოსაზრებების ფარგლებს. როგორც ზემოთ დავინახეთ, ზოგიერთები მიგრაციის (ევლისხმობთ ევროპელი იბერების გადმოსახლებას კავკასიაში) კონკრეტულ მიზეზებსაც კი ასახელებენ (მიწისძვრები, ნაბუკოდროსოროსის ლაშქრობები და სხვ.).

კავკასიელი იბერების პირენეის ნახევარკუნძულიდან მომდინარეობას, როგორც ზემოთ ვთქვით, აღიარებენ: მეგასთენი, ევსევი, ქსანთოპულოსი, პერიეგეტი, ევსტათი, სოკრატე სქოლასტიკოსი, ატალიატე და სხვ. პირენეის იბერების კავკასიიდან გადასახლებას ვარაუდობენ: ვარონი, პლინიუს დიდი, პრისციანი, მაქსიმე აღმსარებელი, გიორგი მთაწმიდელი და სხვ.

სათანადო კონტექსტები ამ ავტორების თხზულებებიდან დამოწმებულია ზემოთ.

დასავლეთის იბერების (resp. ბასკების) პირვანდელი ადგილსამყოფელის საკითხთან დაკავშირებით მიგრაციის ვარაუდს გამოთქვამდნენ ცნობილი ენათმეცნიერები და ისტორიკოსები.

ვილჰელმ ჰუმბოლდტი (1767—1835), რომელმაც ფუძემდებელი ნაშრომები დაგვიტოვა ბასკოლოგიაში, აღნიშნავდა, რომ იბერები (resp. ბასკები) კავკასიიდან წავიდნენ დასავლეთში მცირე აზიის გავლით.

ფრანგი მეცნიერი ბოდრიმონი თავის ნაშრომში („ბასკების ისტორია“, 1867) აღნიშნავდა, რომ დასავლეთის იბერიელები გადასახლებული არიან კავკასიიდან და თავიანთ ახალ ადგილსამყოფელს დაარქვეს იბერია.

ფილიპონი იბერიელებს აზიური მოდგმის ხალხად მიიჩნევდა და, მისი ვარაუდით, ისინი ევროპაში მოხვდნენ მცირე აზიის ჩრდილოეთის მიდამოების გავლით (1909 წ.). ფილიპონი ფიქრობდა, რომ როცა იბერთა ტომი აპენინის ნახევარკუნძულზე გამოჩნდა, ორ შტოდ დანაწილდა: ერთი ტალდა (იბერ-სიკანები) დაეშვა იტალიაში, მეორე (იბერები) გაიქრა გალიაში და დაეუფლა ლიგურიას, პირენეის მთიანი ქედის ორივე მხრიდან კი მოხვდა პირენეის ნახევარკუნძულზე. ნახევარკუნძული მაშინ ეკავათ აფრიკიდან მოსულ ტარტესებს. რომლებიც ეგეოსის კულტურის მატარებელნი იყვნენ. თანდათანობით მოხდა ამ მხარის იბერიზაცია. ფილიპონი უმთავრესად ემყარებოდა ტოპონიმოკისა და ონომასტიკის მონაცემებს.

ტოპონიმის მასალებზე დაყრდნობით იბერების მიგრაციის საკითხს ეხებოდა აგრეთვე გონგორა-მარტინეცი (1925). მიზი ვარაუდობდა, იბერებმა გადალახეს კავკასიის საზღვრები და ევროპის გავლით მივიდნენ პირენეის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე.

ნ. მარს იბერები და ბასკები პირველხანად ძმურ იაფეტურ ტომებად მიაჩნდა. იბერების მიგრაცია დასავლეთის მიმართულებით ორი გზითაა ნავარაუდები: ერთი — ზღვაზე სამხრეთით, მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვის კუნძულების მიმართულებით, — მეორე — ჩრდილოეთით მატერიკზე, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე და ევროპის სამხრეთით. ნ. მარის ერთ-ერთ ნაშრომში ნაჩვენებია ბასკების მიგრაციის ასეთი გზა: ვანის რაიონი — მტკვრისა და რიონის აუზი — შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო — სოხუმთან შორდებიან კავკასიას, რომ ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდნენ პირენეის ნახევარკუნძულზე ისევ იმ ივერებთან მეზობლობაში, რომლებიც ადრე გადასახლდნენ და რომლებთანაც მეზობლობდნენ ჯერ მცირე აზიაში და შემდგომ კავკასიაში. მართალია, არ არის ნათელი იბერების (ივერების) მარშრუტი — საზღვაო (სამხრეთით) თუ სახმელეთო (ჩრდილოეთით), მაგრამ ზოგიერთი ყოფითი ელემენტებისა და მატერიალური კულტურის პროტოისტორიული ძეგლის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირენეის იბერიელები დაკავშირებულნი იყვნენ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთის კუნძულებთან, სადაც შეიძლებოდა დროებით შეესვენებინათ მცირე აზიიდან ზღვით წამოსულ იბერებს. ისინი უთუოდ იყვნენ კიპრსა და სიცილიაში (გეოგრაფი ეფორი ამტკიცებდა, რომ იბერები სიცილიის პირველი ბინადარნი არიან). სიცილია, — თუ დავუშვებთ ზღვით გამგზავრებას, — შეიძლებოდა ყოფილიყო უკანასკნელი ეტაპი იბერთა მოძრაობისა ესპანეთის მიმართულებით. ასეთია ნ. მარის აზრთა მსვლელობა.

ფრანსუა დიუურკოს სიტყვით, დასავლეთი და ცენტრალური ევროპის პირვანდელი ბინადარნი აღმოსავლეთიდან (კავკასიიდან) გამოსახლებული იაფეტური იბერიელები არიან, — მათი ნაშთია დღეს ბასკების შვიდი პროვინცია ესპანეთსა და საფრანგეთში.

შეიძლებოდა დაგვესახელებინა სხვა მეცნიერებიც, რომლებიც აღიარებენ საქართველოდან იბერების გადასახლებას პირენეის ნახევარკუნძულზე, მაგრამ მათზე სიტყვას არ გავაგრძელებ, რადგანაც ყოველი მათგანი ისევ და ისევ დეკლარაციული განცხადებით კმაყოფილდება მხოლოდ.

დაბოლოს, მიგრაციის საკითხთან დაკავშირებით გავეცნოთ პროფ. რენე ლაფონის შეხედულებას.

რენე ლაფონი აღნიშნავდა: არა ჩანს სარწმუნო ისეთი ვარაუდი, რომ ხმელთაშუა ზღვის ენები მიეკუთვნებიან ენათა დიდ ოჯახს, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიიდან პირენეებამდე და რომლის დიდი ნაწილი ინდოევროპელთა გაძლიერებისას შთაინთქა. ამის კვალი უნდა დარჩენილიყო სადმე — ამ ორ უკიდურეს წერტილს შორის

მოთავსებულ უზარმაზარ ტერიტორიაზე. დღემდე ასეთი კვალი აღმოჩენილი არ არის. ამრიგად, ძნელია ვიფიქროთ, — განაგრძობს ლაფონი, — რომ კავკასიიდან პირენეებამდე გადაჭიმული იყო ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ერთ ენობრივ ოჯახს განეკუთვნებიან. დარჩა მიგრაციის ჰიპოთეზა: მცირე აზიიდან ან რომელიმე მეზობელ რაიონიდან დაიძრა ტალღა ხალხისა პირენეების მიმართულებით. ლაფონი ამბობს, რომ, რაკი ბასკური ადრეული ფორმები პერპინიანისა და ნარბონის ახლოს იყო გავრცელებული და ბასკურის მსგავსი გეოგრაფიული სახელწოდებანი ანტიკური ხანიდან მოყოლებული შეიმჩნეოდა სამხრეთ აღმოსავლეთსა და სამხრეთ ესპანეთში, ბუნებრივია ვიფიქროთ — იმიგრანტები ორი „ილიბერის“, ანუ ორი ბასკური „ახალი ქალაქის“ დამაარსებლები, ზღვით მოვიდნენ, მაგრამ მიგრაციის ჰიპოთეზა არ დამტკიცდება მარტოოდენ ენათმეცნიერული მონაცემების მიხედვით. უნდა მოვიშველიოთ ისტორიისა და არქეოლოგიის მონაცემებიც.

1920 წელს ნ. მარი შემდეგ ჰიპოთეზას გვთავაზობდა:

როდესაც ვლაპარაკობთ ქართველურ-კავკასიური მოდემის ხალხების მიერ დასავლეთის კულტურაში შეტანილ წვლილზე მეტალურგიის დარგში, უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი დახელოვნებული იყვნენ ლითონის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესებში, და ეს ცოდნა გამომდინარეობდა მათი ეთნო-კულტურული ცხოვრების ხასიათიდან. დროთა ვითარებაში შეიქმნა ახალი წიაღისეული მადნების მოპოვების მოთხოვნილება, რაც აიძულებდა კავკასიელებს აყრილიყვნენ და დასდგომოდნენ შორეულ გზას გარკვეული მიმართულებით. ეს „ხალხი-მეტალურგი“, ექვსგარეშეა, საჭიროებდა ლითონს, უწინარეს ყოვლისა, თავისი ტომობრივი მეურნეობის (მეტალურგიის) სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის, განსაკუთრებით მიწათმოქმედებისათვის, და მშობლიურ ქვეყანაში მადნეულობის გამოლევის, ანდა ამ მადნეულის ტექნიკური თვისებების უვარგისობის გამო მიეშურებოდნენ დასავლეთის მიმართულებით ახალი მადნეულის მოსაპოვებლად, ისე როგორც მწყემსების მომთაბარე ტომები მიეშურებიან ახალი საძოვრებისაკენ. ეს იყო არა ხალხთა დიდი გადასახლების, არამედ ქართველურ-კავკასიური ტომების განზნევის, ცალ-ცალკე დასახლების ეპოქა, კავკასიელები მიდიოდნენ, ცალ-ცალკე სახლდებოდნენ და საბოლოოდ ეფუძნებოდნენ იქ, სადაც პოულობდნენ საჭირო ლითონების მადნებს იმ რთული სამეურნეო ცხოვრების გასაუმჯობესებლად, რომელიც დაკავშირებული იყო მატერიალური კულტურის პირველსაწყისთან და წყაროსთან — მეტალურგიასთან, — მეტალურგიამ კი იმთავითვე განსაზღვრა მათი საზოგადოებრივი მრწამსი, მათი რელიგია, მათი ფსიქოლოგია... პირენეის ნახევარკუნძული (დღევანდელი ბას-

კონია) კი უხსოვარი დროიდან ცნობილი იყო მთელ მსოფლიოში, როგორც უმდიდრესი მეტალურგიული საბადოების ქვეყანა.

აპრიგად, ნ. მარი ვარაუდობდა, რომ ქართველურ-კავკასიური მოდემის რამდენიმე ჯგუფმა შეაღწია დასავლეთში, პირენეის ნახევარკუნძულზე, უმთავრესად ლითონის მოპოვებისა და დამზადების საჭიროებასათვის. ამასთანავე, მათ ახალ ტერიტორიაზე მიიტანეს მეტალურგიული კულტურა, რომელიც მდიდარი ტრადიციების მშობლიურ კავკასიაში იყო შემუშავებული.

რამდენიმე ათეული წლის წინათ გამოთქმულ ამ ჰიპოთეზას ექვმიუტანლად ეხმაურება დღევანდელი არქეოლოგიის მონაპოვარი: 1965 წელს ესპანელმა არქეოლოგმა ფუსტემ გათხარა 5000 წლის წინანდელი სპილენძის საბადო, სადაც აღმოჩნდა ზეავის შედეგად დაღუპულ ადამიანთა ჩონჩხები. რიგინად არის შენახული ორმოცამდე თავის ქალა. ფუსტეს დასკვნით, ისინი განეკუთვნებიან ე. წ. კავკასოიდური რასის გვიანდელ ვარიანტს. ამ აღმოჩენების საფუძველზე არქეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი მალუჟარ დე მოტი აღნიშნავდა, რომ ენეოლითურ ხანაში ესპანეთი „იზიდავდა კავკასიური წარმოშობის ადამიანებს, რომელთა კულტურა დაკავშირებულია ლითონის დამზადების ხელობასთან“.

ფრიად სიმპტომატური გარემოებაა: ქართველური ტომები ხომ ცნობილი იყვნენ, როგორც მეტალურგიული კულტურის მატარებლები!

პაულ კრეჩმერი ერთგან წერდა: თუ ჩვენ წინ ენობრივი გადმოცემა არ გვიძევს, თავის ქალები ვერ გვეტყვიან, თუ რა ენაზე ლაპარაკობდნენ ოდესღაც მათი მატარებლებიო. ეს მართალია, — რამდენადაც საქმე ეხება ენას, — მაგრამ ბასკონიაში ამ ხუთი ათასი წლის წინათ ზეავის შედეგად დაღუპული ორმოცი მადაროელის თავის ქალები თითქოს აშკარად გვეუბნებიან, რომ მათი მატარებლები კავკასიურ მოდემას მიეკუთვნებოდნენ!

პრეისტორიული და პროტოისტორიული არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული გამოკვლევები ესპანეთში, ამასთანავე, საფრანგეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები, უნდა ვიფიქროთ, საიმედო მასალებს გამოავლენენ ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის თვალსაზრისით.

აქვე უნდა დავსძინო, რომ საინტერესოა უძველესი (ქვის ხანის) სამარხების (აკლამების), ანუ დოლმენების გარკვეული ტიპის არსებობა, ერთი მხრივ, პირენეის ნახევარკუნძულზე, და, მეორე მხრივ, კავკასიაში (აფხაზეთში და სხვაგან). როგორც უკანასკნელი ხანის არქეოლოგიური გათხრები ამტკიცებენ, პირენეის ნახევარკუნძულის ადრეულ დოლმენები განსაკუთრებით უახლოვდებიან კავკასიურ ანალოგიურ ძეგლებს. ამ ტიპის დოლმენები ინვენტარის ხასიათითაც

უახლოვდებიან ერთმეორეს. ფიქრობენ, რომ, რაკი კავკასიის უძველესი დოღმენები ბასკების ადგილსამყოფლის ძეგლებთან პოულობენ გასაოცარ სიახლოვეს, შესაძლოა, ეს მოძრაობა სწორედ იქიდან (დასავლეთიდან) უნდა დაწყებულყო. კავკასიაში ეს ახალმოსულები ძირითადად მაიკოპის კულტურის მატარებელ ტომებთან შედიან კონტაქტში. შავიზღვისპირეთის მეგალითური კულტურის ბასკურ სამყაროსთან დაკავშირება, ცხადია, მოითხოვს ჩაღრმავებულ ძიებებს და, საერთოდ, არქეოლოგიური გათხრების ფართო მასშტაბით წარმოებას.

ასევე საგულისხმოა ანთროპოლოგიური მონაცემების გათვალისწინებაც ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით. ფრიაღ საგულისხმოა, რომ კავკასიის აბორიგენული მოსახლეობის გენეზისი უშუალოდ უკავშირდება ინდოხმელთაშუაზღვისპირული რასის წარმომავლობის საკითხს, რასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ბასკურ-კავკასიური თეორიისათვის.

ფრ. ენგელსი, ეხებოდა რა დასავლეთ ევროპის თავდაპირველი მოსახლეობის საკითხს, აღნიშნავდა:

„თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით ამ რასის ადამიანები (იგულისხმებიან იბერები. — შ. ძ.) გულდაგულ მარხავდნენ თავიანთ მიცვალებულებს, ამიტომ ჩვენამდე შემოინახა თავის ქალებისა და ჩონჩხების საკმარისი რაოდენობა, რომელთა მიხედვით შეიძლება მათი სხეულის აგებულების შესახებ მსჯელობა. გრძელი თავის ქალები, მკორე სიმაღლე (დედაკაცებისათვის დაახლოებით 1,46, მამაკაცებისათვის 1,65 სმ), დაბალი შუბლი, არწივისებური ცხვირი, გამონატული წარბზედა რკალები, დახვეწილი ყვრიმალები და სუსტად განვითარებული ყბები, მიგვანიშნებენ რასას, რომლის უკანასკნელი წარმომადგენლები დღეს ბასკები არიან. ნეოლითური მოსახლეობის არა მარტო ესპანეთის, არამედ საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის მთელი ტერიტორიისა, ყოველ შემთხვევაში რაინამდე, ეკუთვნოდა, როგორც ჩანს, იბერიულ რასას. არიელების მოსვლამდე იტალია აგრეთვე დასახლებული იყო მსგავსი დაბალტანიანი რასით, ბასკებთან მათი მეტნაკლებად შორეული ნათესაობის შესახებ ამჟამად ძნელია მსჯელობა“.

ბასკების თავდაპირველ საცხოვრისთან დაკავშირებით ფრ. ენგელსი ამბობდა, რომ ბასკები ყოველ შემთხვევაში დასავლეთ ევროპაში სამხრეთიდან მოვიდნენ.

საბჭოთა მეცნიერი, აგრობიოლოგიური მეცნიერების ცნობილი წარმომადგენელი აკადემიკოსი ნ. ვავილოვი თავის წიგნში „ხუთი კონტინენტი“ (1962) გვიამბობს:

„...სამოც ქვეყანაში არაერთგზის მოგზაურობისას ჩვენ არც ერთხელ არ გვინახავს მოსავლის აღების ასეთი მეთოდი, და მხოლოდ

შემდგომ მსგავს ხერხს ჩვენ წავაწყდით მთაგორიან დასავლეთ საქართველოში — ლეჩხუმში, სადაც ამას წინათ აღმოჩენილ იქნა ხორბლის შესანიშნავი ენდემური ჯიში, რომელიც გენეტიურად ყველაზე ახლოს დგას ნამდვილ სპელტასთან. ამგვარად, აგრონომიულად და ბოტანიკურად დადგინდა გასაოცარი კავშირი ჩრდილოეთ ესპანეთსა და საქართველოს შორის, ამასთანავე, თვით ობიექტი და თავად აგროტექნიკა იმდენად სპეციფიკური და განუმეორებელია, რომ არავითარ ეჭვს არ იწვევს ამ კავშირის ღრმა მნიშვნელობაზე; ...მე მახსოვს, რა მღელვარებით ისმენდა აკადემიკოსი ნიკო მარი ჩვენს მონათხრობს ამის შესახებ. მისთვის ეს ფაქტი იყო საუკეთესო დადასტურება იმ თეორიის სისწორისა, რომლის მიხედვითაც ჩრდილოეთ ესპანეთის ხალხები ენის მხრივ გენეტიურად დაკავშირებული არიან ერთ საერთო ოჯახთან — კავკასიელ ხალხებთან“.

საგნის სპეციალისტები ყურადღებას მიაქცევენ ბასკური და ქართული ხალხური სიმღერების პარალელურ ნიშნებზე (ზიგფრიდ ნადელი, შალვა ასლანიშვილი, ვაჟა გვახარია და სხვ.). მსგავსება შენიშნა ნიკო მარმაც თავის მოგზაურობის დროს. პროფესორი შ. ასლანიშვილი თავის წიგნში „ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ“ (თბილისი, 1954) გვარწმუნებს, რომ, გარდა სტრუქტურული პარალელიზმისა, პირენეის ნახევარკუნძულის სიმღერებისა და ქართული პოლიფონიური წყობა ამქავენებს მრავალ საერთო ინტონაციას მელოდიკაში. ამის კლასიკური ნიმუშია კატალონიურ-ბასკური „ნანას“, რომელიც არა მხოლოდ ინტონაციურად იპყრობს ყურადღებას თავისი სრულიად განსაკუთრებული სტრუქტურით, არამედ იგი ტექსტუალურადაც ემთხვევა ქართულში დადასტურებულ აკვნის „ნანას“ ვარიაციებს. ავტორის სიტყვით, ჩრდილოეთ ესპანეთისა და ქართული ხალხური სიმღერების მსგავსებას ადასტურებს არა მარტო ქართული სიმღერის — „ბუნდოვან გულსა“ განსაკვიფრებელი მსგავსება ჩრდილოეთ ესპანეთის სიმღერასთან — „ტოროლა“, — არამედ აგრეთვე საბჭოთა ეთნოგრაფის ტოლსტოის სტატიაში — „ესპანური ხალხური მუსიკა“ მოყვანილი სიმღერები და საკრავი ჰანგები, რომელთა სიახლოვეც ქართულ ხალხურ სიმღერასთან არავითარ ეჭვს არ ბადებს. ასლანიშვილი დაასკვნის, რომ „იავ-ნანას“ ვარიანტის მელოდია შემონახულია ჩრდილოეთ ესპანეთში. საგულისხმოა, რომ ბასკურ სიმღერებს ადარებენ ისეთ ქართულ სიმღერებს („ოროველა“, „ნანას“, „კალოური“, „უტრმული“ და სხვა.), რომლებიც განეკუთვნებიან ქართული მუსიკალური ფოლკლორის უძველეს ფენას და ხასიათდებიან დიდი არქაიზაციით.

გავცეთ პასუხი კითხვას: ხაიდან წარმოდგება ეთნონიმი იბერი,



ე. ი. გასარკვევია სახელწოდების ისტორია, სიტყვის ეტიმოლოგია.

ჯერ კიდევ 1906 წელს ნ. მარმა წამოაყენა შემდეგი პრინციპული ხასიათის დებულება: „კავკასიის გეოგრაფიული სახელწოდებანი, რომლებიც დატული აქვთ უცხოელებს, პირველ ყოვლისა, კლასიკოსებს, ყოველთვის ტრანსკრიფციითაა წარმოდგენილი, ან ადგილობრივ სახელწოდებათა თარგმანით. ქართული ენის ფონეტიკა საშუალებას იძლევა წარმოვადგინოთ გეოგრაფიული ტერმინის — Ἰβηρία კავკასიური პროტოტიპი, რომელმაც მოასწრო არა მხოლოდ ეცვალა სახე მშობლიურ ნიადაგზე, არამედ სხვადასხვა ფორმით დაშლილიყო დროისა და სივრცის შესაბამისად, ე. ი. ადგილობრივ კილო-თქმათა განვითარების შესაბამისად.

ეს დებულება სავსებით გაამართლა შემდგომმა ძიებებმა.

აკად. ს. ჯანაშიამ მიიღო დასკვნა, რომ ყველა სხვა ხალხი, რომელთათვისაც აღმოს. ქართველები ცნობილი იყვნენ ან არიან, ხმარობს ქართველთა ტომის და ეროვნების აღსანიშნავად არა ტერმინს „ქართველ“-ს, არამედ სხვა სახელწოდებებს, რომლებიც სათანადო ანალიზის შედეგად ყველა ერთ ფუძეზე დადის. ეს არის „იბერი“.

ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, როდის შეითვისეს ეს სახელი ბერძნებმა, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, III ს-ში (ძველი წელთაღრიცხვით) ეს სატომო სახელი ბერძნულ მწერლობაში შესულია და იგი ქართველ ხალხს აღნიშნავს. სტრაბონის გეოგრაფიაში იბერ ამ ფორმითაა მოცემული — Ἰβηρία და ქვეყანაც — ქართლი იბერად — Ἰβηριὰ ἰβηροῦ. ამავე ფორმით იხმარება ეს სახელი შემდეგდროინდელი მწერლების თხზულებებშიც (პლუტარქე, პტოლემე, აპიანე და სხვ.).

გვიანდელ ბერძნულ და ბიზანტიურ მწერლობაში გვხვდება ივერ, ივირი (აქედან: ივერია). სომხურ მწერლობაში იხმარება (ი)ვირ(ქ), რომელიც მიღებულია წინამავალი უმახვილო ხმოვნის დაუსტება-გაქრობით.

რომაელებმა ქართველთა აღსანიშნავად დაამკვიდრეს სახელწოდება ჰიბერი (Hiber). ამ ფორმას ხმარობდა ყველა, ვინც ლათინურად წერდა: ტ. ლივიუსი (გარდ. 17 წელს ახ. წ.), პომპონიუს მელა (წერდა 44 წლის მახლობლად ახ. წ.), პლინიუს სეკუნდი და სხვ.

გრამატიკოსი პრისციანი თავის „გრამატიკის სახელმძღვანელოში“ წერდა:

„...საკუთრივ Hiberes-ად იწოდება ტომი, გამოსული იბერებიდან, რომლებიც არმენიის გადაღმა ცხოვრობენ და რომლის სახელწოდების მხოლოდითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმაა Hiber

(ნათ. Hiberis). ხოლო ბერძნებთან 'Ιβήρη (ნათ. 'Ιβήριος ). სხვებს კი უწოდებენ 'Ιβήριος-ს (ნათ. 'Ιβήριον ), ესპანელის გაგებით; ხოლო Hiber, ნათ. Hiberis-ს როდესაც ვლაპარაკობთ იმ ტომზე, რომელიც არმენიის ახლოს ცხოვრობს; Hiberus, ნათ. Hiberi კი მდინარეა“.

იშვიათად გვხვდება iber, iberes, Hiberia.

იბერ ეთნონიმს ეტიმოლოგიურად უკავშირებენ იმერ-ს (დასავლურ-ქართული ტომია).

ფრანგი ისტორიკოსი პროფ. სენ-მარტენი ამბობდა: საქართველოს დასავლეთის მხარეს ეწოდება იმერეთი. ამ სიტყვას თუ მოვაცილებთ დაბლოებას „ეთ-ი“, რომელიც სიტყვას ემატება ქვეყნის აღსანიშნავად, დაგვრჩება სიტყვა იმერ-ი, რომელიც განირჩევა ძველი კლასიკური სახელწოდებისაგან მხოლოდ ერთი ბგერით: ბ-ს ნაცვლად აქ არის შ. ეს ორი ბგერა კი ხშირად ერთმანეთს ენაცვლება. ეს სიტყვა იმერეთი... არსებობდა პომპეუსის საქართველოში შემოსვლის დროს. მართლაც, რომაელები შემოვიდნენ კავკასიაში იმერეთიდან და ამიტომაც სახელწოდებამ — იმერმა, რომელიც მათ პირველად მოესმათ და მათი გამოთქმით ადვილად გადაიქცა იბერად, მოაგონა დასავლეთის განთქმული ქვეყანა. ეს სახელი, — განაგრძობს ავტორი, — მთ შიაწერეს მთელ საქართველოს. სხვანაირად შეუძლებელია აიხსნას, თუ საიდან წარმოდგა იბერიის სახელწოდება „ბერძნულ-ლათინურ გეოგრაფიაში“. სენ-მარტენი დასძენს, რომ ჰიპოთეზა კავკასიის იბერიისა და ესპანეთის იბერიის იგივეობის შესახებ აქედან წარმოდგაო.

იბერ-იმერ ფუძეების იდენტობას სხვა ავტორებიც აღიარებდნენ (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, პ. უსლარი, რ. ბლეიხშტაინერი და სხვ.). მარი ფიქრობდა, რომ იმერ ტერმინის ძველი ფორმაა ჰიმერ ჰიბერ.

იბერ სატომო სახელი ეტიმოლოგიურად უკავშირდება არა მხოლოდ იმერეთს, არამედ საქართველოს დასავლეთის და სამხრეთის რაიონების სხვა ქართველი ტომების აღმნიშვნელ ტერმინებსაც.

ნ. მარი იმავე ნაშრომში, სადაც მსჯელობს იბერ-იმერ-ის ფონეტიკურ იგივეობაზე, იბერ ფუძეს უკავშირებს სამხრეთ საქართველოს მხარის სპერ-ის სახელწოდებას. სპერი ბაგრატიდების მშობლიური კუთხეა და მდებარეობს ჭოროხის ზემო წელზე. ნ. მარი აღნიშნავს, სპერ ანდა სპირ, zesp. ისპერ ანდა ისპირ (პი-სპირ) ძველად ვრცელი ქვეყანა იყო და იგივე ტერმინი ივარაუდება ბერძნულ ფორმაში — პისპერიტის, სადაც სვ ეკვივალენტია ქართული პრეფიქსის სი, ე. ი. (ბ)ი (მეგრული ო-ს პარალელი რომ არის) და ადგილის აღმნიშვნელ

სიტყვებში გვხვდება. იტ კი ორეულია მხარეთა აღმნიშვნელი ქართულ სუფიქსებისა (ით, ეთ და სხვ.).

ჩვენთვის საინტერესო იბერ ფუძეში ნ. მარი ასეთი ფონეტიკური გადასვლების ვარაუდს გვათავაზობს: მისი ძველი სახეობა უნდა ყოფილიყო ჰბერ (შეადარე რომაელი მწერლების თხზულებებში დადასტურებული ჰიბერ), ქართული ენის ბგერობრივი ცვლილებების მიხედვით კანონზომიერია (ჰ-ს ს-ში გადასვლით) სბერ ფუძის მიღება. ხოლო წინამავალ ყრუ თანხმოვანთან (ს) მომდევნო მჟღერის (ბ) დაყრუებით (პროგრესული ასიმილაცია) გამოიშვა სპერ ფუძე, რომელიც, როგორც ვიცით, რეალურად არსებული ფუძეა ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. ამრიგად, ჰბერ-სპერ ვარიაციული ფორმებია ერთი და იმავე ქართული ეთნიკური სახელწოდებისა.

იბერ-იბერია ტერმინის ანალიზს ჩვენ უფრო შორეულ ეპოქაში შევყავართ.

როგორც ვიცით, სიტყვა იბერია ბერძნულ წყაროებში ძვ. წელთაღრიცხვით VI ს-მდე არ გვხვდება. ირკვევა, რომ იბერ-ის უძველესი ფორმაა სასპეარ. ჰეროდოტეს ცნობით, კოლხების გვერდით და კოლხებსა და მიდელებს შუა სასპეარები ცხოვრობენ.

ჰეროდოტეს შემდეგ სასპეარების შესახებ ცნობა მოეპოვება ქსენოფონტეს და აპოლონიოს როდოსელს (III ს. ძვ. წ.). სტრაბონი ამ ეთნონიმს განსხვავებული ფორმით ასახელებს: სესპირიტიდა.

„ისტორიის მამის“ ჰეროდოტეს სასპეარები მერმინდელი ბერძენი მწერლები იბერები არიან. „არავითარი სხვა რაციონალური ახსნა არ შეიძლება მოეუძენოთ არც იმ კითხვას, თუ ვინლა იყვნენ სასპეარები და სად გაქრნენ ისინი შემდეგში ასე უკვალოდ, უკეთუ მათ მხოლოდ სახელი არ გამოიცვალეს „იბერებად“, ან იმ კითხვას, თუ საიდან გაჩნდნენ ასე მოულოდნელად ეს იბერები“ (ს. ჯანაშია).

ჯერ კიდევ პ. უსლარმა გამოთქვა აზრი, რომ ჰეროდოტეს სასპეარები, სტრაბონის სასპირიტიდა, სამხრეთ საქართველოს სპერია ერთსა და იმავე ობიექტს განეკუთვნება. ეს იგივე ისტორიული იბერიაა. ჰეროდოტეს სასპერ-საბირი ახსნილია ქართული საიბეროთი, ცნობილი კავკასიოლოგის აზრით, სასპირები მერმინდელი ქართველები არიან და ისინი ამიერკავკასიაში ცხოვრობდნენ. სპერის არაბულ-თურქული ფორმაა ისპირ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საყოველთაო გავრცელება იბერ — ფუძისა მოწმობს მის დიდ სიძველეს.

პირენეის იბერებთან კავკასიის იბერების დაკავშირების პრობლემისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს იმის აღიარებას, რომ იბერი, იბერია, როგორც ვარაუდობენ, ქართული წარმოშობის ტერმინებია; ეს ფუძე ძირგამდგარია უძველესი ქართველი ტომების სა-

ზელწოდებებში. მრავალფეროვანი ვარიანტების სახით რომ შემოუნახავს ისტორიას.

ისიც საგულისხმოა, რომ იბერ-იბერია სიტყვების თავდაპირველი ძირი უკავშირდება წყლის ცნებას. ასეთი დაკავშირება უცხო არ არის ევროპის იბერიისთვისაც. ამ ეთნონიმის წარმოქმნა დაიყვანება წყლის კულტის არსებობასთან, რაც დადასტურებულია როგორც კავკასიაში, ისე პირენეის მთებში. აქაც სრული ერთიანობა-ერთობლივობაა.

რა ეტიმოლოგია აქვს ევროპულ ეთნონიმს იბერ, აქედან — იბერია?

ამ სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. როგორც ვიცით, ევროპული ტერმინი ლიტერატურულ წყაროებში დადასტურებულია VI-ს-დან (ძვ. წ.).

ამ ეთნონიმს უკავშირებენ მდინარის სახელწოდებას *iber, ibers* (კატალონია) და *Ibero* (ნავარაში) და სხვ.

ბასკურ ენაში გვაქვს *იბარ* — „ჭალა“ და მასთან დაკავშირებულ *იბაი* „მდინარე“, *იბონ* „მთის ტბა“, *იბი* „ნაკადული“, *იბი*, *იბასო* „ფონი“ და სხვ., აქედან *იბია*, *იბის*, *იბილა* (ძვ. ლიბიაში დადასტურებული აქვს სტეფანე ბიზანტიელს), თანამედროვე — *იბასო* „ფონი“ და სხვ. აქედან *იბია*, *იბის*, *იბილა* (ძვ. ლიბიაში, ბაპია „უურე“ და სხვ.).

იბერ-ში ზოგიერთმა გამოყო ბასკური იბ „მდინარე, წყალი“. ერრი „ხალხი“, „ერი“, ე. ი. მივიღეთ „მდინარის ხალხი“, ან „მდინარის დასახლება“, თუმცა არ გამოირიცხება ასეთი ეტიმოლოგია: *იბ-არ*, სადაც არ ნიშნავს: „მამაკაცი, კაცი“ (შდრ. *არრ-ება* „და, ძმა“, სიტყვა-სიტყვით: „მამაკაცის ნათესავი ქალი“, „ნაპბარ-ნაბარ“ „ნავარელი“; სიტყვა-სიტყვით: „ნავის კაცი — ტაფობის კაცი“).

ამრიგად, ევროპული ეთნონიმი (იბერ) გადაჯაჭვულია მდინარის, წყლის სახელწოდებებთან და ამასთან დაკავშირებით დასმულია საკითხი პირენეის ნახევარკუნძულზე წყლის კულტის არსებობის შესახებ. ისიც ცნობილია, რომ ქართული ეთნონიმის იბერ-ის სახესხვაობად მიჩნეულია *ტაბალ* (ძველი ქართული ტომის სახელია), *ტაბალურ ხატოვან წარწერებში* *ტაბალების ქვეყანა აღნიშნულია იდეოგრაფით*, რომელიც იხსნება როგორც „წყალი“ და მთლიანად ქვეყნის სახელი ამოშიფრულია როგორც „წყლის ქვეყანა“, ხოლო ამ ქვეყნის სახელწოდება — როგორც „წყლის, ანუ ზღვის, ქვეყნის ხალხი“. ისიც აღსანიშნავია, რომ ჰიბერი მდინარესაც ერქვა აღმოსავლეთ საქართველოში. ასე, მაგალითად, პლინიუს სეკუნდი თავის *Naturalis Historia*-ში, იმ ადგილას, სადაც საუბარია მდინარე მტკვრის აუზში მოსახლე ტომების შესახებ, მესხების საზღვრად იმ მიმართულებით,

რომელიც კერაუნის მთებისაკენ იყო მიპყრობილი; მდინარე ჰიბერს თვლის. კერაუნის მთებად კავკასიონის მთების ერთი ნაწილი იყო ცნობილი. ამ ცნობის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ მესხების საზღვრად ჩრდილოეთის მხარისაკენ ერთი მიმართულებით I ს. მეორე ნახევარში (ახ. წ.) მტკვრის შენაკადი მდინარე ჰიბერია ყოფილა.

ბუნებრივად ვლდებულობთ ასეთ დასკვნას: თუ ევროპის იბერია და კავკასიის იბერია ერთი და იგივე სახელწოდებებია, მაშინ ცხადია, უნდა გამოვრიცხოთ ამ ტერმინის „დასავლური წარმოშობა“ და ამოსავლად მივიჩნიოთ ის ეტიმოლოგია, რომელიც მიღებულია ისტორიულად ცნობილი ქართველი ტომების სახელწოდებათა ანალიზის შედეგად, რაზედაც გვექონდა საუბარი ზემოთ.

განვიხილოთ შეხედულებები ქართული და ბასკური ენების ნათესაობის შესახებ.

ბასკური და ქართული (resp. კავკასიური) ენების ნათესაობა არ შეიძლება მივიჩნიოთ ენათა ისეთ გენეტურ მიმართებად, რომელიც აშკარა და ხელშესახებია ზედაპირული ლინგვისტური შედარების საფუძველზე. ეს ნათესაობა უთუოდ ენის სიღრმეებში უნდა ვეძიოთ. საფიქრებელია, აქ ღრმად დაფარულ ნათესაობასთან გვაქვს საქმე და მხოლოდ ფაქიზი ანალიზი გამოავლენს ამ საკმაოდ დაშორებული ენობრივი ჯგუფების შესაძლო თავდაპირველ ერთიანობას. საბურველი, რომელიც ფარავს ქართულ-ბასკურის ურთიერთობას, არ უნდა გვაფრთხილებდეს, რამდენადაც მომავალი ჩალრმავებული ძიებები, — და არა ფრაგმენტული კვლევა, — ფარდას ახდის მრავალ საიდუმლოებას, ბასკურ-კავკასიური ენების წილში რომ არის ჩამარხული და რაც თავის სიმპტომატურ გამოვლენას პოულობს დღემდის დადასტურებულ უაღრესად ანგარიშგასაწევ პარალელებში და გასაოცარ მსგავსებებში. ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა ყველაზე უფრო მიმზიდველი და დასაბუთებული ჩანს ბასკოლოგიაში.

ბასკური და იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის კვლევა მრავალ სიძნელესთან და არცთუ ადვილად გადასალახავ დაბრკოლებასთან არის დაკავშირებული.

უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული და ბასკური (resp. ძველიბერიული?) ენები ძალიან ადრე დაშორდნენ ერთმანეთს. რაკი დაცილების მომენტი შორეულ წარსულშია სავარაუდებელი, ბუნებრივია, ისინი ისტორიული განვითარების მანძილზე რადიკალურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან და სხვადასხვა მიმართულებით განვითარდებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ენას მძლავრად ატყვია კონსერვატიულობის ნიშნები როგორც გრამატიკულ აღნაგობაში, ისე ლექსიკის სფეროში. ქართული და ბასკური ენები ძალიან ჰგავანან ერთმანეთს არქაულობის შენარჩუნების თვალსაზრისით, მაგრამ ეს გარემოება არ

გამორიცხავს ამ ენებში ღროის ფაქტორით გამოწვეული მკვეთრი დიფერენციაციის აღიარებას. გარდა შინაგანი ევოლუციის შედეგად მიღებული განსხვავებისა, აღსანიშნავია „გარეშე ფაქტორების“ ძალით გამოწვეული ცვლილებები — სხვა სისტემის ენებთან შეხვედრის ნიადაგზე წარმოშობილი ახალი ენობრივი მოვლენები, ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება ორივე ენის სახეცვლილებათა ინტენსიფიკაციისათვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ენობრივი ნათესაობის აღდგენა ძნელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ზედაპირული მსგავსების კვალი წაშლილია და მხოლოდ ჩაღრმავებული ანალიზი თუ გამოავლენს მოცემულ ენათა შორის ოდინდელ კავშირთურობებს.

დიდად ართულებს საქმეს ძველი ტექსტების უქონლობაც. იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის მხოლოდ ქართულ ენას მოეპოვება წერილობითი ტრადიცია (ქართულ სალიტერატურო ენას თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვს), მაშინ როდესაც ბასკური ენის უძველესი მდგომარეობა ჩვენთვის თითქმის უცნობია, რომ აღარაფერი ვთქვათ მთის კავკასიურ ენებზე, რომელთა სალიტერატურო ენებს მხოლოდ ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდგომ ჩაეყარა საფუძველი. რარიგ გაადვილდებოდა საქმე, ბასკურ ენასაც ქართულისებურად ძველი წერილობითი ძეგლები მოეპოვებოდეს, — მაშინ ძველ ქართულს ძველ ბასკურს შეეუდარებდით: და უფრო მიახლოებული ვიქნებოდით იმ ეპოქასთან, როდესაც ბასკური და ქართული ერთმანეთს დაცილდნენ და განმარტოვდნენ.

არცთუ მთლად პარადოქსია ვანდრიესის შემდეგი მოსაზრება: მხოლოდ დღევანდელ ფრანგულ ენას რომ ვიცნობდეთ, ერთობ ძნელი იქნებოდა მისი გენეტური დაკავშირება ინდოევროპულ ენებთან და შესაძლოა აღმოჩენილიყო უფრო სერიოზული მოსაზრებანი, რომ ფრანგული ენა მიეკუთვნებინათ სემიტური ან ფინურ-უნგრული სისტემის ენებისათვის. ამ დებულებას შუხარდტიც იმეორებს.

პროფ. ჰანს ფოგტთან ერთად ჩვენც ვიტყვით, რომ მეცნიერებისათვის სრულიად უცნობია მასალა იმ 3 ან 4 ათასი წლისა, რომელიც ყოფს ბასკურ-კავკასიურ ერთიანობას, დაშვებულს უფრო ძველ ქართულ ტექსტებში (VI—VII სს.). ინდოევროპელ ხალხთა წინა ისტორია ჩვენთვის ხვსეებით უცნობი არ არის. ბასკურის დიალექტებსა და კავკასიურ ენებს შეეძლოთ გადაადგილებულიყვნენ ძალიან განსხვავებული მიმართულებით, ერთმანეთს დაშორებოდნენ ათასეული კილომეტრებით, არ ჰქონოდათ ერთმანეთთან არავითარი კონტაქტი და რაიმე გარეგანი ზეგავლენა, რომლის შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი გიცით. მაშასადამე, ძალზე ძნელია განვასხვაოთ როგორც ბასკურში, ისე კავკასიურ ენებში, რა არის პირველადი, ძველი, მემკვიდრეობით

მიღებული და რა არის ახალი, რომელიც, სხვათა შორის, შეიძლება ძალიან ძველიც იყოს.

როგორც ზემოთ ვთქვით, ბასკურისა და ქართულისათვის ნიშანდობლივია არქაიზაცია, კონსერვატიული ბუნება ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული სტრუქტურისა. რაც შედარებითი ანალიზისათვის და ძველი მდგომარეობის აღდგენისათვის უთუოდ ანგარიშგასაწევია. ასევე, „საერთო ბასკური — თანამედროვე დიალექტთა საერთო წყარო — ძალიან დაშორებული არ უნდა იყოს დღევანდელი სალაპარაკო დიალექტებისაგან. მაშასადამე, შემდარებელს, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს ყველა ცნობილი ფაქტი თავისი სამუშაოებისათვის, საკმაოდ მყარი დასაყრდენი აქვს. ბ-ნმა ლაფონმა დაგვანახვა, თუ როგორ შეიძლება აღვადგინოთ ბასკურის საერთო ზმნური სისტემა ძველი ტექსტების შესწავლითა და ყველა ცნობილი დიალექტის შედარებით“ (ფოგტი).

უნდა გავითვალისწინოთ ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ენათა განვითარებასთან ერთად შეიძლება ძირეულად შეიცვალოს თითოეულ შესადარებელ ენათა გრამატიკული სტრუქტურაც ცალ-ცალკე, რაც ასევე აძნელებს მათს შეპირისპირებას. საერთოდ, გრამატიკული სტრუქტურის მსგავსება ან არამსგავსება, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ვერ გამოდგება ორ ენას შორის ნათესაობის დამტკიცებისა თუ უარყოფისათვის, რადგანაც, ერთი მხრივ, ენებს, რომლებსაც საერთო წარმოშობა აქვთ, შეიძლება სრულიად შეეცვალოს სტრუქტურა, მეორე მხრივ კი, სრულიად ანალოგიური გრამატიკული სტრუქტურა შეიძლება გამოიშუშვდეს გენეტიკურად განსხვავებულ ენებშიც.

როდესაც ლაპარაკია ბასკური და ქართველური (და, საერთოდ, კავკასიური) ენების გენეტიკური დაკავშირების სიძნელეებზე, — და ეს სიძნელეები უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ზემოხსენებული ენები, სავარაუდოა, ძალიან დიდი ხნის წინათ დაშორდნენ ერთმანეთს, — უნდა გავითვალისწინოთ სხვა რიგის დაბრკოლებანიც, რაც აღმართულია ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის წინაშე. უწინარეს ყოვლისა დასადგენია იბერიულ-კავკასიური ენების უძველესი მდგომარეობა, რაც ხელსაყრელ პირობებს შეგვიქმნიდა ბასკურ ენასთან მათი წარმომავლობითი ურთიერთობის კვლევა-ძიებისათვის. მეორე მხრივ, თვითონ ბასკური ენის მრავალფეროვანი დიალექტები არ არის სათანადო სიღრმით შესწავლილი.

არის კერძობითი ხასიათის სირთულეებიც.

ამ ზოგადი შენიშვნებიხ შემდეგ გავეცნოთ ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზახ.

XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დასაწყისში არაერთი დასავლეთ-აღმოსავლელი მეცნიერი ეხება ქართული ენისა და ესპანეთის უძველესი

მოსახლეობის ენის ნათესაობის პრობლემას. ისინი ეყრდნობიან ანტი-კური მწერლების თხზულებებში წამოყენებულ შეხედულებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის იბერების შესაძლებელი ნათესაობის შესახებ და გარკვეულ მოსაზრებებს გამოთქვამენ ქართულ-ბასკურის ურთიერთობასთან დაკავშირებით.

ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების გამონათქვამები დამოწმებულია ე. პეტიტის ენციკლოპედიაში და აღიარებულია, რომ ძველი იბერიელების ნათესაობის ეს საკითხი დიდ ინტერესს აღძრავს მეცნიერებაში და საჭიროა ამ პრობლემის შენდგომი გაღრმავება და გაფართოება.

ესპანეთის იბერიის ენისა და ქართული ენის ნათესაობაზე შედარებით ვრცლად არის მსჯელობა ესპანელი ფილოლოგის ლორენცო ჰერვასის „ენების კატალოგში“, სადაც საუბარია აზიისა და ევროპის იბერთა ენების ერთიანობაზე (გამოიცა იტალიურად 1784 წელს). ჰერვასი იმოწმებს ანტიკური ხანის ავტორებს და ემბრობა ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც აღმოსავლეთის იბერია დასავლეთის იბერიის კოლონიაა. მისი აზრით, ძველი ესპანელები, რომლებიც აქტიურ ძალას წარმოადგენდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში, გადავიდნენ აღმოსავლეთში და დააფუძნეს კოლონია შავი ზღვის სანაპიროებზე. ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ პაოლინის ლექსიკონში ძალზე მცირეა ბასკურის მსგავსი ლექსიკური მასალა, და რაც არის, შესამოწმებელია, ხოლო საინტერესო ანალოგები ქართული ენის დიალექტებშია საძიებელიო. შემდგომ ჰერვასმა ხელი აიღო ქართულ-ბასკურის კვლევაზე და საეჭვოდაც მიიჩნია ძველი იბერიელების ნათესაობა. და მაინც ჰერვასი პირველია ევროპელ მეცნიერთაგან, რომელმაც მკვეთრად დასვა ევროპულ მეცნიერებაში საკითხი ქართული და ბასკური ენების შედარებითი შესწავლის შესახებ.

ბასკურ-კავკასიური პარალელები მოიპოვება აგრეთვე XIX ს. დასაწყისში სხვა მეცნიერთა ნაშრომებშიც.

გამოჩენილი ორიენტალისტი ჰენრიხ კლაპროტი, რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტი და შემდეგ პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, თავის ცნობილ „მოგზაურობაში“ (1812, 1814). სადაც, სხვათა შორის, მოცემულია ქართველი ერის ისტორია უძველესი დროიდან რუსეთთან შეერთებამდის. იძლევა ბასკურ-ქართულ ლექსიკურ შესატყვისობებს. ანალოგიური ხასიათისაა ანტ. აბაღის დაკვირვებები, მოცემული „ბასკური გრამატიკის შესავალში“. ესპანელი ფილოლოგი და ისტორიკოსი ფიდელ ფიტა ზმნის ფორმათა



და თვლის სისტემის ანალიზის საფუძველზე აყენებდა საკითხს ბასკურ-ქართულის გენეტური ურთიერთობის შესახებ (1879).

ვილჰელმ ჰუმბოლდტი აღნიშნავდა: „...ბასკები იბერიული წარმოშობის ტომია, კავკასიისა და პირენეის იბერებს საერთო წარმოშობა სქემით. ბასკები წასული არიან კავკასიის იბერიიდან მცირე აზიის გავლით“.

ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ფრიდრიხ მიულერმა წამოაყენა ასეთი დებულება: „კავკასიური ენები არ უკავშირდებიან ინდო-ევროპულ ენებს, მაგრამ მათ ვერც ურალურ-ალთაურ ენათა ოჯახს მივაკუთვნებთ. ჩანს, კავკასიური ენები — მსგავსად ბასკურისა ევროპის დასავლეთში — წარმოადგენენ გადმონაშთს გაცილებით უფრო დიდი ენათა ჯგუფისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის მხარესა და მის სამხრეთით მანამ, სანამ აქ სემიტური, არიული და ურალურ-ალთაური ტომები გავრცელდებოდნენ“. ამრიგად, მიულერის კონცეფციის მიხედვით, კავკასიის მიწა-წყალზე და მის სამხრეთით ყველაზე ძველს — გავრცელების დროის მიხედვით — ენობრივ სამყაროს კავკასიურ ენათა მრავალრიცხოვანი ჯგუფი ქმნიდა.

ფრ. მიულერის ცნობილ წიგნში „ენათმეცნიერების შესავალი“ (1885) ლაპარაკია კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე და გავლებულია ზოგიერთი პარალელი ბასკურ ენასთან (მითითებულია ობიექტის აღნიშვნაზე ზმნაში).

ფრ. მიულერის მიერ წამოყენებული დებულება გაიზიარა პეტერ-ბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ალ. ცაგარელმა. 1872 წელს ის სმობდა, რომ ქართული ენა (ისევე როგორც სხვა კავკასიური ენები) გენეზისით არ უკავშირდება ინდოევროპულ ენებს, მაგრამ მას ვერ მივაკუთვნებთ ურალურ-ალთაურ ენებსაც. იგი, მსგავსად ბასკურისა ევროპაში, საფიქრებელია, არის ნარჩენი ოდესღაც მეტად მრავალრიცხოვანი ენების ჯგუფისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის ყელზე ჯერ კიდევ მანამ. სანამ მოვიდოდნენ სემიტური, არიული და ურალურ-ალთაური ტომები კავკასიაში და მის სამხრეთით, როგორც ვხედავთ, ეს ფორმულირება ფრ. მიულერის დებულების რედაქციულ სახესხვაობას წარმოადგენს. პროფესორი ცაგარელი სდიარებდა, რომ ქართული ენის ნათესაობის საკითხი მაშინ გადაწყდება, როდესაც ისტორიულ-მედარებითი ანალიზის შედეგად აღდგენილი იქნება ქართველური ენების არქეტიპი.

ბასკური ენისა და ქართველურ-კავკასიური ენების ნათესაობის პრობლემებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ XIX ს. მიწურულისა და XX ს. გამოჩენილი მეცნიერები — ბასკოლოგები, ქართველოლოგები, ძველი აღმოსავლეთის ენების სპეციალისტები.

ნორვეგიელი ლინგვისტის პროფ. პანს ფოგტის სიტყვით, „საერ-

თოდ, ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა არა ერთსა და ორ თაობაში: სარ-გებლობს დიდი პოპულარობით. ის, როგორც ჰიპოთეზა, ხშირად ნახსენებია პოპულარიზატორთა შრომებსა და სახელმძღვანელოებში, რასაც ანგარიში უნდა გავუწიოთ... ძნელი არ არის აპრიორულად ავხსნათ ამ ჰიპოთეზის პოპულარობა, ერთ-ერთი მიზეზი უდაოდ ის ფაქტია, რომ, მიუხედავად დაჟინებითი ცდისა, ვერ შეძლეს ბასკურისა და ხსენებული კავკასიური ენების დაკავშირება სხვა ცნობილ ლინგვისტურ ოჯახთან. ამ მდგომარეობას შეუძლია ლინგვისტთა მხოლოდ ცნობისმოყვარეობა აღძრას. მაშინ, როდესაც შედარებითი ლინგვისტიკა ყურადღების ცენტრშია, უძველესი სამყაროს დასავლეთით მდებარე ერთიმეორისაგან იზოლირებული ორი ჯგუფის დაკავშირების ჰიპოთეზა თავისთავად გვეჩვენება, — განაგრძობს ფოგტი, — ასე ვთქვათ, მოხდენილ გადაწყვეტილებად. ორი იზოლირებული ჯგუფის მაგივრად გვექნებოდა ბასკურ-კავკასიურის დიდი ოჯახი და იგი დაფარავდა იმ დიდ სივრცეს, რომელიც შემდგომ ინდოევროპულმა ენებმა დაიკავეს. სამაგიეროდ, იბერიის ნახევარკუნძულზე პროტო-ბასკური აზიური ენების გადასახლების იდეა აბსურდული არ იქნებოდა და ძვ. წელთაღრიცხვით III ათასწლეულის პირენეის ქვეყნების არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ის დასაშვებდაც მიგვაჩნია“.

ჯეროვანი ადგილი ეთმობოდა და ეთმობა „Euskaro-caucasique“-ის პრობლემას რუსულად, დასავლეთ ევროპის ენებზე და ამერიკაში გამოსულ ენციკლოპედიებში, ლექსიკონებში, ისტორიული, გეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული ხასიათის საცნობარო ლიტერატურაში და სხვ.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ბასკური და ქართველურ-კავკასიური ურთიერთობის კვლევა-ძიებაში დასავლეთ ევროპის ლინგვისტებს — შუხარდტს, ტრომბეტის, ულენბეკს, ვინკლერს, დიუმე-ზილს, ბოუდას, ლაფონს, ბრაუნს, აგრეთვე — ფიტას, დირს, პოლაცს, ფოგტს და სხვ. საბჭოთა ბასკოლოგთაგან უნდა დავასახელოთ მარი (განსაკუთრებით), შიშმარიოვი, ბიხოვსკაია, ჟირკოვი, ზიცარი. ბასკურს ქართველურ-კავკასიური ენების მონათესავედ მიიჩნევს არნ. ჩიქობავა.

ბასკურ-ქართულის შედარებით შესწავლას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მეოცე საუკუნის ლინგვისტიკური მეცნიერების უდიდესმა ავტორიტეტმა, რომანული ენების მკვლევარმა, გრაციის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა ჰუგო შუხარდტმა, რომელმაც ყურადღება მიაქცია ბასკურს, როგორც რომანულ ენათა გარემოცვაში მოქცეულ სრულიად განსხვავებული ტიპოლოგიის ენობრივ სამყაროს. მას მოეხსენებოდა, რომ კაცობრიობის ისტორიაში გამოთქმულია აზრი ძველი იბერიელების ნათესაობის თაობაზე, და, აი, ბასკური ენის წარმოშობის გარკვე-

ვის მიზნით ხელი მიჰყო ქართული ენის შესწავლას, გამოაქვეყნა შესანიშნავი ქართველოლოგიური გამოკვლევები, რომლებსაც დღესაც არ დაუქარგავთ ღირებულება.

1895 წელს ჰუგო შუხარდტმა ქ. ვენაში გამოაქვეყნა შრომა ქართული ენის შესახებ, სადაც აღნიშნავს, რომ ქართულს „შინაგანი ნათესაობა“ აქვს ბასკურთან.

3. შუხარდტი აღნიშნავდა, რომ ქართული ერთადერთი სამწერლობო ენაა კავკასიურ ენათა შორის, მისი ძეგლები სწვდებიან ძალიან ადრეულ ხანას, ამიტომ ქართული ენა უნდა იყოს ამოსავალი ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლისათვის.

3. შუხარდტი სვამს საკითხს, თუ რა ადგილი განეკუთვნება ქართველებს (და, საერთოდ, კავკასიელებს) ხმელთაშუა ზღვის რასაში, მისი აზრით, კავკასიურ სამყაროსთან სამი რასაა დაკავშირებული: ინდოევროპული, სემიტურ-ჰამიტური და ბასკური. იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი მეცნიერის დასკვნით, კავკასიური ენები არც ერთ ენათა ოჯახს არ ენათესავენ, შუხარდტი შენიშნავს: შეიძლება ვამტკიცოთ მხოლოდ ნათესაობა და არა — ნათესაობის არქონა. აღმოსავლურ იბერიელებსა და დასავლურ იბერიულს შორის, თავი რომ დავანებოთ სახელწოდებას, რასაც მე მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ადგილი აქვს ერთგვარ შინაგან ერთიანობასო, დასძენდა შუხარდტი. „ქართულ და იბერიულ (ესპანეთში) ენებს შორის ზოგ რამეში მკვიდრო ურთიერთობა არსებობს, ხოლო ბასკური ენაც თვალსაჩინო საბუთების გამო ქამიტურ ენათა ჯგუფს დაუკავშირეს. ამიტომ შესაძლებელია ამ ენებს ერთი ფესვი ჰქონდეთ“. უფრო გვიანდელ ნაშრომში შუხარდტი აღნიშნავდა: აღმოსავლელი იბერები საუკუნეთა სიღრმეში ამჟღავნებენ კავშირს დასავლეთის იბერებთან, ავტორი ასაბუთებდა დებულებას, რომ „ბასკური არსებითად წარმოადგენს იბერიულის გაგრძელებას და განვითარებას“. „იბერიულის იდენტურობა ბასკურთან შუხარდტის დიდი ავტორიტეტის გავლენით იქნა მიღებული. ის გვხვდება ბევრ სახელმძღვანელოში“ (ფოგტი).

3. შუხარდტმა ყურადღება მიაქცია ქართული და ბასკური ზმნის თავისებურებათა ერთიანობას, კერძოდ — გარდამავალი ზმნის სტრუქტურას. ბასკურში გარდამავალ ზმნას რეალური სუბიექტი ერგატივში დაესმის, მსგავსად ქართულისა (და ზოგი სხვა კავკასიური ენისა). სუბიექტის ბრუნვა განსხვავებულია იმის მიხედვით, გარდამავალია ზმნა თუ გარდაუვალია; გარდაუვალ ზმნას სახელობითში მოუდის სუბიექტი, გარდამავალს — სპეციფიკურ ბრუნვაში (ერგატივში). გარდამავალი ზმნის ობიექტი (უახლოესი ობიექტი, ე. წ. „პირდაპირი ობიექტი“) სახელობითშია, ე. ი. იმ ბრუნვაში, რაც გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტს აღნიშნავდა. ესეც საერთოა ბასკურისა და იბერიულ-კავკა-

სიური ენებისათვის. ეს თავისებურება ამ ენათა სტრუქტურულ ერთგვარობას, შინაგან თვისებას მოწმობს. ჰ. შუხარდტი ღრმად იხედება ქართული ენის აგებულების თავისებურებებში და მეტად საყურადღებო დაკვირვებებს იძლევა.

ჰ. შუხარდტი დაწვრილებით ჩერდება მახვილის საკითხებზე და აღნიშნავს, რომ მახვილიანი მარცვალი ქართულში სუსტად გამოირჩევა ისევე, როგორც ბასკური ენის ლაბურდის დიალექტში. პარალელები დაძებნილია ბრუნების სისტემაშიც. შემჩნეულია, რომ ბრუნების ნიშანი და თანდებული ერთმანეთს ერწყმიან როგორც ქართულში, ისევე ბასკურში და სხვ.

ჰ. შუხარდტმა „დაადგინა რამდენიმე საოცარი შესატყვისობა ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის და ამასთანავე ყველგან მიუთითა ნაკლებ საგრძნობ შესატყვისობაზე ბასკურსა და ქამიტურ ენებს შორის“ (ფოგტი).

ბასკოლოგიაში ჰ. შუხარდტის ნაშრომები მთელ ეტაპს ქმნის. ზოგადი ენათმეცნიერების დიდ ავტორიტეტს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ბასკური ენის მონაცემები არკვევენ თეორიული ლინგვისტიკის არაერთი კარდინალური მნიშვნელობის საკითხს. იმ პრობლემათა შორის, რომლებსაც აღძრავს ბასკური ენა, შუხარდტის სიტყვით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკვანძო საკითხებს, დაკავშირებულს ევროპელი ხალხების უძველესი ისტორიისა და პრეისტორიის ხანასთან.

ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი, იტალიელი ენათმეცნიერი ალფრედო ტრომბეტი იზიარებდა შუხარდტისეულ დებულებას ქართული და ბასკური ენების „შინაგანი ნათესაობის“ შესახებ („წერილები პროფესორ ჰუგო შუხარდტისადმი“, 1902, და სხვ.). იგი ქართველურ ენებს ერთ სიბრტყეზე ათავსებდა სემიტურ-ქამიტურ და ბასკურ ენებთან. ტრომბეტის შეხედულებით, კავკასიური ენები ბასკურთან, ეტრუსკულთან და წინააზიის ძველ გადაშენებულ ენებთან ერთადერთ წრეს ქმნიდა.

ტრომბეტისათვის ამოსავალი დებულება იყო ყველა ხალხის ენათა ერთიანი წარმოშობა და აქედან გასაგებია, რომ მის მიერ მოწოდებული ბასკურ-კავკასიური დაპირისპირებანი რამდენადმე კარგავენ თავის ღირებულებას, რადგან ეს ოჯალსაზრისი უარს აცხადებს მკაცრად განასხვავოს საერთო სტრუქტურა და საერთო წარმოშობით გამოწვეული ლექსიკური მსგავსება.

შუხარდტისა და ტრომბეტის შემდეგ ბასკურ-კავკასიურ ურთიერთობას იკვლევდა ჰოლანდიელი მეცნიერი კ. ულენბეკი. მისი პირველი ნაშრომი ბასკურის შესახებ გამოქვეყნდა 1904 წელს.

კ. ულენბეკის მრწამსი კარგად გამოსჭვივის ამ ცხატაში: „ის გა-

რემოება, რომ ბასკურის ლექსიკური საგანძური ავლენს ბევრ დამაკავშირებელ კვანძს ჩრდილოეთ აფრიკის ენებთან, ბუნებრივია, არ გამოორიცხავს იმას, რომ ბასკურსა და პალეოკავკასიურ ენებს შორის აგროთვე შეიძლება იყოს მსგავსი სიტყვების საკმაოდ მნიშვნელოვანი არაოდნობა, მართლაც, ბასკურში უდავოდ არსებობს ზოგიერთი სიტყვა, რომლებსაც პალეოკავკასიურს უღარებენ. მე არ ვაპირებ თავი შეგაწყინოთ, — განაგრძობს ავტორი, — ყველა დაახლოების ჩამოთვლით, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ვალად ვრაცხ მათგან ყველაზე უფრო ზუსტი გამოვარჩიო და წარმოვადგინოთ თქვენს განსასჯელად“.

კ. ულენბეკმა, ერთ-ერთმა პირველმა, მოგვცა ბასკური და კავკასიური ენების სიტყვობრივი მასალის სისტემატური შედარება. მას ეკუთვნის 70-მდე ბასკურ-კავკასიური ეტიმოლოგია, რომელთაგან გარკვეული ნაწილი გაზიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში. ამ ნაშრომმა ბევრ მკვლევარს მისცა ბიძგი — ჩაეტარებინათ ანალოგიური ხასიათის სამუშაო.

1909 წლიდან მოყოლებული ბასკოლოგიურ ლიტერატურას შეემატა გერმანელი ლინგვისტის ჰენრიხ ვინკლერის საყურადღებო ნაშრომები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ვინკლერის დაკვირვებანი ბასკურ-აფხაზურის ნაცვალსახელებზე, პირის ნიშნებზე, კაუზატიური ფორმების წარმოებაზე...

ბასკური ენისა და ქართველურ-კავკასიური ენების ურთიერთობის შესწავლის ისტორიაში თავისებური ადგილი უკავია საბჭოთა მეცნიერს აკადემიკოს ნიკო მარს.

უფროსი თაობის ბასკოლოგთაგან ნ. მარი ერთადერთია, რომელიც ზედმიწევნით ფლობდა შესადარებელ ენობრივ მასალას — დაუფლებული იყო იბერიულ-კავკასიურ ენებს (განსაკუთრებით — ქართველურს) და, ამასთანავე, რიგიანად ერკვეოდა ბასკური ენის სტრუქტურასა და ლექსიკაში, რამდენადაც ეს შეეფერებოდა ამ ენის შესწავლის იმდროინდელ მდგომარეობას, იცნობდა სპეციალურ ლიტერატურას და ბასკეთში ხანგრძლივი სამეცნიერო მოვლენებების დროს ადგილობრივ აკვირდებოდა ბასკური მეტყველების თავისებურებებს.

ამასთანავე, უნდა ითქვას შემდეგი:

ნ. მარის იაფეტურმა თეორიამ გარკვეული ევოლუცია განიცადა. მისი განვითარების პირველ პერიოდში „იაფეტური ენები“ — ესაა ქართველური ანუ იბერიული ენები (წინა აზიის ზოგი გადაშენებული ენაც ამ წრეს განეკუთვნება, მაგრამ ცოცხალ ენათაგან მხოლოდ ქართველური ენებს ეწოდებოდა იაფეტური),

ამ ეტაპის ქრონოლოგიური საზღვრებია 1908—1916 წლები. მეორე პერიოდში იაფეტურ ენათა წრე ფართოვდება: ქართველურს გარდა მასში შემოდის აფხაზურ-ადიღური, ჩაჩნური და დაღესტნის ენები. ესაა კ ა ე კ ა ს ი ო ლ ო გ ი უ რ ი პერიოდი, გრძელდება იგი 1916 წლიდან 1920 წლამდე. მესამე პერიოდში იაფეტური წრე სცილდება კავკასიის ფარგლებს: მასში შემოდის გადაშენებული ენები წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზისა (პელაზგური — ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ეტრუსკული — აპენინის ნახევარკუნძულზე) და ცოცხალი ბ ა ს კ უ რ ი ე ნ ა (პირენეის ნახევარკუნძულზე). იაფეტური თეორიის ევოლუციის ამ პერიოდს დაერქვა მ ე დ ი ტ ე რ ა ნ ი ს ტ უ ლ ი. გრძელდება იგი 1920—1923 წლამდე. 1923 წელს წამოყენებულ იქნა პრინციპულად ახალი დებულება: ინდოევროპული ენები არის იაფეტური ენის ტრანსფორმაცია. ეს ნიშნავს: არ არსებობს წარმოშობის მიხედვით განსხვავებული ენათა ოჯახები, — განსხვავებას ქმნის არა გ ე ნ ე ზ ი ს ი, არამედ განვითარების საფეხური, ამა თუ იმ ენების ჯგუფში მოცემული. ენათა გ ე ნ ე ა ლ ო გ ი უ რ კლასიფიკაციას დაუპირისპირდა ს ტ ა დ ი უ რ ი კლასიფიკაცია.

ბასკური ენის პრობლემა ნ. მარის სამეცნიერო ინტერესების სფეროში შემოდის იაფეტური თეორიის განვითარების ე. წ. მედიტერანისტულ პერიოდში. ბასკური ენისა და იბერიულ-კავკასიური ენების გენეტური მიმართების შესწავლის თვალსაზრისით სწორედ ეს პერიოდია საინტერესო და თავის არსებით ნაწილში — ფასეული მეცნიერებისათვის. ენათა სტადიური კლასიფიკაციის პერიოდში, როდესაც შედარებით-ისტორიული მეთოდი შეიცვალა ე. წ. პალეონტოლოგიურმა (თხელემენტოვანმა) ანალიზმა, ბასკურ-კავკასიურ პარალელებს ეცლება მეცნიერული საფუძველი და ფანტასტიკურ ეტიმოლოგიებს სრული არეუ-დარევა შეაქვს ხსენებულ პრობლემატიკაში. ამიტომ გასაგებია, რომ მარისეული მოძღვრების განვითარების ამ ხანას ჩვენ გვერდს აუვლით და ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ იმ ნაშრომებზე, რომლებშიც ენათა ურთიერთობის საკითხი (resp. ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა) გენეალოგიური კლასიფიკაციის ასპექტშია განხილული.

ნ. მარმა ბასკოლოგიის პრობლემებს ბევრი ნაშრომი მიუძღვნა. გამოაქვეყნა სპეციალური გამოკვლევები, ხოლო ცალკეული მოსაზრებები და შენიშვნები გაბნეულია მის მრავალრიცხოვან შრომებში.

ბასკოლოგიის პრობლემებით ნ. მარი დაინტერესებულია სტუდენტობის პერიოდში. 1920 წელს იგი ამბობდა: „ჩერ კიდევ სტუდენტობის დროს ვცდილობდი გავცნობოდი ბასკურ ენას. რაკი მე ვხელმძღვანელობდი მხოლოდ ქართველოლოგიური მონაცემებით და ვეყრდნო-

ბოდი მხოლოდ ქართული მეტყველების მასალებს.... ამიტომ მაშინ ჩამოვიცილდი ამ საქმეს ისე, რომ იაფეთიდიზმის სასარგებლოდ არ დამრჩენია რამდენადმე ნათელი შთაბეჭდილება. თუმცა იმ დროს იაფეთიდიზმი დამყავდა ქართველიზმამდე. რაც გამომდინარეობდა... ჩემი მატერიალური მომზადებიდან“.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა ოქმებში აღნიშნულია, რომ 1920 წელს ნ. მარს დაუწყია ბასკური ენის გრამატიკის შედგენა.

1917—1918 წლებში ნ. მარი განაგრძობს სტუდენტობის დროს დაწყებულ მუშაობას ბასკოლოგიაში.

ნ. მარი ორჯერ გაემგზავრა საზღვარგარეთ ბასკურის შესასწავლად და ბასკოლოგიურ ლიტერატურაზე სამუშაოდ (1920—1921 და 1922—1933 წლები).

1920 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში გამოქვეყნებულ ნაშრომში ნათქვამია:

„ვამტკიცებ, რომ ბასკური ენა იაფეტურია (ე. ი. ქართველური — შ. ძ.), იაფეტურად აიხსნება არა მარტოოდენ გრამატიკის ტიპოლოგიური კატეგორიების მიხედვით, არამედ ამ კატეგორიების შემცველი მასალებითაც — მისი ფონეტიკა. მისი მორფოლოგია“. კერძოდ. რთულ ზმნურ წარმოებათა სისტემა, რომელშიც ლინგვისტები აქამომდე დიდი გატაცებით პოულობდნენ დასაყრდენს მის დასაკავშირებლად ზოგჯერ ამერიკულ ენასთან (სხვათა შორის, მხოლოდ ანალოგიების ფარგლებში). იაფეტური წარმოშობისა და. ამასთანავე. გარკვეული ჯგუფისა — ბასკების ცოცხალი მეტყველების ლექსიკური სიმდიდრის ძირეული შემადგენლობა. აღფრედო ტრომბეტის, როგორც ბასკოლოგის, დახასიათებასთან დაკავშირებით ნ. მარი იქვე ამბობდა: „ჩვენთვის. რომლებიც იაფეტური ენათმეცნიერების თეორიის მთელი სისტემის აკვირვებას ამოვიღვართ იაფეტური ენების სემიტურთან ნათესაობის ფაქტობრივი მონაცემებიდან. გასაგებია, გამორიცხული არ არის კავკასიის ძირეული ენების, ე. ი. კავკასიის იაფეტური ენების. კავშირ-ურთიერთობა ქამიტურ ენებთან; ახლა. როდესაც საქმე ეხება ბასკურს. ჩვენ საშუალება გვაქვს ვამტკიცოთ მასთან კავკასიის იაფეტური ენების უფრო გარკვეული და მჭიდრო ნათესაობა“. აქედან ჩანს. რომ ბასკოლოგიაში ადრე გამოთქმული ჰიპოთეზა ქამიტურ ენებთან ბასკურის ნათესაობისა ნ. მარისათვის მისაღებია (გავიხსენოთ. მაგალითად, ჰუგო შუხარდტის დებულება: ბასკური ინათესაობა ირანსა და იმავე დროს ქართველურ-კავკასიურს და ქამიტური მოდემის ენებს). ოღონდ მარი უფრო ღრმა ნათესაობას აღიარებს ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის.

5. მარის ძიებებისათვის ამოსავალია ენათშეჯვარდინების (ენათშერევის) პოსტულატი, რაც წითელი ხაზით გასდევს მის ბასკოლოგიურ-კავკასიოლოგიურ შტუდიებს. შეჯვარდინებულია კავკასიის იაფეტური ენები, შეჯვარდინებულია ბასკური ენა...

ბასკური, მარის აზრით, ჰიბრიდული ენაა, სპირანტულ-სიბილიანტური, კერძოდ, შიშინა ჯგუფის სიბილიანტური სახეობისა. სწორედ ისეთი, როგორცაა ქართველური ენების სვანური განშტოება.

6. მარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბასკურის გენეტური დაკავშირება ქართველურ-კავკასიურ ენებთან დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული, რადგან ბასკური ენა ისტორიული განვითარების შედეგად გადასხვაფერებულია და საგრძნობლად დაცილებულია მის პირვანდელ აგებულებასთან.

6. მარის ყურადღება მიიპყრო რიცხვითი სახელების აგებულებამ, განსაკუთრებით საინტერესოა ბასკური ენის რიცხვითი სახელები, — აღნიშნავს მარი. — თულის საერთო სისტემა ბასკურში, ისევე როგორც კავკასიის იაფეტურ ენებში, ოცობითია და არა ათობითი.

ოციანი წლების დასასრულსა და ოცდაათიანი წლების დასაწყისიდან სხვა მეცნიერებეც ეხებოდნენ ბასკურ-კავკასიურ თეორიას, ზოგი გაკვრით. ზოგიც ფართო პლანით.

კავკასიური ენების მკვლევარი ადოლფ დირი (პროფესორი, მიუნხენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ბოლონიის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) აღიარებდა, რომ კავკასიური ენები ბასკურთან, ეტრუსკულთან და წინააზიის გადაშენებულ ენებთან ენათა ერთ წრეს ქმნიან.<sup>35</sup>

ბასკურისა და კავკასიური ენების ნათესაობის თაობაზე თავისი შეხედულებები აქვს გამოთქმული პროფესორ იოსებ კარსტს, რომლის ნაშრომთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა 1932 წელს გამოსული გამოკვლევა. აქ „იბერიული“ გულისხმობს ესპანეთის იბერებისა და ბასკების ენას, ხოლო „კავკასიური“ — ქართველურსა და მთის კავკასიის ენებს. კარსტი ამ ენებს მონათესავე ენებად მიიჩნევს.

კავკასიურ ენათა გამოჩენილი მკვლევარის ე. დიუმეზილის აზრით, ბასკურ-ქართველური პარალელები მეტად ფრაგმენტულია. ხოლო მთის კავკასიურ ენებთან შეხვედრები თითქმის სრულია ყველა მნიშვნელოვან პუნქტში. ფრანგი მეცნიერი ბასკურ ენას უდარებდა ჩრდილოეთ კავკასიის ენებს და უმთავრესად ეყრდნობოდა ტრომზეტისა და შუხარდტის მიერ მიღებულ შედეგებს.

ბასკურ-კავკასიური თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კ. ბოუდამ. თავის ნაშრომებში მან შემოგვთავაზა ეტიმოლოგიების დიდი რაოდენობა და დაიმკვიდრა გამოჩენილი



ბასკოლოგის სახელი. ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა ბოუდამ მონათლა საქმოდ მარჯვე ტერმინით Euskaro-caucasique. ბოუდასეუ-გი 400 ლექსიკურ შედარებათაგან ზოგი შესაძლოა გავიზიაროთ, ზოგი დამყარებულია სიტყვაში მხოლოდ ერთი ბგერის მსგავსებაზე (თუ-მცა სემანტიკური თანხვედნილობა უდავოა), ზოგიც სემანტიკურ ერთიანობას საესებით გამორიცხავს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება დაახლოებანი, რომელთა ბასკური თუ ქართველურ-კავკასიური ძირი აშკარად ნასესხებია. ბოუდას ნააზრევის ნაკალი ისიც არის, რომ მკვლევარმა ძალიან გააფართოვა შესაღარებელი ენების რკალი, — ეს კი დამაჯერებლობის ძალას უქარგავს მის ეტიმოლოგიურ ძიებებს (ბასკურის მონაცემები შედარებულია ქამიტური, ფინურ-უნგრული, პალეოაზიური, ავსტრონეზიული, ინდო-ჩინეთის, ტიბეტის; ქართველურ-კავკასიური და სხვ. ენის მასალასთან. ი. ჰუბ-შმიდი, რომელიც ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის მომხრეა. აღნიშნავს, რომ ბოუდას შეპირისპირებებში უფრო ეტიმოლოგიურ შესაძლებლობებს ვხედავთ, ვიდრე ექვიპოტანელ შედარებებს.

ბასკური ენისა და იბერიულ-კავკასიური ენების შედარებითი კვლევის დარგში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ფრანგ ბასკოლოგ-ქართველოლოგს (კავკასიოლოგს) პროფესორ რენე ლაფონს, რომელმაც მთელი ეტაპი შექმნა ბასკოლოგიის ისტორიაში. ბოლო დროს იგი ბასკური ენის კათედრას განაგებდა ბორდოს უნივერსიტეტში, რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში, არჩეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

„რ. ლაფონი პირველი სპეციალისტია, ერთდროულად გამოჩენილი ბასკოლოგი და ქართველოლოგი-კავკასიოლოგი“; „რ. ლაფონის ნაშრომები მნიშვნელოვან გამოკვლევებად მიაჩნიათ თვით იმ სპეციალისტებს, რომლებიც სკეპტიკურად ეკიდებიან ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაურ ურთიერთობას“; „რ. ლაფონი, როგორც ლინგვისტი, კარგად იცნობს ქართული ენის რეალიტებს. ამავე დროს მან პრაქტიკულად იცის ქართული ენა“ (არნ. ჩიქობავა).

1966 წელს რ. ლაფონმა ლექციების ციკლი წაიკითხა ბასკური ენის შესახებ თბილისში — სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიაში.

რ. ლაფონის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი ნაშრომები ბასკური ენის იბერიულ-კავკასიურ ენებთან ისტორიულ-გენეტიკური ურთიერთობის შესახებ.

რ. ლაფონი იმთავითვე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბასკური ენა და კავკასიური ენები დიდად საინტერესოა ენათა ტიპოლოგიური შესწავლისათვის. ენების დიალექტებად დანაწევრების საკითხისა და კონ-

ტაქტიკის გასარკვევად. გარდა ამისა, — განავრძობს ავტორი, — მათ შვიდროდ უკავშირდება ისტორიისა და პრეისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემები: ბასკური და კავკასიური ენების ნათესაობა; ბასკურისა და იბერიულის. კავკასიური ენებისა და წინა აზიის უძველესი ენების საკითხი.

ამასთანავე, ფრანგი მეცნიერი მწვევედ აყენებდა საკითხს ენის ისტორიის ფენების „ღრმად გათხრის“ შესახებ და მიიჩნევდა, რომ ბასკურთან კავკასიური ენების დასაკავშირებლად აუცილებელი პირობაა დაშუშავდეს ჩრდილო-კავკასიური და სამხრეთ-კავკასიური ენების შედარებითი ფონეტიკა და შედარებითი მორფოლოგია.

ნაშრომში „ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება“ რ. ლაფონი აღიარებდა: „ენათა ერთადერთი ჯგუფი. რომელთანაც შედარებითი მეთოდის წესების გამოყენებით ბასკური ენის დაკავშირება ასე თუ ისე ხერხდება, კავკასიური ენებია“.

ამასთანავე ლაფონი ლაპარაკობს იმ სიძნელეებზე, რომლებიც არსებობს ბასკურ-კავკასიური პრობლემის გადასაწყვეტად. მისი სიტყვით. „კავკასიური ენების მიმართ შედარებითი მეთოდის გამოყენებას გააძნელებს ის გარემოება, რომ კავკასიური ენების უმეტესობა მხოლოდ გასული საუკუნიდან არის ცნობილი, მხოლოდ ქართულში გვაქვს წერილობითი ძეგლები მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული. ამ ენებს განსხვავებული ფონოლოგიური სისტემები აქვთ. ისინი გაცილებით უფრო მდიდარია თანხმოვნებით. ვიდრე ბასკური...“

რენე ლაფონი მიუთითებს კავკასიური ენებისა და ბასკურის პარალელურ ნიშნებზე, რაც მეტად მნიშვნელოვანია ბასკურისა და ჩვენი ენების ურთიერთობის კვლევისათვის.

რ. ლაფონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მსგავსება ამ ენებს შორის ვერ აიხსნება შემთხვევითობით, ვერც სესხებით; ისინი გენეტურად ურთიერთობის არსებობას გულისხმობენ. ბასკური, მომდინარე აკვიტანიურისა და ბასკონიურისაგან, და კავკასიური ენები ერთად ქმნიან ოჯახს, რომელსაც შეიძლება ეწოდოს უესკარო-კავკასიური (Euskaro-caucasien).

რენე ლაფონი, ამასთანავე, ამბობდა: მე მჯერა, რომ შესატყვისობათა ასეთი ერთიანობა, ასეთი კავშირი ბასკურისა ქართველურ-კავკასიურ ენებთან მხოლოდ „ტრადიციით შეიძლება აიხსნას, მაგრამ ის, რაც თაობიდან თაობას გადაეცემოდა ეუსკარო-კავკასიური პერიოდისა, არ წარმოადგენდა, როგორც ჩანს. ჩამოყალიბებულ მორფოლო-

გიურ სისტემას, და, ამასთანავე, ადგილი უნდა ჰქონოდა გარკვეული ხასიათის შერევას (შეჯვარდინებას) განსხვავებულ ჯგუფებსა თუ ენობრივ კოლექტივებს შორის“. ისიც აღსანიშნავია, რომ ლაფონის ფორმულირებით. „კავკასიური ოჯახის ცნებათა ჩამოყალიბება კელევის დაგვირგვინებას კი არ წარმოადგენს, არამედ გვიბძგებს ახალი გამოკვლევებისაკენ ამ პიპოთეზის გასარკვევად“.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პოლონელი ბასკოლოგ-ქართველოლოგი იან ბრაუნი, რომელსაც ეკუთვნის გონებამახვილური შედარებანი და პარალელები, განსაკუთრებით ბასკურ-ქართულის შედარებითი შესწავლის დარგში.

იან ბრაუნი აღიარებს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას იძყრობს ბასკური ენისა და იბერიულ-კავკასიური ენების ურთიერთობის საკითხი. ეს ენები ტიპოლოგიურად დიდ სიახლოვეს ავლენენ: ბასკური ენის გრამატიკული სტრუქტურის ყველა არსებითი თავისებურება შეიძლება დავადასტუროთ იბერიულ-კავკასიურ ენებშიც. განსაკუთრებით მათ სამხრეთულ-ქართველურ ენათა ჯგუფში. ბრაუნმა დაადგინა ბასკურ-ქართული ფონეტიკური შესატყვისობანი.

მოიბოვებიან მეცნიერები, რომლებიც სკეპტიკურად ეკიდებიან ბასკური და იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის პრობლემას. ისინი ფიქრობენ, რომ მსგავსება ბასკურისა მთელ რიგ კავკასიურ ენებთან — და არა რომელიმე ენასთან — სუსტია: დადასტურებული მსგავსებანი არ იძლევა მტკიცე საბუთს იმისათვის, რომ გენეტური ნათესაობა დამტკიცებულად ჩაითვალოს მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე.

ასე, მაგალითად, დიდი ფრანგი ლინგვისტი ა. მეიე აღნიშნავდა, რომ ბასკური ენისა და კავკასიური ენების ერთობა შეიძლება, მართლაც, არსებობდა, მაგრამ იმდენად შორეულ წარსულშია სავარაუდებელი მათი საერთო ოჯახიდან მომდინარეობა (V—VI ათასწლეულში), რომ გენეტური ნათესაობის გამოვლენა ძალიან ძნელიაო.

მეიე დასძინდა, რომ არ შენახულა უძველესი იბერიული ენის ძეგლები, არც კავკასიური ენების ისტორიული წყაროებია. ჩვენს კანკარგულებაში (გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ქართული ენა, რომლის სალიტერატურო ენას თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვს) და ასეთ პირობებში თავდაპირველი, უხსოვარი დროის, ენობრივი ნათესაობის დამტკიცება გადაუღალავ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

როგორც ჩანს, ინდოევროპული ენათმეცნიერების დიდი ავტორიტეტი პრინციპულად არ გამოიციხავდა ბასკური ენისა და კავკასიური ენების ნათესაობის ვარაუდს, მაგრამ გენეტური კავშირურობის საკითხს პოზიტიური გადაწყვეტა თითქმის შეუძლებლად მიაჩნდა ქრო-

ნოლოგიური ასპექტითა და ძველი ენობრივი მასალის უქონლობით წარმოშობილი დაბრკოლებების გამო.

ბასკურ-კავკასიურ თეორიას აპრიორულად და ჯერ კიდევ დაუსაბუთებლად მიიჩნევს ბულგარელი ლინგვისტი ვ. გეორგიევი.

კრიტიკული დამოკიდებულება Euskaro-caucasique-ის ჰიპოთეზისადმი ყველაზე თანმიმდევრულად და, შეიძლება ითქვას, სრულად ჩამოყალიბებულია ცნობილი ნორვეგიელი ლინგვისტის პროფესორ ჰანს ფოგტის მიერ ნაშრომში „ბასკური და კავკასიური ენები“, რომელიც ზემოთაც დავიმოწმეთ.

ჰანს ფოგტის დასკვნით, ბ ა ს კ უ რ - კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ჰ ი პ ო თ ე - ზ ა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ა დ რ ჩ ე ბ ა.

ბასკური ენის ავტორიტეტული სპეციალისტი ლ. ნიჩელენა ერთ-ერთ თავის ნაშრომში ფართოდ მსჯელობს ბასკურ-კავკასიური თეორიის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ, ავტორის აღიარებით, ქართული და ბასკური ენების ბრუნების სისტემა მსგავსებას ამჟღავნებს, ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზას დაბრკოლებები ეღობება. მიჩელენა იზიარებს ფოგტის ზოგიერთ დებულებას, კრიტიკულად განიხილავს ბასკურ-კავკასიურ ეტიმოლოგიებს და გარკვეულ მოსაზრებებს ამ საგანზე.

საბჭოთა ქართველოლოგიაში ბასკური ენის დაკავშირება იბერიულ-კავკასიურ ენებთან დღეს აქტუალურ ამოცანად არის მიჩნეული.

იბერიულ-კავკასიური ენებისა და ბასკური ენის შედარებითი შესწავლის დღევანდელ დონეზე მომწიფებულია საკითხი ამ ენათა ღრმა კავშირ-ურთიერთობის შესახებ.

„ყველაზე მეტი სიახლოვე ბასკურს მაინც იბერიულ-კავკასიურ ენებთან აქვს. ამას გრძნობდნენ: ფრ. მიულერი, პ. შუხარდტი, კ. ულენბეკი, ნ. მარი..., სხვადასხვა სტილისა და მეთოდის მკვლევარნი“; „კავკასიის გარეთ ბასკური ერთადერთი ცოცხალი ენა იბერიულ-კავკასიური წრისა“ (არნ. ჩიქობავა).

რა არის საერთო ბასკურსა და ქართველურ-კავკასიურ ენებს შორის?

ნაწევრის პოსტპოზიციია, ერგატიული ბრუნვა, ობიექტის აღნიშვნა ზმნაში, თვლის ოცობითი სისტემა...

„ცალ-ცალკე ასეთი მოვლენები შეიძლება რაგინდარა ენაში აღმოჩნდეს ...ნიშანთა კომპლექსი კი — სხვაა“; „ბასკურის შესწავლისას სტრუქტურულ-ტოპოლოგიური შეპირისპირებითი ანალიზი იბერიულ-კავკასიურ ენებთან დამოუკიდებელი უნდა ჩატარდეს, რომ შორფემის, სიტყვის, სინტაგმის ახლანდელი მოდელი დადგინდეს... მხოლოდ ამ გზით შევიძლებთ იმის გარკვევას, რა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობაა ბასკურ-

სა და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის“; ბასკური „მკვეთრად განსხვავდება ინდოევროპულ ენათაგან არსებითი მომენტების მიხედვით: სიტყვის (სახელის, განსაკუთრებით კი ზმნის) აგებულებისა და — ამის შესაბამისად — წინადადების სტრუქტურის მიხედვით. და აი, სწორედ ამ მომენტების მიხედვითაა, რომ შეინიშნება გასაოცარი დამთხვევა იბერიულ-კავკასიურ ენებთან. სწორედ ამ გარემოებამ მიიყვანა კავკასიური ენების შესწავლის საჭიროებამდე ცნობილი ინდოევროპოჯისტი, რომანული ენების უდიდესი სპეციალისტი პ. შუხარდტი... რით აიხსნება ამგვარი შეხვედრები ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური ენებისა; შემთხვევითია თუ არა ეს? საკითხი ისმის ენობრივი მონაცემების მიხედვით. ეს გვაიძულებს დავსვათ დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის პრობლემა — ძველი ხმელთაშუა ზღვის, აზიისა და კავკასიის ხალხთა და კულტურათა ურთიერთობის პრობლემა, რომელიც არაერთხელ დაუსვამს კიდევ საბჭოთა ენათმეცნიერებსაც და უცხოელ სპეციალისტებსაც. ხშირად სვამენ კითხვას — არის თუ არა ბასკური ქართულის მონათესავე? ცდილობენ, ეს ნათესაობა დაინახონ ამა თუ იმ სიტყვათა საგნობრივი მსგავსების მიხედვით. როცა ენები ახლო მონათესავენი არიან (მაგ., რუსული, უკრაინული, ბელორუსული). მაშინ ადვილად ხერხდება მონათესავე ენათა სიახლოვის ჩვენება მსგავსი სიტყვების, ლექსიკის დიდი მარაგის მიხედვით. ასეთი ენების ნათესაობა ერთი შეხედვითაც ნათელია. მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია. ენათა ნათესაობის გამოსავლინებლად ჩვეულებრივ საჭიროა ენათა ისტორიის დიდ სიღრმეებზე „გათხრა“. ბასკურ-კავკასიური კავშირები მოითხოვენ სწორედ ამ ენათა ისტორიის ღრმა გათხრა-გაბურღვას: ასეთი მუშაობისათვის საჭიროა ბასკოლოგებისა და კავკასიოლოგების თანამშრომლობა, უფრო ზუსტად — ბასკოლოგ-კავკასიოლოგებისა და კავკასიოლოგ-ბასკოლოგების თანამშრომლობა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული პრობლემების ვარკვევა“ (აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა).

„ენის (ენათა) ისტორიული წარსულის გათვალისწინება დამოკიდებულია „მოწმეთა“ ჩვენებაზე: ინდოევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა და ლექსიკონი ვერ დაიჩემებს ისეთ სიზუსტეს და სისრულეს, რაც რომანულ ენათა ისტორიულ-შედარებით გრამატიკასა (და ლექსიკონს) ახასიათებს: ნესიტურ-ხეთური ენის მასალამ, ამ „ახალი მოწმის“ ჩვენებამ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში მანამდე მიღებული შედეგების გადასინჯვა მოითხოვა (ზმნისა და სახელის მორფოლოგიის რიგი საკითხი, „კენტუმ“ და „სატემ“ ენათა გავრცელების არელების საკითხი...).

ინდოევროპულ ენათაგან რომ მხოლოდ ირლანდიური (კელტური), პოლონური (სლავური) და სომხური შემოგვრჩენოდა, არათუ ინდოევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის შედგენა ვაჭირდებოდა, არამედ თვით ამ (ინდოევროპულ) ენათა ნათესაობის საკითხიც დამაჭერებელი ვერ იქნებოდა.

ანალოგიურ სიძნელეს ვხვდებით ბასკურ-კავკასიურ (ეუსკარო-კავკასიურ) ენათა წარსულის კვლევისას. კავკასიის მიწა-წყალზე შემოგვენახა იბერიულ-კავკასიურ (პალეოკავკასიურ) ენათა დიდი ჯგუფი (32 ენა). ახლანდელი ვითარების ანალიზი ცხადყოფს, რა ცვლილებებიც განუცდიათ ამ ენებს...

შორეულ წარსულში იბერიულ-კავკასიურ ენათა რიცხვი გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო (უდიდური. ბუღუხური, ხინალულური, კრიწული, ამჟამად კუნძულებადლა არის შემორჩენილი აზერბაიჯანის სსრ მიწა-წყალზე. აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენები ახლა ოთხ ერთეულს ითვლის; მეტი უნდა ყოფილიყო. ეგევე ითქმის ნახური და ქართველური ენების შესახებაც).

ბასკური ენაც იმთავითვე მარტოხელა არ ყოფილა...

ეს ნიშნავს: ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიება დიდ სირთულეთა წინაშე დგას იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისას. განუზომლად უფრო რთულია ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური წარსულის კვლევა და მათი ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის ძიება.

ჩვენ არ გვითქვამს წინათ და არც ახლა ვამბობთ: ბასკურის ნათესაობა იბერიულ-კავკასიურ ენებთან დამტკიცებულიაო. არც იმას ვამბობთ, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოთხივე ჯგუფის ისტორია მთლიანად და სავსებით აღდგენილი გვაქვსო.

ჩატარებული კვლევა ერთ რასმე მოწმობს: წარსულში იბერიულ-კავკასიურ ენებს მეტი სიახლოვე ახასიათებდა, ვიდრე ახლა ვხედავთ. ზედაპირზე სხვაობა ჩანს, სიღრმისეულ ფენებში სხვაობა მცირდება, საერთო (ერთობა) მატულობს: საერთო — ძველია. განსხვავებული — ახალი.

ბასკური ენის „შინაფორმის“ ისეთი თვისებები, როგორცაა ზმნის სუბიექტურ-ობიექტური უღვლილება და ბრუნებადი ერგატივი, სხვა რომ არაფერი იყოს, კავკასიის ენობრივი სინამდვილისაკენ წარმართავს მკვლევარის ყურადღებას...

ერთი წარმოშობის ენები შეიძლება დროთა ვითარებაში იმდენად დაშორდეს ერთმანეთს, რომ საერთო აღარაფერი დარჩეს, ანდა ეს საერთო ისე გადასხვაფერდეს, რომ მისი მიკვლევა შეუძლებელი აღმოჩნდეს.

მაგრამ თუ ეს საერთო ჩანს და ეს საერთო სპეციფიკურ მოვ-

ლენებს ეხება, სპეციალისტის ვალია, ამას სათანადო ყურადღებით მოეკიდოს და მისი რაობა და წარმომავლობა შეისწავლოს. ძნელი შეუძლებელს არ ნიშნავს. ძნელი საკითხი არასოდეს გადაწყდება, თუ ის არ დაისვია, თუ ის კვლევის საგანი არ გახდა.

ყოველი მეცნიერება ჰიპოთეზით იწყება, ჰიპოთეზა კვლევა-ძიებას მოითხოვს. ჰიპოთეზა გამართლებულია, თუ ამ კვლევა-ძიებამ მეცნიერული ცოდნის წინ—სვლა განსაზღვრა. ის გარკვეია, რასაც მანამდე მეცნიერული აზრი ვერ ხედავდა, თუ ახალი პერსპექტივები დასახა“.

მოტანილ ვრცელ ციტატაში კარგად არის მოხაზული ბასკურ-კავკასიური პრობლემის მეთოდოლოგიური საზღვრები და ამ მსოფლიო მნიშვნელობის ლინგვისტური ჰიპოთეზის მეცნიერული საფუძვლიანობა.

არც დიდი ოპტიმიზმია საჭირო და არც პესიმიზმს უნდა დავემორჩილოთ. ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზას არსებობის უფლება აქვს, მით უმეტეს, იგი ოცი საუკუნის ტრადიციით არის შემაგრებული!

ბასკურ-კავკასიური თეორიის მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნებისათვის საჭიროა დამუშავდეს შედარებითი ფონეტიკა და შედარებითი მორფოლოგია ჩრდილო-კავკასიურ, სამხრულ-კავკასიურ, მერე — ერთობლივ კავკასიურ ენათა (რენე ლათონი).

როდესაც იბერიულ-კავკასიური ენების ოთხივე ჯგუფი ღრმად იქნება გამოკვლეული, მაშინ შეგვეძლება მათი ისტორიული სახე დავინახოთ და ბასკურის ასეთსავე ძველ ვითარებას შევედაროთ.

ბასკურისა და ქართველურ-კავკასიური ენების გენეტური ნათესაობის საკითხს „საფუძვლიანი განხილვა და დამტკიცება სჭირდება“ (ივანე ჭავჭავაძის ფილი).

ჩვენი ამოცანაა — გამოვიყენოთ ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის მიერ მოპოვებული პოზიტიური შედეგები, რითაც ჩვენთვის საინტერესო ლინგვისტური და კულტურულ-ისტორიული პრობლემის კვლევის ფართო პერსპექტივები იშლება.

## შინაარსი

წინასიტყვაობა . . . . .	3	ქართული ენის განშტოებები . . . . .	134
სიტყვა ცხოვრება . . . . .	5	ქართული ენის წარმოშობის . . . . .	
ენის წარმოშობა . . . . .	22	თეორიები . . . . .	143
სიტყვის სესხება . . . . .	30	ქართული ენის კონტაქტები მსოფ- . . . . .	
ხატვანი სიტყვები . . . . .	61	ლიოს ენებთან . . . . .	152
საერთაშორისო სიტყვები . . . . .	65	ქართული სამწერლობო ენის სიწ- . . . . .	
მსოფლოს ენები . . . . .	76	მინდისათვის ბრძოლის ისტო- . . . . .	
დამწერლობის წარმოშობა . . . . .	92	რიიდან . . . . .	167
ქართული ანბანის წარმოშობა . . . . .	111	ბასკები და ჩეენ . . . . .	187
ქართული სალიტერატურო ენა . . . . .	124		

### ДЗИДЗИГУРИ ШОТА ВАРЛАМОВИЧ

#### ЖИТИЕ СЛОВА

Литературно лингвистические статьи

(На грузинском языке)

Издательство «Мерани», пр. Руставели 42.

Тбилиси, 1988

გამომცემლობის რედაქტორი ლ. არაბიძე

მხატვარი ს.პ. ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი ჯ. ზენაიშვილი

ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე

კორექტორები: რ. გოცირიძე, ნ. ლომაძე, თ. ფირცხალავა

გამომწვეები ნ. კვატაშიძე

სბ — 3977

ჩაბარდა წარმოებას 10.11.87 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 27.04.88 წ. უე 06754 ფორმატი 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. საბეჭდი ქაღალდი №1. გარნიტურა ჩეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობ. ნაბეჭდი ფურცელი 13,95. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 13,8. პირობითი საღებავგატარება 14,18. ტირაჟი 20 000 ეგზ. შეკვეთა №16.

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის გამზ. 42. თბილისი, 1988.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ეპრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის №1 სტამბა, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. №50.

Типография №1 Государственного комитета Грузинской ССР

по делам издательства, полиграфии и книжной торговли,

Тбилиси, ул. Орджоникидзе, №50.